

კ რ ი მ ი ნ ო ლ ო გ ი
CRIMINOLOGIST

1(16) 2022

საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

საქართველო, თბილისი

GEORGIA, TBILISI

2022

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი

Georgian Academy of Criminology Sciences,
Institute of Study and Prediction of Crime

გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
Law and Criminology Scientific Research Institute at Grigol Robakidze University

კრიმინოლოგი

CRIMINOLOGIST

1(16)

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

INTERNATIONAL SCIENTIFIC- PRACTICAL JOURNAL

ISSN 1512 – 3804

გამოდის 2007 წლიდან

Has been issued since 2007

ედვწება

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას

„დანაშაულობის კვლევის აქტუალური საკითხები“

Dedicated to the Third International Scientific Conference
“Current Issues in Crime Research”

საქართველო, თბილისი

GEORGIA, TBILISI

2022



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია,
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„დანაშაულობის კვლევის აქტუალური საკითხები“

ედღვნება ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“

დაარსებიდან 20 წლის იუბილეს



Georgian National Academy of Sciences

Georgian Academy of Criminology Sciences,

Law and Criminology Scientific Research Institute at

Grigol Robakidze University

Third International Scientific Conference

“Current Issues in Crime Research”

Dedicated to the 20th anniversary of the founding of the

Center of Study and Prediction of Crime

21 დეკემბერი/December

თბილისი/Tbilisi 2021

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღუა – მთავარი რედაქტორი
პროფესორი, დოქტორი მამუკა თავხელიძე
პროფესორი, დოქტორი მიხეილ ბაძაღუა – აღმასრულებელი რედაქტორი
მაგისტრი ცირა ჭანტურია
პროფესორი, დოქტორი რომან შენგელია
პროფესორი, დოქტორი რამაზ ბერიძე (აშშ)
პროფესორი, დოქტორი ჯემალ ჯანაშია
პროფესორი, დოქტორი მარინა კვაჭაძე
პროფესორი, დოქტორი კრის ესკრიჯი (აშშ)
პროფესორი, დოქტორი გიორგი თოდრია
პროფესორი, დოქტორი ოთარ გამყრელიძე
პროფესორი, დოქტორი ჯემალ გახოკიძე
პროფესორი, დოქტორი ნინო გვენეტაძე
პროფესორი, დოქტორი თემურ მურდულია
პროფესორი, დოქტორი ჯემალ გაბელია
პროფესორი, დოქტორი ირაკლი გაბისონია
პროფესორი, დოქტორი მიხეილ მამნიაშვილი
პროფესორი, დოქტორი გივი აბაშიძე
პროფესორი, დოქტორი ეკა ბესელია
პროფესორი, დოქტორი დავით გუგავა
დოქტორი ნანი ლომაია
პროფესორი, დოქტორი სალომე კაპანაძე- პასუხისმგებელი მდივანი
პროფესორი, დოქტორი მიანჰუნ რო (აშშ)
პროფესორი, დოქტორი ჯი-სან ლი (აშშ)
პროფესორი, დოქტორი ვიტალი კვაშისი (რუსეთი)
აკადემიკოსი, პროფესორი, დოქტორი გიორგი კვესიტაძე
აკადემიკოსი, პროფესორი, დოქტორი მინდია უგრეხელიძე
პროფესორი, დოქტორი დავით სუჯაშვილი

© საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6. malkhaz_badzagua@yahoo.com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია იხილეთ: www.gruni.edu.ge www.gacs.org.ge

The Editorial Board:

Professor, Dr. Malkhaz Badzagua – Editor-in-chief
Professor, Dr. Mamuka Tavkhelidze
Professor, Dr. Mikheil Badzagua – Executive Editor
Master Tsira Chanturia
Professor, Dr. Roman Shengelia
Professor, Dr. Ramaz Beridze (USA)
Professor, Dr. Jemal Janashia
Professor, Dr. Marina Kvachadze
Professor, Dr. Chris Eskridge (USA)
Professor, Dr. George Tordia
Professor, Dr. Otar Gamkrelidze
Professor, Dr. Jemal Gakhokidze
Professor, Dr. Nino Gvenetadze
Professor, Dr. Temur Murgulia
Professor, Dr. Jemal Gabelia
Professor, Dr. Irakli Gabisonia
Professor, Dr. Mikheil Mamniashvili
Professor, Dr. Givi Abashidze
Professor, Dr. David Gugava
Professor, Dr. Eka Beselia
Dr. Nani Lomaia
Professor, Dr. Salome Kapanadze - Executive Secretary
Professor, Dr. Myunghoon Roh (USA)
Professor, Dr. Jae-Seung Lee (USA)
Professor, Dr. Vitaly Kvashis (Russia)
Academician, Professor, Dr. Giogri Kvesitadze
Academician, Professor, Dr. Mindia Ugrekhelidze
Professor, Dr. David Sujashvili

© Georgian Academy of Criminology Sciences, Institute of Study and Prediction of Crime

© Law and Criminology Scientific Research Institute at Grigol Robakidze University

Editorial Office Address: Tbilisi, Jano Bagrationi St. №6. malkhaz_badzagua@yhao.com

Journal online version see: www.gruni.edu.ge www.gacs.org.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ XVI ნომრის გამოცემისათვის.....	10
 მისაღმებები	
კრის ესკრიჯი, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოება	19
კაროლ კარსკი, ვარშავის უნივერსიტეტი.....	23
მერაბ ხალვაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.....	24
 მოხსენებები	
მალხაზ ბაძაღუა, მიხეილ ბაძაღუა – კრიმინოლოგიური კვლევების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში	26
მინდია უგრეხელიძე – ლეგიმეტრიული კვლევის შესაძლებლობის შესახებ ჯგუფური დანაშაულობის პრევენციაში.....	36
რომან შენგელია – პრობლემის სიმწვავის სრულად შეცნობის აუცილებლობა	44
ჯონ ლაუზი – აშშ-ის იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტის წინსვლა.....	62
კაროლ კარსკი – სისხლის სამართლის სფეროში გამოძიების პროცესში ახალი ცვლილებები: ევროკავშირის გამოცდილება.....	72
ვიტალი კვაშისი – საით მიემართება რუსული კრიმინოლოგია?	79
ელზბიეტა კარსკა – ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სააგენტოს შექმნის წინადადება როგორც ევროკავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯი ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ.....	86
დავით სუჯაშვილი – ტერორიზმის კვლევა მასთან წარმატებული ბრძოლის წინაპირობაა.....	90
გივი აბაშიძე – დამნაშავის პიროვნების კვლევა, როგორც მთავარი ფაქტორი დანაშაულობის ერთიან სისტემაში.....	102
თეიმურაზ ფაჩულია – ფსევდოეთიკა და კრიმინოგენეზი	109
მიხეილ მამნიაშვილი – არასაპატიმრო სასჯელის სახეები და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პრობლემები	116
გიმზერ ალანია, თამარ მამნიაშვილი – დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენის პრობლემატიკა გამოძიების სტადიაზე	124

ჯემალ ჯანაშია, ზაზა ბეროზაშვილი – ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სუბიექტები და მიწოდების შემცირების სტრატეგია.....	130
თეიმურაზ ბერიძე – ეკონომიკური ზრდა: თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა	145
მაია ნადარეიშვილი – კიბერდანაშაულის პრევენციის კრიმინოლოგიური მხარე.....	154
დავით გუგავა – სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარებაში	160
ვეფხვია გვარამია – ომის და გენოციდის დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ევოლუცია, თანამედროვე გამოწვევები და საქართველოში ჩადენილი ქმედებების დასჯადობის საფუძვლები	169
დავით გონდაური, ეკატერინე მიქაუტაძე – არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება	190
თამარ ჩიკვილაძე – საჯარო დაწესებულებაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები	197
თამარ ლანჩავა – კიბერდანაშაულობის დეტერმინანტები პანდემიის პირობებში	200

C o n t e n t s

Introduction to the 16th Issue of Journal „Criminologist“	14
---	----

Welcome speeches

Chris Eskridge , the American Society of Criminology (ASC).....	17
Karol Karski , University of Warsaw	22
Merab Khalvashi , Batumi Shota Rustaveli State University.....	25

Presentations:

Malkhaz Badzaghua, Mikheil Badzagua – The importance of criminological research in a democratic society.....	32
Mindia Ugrekhelidze – On the Possibility of the Legiimetric Research in the Prevention of Group Criminality	40
Roman Shengelia – The need to fully understand the severity of the problem.....	53
John H. Laub – Moving the National Institute of Justice Forward (USA).....	55
Karol Karski – Current Challenges in the Field of Criminal Research: The Experiences of the European Union	69
Vitali Kvashis – Where is Russian criminology going?	76
Elzbieta Karska – The proposal for the creation of the Anti-Money Laundering Authority as an expression of the European Union's activity against organized crime.....	83
Davit Sujashvili – The study of Terrorism is a precondition to combat it successfully	97
Givi Abashidze – Investigating the criminal personality as a major factor in a unified crime system.....	106
Teimuraz Pachulia – Pseudoethics and criminogenesis	114
Mikheil Mamniashvili – Types of non-custodial sentence and resocialization issues of convicted persons.....	120
Gimzer Alania, Tamar Mamniashvili – Problems in identification of reasons causing crime on investigation stage	127
Jemal Janashia, Zaza Berozashvili – Subjects of Illicit Drug Trafficking and Supply Reduction Strategy	138

Teimuraz Beridze – On a question of economic growth	150
Maia Nadareishvili – The Criminological Side of Preventing Cybercrime	157
David Gugava – The importance of scientific research for the development of criminal policy.....	165
Vepkhvia Gvaramia – Evolution of liability for war crimes and genocide, modern challenges and the grounds of punishment for the actions committed in Georgia	181
Davit Gondauri, Ekaterine Mikautadze – Use of modern technologies in the prevention of juvenile delinquency	194
Tamar Chikviladze – The legal foundations for the conduct of research activities in public institution	199
Tamar Lanchava – Cybercrime Determinants During a Pandemic	203

წინასიტყვაობა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ XVI ნომრის გამოცემისათვის

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ დაარსებიდან
20 წლის იუბილისადმი

2021 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიამ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩაატარა მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დანაშაულობის კვლევის აქტუალური საკითხები“.

კონფერენცია მიემდგნა ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ დაარსებიდან 20 წლის იუბილეს.

კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე**;

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ:

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**;

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**;

ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ნებრასკას უნივერსიტეტის პროფესორი, **კრის ესკრიჯი** (აშშ) (ონლაინ ფორმატით);

ევროპარლამენტის პრეზიდენტის წევრი; ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი **კაროლ კარსკი** (პოლონეთი) (ონლაინ ფორმატით);

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე**;

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში** (ონლაინ ფორმატით);

ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, პროფესორი **მარინე კვაჭაძე**;

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი **მაყვალა გონაშვილი**, რომელმაც ნაყოფიერი სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, პროფესორ **მალხაზ ბაძაღუას** ილია ჭავჭავაძის სახელობის მედალი გადასცა.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს:

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **მალხაზ ბამაღუამ** და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მთავარმა სპეციალისტმა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **მიხეილ ბამაღუამ**, - **კრიმინოლოგიური კვლევების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში**;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა **მინდია უგრეხელიძემ** - **ლეგიმეტრიული კვლევის შესაძლებლობის შესახებ ჯგუფური დანაშაულობის პრევენციაში**;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერეტუსმა-პროფესორმა **რომან შენგელიამ** - **პრობლემის სიმწვავის სრულად შეცნობის აუცილებლობა**;

ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების წევრმა - ყოფილმა პრეზიდენტმა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, მეირლენდის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჯონ ლაუბიმ** (აშშ), - **აშშ-ს იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტის წინსვლა** (ონლაინ ფორმატით);

ევროპარლამენტის პრეზიდიუმის წევრმა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა **კაროლ კარსკიმ** (პოლონეთი) - **სისხლის სამართლის სფეროში გამოძიების პროცესში ახალი ცვლილებები: ევროკავშირის გამოცდილება** (ონლაინ ფორმატით);

რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, პროფესორმა **ვიტალი კვაშისიმ** (რუსეთი) - **საით მიემართება რუსული კრიმინოლოგია?** (ონლაინ ფორმატით);

გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, ვარშავის კარდინალ სტეფან ვიშინსკის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **ელზბიეტა კარსკამ** (პოლონეთი) - **ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სააგენტოს შექმნის წინადადება როგორც ევროკავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯი ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ** (ონლაინ ფორმატით);

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **დავით სუჯაშვილმა** - **ტერორიზმის კვლევა მასთან წარმატებული ბრძოლის წინაპირობაა**;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **გივი აბაშიძემ** - **დამნაშავის პიროვნების კვლევა, როგორც მთავარი ფაქტორი დანაშაულობის ერთიან სისტემაში**;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **თეიმურაზ ფაჩულიამ** - **ფსევდოეთიკა და კრიმინოგენეზი**;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **მიხეილ მამნიაშვილმა** - არასაპატიმრო სასჯელის სახეები და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პრობლემები;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **გიმზერ ალანიაშვილმა** და დოქტორმა **თამარ მამნიაშვილმა** - დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენის პრობლემატიკა გამოძიების სტადიაზე;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **ჯემალ ჯანაშიამ** და დოქტორმა **ზაზა ბეროზაშვილმა** - ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სუბიექტები და მიწოდების შემცირების სტრატეგია;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **თეიმურაზ ბერიძემ** - ეკონომიკური ზრდა: თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ამერიკისა და ბრიტანეთის შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **მაია ნადარეიშვილმა** - კიბერდანაშაულის პრევენციის კრიმინოლოგიური მხარე;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **დავით გუგავამ** - სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარებაში;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ვეფხვია გვარამიამ** - ომის და გენოციდის დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ევოლუცია, თანამედროვე გამოწვევები და საქართველოში ჩადენილი ქმედებების დასჯადობის საფუძვლები;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **დავით გონდაურმა** და დოქტორმა **ეკატერინე მიქაუტაძემ** - არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, დოქტორმა **თამარ ჩიკვილაძემ** - საჯარო დაწესებულებაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები;

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტმა **თამარ ლანჩავამ** - კიბერდანაშაულობის დეტერმინანტები პანდემიის პირობებში;

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი **რამაზ ხუროძე** და აკადემიკოსი **თამაზ შილაკაძე**.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძალუამ**, რომელმაც აკადემიის წევრის დიპლომები გადასცა პროფესორებს: **თედო ჯაფარიძესა** და **გიორგი ხატიძეს**. დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დაარსებიდან 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით აკადემიის მადლობის სიგელები გადაეცა ცენტრის თანადამფუძნებლებსა და აქტიურ წევრებს.

Introduction to the 16th issue of the journal “Criminologist”

On December 21, 2022, the National Academy of Sciences of Georgia, Georgian Academy of Criminology Sciences and the Scientific Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University, organized the Third International Scientific Conference “**Current Issues in Crime Research**” dedicated to the 20th anniversary of the founding of the Center of Study and Prediction of Crime.

The conference was opened with a welcoming speech by Academician, Professor, Dr. **Giorgi Kvesitadze** - President of the Georgian National Academy of Sciences.

The conference participants were welcomed by:

Professor, Dr. **Malkhaz Badzaghua**, - *The President of the Georgian Academy of Criminology Sciences; Director of the Scientific Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University.*

Professor, Dr. **Mamuka Tavkhelidze** *The rector of Grigol Robakidze University; Georgian Academy of Criminology Sciences.*

Professor, Dr. **Chris Eskridge** (USA), *Executive Director of the American Society of Criminology (ASC), University of Nebraska; Georgian Academy of Criminology Sciences.*

- Professor, Dr. **Karol Karski** (Poland) - *European Parliament; University of Warsaw; Georgian Academy of Criminology Sciences.*

Professor, Dr. **Zurab Khonelidze**, *The rector of Sukhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences.*

Professor, Dr. **Merab Khalvashi**, *The rector of Batumi Shota Rustaveli State University.*

Professor, Dr. **Marine Kvachadze**, *The Supreme Court of Georgia; Member of the Editorial Board of the Journal "Criminologist".*

- *Chairman of the Georgian Writers Union, poet* **Makvala Gonashvili**, *who awarded an* **Ilia Chavchavadze** *medal to the President of the Georgian Criminological Sciences Academy, professor* **Malkhaz Badzaghua**, *for his fruitful scientific, creative and social work.*

Reports were made by:

Professor, Dr. **Malkhaz Badzaghua**, *Georgian Academy of Criminology Sciences; Georgian National Academy of Sciences; Scientific Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University;* Professor, Dr. **Mikheil Badzagua**, *Parliament of Georgia, legal committee; Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences, –* ***The importance of criminological research in a democratic society.***

Professor, Dr. **Mindia Ugrehelidze** *Caucasus International University; Georgian Academy of Criminology Sciences, -* ***On the Possibility of the Legiimetric Research in the Prevention of Group Criminality***

Professor, Dr. **Roman Shengelia**, *Iv. Javakhishvili Tbilisi State University; Georgian Academy of Criminology Sciences*; – ***The need to fully understand the severity of the problem.***

Professor, Dr. **John H. Laub** (USA), *University of Maryland; American Society of Criminology (ASC); Georgian Academy of Criminology Sciences*; – ***Moving the National Institute of Justice Forward.***

– Professor, Dr. **Karol Karski** (Poland) – *European Parliament; University of Warsaw; Georgian Academy of Criminology Sciences*; – ***Current Challenges in the Field of Criminal Research: The Experiences of the European Union.***

Professor, Dr. **Vitali Kvashis** (Russia) – *Honored Scientist of the Russian Federation; Georgian Academy of Criminology Sciences*; – ***Where is Russian criminology going?***

Professor, Dr. **Elzbieta Karska** (Poland) – *UN Working Group on Business and Human Rights, Cardinal Stefan Wyszyński University in Warsaw; Georgian Academy of Criminology Sciences*; – ***The proposal for the creation of the Anti-Money Laundering Authority as an expression of the European Union's activity against organized crime.***

Associate Professor, Dr. **Davit Sujashvili**, *Grigol Robakidze University; Georgian Academy of Criminology Science*; – ***The study of Terrorism is a precondition to combat it successfully.***

Associate Professor, Dr. **Givi Abashidze**, *Batumi Shota Rustaveli State University; Georgian Academy of Criminology Science*; – ***Investigating the criminal personality as a major factor in a unified crime system.***

Professor, Dr. **Teimuraz Pachulia**, *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences*; – ***Pseudoethics and criminogenesis.***

Professor, Dr. **Mikheil Mamniashvili**, *Georgian Technical University; Georgian Academy of Criminology Sciences*; – ***Types of non-custodial sentence and resocialization issues of convicted persons.***

Associate Professor, Dr. **Gimzer Alania**, *Sokhumi State University; Georgian Academy of Criminology Sciences*; Dr. **Tamar Mamniashvili**; – ***Problems in identification of reasons causing crime on investigation stage.***

Professor, Dr. **Jemal Janashia**, *Georgian Technical University; Head of the Center for Research and Monitoring of Drugs and Demographic Problems; Georgian Academy of Criminology Sciences*; Dr. **Zaza Berozashvili**, *Senior Legal Adviser Illicit Drug Traffic and Transnational Organized Crime of South Caucasus Office on Drug and Crime (SCODC)*; – ***Subjects of Illicit Drug Trafficking and Supply Reduction Strategy.***

Professor, Dr. **Teimuraz Beridze**, *Iv. Javakhishvili Tbilisi State University; Georgian Academy of Criminology Sciences*; – ***On a question of economic growth.***

Professor, Dr. **Maia Nadareishvili**, *American and British Studies Institute at Grigol Robakidze University; Georgian Academy of Criminology Sciences*; - ***The Criminological Side of Preventing Cybercrime.***

Professor, Dr. **David Gugava** *Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Science*; – ***The importance of scientific research for the development of criminal policy.***

Professor, Dr. **Vepkhvia Gvaramia**, *Sokhumi State University; Georgian Academy of Criminology Sciences*; -***Evolution of liability for war crimes and genocide, modern challenges and the grounds of punishment for the actions committed in Georgia.***

Associate Professor, Dr. **Davit Gondauri**, *Business and Technology University; Georgian Academy of Criminology Sciences*; & **Dr. Ekaterine Mikautadze**, *Shota Rustaveli Georgian National Science Foundation*; - ***Use of modern technologies in the prevention of juvenile delinquency.***

Dr. Tamar Chikviladze, *Georgian National Academy of Sciences; Georgian Academy of Criminology Sciences*; - ***The legal foundations for the conduct of research activities in public institution.***

Doctoral Student **Tamar Lanchava**, *David Agmashenebeli University of Georgia*; - ***Cybercrime Determinants During a Pandemic.***

The academician-secretary of the Georgian National Academy of Sciences, academician **Ramaz Khurodze**, and academician **Tamaz Shilakadze** were participating in the conference work.

The conference work was summarized by the President of the Georgian Academy of Criminology Sciences, professor **Malkhaz Badzaghua**, who awarded academy member diplomas to professors **Tedo Japaridze** and **Giorgi Khatidze**, also, due to the 20-year anniversary of the founding of the Crime Investigation and Prevention Centre, the founders and active members of the Centre were awarded acknowledgement certificates.

Chris Eskridge

Greetings to my colleagues in Georgia,

I have had the pleasure to spend some time in Tbilisi in the past, and certainly wish I could be there with you again today.

I understand that efforts are underway to create a research unit within your Ministry of Justice to inform policy and practice. This is tremendous, and I know that my friend and colleague John Laub, who has much experience in this matter, will be of great help in this venture.

As you move down this path, let me suggest that we must recognize that there are actually two fields that need to be surmounted if impact is to be achieved...scientific criminology and public criminology, and two American examples. As quantitatively sound as it is, removing handguns from the American public is just not going to happen, despite the fact that a successfully implemented policy of this nature would result in a significant drop in our murder rate. As quantitatively sounds as it is, the horribly unbalanced social inequality quotient is not going to be addressed in America, despite the fact that this is clearly a precipitating factor when it comes to crime issues. There is no political capital for seriously addressing either notion in the United States. They are not politically palatable themes. There are times that socio-political factors and forces simply hold science hostage.

Political officials of every ilk depend upon and gravitate to political truths for survival. Scientific truths might be absorbed, but only if they are in-line with contemporary political winds, and those positions will quickly be abandoned by the political elites when those winds change. In a somewhat simplistic sense, there are political or public truths and there are scientific truths. There is some measure of overlap of course, but political “leaders,” by their very nature, must cling more to the former to stay in office, to maintain their positions of influence and power in the public domain. Some have suggested that politicians operate in information free zones. I reject that perspective utterly and completely. Political officials (at least the successful ones) are keenly attuned to and actively seek out “information,” but it is political information that they seek, the political/public truths. They continually measure the political winds like sailors on the high seas. They are on constant lookout for the politically palatable, for the breeze that will transport them to the political promise land.

In contrast, academics generally operate in the inverse, with a focus on scientific truths and not the political. By ignoring the public sentiment however, science is all too often ignored and sits, gathering dust on the bookshelf, its impacts pragmatically moot. But rather than criticize political leaders for “sinning” differently than we do, with their focus on those very real political winds vs. the analytical, and subsequently walking away in disgust and retreating into our comfortable little journals and professional societies, we need to recognize that this is the nature of life. We need to adjust to this reality if we wish to have pragmatic impact, and recognize that the politicians WILL listen, but only to the political. In this context, I would suggest that our role as criminologists is to not only uncover empirical truths and grow the body of knowledge (continue in our traditional role as “scientific criminologist”), but to also become public criminologists. We need to engage in activities that will yield a greater public policy implementation coefficient for our work. If we don’t, we will continue to simply enjoy each other’s “music” in the comfort and security of our office cubicles, and our much too provincial professional meetings.

Before proceeding, there is a very important clarification needed here. Science does impact public policy, most definitely, but it is in a time-lagged context. Science is proverbially ahead of culture. There is a science-to-culture time lag, a time fissure if you would. Max Planck noted nearly a century ago that the implementation of new truths must invariably await the passing of the older generation.

“A new scientific truth does not triumph by convincing its opponents and making them see the light, but rather because its opponents eventually die, and a new generation grows up that is familiar with it.”

Kuhn made much the same argument specifically with respect to science. A scientific paradigm topples, he noted, only when the last of its powerful adherents die. Yes, the time fissure exists even in the “enlightened” scientific community. Why would we expect anything different in the public sector? It is no wonder then, that social scientists’ greatest impact on public policy to date has been realized by teaching the youth. The young, in time, take the place of the old as the new rulers and regents, and subsequently impact policy, drawing upon that which they absorbed in their youth. That cycle continues ad infinitum. In other words, truth is not victorious per se, rather its opponents simply die. In this paradigm, scientists’ impact on public policy is an embryonic, bottom-up, time-lagged phenomenon. Indeed, shifts in social policy have historically been realized only in human geologic time, in large part, because of the science-to-culture time fissure (ie., the Catholic Church officially refused to accept the helio-centric nature of the solar system for some 200 years after it had been definitively documented). My position is that we need to engage in activities that overcome the time lag barrier now, strategies that will yield a greater public policy implementation coefficient for our work now.

Leaders in the field of medicine realized long ago that if it were ever to achieve effectual and timely preventative and curative progress, it needed to reach both its own scientific community as well as the public sector with its new knowledge, and that new information needed to be communicated with a high level of clarity and palatability. Medicine succeeded in this effort by tailoring the message content and utilizing various communication strategies designed to match and then catch the divergent audiences that make up the body politic. We need to do the same in criminology, as we too deal with the time-lag quandary.

Scientific criminology is polluted by politics and power and custom and tradition, and since public sentiment does often rear its head and supersede the scientific, we must become effective public criminologists as well as scientific criminologists. In the aggregate we know how to publish and present our work in the scientific community, but how do we become effective public criminologists? How do we move our facts, figures and findings into the mainstream, into the communal marketplace? While there are common denominators, the methods needed to achieve this end certainly vary from country to country, from clime to clime. Whatever methods used, this activity is a crucial function that we need to fulfill as a field in the 21st century if we wish a more permeating presence of justice in our world.

მოგესალმებით ჩემს კოლეგებს საქართველოში,

უნდა აღვნიშნო, რომ წარსულში მქონდა პატივი მცირე დროით თბილისში ყოფნისა. რა თქმა უნდა, დღესაც ვისურვებდი თქვენთან ერთად ყოფნას.

ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში განხილვა პროექტი კვლევითი დანაყოფის შექმნის შესახებ, რაც შესანიშნავი წამოწყებაა. მინდა გაცნობოთ, რომ ამ დარგში დიდი გამოცდილების მქონე ჩემი მეგობარი და კოლეგა ჯონ ლაუბი მზად არის დახმარება გაგიწიოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამ გზით სიარულისას ნება მომეცით, ვაღიაროთ, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ამერიკის მაგალითების გათვალისწინება. მიუხედავად იმისა, რომ იარაღის ამოღება მნიშვნელოვნად შეამცირებს მკვლელობების მაჩვენებელს, ამერიკულ საზოგადოებისთვის მსგავსი პოლიტიკა მიუღებელია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უთანასწორობა ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია მკვლელობების მაღალი მაჩვენებლისა, ეს საკითხი ამერიკაში არ განიხილება. ამ ორი პოლიტიკურად არასასიამოვნო თემის სიღრმისეული განხილვისთვის შეერთებულ შტატებში არ არსებობს პოლიტიკური ნება. ზოგჯერ მეცნიერება სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებისა და ძალების მძევალი ხდება.

პოლიტიკური მოღვაწეები თავის გადასარჩენად დამოკიდებულნი არიან და ისწრაფვიან პოლიტიკური ჭეშმარიტებისკენ. მეცნიერული ჭეშმარიტება შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, თუკი ის შეესაბამება პოლიტიკურ კურსს. კურსის ცვლილების შემთხვევაში კი პოლიტიკური ელიტა სწრაფად უარყოფს ამ პოზიციას. არსებობს პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ჭეშმარიტება, ან მეცნიერული ჭეშმარიტება. პოლიტიკურმა ლიდერებმა თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, თანამდებობის, საჯარო სფეროში ძალაუფლებისა და გავლენის შესანარჩუნებლად არჩევანი პოლიტიკურ ჭეშმარიტებებზე უნდა შეაჩერონ. ზოგი ვარაუდობს, რომ პოლიტიკოსები თავისუფალ ინფორმაციულ ზონაში მოქმედებენ. ამ მოსაზრებას მე სრულიად უარყოფ. პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები (ყოველ შემთხვევაში წარმატებულები) აქტიურად იძიებენ ინფორმაციას, მაგრამ ეს ინფორმაცია არის პოლიტიკური/საზოგადოებრივი სიმართლე, როგორც მეზღვაურები ღია ზღვაში, ისინიც ისე ზომავენ პოლიტიკურ კურსს. ისინი მუდმივად იძიებენ პოლიტიკურად სასიამოვნო მიმართულებას, რომელიც პოლიტიკური დაპირებების შესრულებამდე მიიყვანს.

როგორც წესი, მეცნიერები საპირისპიროდ, მეცნიერულ ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით მოქმედებენ. თუმცა, საზოგადოების განწყობის იგნორირებით, შესაბამისად, მეცნიერულ ნაშრომებს ხშირად მტვერი ედება წიგნის თაროებზე. მათი შედეგები პრაგმატულად საეჭვოა. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ სამეცნიერო ჟურნალებში და პროფესიულ საზოგადოებებში ვაკრიტიკოთ პოლიტიკოსები, რომელთაც განსხვავებული მიდგომა აქვთ - სწრაფვა რეალური პოლიტიკური კურსისკენ - უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ბუნებრივი მოვლენაა. თუ გვსურს პრაგმატული გავლენის ქონა, უნდა შევეგუოთ იმ რეალობას, რომ პოლიტიკოსებს ესმით მხოლოდ პოლიტიკა. ამ კონტექსტში ჩვენი, როგორც კრიმინოლოგების როლი არ არის მხოლოდ ემპირიული ჭეშმარიტების გამოვლენა და ცოდნის სრულყოფა (შევიწარჩუნოთ ჩვენი ტრადიციული „მეცნიერ კრიმინოლოგის“ როლი), ჩვენ უნდა გავხდეთ

სოციალური კრიმინოლოგები, უნდა ჩავერთოთ ისეთ საქმიანობაში, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციაში ჩვენი ნაშრომების მეტ გამოყენებას უზრუნველყოფს. თუ ასე არ ვიმოქმედებთ, ეს დაემსგავსება საკუთარ ოფისებში კომფორტულად და უსაფრთხოდ ერთმანეთის „მუსიკით“ ტკბობასა და პროვინციულ პროფესიულ შეხვედრებს.

მნიშვნელოვანია განვმარტო, რომ მეცნიერება უდავოდ ახდენს გავლენას სახელმწიფო პოლიტიკაზე, თუმცა, ეს გავლენა დროში გაწელილია. მეცნიერება უსწრებს კულტურას. მეცნიერებასა და კულტურას შორის დროში ჩამორჩენა, დროის ნაპრალი არსებობს. თითქმის ერთი საუკუნის წინ მაქს პლანკმა აღნიშნა, რომ ახალი მეცნიერული ჭეშმარიტების განხორციელება ყოველთვის ელოდება უფროსი თაობის წასვლას.

„ახალი მეცნიერული ჭეშმარიტება იმარჯვებს არა იმიტომ, რომ წარმატებით არწმუნებს მის მოწინააღმდეგეებს თავის სიმართლეში, არამედ მათი გარდაცვალების და ამ ჭეშმარიტების მაღიარებელი ახალი თაობის ზრდით“.

მეცნიერებასთან დაკავშირებით კუნძულოვანი იგივე აზრი გამოთქვა, მან აღნიშნა - მეცნიერული პარადიგმა ნადგურდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ილუპებიან მისი უკანასკნელი ძლევამოსილი მიმდევრები. დიახ, დროის ნაპრალი არსებობს „განათლებულ“ სამეცნიერო საზოგადოებაშიც კი. რატომ უნდა გვქონდეს რაიმე განსხვავებული მოლოდინი საჯარო სექტორში? ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დღემდე სოციოლოგების უდიდესი გავლენა საჯარო პოლიტიკაზე ახალგაზრდა თაობის სწავლებით განხორციელდა. დროთა განმავლობაში ახალგაზრდები იკავებენ უფროსი თაობის ადგილს, როგორც ახალი მმართველები და გადაწყვეტილებების მიმღებები, შემდგომ კი ახალგაზრდობაში შთანთქმულ ცოდნაზე დაყრდნობით გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე. ეს ციკლი უსასრულოდ გრძელდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიმართლე თავისთავად არ არის გამარჯვებული, არამედ მისი მოწინააღმდეგეები უბრალოდ კვდებიან. ამ პარადიგმაში მეცნიერთა გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე არის ემბრიონული, საწყისი და დროში გაწელილი მოვლენა. მართლაც, ისტორიულად, საჯარო პოლიტიკაში არსებული ცვლილებები ხორციელდებოდა მხოლოდ კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, უმეტესწილად, მეცნიერებასა და კულტურას შორის დროში სხვაობის გამო (კათოლიკური ეკლესია ოფიციალურად აცხადებდა უარს, ელიარბინა მზის სისტემის ჰელიოცენტრული ბუნება დაახლოებით 200 წლის მანძილზე მას შემდეგ, რაც აღნიშნული ფაქტი საბოლოოდ გაფორმდა დოკუმენტის სახით). ჩემი აზრით, უნდა ჩავერთოთ ისეთ აქტივობებში, რომელიც გადალახავს დროში ჩამორჩენას, უნდა შემუშავდეს ისეთი სტრატეგიები, რომელიც ჩვენი საქმისთვის საჯარო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულობის მაღალ კოეფიციენტს მოგვცემს.

ლიდერებმა მედიცინის სფეროში დიდი ხნის წინ გააცნობიერეს, რომ ეფექტური და დროული პრევენციული და სამკურნალო პროგრესის მისაღწევად საჭირო იყო როგორც სამეცნიერო საზოგადოების, ისე საჯარო სექტორის ინფორმირება ცხადი და სასიამოვნო სიახლეებით. მედიცინამ წარმატებას მიაღწია ამ და სხვა კომუნიკაციების საშუალებით, შინაარსის მორგებით. შექმნა განსხვავებული აუდიტორია, რომელიც ქმნის პოლიტიკურ ორგანიზმს. არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, მსგავსი ქმედებები უნდა განვახორციელოთ კრიმინოლოგიაშიც.

მეცნიერული კრიმინოლოგია დაბინძურებულია პოლიტიკით, ძალაუფლებით, წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით და რამდენადაც საზოგადოებრივი განწყობა ხშირად მძლავრობს და ავიწროებს მეცნიერულს, სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა გავხდეთ როგორც ეფექტური სოციალური, ისე მეცნიერი კრიმინოლოგები. ჩვენ ვიცით, თუ როგორ გამოვაქვეყნოთ და წარმოვადგინოთ ჩვენი ნაშრომი სამეცნიერო საზოგადოებაში, მაგრამ როგორ გავხდეთ ეფექტური საჯარო კრიმინოლოგები? როგორ მივუსადაგოთ ჩვენს ხელთ არსებული ციფრები, ფაქტები და დასკვნები ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებას, საზოგადოებრივ ბაზარს? ამ მიზნის მისაღწევად არსებული მეთოდები განსხვავდება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. რა მეთოდებიც არ უნდა იქნეს გამოყენებული, ეს საქმიანობა არის მნიშვნელოვანი, რომელიც საჭიროა ავითვისოთ 21-ე საუკუნეში. თუ გვსურს სამართლიანობა ჩვენს სამყაროში.

Karol Karski

Member of the European Parliament; Chair-in-Office of the College of Quaestors; Member of the Committee on Foreign Affairs; Member of the Subcommittee on Human Rights; Professor and the Head of the Department of Public International Law, Faculty of Law and Administration, University of Warsaw; Honorary Member of the Georgian Academy of Criminology Sciences

Brussels, 21 December 2021

**Dear Professor Malkhaz Badzagua, Your Excellencies,
distinguished guests, ladies, and gentlemen,**

Today's conference is devoted to "Current Issues in Criminal Research". It is extremely important that the academic and practical discussion of this subject is conducted not only at the national level, but also internationally. Crime knows no borders; it also has a cross-border dimension. But even in cases where crime is confined to a single country, it is important to share experience, including the results of research, in combating it.

This is the third in a series of academic conferences devoted to this important issue. This event has a special significance as it is dedicated to the 20th anniversary of the founding of the Centre of Study and Prediction of Crime.

At this point, I would like to congratulate the director of the Centre, Professor Malkhaz Badzagua, who is a world-renowned academic dealing with the fight against crime. It is largely thanks to you that the Georgian science of criminology and criminal law is developing. I wish you and your research institution many more successes going forward. Thank you very much for the important and interesting initiative to organize this conference.

At the same time, I wish all participants fruitful deliberations.

Yours sincerely,

კაროლ კარსკი

ევროპარლამენტის წევრი; კვესტორთა კოლეჯის თავმჯდომარე; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი; ადამიანის უფლებათა ქვეკომიტეტის წევრი; ვარშავის უნივერსიტეტის სამართლისა და ადმინისტრირების ფაკულტეტის პროფესორი და საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი.

ბრიუსელი, 2021 წლის 21 დეკემბერი

დღევანდელი კონფერენცია ეძღვნება „დანაშაულობის კვლევის აქტუალურ საკითხებს“. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ საგნის აკადემიური და პრაქტიკული განხილვა წარმართოს არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ საერთაშორისო დონეზეც. დანაშაულმა საზღვრები არ იცის; მას ასევე აქვს საზღვრისპირა განზომილება, მაგრამ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დანაშაული შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ქვეყნით, მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება, მათ შორის კვლევის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს არის მესამე აკადემიური კონფერენციის სერია, რომელიც ეძღვნება ამ მნიშვნელოვან საკითხს. ამ ღონისძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ეძღვნება დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დაარსებიდან 20 წლისთავს. ამ ეტაპზე მინდა მივულოცო ცენტრის დირექტორს, პროფესორ მალხაზ ბაძაღლას, რომელიც მსოფლიოში აღიარებული აკადემიკოსია, რომელიც კრიმინალთან ბრძოლას ეწევა. დიდწილად თქვენი წყალობით ვითარდება ქართული კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის მეცნიერება.

გისურვებთ თქვენ და თქვენს კვლევით დაწესებულებას კიდევ ბევრ წარმატებას მომავალში. დიდი მადლობა ამ კონფერენციის ორგანიზებისთვის, მნიშვნელოვანი და საინტერესო ინიციატივისთვის. ამავდროულად, ყველა მონაწილეს ვუსურვებ ნაყოფიერ მუშაობას და მსჯელობას.

ღრმა პატივისცემით,

პროფესორი კაროლ კარსკი

**ააიპ "დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის" დაარსებიდან
20 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
"დანაშაულობის კვლევის აქტუალური საკითხები" მონაწილეებს**

ძვირფასო კონფერენციის მონაწილეებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

ძვირფასო სტუმრებო!

მოგესალმებით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით გილოცავთ ააიპ "დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის" დაარსებიდან 20 წლის იუბილეს და მისდამი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დაწყებას, გისურვებთ ნაყოფიერ საქმიანობას.

საერთაშორისო კონფერენციის თემა „დანაშაულობის კვლევის აქტუალური საკითხები“ კიდევ ერთხელ მიაწვდის კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის მნიშვნელობასა და როლზე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის და ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის განსაზღვრის საქმეში.

კრიმინოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიური თანამშრომლობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, 2011 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქტიურად გვაახლოებს მონაწილე მხარეებს ამ მიმართულებით შემდგომი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალშიც გამოთქვამს მზადყოფნას კრიმინოლოგიაში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის კუთხით მემორანდუმის ფარგლებში აღებული ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის. გისურვებთ წარმატებებს და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას.

პატივისცემით,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი მერაბ ხალვაში

Participants of the International Scientific Conference “Current Issues of Crime Investigation” dedicated to the 20th anniversary of the NNLE "Center for Crime Research and Forecasting"

Dear conference participants!

Ladies and gentlemen!

Dear guests!

Hello everyone. On behalf of Batumi Shota Rustaveli State University, congratulations on the 20th anniversary of the foundation of NNLE "Crime Research and Forecasting Center" and the launch of an international scientific conference dedicated to it, I wish you productive work.

The theme of the international conference “Current Issues of Crime Investigation” once again highlights the importance and role of criminology as a field of science in the fight against crime, solving strategic tasks to prevent it and defining the country's criminal policy.

In order to actively cooperate in criminological research and implement joint projects, in 2011, the Memorandum of Cooperation concluded among Grigol Robakidze University, Georgian Technical University, Batumi Shota Rustaveli State University and the Center for Crime Research and Forecasting is actively bringing the participating parties closer to ensure further cooperation in this direction.

Batumi Shota Rustaveli State University will continue to express its readiness to fulfil its obligations under the Memorandum in terms of scientific research activities in criminology.

I wish you success and practical implementation of the tasks set by the International Scientific Conference.

With regards,

Merab Khalvashi

Batumi Shota Rustaveli State University

Rector, Professor

Batumi, December 15, 2021

კრიმინოლოგიური კვლევების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

პროფესორი, დოქტორი მალხაზ ბაძაღუა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; **პროფესორი, დოქტორი მიხეილ ბაძაღუა**, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია.

საკვანძო სიტყვები: კრიმინოლოგია, კვლევები, ისტორია, პერსპექტივები

დანაშაულობის კვლევის აქტუალური საკითხების შესწავლის მიზანია დანაშაულობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში კრიმინოლოგიური კვლევების მნიშვნელობის დადასტურება. ამ მიზნით განვიხილავთ თეორიულ ხედვებსა და პრაქტიკულ საქმიანობას: 1. ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას; 2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობასა და როლს; 3. საერთაშორისო სტანდარტებს; 4. სახელმწიფო დონეზე დანაშაულობის კვლევის პერსპექტივებს.

1. საქართველოში სამართლისა და კრიმინოლოგიის თეორია და პრაქტიკა საუკუნეების მანძილზე ორგანულად უკავშირდებოდა რუსეთის იმპერიას და შემდგომ საბჭოთა კავშირს, ვინაიდან ამ მიმართულებით კვლევები და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები იმპერიის ცენტრის პრეროგატივას წარმოადგენდა. საკავშირო დონეზე ფუნქციონირებდა კანონიერებისა და მართლწესრიგის, დანაშაულობის შესწავლისა და თავიდან აცილების არაერთი ინსტიტუტი: საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, გენერალური პროკურატურის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შემადგენლობაში. მოგვიანებით საქართველოში მოკრძალებულად ფუნქციონირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იყო ასევე ცალკეული ინიციატივები.

1966 წელს საბჭოთა კავშირში პირველად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტი, რომელმაც საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ჩააბა რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი ამ პრობლემატიკაზე სხვადასხვა აქტივობებით: სამეცნიერო შრომებით, ლიტერატურული ნაწარმოებებით, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებით, მოსახლეობასთან და სამართალდამცავებთან კომუნიკაციით, მასმედიის საშუალებებით, შეხვედრებითა და საჯარო გამოსვლებით ჩართულნი იყვნენ საზოგადოების სახელმწიფოებრივი აზროვნების და მართლშეგნების ჩამოყალიბების, სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საქმიანობაში¹.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ფუნქციონირებამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა საზოგადოებისათვის მისაღებ ახალ, თვისობრივად მეცნიერულ საფეხურზე

¹ მ. დარჩია, ვ. ქარუმიძე "საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი: ისტორია და თანამედროვეობა". თბ., 1997. გვ. 16.

აიყვანა, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა საქართველოში დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის და პრევენციულ საქმიანობაში.

XX საუკუნის 70-იან წლების პირველ ნახევარში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული კრიმინოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ ანზორ გაბიანის ინიციატივით დაარსდა საბჭოთა კავშირში პირველი „დამნაშავეობის სოციოლოგიურ კვლევის ლაბორატორია“, რომელიც 1979 წელს გადავიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. ცენტრის წარმატებულმა საქმიანობამ და იმპერიულმა პოლიტიკამ განაპირობა 1987 წელს მისი გადასვლა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. ცენტრმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წლიდან განაგრძო ფუნქციონირება დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა კვლევით ცენტრის“ სახით, რომელიც სამეცნიერო კვლევებით შეისწავლიდა ქვეყანაში არსებულ კრიმინოლოგიურ გამოწვევებს: ლოთობას, ნარკომანიას, პროსტიტუციას და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, რითაც ახდენდა სტატისტიკაზე დაყრდნობილ საინფორმაციო-ანალიტიკური მასალის სრულყოფას.

ცენტრი ისევე, როგორც ზემოაღნიშნული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი გაუგებარი, დაუსაბუთებელი მიზეზებით 2004 წელს გაუქმდა,¹ ასეთივე ბედი სხვადასხვა დროს ეწია საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსებულ, ხოლო 1982 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ, „მომრავის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების შემსწავლელ სპეციალიზირებულ სამეცნიერო - კვლევით ცენტრს“ და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში პროფესორ შოთა ფაფიაშვილის ინიციატივით დაარსებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გენერალური პროკურატურის ერთობლივ საბაზო კათედრას, შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთ „მებრძოლ გუშაგს“, შემდგომში „კრიმინალურ ქრონიკას“, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს - ჟურნალ „სამართალს“, საქართველოს ტელევიზიასა და რადიოში ამ მიმართულებით არსებულ სპეციალურ გადაცემებს და სხვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ამ მიმართულებით ყოველგვარი მეთოდოლოგიური საფუძვლების გარეშე აღმოჩნდნენ. დღეს ნათლად ჩანს, რომ მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სისტემების აქტიური საქმიანობის მიუხედავად მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის გამოცდილების არარსებობა ართულებს პრაქტიკული საქმიანობის თეორიული ბაზით ან/და პირიქით უზრუნველყოფას, რაც გავლენას ახდენს როგორც კრიმინოლოგიის, ისე სამართლის მეცნიერებისა და მასთან დაკავშირებული მართლმსაჯულებისა, სამართალდამცავი სისტემების ეფექტურ ევოლუციურ განვითარებაზე.

2. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის რთული ეტაპი მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება: სიახლეებითა და სირთულებით, რეფორმებისა და ახლის ძიების პროცესით, რომელთა შორის პრიორიტეტულად იქცა მეცნიერებისა და განათლების,

¹ მ. ბაძაღუა, „პროფესორი ანზორ გაბიანი - ქართული კრიმინოლოგიის მამამთავარი“, ჟურნალი „კრიმინოლოგი“ N 1(11-12), თბ., 2016-2017. გვ. 56.

განსაკუთრებით სამართლის რეფორმა და კრიმინოლოგიის, როგორც დანაშაულობის შემსწავლელი დამოუკიდებელი მეცნიერებად ჩამოყალიბება და განვითარება.

სიახლეთა შორის აღსანიშნავია რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სამართლის სკოლის შექმნა და კრიმინოლოგიის სწავლება. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ინიციატივით არასამთავრობო პროფესიული ორგანიზაციების დაფუძნებასა და ფუნქციონირებას, რომელთა მიმართ საზოგადოება არაერთგვაროვანი იყო და არის - მათი მიზნების, მოქმედების, დაფინანსებისა თუ სხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე. მით უფრო, რომ იმ დროისათვის სახელმწიფო დონეზე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, ფინანსური პრობლემების გამო უქმდებოდა.

მიუხედავად მთელი რიგი წინააღმდეგობისა, სამართლის სკოლებმა, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გაერთიანებებმა დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში თავიანთი დანიშნულება მრავალი ასპექტით გაამართლეს. აღნიშნულის საუკეთესო მაგალითია 1999 წელს კორუფციის პრობლემის კვლევის საბაზით, მეცნიერებისა და პრაქტიკოსების გაერთიანება ანტიკორუფციულ საზოგადოებრივ მოძრაობაში. აღნიშნულმა საქმიანობამ საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა დაიმსახურა, გამოქვეყნდა მრავალი საგაზეთო პუბლიკაცია, თუ სამეცნიერო ნაშრომი¹, ხოლო მოსაზრებები და რეკომენდაციები² მოწონებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს და საქართველოს პრეზიდენტის მიერ³.

სწორედ კორუფციის პრობლემის კვლევის იდეით გაერთიანებულმა მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა გიორგი თოდრიამ, გიორგი ღლონტმა, ოთარ კვაჭაძემ, მანანა ხვედელიძემ, სერგო უზარაშვილმა, მიხეილ ბაძაღუამ, ჯემალ გაბელიამ, ნანა ლომიამ, ლიანა ბიბილაშვილმა და მაია მოსიძემ, მალხაზ ბაძაღუას ხელმძღვანელობით, 2001 წლის 28 ივნისს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის სახით დააფუძნეს "დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი", რომლის დაარსებიდან 20 წელი გავიდა. ცენტრი თავისი წესდებით, მიზნებითა და ამოცანებით ყოველთვის ცდილობდა საქართველოში სამართლებრივი რეფორმების პირობებში წარემართა ქვეყანაში დანაშაულობის მიზეზების, თავიდან აცილებისა და პროგნოზირების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოსახლეობის მართლშეგნების დონის ამაღლება და სხვ. ამ საქმიანობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტებმა: გივი ინწკირველმა, რომან შენგელიამ, ზურაბ ჭილაძემ, ზაურ წულაიამ, გია ხუბუამ, ზურაბ ფორაქიშვილმა, თამაზ ყიფიანმა, თემურ მურღულიამ, ალექსანდრე ჭილაძემ და სხვებმა.

საგულისხმოა, რომ 20 წლის გადასახედიდან უკეთ ჩანს დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრისადმი სამართალდამცავი სტრუქტურების, აკადემიური წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დადებითი დამოკიდებულება და მხარდაჭერა, რაც ერთობლივი საქმიანობითაც ვლინდება. ცენტრი მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან, საქართველოს ტექნიკურ

¹ ა. მუჯირი, „კორუფცია და სახელმწიფო ხელისუფლება“. თბ., 2002.

² ავტორთა კოლექტივი, "ანტიკორუფციული მოძრაობა". თბ., 2003.

³ საქართველოს პრეზიდენტისა და ჟურნალისტთა ორშაბათის შეხვედრა. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". 16 მარტი, 1999.

უნივერსიტეტთან და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ცენტრს ერთობლივი პროექტები აქვს განხორციელებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს განათლების სამინისტროსთან, ამერიკის კრიმინოლოგიურ საზოგადოებასთან, იურისტთა, ჟურნალისტთა და მწერალთა შემოქმედებით კავშირებთან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მის ახალციხის ფილიალთან, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან. სხვადასხვა დროს პროექტები ხორციელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის, ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს", საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და ევროკავშირის მხარდაჭერით.¹

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ცენტრის ხელმძღვანელის - პროფესორ მაღნაზ ბაძაღუას ინიციატივით და უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ მამუკა თავხელიძის მხარდაჭერით, 2007 წელს უნივერსიტეტში დააფუძნა კრიმინოლოგიური კვლევების ლაბორატორია, რომელიც შემდგომ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. 2007 წლიდან ცენტრი უნივერსიტეტთან ერთად გამოსცემს სამხრეთ კავკასიაში ამ პროფილით ერთადერთ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ "კრიმინოლოგს". ცენტრის ინიციატივით უნივერსიტეტში ჩატარებულია მრავალი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და მრავალი მაგიდა, გამოცემულია არაერთი მონოგრაფიული კვლევა, სახელმძღვანელო კრიმინოლოგიისა და სამართლის პრობლემებზე, ასობით მეცნიერ-მკვლევარის და სტუდენტის მონაწილეობით.

3. დრომ, გამოცდილებამ და არსებულმა გამოწვევებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ პროფესიული საქმიანობის თანამედროვე სტანდარტებით წარმართვა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით შეუძლებელია მხოლოდ სისტემაში დასაქმებული, თუნდაც მაღალი კვალიფიკაციის მქონე საჯარო მოხელეების მიერ, ვინაიდან მათი რუტინული საქმიანობა მკაცრადაა გაწერილი ფორმალური ჩარჩოებით. გერმანელი სოციოლოგის ნიკლას ლუმანის მოსაზრებებზე² დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ საჯარო მოხელე მისი კვალიფიკაციის მიუხედავად, ზევიდან თუ შიგნიდან ობიექტურად, სრულად ვერ აკვირდება და ვერც აღიქვამს სამსახურეობრივ რეალობას, რადგან თავად წარმოადგენს ამ რეალობის სუბიექტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ სამართალდამცავ სისტემაში საბოლოო პროდუქტის მისაღებად არაა საკმარისი მხოლოდ სტატისტიკურ კვლევებზე დაყრდნობილი საინფორმაციო-ანალიტიკური მასალა, არამედ საჭიროა საკითხისადმი მაღალი სტანდარტებით, კომპლექსური მიდგომა. სისტემის შიგნიდან და გარედან აკადემიური წრეების მონაწილეობით, კრიმინოლოგიაში გამოყენებული კვლევის

¹ დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი 20 წლისაა. ჟურნალი „კრიმინოლოგის“ N1(16) დამატება, N1.

² ნიკლას ლუმანის სოციოლოგიის ძირითადი ცნებები და დებულებები.

<http://socium.ge/downloads/tanasoctrineii/lumaniabsolut.pdf>, Н. Луман. Введение в системную теорию (пер. с немец.). М., Логос, 2007, с. 148.

მეთოდებით - ინფორმაციის შეგროვებით და ანალიზით - შეესება და გაერთიანებული სახით წარმოდგენა-გააზრება. მსგავსი პრაქტიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აპრობირებული იყო არცთუ შორეულ წარსულში.

სამართალდამცავ სისტემის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ანალიზით დავრწმუნდებით, რომ მოსახლეობის პრეტენზია ძირითადად სამართალდამცავთა პროფესიონალიზმზე, ეთიკურ ქცევაზე, საზოგადოებისადმი დამოკიდებულებასა და მათთან კომუნიკაციის ფორმაზე აქვს,¹ ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კრიმინოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, არსებული საუკეთესო გამოცდილებითა და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სტრუქტურული მექანიზმების განახლება და მოქმედება, რაც სამართალდამცავ სტრუქტურებში განუხრელად გააგრძელებს და გააღრმავებს დემოკრატიზაციისა და თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოების პროცესს.

XXI საუკუნე მეცნიერ-ანალიტიკოსთა შეფასებით უნდა გახდეს ეთიკის საუკუნე, რომელშიც წინ წამოიწევეს პროფესიული ეთიკური ღირებულებები, რომლის ნორმებსა და სტანდარტებს მუდმივად უნდა იცავდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში სახელმწიფო სტრუქტურების მოსამსახურეები, რომელთაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპების დაცვით, კანონით გააჩნიათ ძალის გამოყენების დისკრეციული უფლებამოსილება.

„პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის“² VII თავის „კვლევა და საერთაშორისო თანამშრომლობა“ 64-ე მუხლის შესაბამისად - „ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ და ხელი შეუწყონ კვლევებს პოლიციის შესახებ, როგორც თვით პოლიციაში ასევე გარე ორგანიზაციების მიერ“. კოდექსში ტერმინი „პოლიცია“ გულისხმობს ყველა სახელმწიფო სტრუქტურას რომელსაც სამართალდაცვითი ფუნქცია გააჩნიათ. ამ მიმართულებით მიზანშეწონილია სამართალდამცავ სტრუქტურებში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შექმნა, მასში კვალიფიციური სპეციალისტების, აკადემიური წრებიდან მეცნიერებისა და მკვლევარების ჩართვა, რომელიც სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, რეფორმებზე, სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მეცნიერულ-ექსპერტულ რჩევებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს შეიმუშავებს, რაც გაცილებით ეფექტურს გახდის სისტემას. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს გაეროს მართლმსაჯულებისა და დამნაშავეობის საკითხების შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა.

ზემოაღნიშნული მოსაზრების რეალიზაციის სამართლებრივ საფუძველს იძლევა საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“-ს 118¹ მუხლი: „სამსახურის სისტემაში კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელება“, რომლის თანახმად სპეციალური პენიტენციური სამსახური ხელს უწყობს მის სისტემაში

¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის შედეგები, „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პროზაციის სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“.

² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N2001 (10) რეკომენდაცია „პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსი“. 19 სექტემბერი, 2001.

ისეთი კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებას, რომელთა მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის, დანაშაულის პრევენციისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მეცნიერული შესწავლა¹; ასევე, საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“² მუხლი „სააგენტოში კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელება“, რომლის თანახმად: სამინისტრო ხელს უწყობს სააგენტოში ისეთი კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებას, რომელთა მიზანია რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციის, დანაშაულის პრევენციისა და რეაბილიტაციის პროგრამების მეცნიერული შესწავლა.²

4. პროფესორ ანზორ გაბიანის ხელმძღვანელობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა კვლევითი ცენტრის“ გაუქმების შემდეგ, მეცნიერი და პრაქტიკოს კრიმინოლოგების მთავარი საზრუნავია დანაშაულობის ბუნებიდან გამომდინარე, მისი კვლევის სახელმწიფო დონეზე, შესაბამის ინსტიტუციებში განხორციელების აუცილებლობის წარმოჩენა. აღნიშნულის თაობაზე, 20 წლის მანძილზე, ხელისუფლების წინაშე არაერთხელ დასმულა საკითხი, დღეს როგორც არასდროს ისე ახლოს ვართ ამ იდეის რეალიზაციასთან.

მისასალმებელია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერებისა და კვლევების საკითხებს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის, სამართლის დოქტორ რატი ბრეგაძის ინიციატივით აღსდგა სამეცნიერო ჟურნალი „იუსტიცია“, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის გამორჩეული წევრი, აკადემიკოსი მინდია უგრეხელიძე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2021 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიამ წარადგინა პროექტი „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ფუნქციონირების აუცილებლობის შესახებ“. პროექტმა გაიმარჯვა და მოგვეცა საშუალება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შესაქმნელად შესაბამისი კონცეფციის შემუშავების და წარდგენის. გვჯერა, რომ ჩვენი თანამშრომლობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შედეგიანი იქნება.

¹ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 9 მარტი, 2010.

² საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 19 ივნისი, 2007.

The Importance of Criminological Studies in a Democratic Society

Professor, Dr. Malkhaz Badzaghua, *Georgian Academy of Criminology Sciences; Georgian National Academy of Sciences; Scientific Research Institute of Law and Criminology at Grigol Robakidze University*; **Professor, Dr. Mikheil Badzagua**, *Parliament of Georgia, legal committee; Grigol Robakidze University, Georgian Academy of Criminology Sciences*.

Keywords: Criminology, Research, History, Perspectives

The goal of studying active criminality topics is the prevention of crime and the confirmation of the value of criminological studies. With this goal in mind, we look at theories and practices: 1) The historical experiences of our country; 2) The roles and activities of the establishments of the highest education and private sector; 3) International standards; 4) Perspectives of studying criminology on the government level.

1) Theory and practice of justice and criminology in Georgia have for centuries been organically connected to the Russian Empire, and later the Soviet Union, since studies in this field and matters of crime-fighting represented the prerogative of the Imperial centre. There were multiple institutes related to law, order, studying and preventing crime operating on the communications level: the Soviet Union Science Academy, District Attorney's office, Ministry of Justice and the Ministry of Internal Affairs. Later, in Georgia, the Georgian Science Academy Institute of Country and Justice and the faculty of law of the Ivane Javakhishvili Tbilisi National University operated in a limited capacity. Private initiatives were also present.

In 1966, for the first time in the Soviet Union, an institute for studying public opinion was created in the Ministry of Internal Affairs of Georgia, which involved the best representatives of the science and culture of the republic in a fight for social order. They became involved in the business of establishing a way of thinking and understanding justice on a social and government level through various projects: scientific and literary works, artistic and documentary films, communicating with the society and law enforcement, using mass media, meetings and public appearances.

The functioning of the institute of public opinion elevated the operation of the Ministry of Internal Affairs to a new, socially acceptable and scientifically sound level, which was followed by the significant results in the field of crime-fighting and prevention in Georgia.

In the first half of the 1970s, by the initiative of one of the founders of the Georgian school of criminology professor Anzor Gabiani, the first-ever "Laboratory for Criminality Sociological Studies" in the Soviet Union was founded in the Ivane Javakhishvili Tbilisi National University, which soon after, in 1979, became a part of Georgian Ministry of Internal Affairs. The success of the centre and the Imperial politics prompted it to move under the Ministry of Internal Affairs of the Soviet Union in 1987. After the fall of the Soviet Union in 1992, the centre continued to function inside the police academy of the Ministry of Internal Affairs of independent Georgia as the "Centre for Studying the Problems in a Fight Against Crime", and it provided the informational-analytical material based purely on statistics regarding the challenges present on the criminological scene of the country: alcoholism, drug addiction, prostitution and other anti-social phenomena using scientific studies. This centre, along with the public opinion institute mentioned above, was

disbanded in 2004 due to unspecified, undocumented reasons, and the same fate befell the "Scientific Study Centre Specialized for Organizing and Studying the Safety of Movements" which was founded in the Polytechnical Institute of Georgia, and has been a part of the Ministry of Internal Affairs systems since 1982, as well as the Joint Department of the Ivane Javakhishvili Tbilisi National University and the District Attorney, founded in the Georgian District Attorney's office by the initiative of professor Shota Papiashvili, as well as the Ministry of Internal Affairs "Warring Watchman" journal, which was later renamed to "Criminal Chronicle", the Georgian Ministry of Justice "Justice" journal, specialized programs on Georgian TV and radio dedicated to these topics, and others.

Independent nations that formed after the collapse of the Soviet Union found themselves without any methodological basis in this field. Today, it is clear that despite the intense activity by the law and justice systems, the lack of experience in communications between science and practice is complicating the process of providing practices with a theoretical base, and in reverse, which has an effect on the effective evolution of criminology, as well as justice science the justice systems connected to it.

2) The difficult stage of building an independent country is characterized by important events: innovations and hardships, reforms and the process of searching for something new, among which, the reform of science and education, especially justice, as well as the establishment and development of criminology as an independent science, has become a priority.

Notable among the innovations is the creation of schools of justice and studying criminology in a number of universities. A special place was held by the founding and functioning of non-government professional organizations by the initiative of scientists and practitioners, the societies of which were and are non-homogenous - due to their goals, actions, finances or other objective or subjective factors. Besides, by that time, the scientific study institutions on the government level were being shut down due to financial problems.

Despite a whole host of obstacles, the justice schools and the unions of scientists and practitioners have justified their purpose in many aspects during the establishment of a democratic society. The best example of this is the 1999 union of scientists and practitioners in the anti-corruption movement for the purpose of studying the problem of corruption. This project earned support from the public, many journal articles and scientific works were published, while the ideas and recommendations were appreciated by the Ivane Javakhishvili Tbilisi National University Scientific Council, the Georgian National Security Council, and the President of Georgia.

United by exactly the idea of studying the problem of corruption, the scientists and practitioners Giorgi Todria, Giorgi Ghlonti, Otar Kvachadze, Manana Khvedelia, Sergo Uzarashvili, Mikheil Badzaghua, Jemal Gabelia, Nana Lomaia, Liana Bibilashvili and Maia Mosidze, under the leadership of Malkhaz Badzaghua, established the "Centre for Studying and Prognosticating Crime" as a non-profit legal entity on June 28th, 2001, after 20 years since its foundation. The centre, with its laws, goals and objectives has always been trying to conduct a scientific study activity on criminality causes, prevention and prognostication, as well as elevating the level of society's understanding of justice, as well as do other things, among them justice reforms in Georgia. Scientific consultants of

the center, namely: Givi Intskirveli, Roman Shengelia, Zurab Chiladze, Zaur Tsulaia, Gia Khubua, Zurab Porakishvili, Mamuka Tavkhelidze, Tamaz Kipiani, Temur Murghulia and others have especially contributed to this activity.

It is important to note, looking back on the last 20 years, the positive attitude and support towards the Centre for Studying and Prognosticating Crime from justice establishments, academic circles and social organizations, which manifests as joint activities, as well. The center ~~is collaborating~~ collaborates with Grigol Robakidze University, Georgian Technical University, and the Shota Rustaveli Batumi National University on the basis of a memorandum. The centre has conducted joint projects with the Ministry of Internal Affairs of Georgia, the Georgian Council of National Security, Georgian National Scientific Academy, the Georgian Ministry of Education, the American Criminological Society, creative works societies of lawyers, journalists and writers, the Association of Young Lawyers, the Ivane Javakhishvili Tbilisi National University and its branch in Akhaltsikhe, the Akaki Tsereteli Kutaisi National University, and the Georgian Science Academy Institute of Country and Justice. At various times, the projects were conducted with the support of the presidential reserve fund, the Open Society Georgia Foundation, the Georgian US embassy, and the European Union.

By the initiative of the leader of the centre - professor Malkhaz Badzaghua, and supported by the university rector Mamuka Tavkhelidze, the Grigol Robakidze University established a criminological studies lab in 2007, which later established itself as a scientific studies institute. Since 2007, the center, along with the university, has been publishing the "Criminologist" journal, which is the only international scientific practice journal of its kind in this field in the Southern Caucasus. By the initiative of the centre, many scientific-practical conferences and round table discussions have been conducted in the university, and many monographic studies and textbooks have been published about criminology and justice problems, where hundreds of scientist investigators and students participated.

3) Time, experience, and the existing challenges have shown us once again, that conducting professional business up to modern standards in terms of theory and practice is impossible only by government workers engaged in the system, even if they have high qualifications, since their routine activities are strictly confined by formal barriers. According to a German sociologist Niclas Luman, a government worker, regardless of his level of qualification, is unable to objectively, fully comprehend his work environment reality either from above or from the inside, since he himself is the subject of this reality.

Given all of the above, we think that the informational analytical data based only on statistical studies is not enough to get the results in the justice system, and instead, a complex approach with high standards is necessary, involving academic circles on the inside and outside, using study methods used in criminology - by gathering and analyzing information - completing and comprehending it as a whole. Similar practices, as mentioned above, were approved in the not-so-distant past.

For years, justice reform topics have been relevant, and their effectiveness depends on the principles of humanism and democracy, as well as the establishment of judicial and ethical international standards.

The analysis of the public opinion regarding the justice system will convince us that the main issues are the professionalism and the ethical conduct of the law enforcement, their attitude towards the public and their form of communication, and therefore, we think it is appropriate, based on criminological studies, to renovate and restart the structural mechanisms based on the best experiences and international standards, which will unswervingly continue and deepen the democratization and approach to modern standards in the judicial structures.

According to scientific analysts, the XXI century should become the century of ethics, during which ethical values would come to the forefront, to always be upheld in everyday life by government workers, for the purposes of social security, protecting human rights, and within the limits of proportionality and measured response, have the lawful discrete right to use force.

According to the "European Code of Police Ethics" Chapter VII Article 64 - "Research and International Cooperation": "Internal police research should therefore be complemented with research on the police by institutions independent of the police". The term "police" in the code refers to any government structure that serves a law enforcement function. It would be beneficial to create a scientific study establishment in this field in the judicial structures, and to involve qualified specialists, scientists from academic circles, and researchers in it, which will generate scientific expert advice, conclusions and recommendations regarding the processes, reforms and strategic planning going on in the system, which will greatly increase the efficiency of the system. An example of this would be the United Nations Justice and Criminality Topics Study Scientific Research Institute, the scientific study institute of the American Justice Department, and others.

4) Under the leadership of professor Anzor Gabiani, after the dissolution of the "Centre for Studying the Problems in a Fight Against Crime", the main goal of the scientist and practician criminologists was, and is, due to the nature of criminality, to expose the necessity of presenting the research on the government level in the corresponding institutions, and for the past 20 years, we have presented this case to government multiple times, and today we are closer than ever to realizing this idea.

It is salutatory, that under the new leadership in the Georgian Ministry of Justice, scientific study topics are being paid special attention. By the initiative of the minister, Justice Doctor Rati Bregadze, the "Justice" journal has been restored and led by a prominent member of the Georgian Criminological Sciences Academy, famous jurisprudent Mindia Ugrekhelidze.

In a grant contest held by the Georgian Ministry of Justice in 2021, The Georgian Academy of Criminology has presented the "About the Necessity of the Functioning of a Scientific Study Institution in the Georgian Ministry of Justice System" project, the project won and gave us an opportunity to create and present a conception for creating a scientific study institution. We believe that our collaboration with the Georgian Ministry of Justice will be fruitful.

ლეგიმეტრიული კვლევის შესაძლებლობის შესახებ ჯგუფური დანაშაულობის პრევენციაში

პროფესორი, დოქტორი მინდია უგრეხელიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

საკვანძო სტყევები: ლეგიმეტრია, კვანტიფიკაცია, სამართლებრივი განზომილება

ჯგუფური დანაშაულობის პრევენციის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ვიყენებთ კვლევაში სოციომეტრიულ, ეკონომეტრიულ, ფსიქომეტრიულ და სხვა ამდაგვარ მზომელობით მეთოდებს. მათ შორისაა ლეგიმეტრიული ანუ სამართალმზომელობითი საშუალებანი. ეს თემა ნაკლებად არის შესწავლილი და დამუშავებული. ამიტომ შევავლოთ თვალი, რათა ვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს ის პირველი შეხედვით (*prima facie*).

თუ დავაკვირდებით კაცობრიობის ისტორიას მისი დასაბამიდან დღემდე, ადვილად დავრწმუნდებით, რომ სამართლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ყოველთვის იყო სამართალმზომელობა. უძველესი ფორმულა „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“, რომელიც ტალიონის პრინციპის სახელწოდებით არის ცნობილი, სამართალმზომელობის ფაქტს ადასტურებს სამართლის განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე, თუმცა როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა 21-ე საუკუნეში რუსეთს სამხედრო ძალის გამოყენების „არაპროპორციულობაში“ სდებს ბრალს სამხრეთ კავკასიაში შექმნილ საომარ ვითარებასთან დაკავშირებით, არსებითად იგივეა. უბრალოდ, აქ მასშტაბია გაზრდილი; ამჯერად უკვე არენაზეა „მისი უდიდებულესობა“ საერთაშორისო სამართალი.

საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა სამართლის ჩათვლით, უაღრესად ფართოდ იყენებს და მკაცრად მოითხოვს საპასუხო სამართლებრივ ღონისძიებათა და მათი შედეგების „პროპორციულობას“ ანუ თანაზომიერებას. ეს კი, ცხადია, გარკვეულ სამართალმზომელობით კონცეფციასა და მეთოდოლოგიას უნდა ემყარებოდეს, თუ არ გვინდა, რომ სამართლებრივმა ვოლუნტარიზმმა იმძლავროს.

თანაზომიერების მოთხოვნა საერთაშორისო სამართალში გადმონერგილი და დამკვიდრებულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლიდან, სადაც იგი სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად გამოიყენება და განიხილებოდა ყოველთვის. ისმება კითხვა: სამართალმზომელობა ანუ, თანამედროვე მეცნიერულ ენაზე, „ლეგიმეტრია“, ოდენ თანაზომიერების დადგენას ემსახურება (რაც თავისთავად უდავოა), თუ რაღაც უფრო მეტია თავისი რაობითა და დანიშნულებით? მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხი, დადებითი თუ უარყოფითი, არის თუ არა თანამედროვე ქართული სამართალი სათანადოდ აღჭურვილი იმისათვის, რომ სასურველი გაზომვები ანუ სამართალმზომელობა განახორციელოს? თუ ჰო, მაშინ რის საფუძველზე? თუ არა, რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?

საწყის კითხვაზე საორიენტაციო პასუხს იძლევა სამართლის სემიოტიკა. ის გარემოება, რომ საუკუნეების განმავლობაში მართლმსაჯულების სიმბოლო სასწორია, უფრო ზუსტად – თვალახვეული თემიდა სასწორით ხელში, თვალნათლივ მიაჩნებოდა, რომ სამართალი, ისევე როგორც მისი „ქმნა“ და „გაჩენა“ (აქედან – „განაჩენი“, „განჩინება“ და სხვ.) არ შეიძლება, შემოიფარგლებოდეს სამართალმზომელობის გამოყენებით მის მხოლოდ ერთ

რომელიმე ვიწყო უბანზე ან მცირედ უჯრედში, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი. შემდგომ, არაპირდაპირ, მაგრამ წონად მტკიცებულებად ამ აზრის სასარგებლოდ უთუოდ გამოდგება ის, რომ სხვა დისციპლინებში, როგორიცაა ზუსტ მეცნიერებათაგან გეომეტრია, ხოლო ე. წ. საზოგადოებრივ და „ლიბერალურ“ მეცნიერებათა შორის სოციო-მეტრია, სტრუქტურული ლინგვისტიკა, მათემატიკური ლოგიკა და სხვა, „მზომელობითი ოპერაციები“ არასდროს ყოფილა დაყვანილი ერთ რომელიმე სეგმენტამდე; მისი გამოყენება შესაბამისი დარგის მთელ კორპუსს ფარავდა თითქმის მთლიანად. კიდევ ერთი, დამატებითი, მაგრამ გადამწყვეტი და დამაჯერებელი საბუთი ზემორე იდეის სასარგებლოდ საკუთრივ სამართლის კომპლექსური ბუნებიდან, მისი რთული ეტიოლოგიიდან მომდინარეობს, რომლის გრაფიკული გამოსახულება პირობით შეიძლებოდა ასე წარმოგვედგინა: ლოგიკა, მორალი, პოლიტიკა, სამართალი.

გრაფიკული გამოსახულების მიხედვით, სუბსტანციურად სამართალი მორალის (ზნეობის) პოლიტიკისა და ლოგიკის ერთგვარ შენადნობს, ამაღლამას წარმოადგენს, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს აუცილებელი და შესაფერისი დოზები... ამის უარყოფა ან უგულებელყოფა იმისი ტოლფასი იქნებოდა, რომ ამა თუ იმ კერძის მომზადებისას ზედმიწევნით გვცოდნოდა მისი ინგრედიენტების რაობა, თუმცა არაფრად მიგვეჩნია მათი რაოდენობა, დოზები და ურთიერთშეხამება. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მზომელობით ოპერაციასთან, რომლის ქმედითობა რაოდენობრივი მხარის ოპტიმალურობის ხარისხზე იქნება ლამის მთლიანად დამოკიდებული.

სამართლის დარგში მსოფლიოში მიმდინარე შეუქცევადი დინამიკური პროცესების ფორმალიზებული სისტემების შექმნა-გამოყენების პრაქტიკული საჭიროების კვალობაზე, უბრალოდ ვერ გავექცევით თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის, გამოსახვისა და გაზომვის აუცილებლობას. ეს პროცესი, რომელიც მათემატიკური ლოგიკის ენაზე „კვანტიფიკაციის“ სახელ წოდებით არის ცნობილი, სამართალში ორ დიდ სივრცეს მოიცავს: პირველია შესაძლო კვანტიფიკაციის სფერო, მეორე – აუცილებელი კვანტიფიკაციის სფერო. პირველი გულისხმობს სამართალმზომელობით ანუ ლეგიმეტრიულ ოპერაციებს ყველგან, სადაც საკმარისია, ამისი თეორიული მოთხოვნილება და შესაძლებლობა მაინც არსებობდეს; მეორე გულისხმობს სამართლებრივ სიდიდეთა (მოცემულობათა) სამკვიდროს, რომელთა ლეგიმეტრიული გათვლა-გაანგარიშების გარეშე სამართალი საერთოდ ვერ იფუნქციონირებს, მაგრამ რა მეცნიერული არსენალი არსებობს საამისოდ?

რაიმე ორგანიზაციული, ან თუნდაც წმინდა თეორიული ბაზა საქართველოში ამ მხრივ ჯერჯერობით არათუ არ არსებობს,¹ არამედ არც გამხდარა სერიოზული მსჯელობის საგანი. არის საშიშროება, რომ ისეთი მოწინავე ქვეყანა იურისპრუდენციის განვითარების მხრივ,

¹ სულ რამდენიმე ნაშრომი შეიძლება დასახელდეს ლეგიმეტრიული პროფილის, რომელთაგან ერთი მისი დაფუძნების იდეას ეძღვნება (იხ. მ. უგრეხელიძე „ლეგიმეტრიიდან სამართლის დიმენსიოლოგიამდე“ (რუსულ ენაზე ინგლისური რეზიუმეს თანხმებით)). ჟურნალი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, #3, 2011; სხვები კი ემსახურება ლეგიმეტრიის იდეის მხარდაჭერასა და გამოყენებას სხვადასხვა მიმართულებით (იხ. მაგ., რ. მოსაშვილი „ლეგიმეტრიის შესახებ“ ქართულ ენაზე და ინგლისური რეზიუმეს თანხმებით“. Law and the World, #6, 2017 გვ. 163. ამავე დანიშნულებისაა: პ. გურული Parole Legimetric Comprehension, იგივე ჟურნალი, 2017, გვ. 34.

როგორც საქართველოა, ამ მხრივ ჩამორჩეს და მაჩანჩალას მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუ დროზე არ დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებანი.

უწინარესად, ჩემი აზრით, უნდა მოხდეს ზემოთ დასმული საკითხების ინვენტარიზაცია, შემდგომ კი მეცნიერული შესწავლა და დამუშავება, რათა მომდევნო ეტაპზე ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით მომზადდეს სათანადო სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც კვლევა-ძიებას წამოიწყებენ და წარმართავენ რამდენიმე მიმართულებით:

1. უცხოური მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-განზოგადება;
2. მომიჯნავე და მონათესავე (მსგავს) დარგებში (მაგალითად – სოციომეტრია) მდგომარეობის გამოკვლევა;
3. სამუშაო ჰიპოთეზების, პრინციპების, ვარაუდების, ამოსავალი დებულებების, უზოგადესი პოსტულატებისა და პრეზუმფციების ფორმულირება;
4. ქართული სამართლებრივი სივრცისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამოწვლილვითი ანალიზი და დახასიათება;
5. საკანონმდებლო სფეროს ამოცანები (პირველი განშტოება);
6. აღმასრულებელი სფეროს საჭიროებანი (მეორე განშტოება);
7. სამოსამართლო (მართლმსაჯულების) სფეროს თავისებურებანი (მესამე განშტოება);
8. საჯარო სამართლის ლეგიმეტრიული ნიში;
9. კერძო სამართალი და მისი ლეგიმეტრიული შესაძლებლობანი;
10. მატერიალური სამართლის ლეგიმეტრიული არე;
11. საპროცესო სამართლის ლეგიმეტრიული სპეციფიკა;
12. შიდა სამართლის ლეგიმეტრიული სივრცე;
13. საერთაშორისო სამართლის ლეგიმეტრიული განფენილობა.

საკვლევ-სადიებელი აქ პრაქტიკულად ამოუწურავია და უსასრულო ისევე, როგორც სამართლებრივი მატერია საერთოდ. მაგრამ ამოცანას მაინც გაგვიადვილებს, თუ დავთქვამთ, რა მიგვაჩნია საწყის დებულებად, როდესაც ლეგიმეტრიაზე ვსაუბრობთ; როგორ წარმოგვიდგენია ლეგიმეტრიის რაობა.

დასაწყისისათვის შეიძლება შევთანხმდეთ შემდეგზე: ლეგიმეტრია არის სამართლის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სამართლის თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის (გამოხატვის) მეშვეობით სამართლებრივ სიდიდეთა, მდგომარეობათა თუ პროცესთა გაზომვის თავისებურებებს სამართლებრივ განზომილებათა შესაბამის სისტემაში (ან მიხედვით).

აქ გასათვალისწინებელია, რომ „ლეგიმეტრიის“ ცნება ჯერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. იგი მხოლოდ განსაზღვრების პროცესშია და ერთ-ერთი მეცნიერული ამოცანა სწორედ ის არის, რომ დადგინდეს მისი არსებითი ნიშნები.

ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა, თუ დიდ პერსპექტივაზე გათვლილ ამ უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერულ თაოსნობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩაუდგებოდა სათავეში; იმიტომ კი არა, რომ აქ ტრადიცია უკვე არსებობს, არამედ სწორედ იმისთვის, რათა ამის ტრადიცია შეიქმნას. მით უფრო, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიას ამშვენებს ლეგენდად ქცეული იურისტების სახელები. ლეგიმეტრია რომ ტრადიციული დარგი იყოს, მაშინ მართლაც არ ეღირებოდა ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილებისათვის გვერდის ავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ვინაიდან ლეგიმეტრია ახალშობილი დისციპლინაა, რომელიც მხოლოდ ფეხს იდგამს, გონივრული იქნება, თუ სწორედ აქ შევუდგებით მისი სამირკვლის ჩაყრას. მით უფრო, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სახელგანთქმულია მსოფლიოში თავისი მათემატიკური კვლევებით. ლეგიმეტრია კი მათემატიკასა და მათემატიკურ ლოგიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ფაქტობრივად, იგი კომპლექსური დისციპლინაა ეთიკის, პოლიტიკისა და მათემატიკური ლოგიკის გადაკვეთაზე. ამიტომ ეს გარემოება მარტო სამართლის კი არა, არამედ მასთან შემხებლობაში მყოფი სხვა დისციპლინებისთვისაც მნიშვნელოვანი ბიძგი იქნებოდა. ამით შესაძლებელი გახდებოდა ქართული სამართლის მეცნიერების უფრო ადვილად გაყვანა საერთაშორისო თანამშრომლობის სივრცეში სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან ურთიერთქმედების მეშვეობით; საზოგადოდ, ქართული სამართალმცოდნეობის უფრო ღირსეული და საიმედო დამკვიდრება მსოფლიო მეცნიერების რუკაზე; ახალგაზრდობის უნიჭიერესი ნაწილის მოზიდვა სათანამშრომლოდ, რაც მათ ახალ მეცნიერულ ჰორიზონტებს დაუსახავს. უფრო მეტიც, თუ შესაბამისი ცენტრი შეიქმნება, შესაძლებელი გახდება დარგის ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლების მოწვევა მსოფლიოს წამყვანი მეცნიერული ცენტრებიდან, რაც ძალზე აამაღლებს ინტერესსა და კადრების მომზადების დონეს. დარწმუნებული ვარ, რომ სულ რამდენიმე წელიწადში შესაძლებელი გახდება, მოვამზადოთ ლეგიმეტრიკოსთა „მძლე ჯგუფი“. ეს კი ღონიერი შენაკადი იქნება ახლებურად გაწვრთნილი და მოაზროვნე ქართველი იურისტებისა, რომელთა მომზადება უსისტემოდ კი არ უნდა ხდებოდეს სრულიად განსხვავებული პროფილისა და ტრადიციების სასწავლო დაწესებულებებში, არამედ მშობლიურ ნიადაგზე, თანაც – კარგად გააზრებული პროგრამითა და სისტემით. რაც მთავარია, ლეგიმეტრია უაღრესად ფართო მოხმარების სპეციალობა გახლავთ, რომელიც არ დაიყვანება მხოლოდ შემეცნებით დანიშნულებამდე. თეორიულთან ერთად იგი გამოყენებითი დარგია, რომელიც აუცილებელია, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა განშტოებებისათვის. იგი იმანენტურად გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების დემოკრატიულობის ხარისხის გაზომვას (ექსპერტიზას) საგანგებოდ დამუშავებული მეთოდით, რაც ჩვენში დღემდე არ გამოიყენება და, ამიტომ, სამწუხაროდ, ეს ექსპერტიზები (განსაკუთრებით – საარჩევნო) ხელის ცეცებას წააგავს ბნელით მოსილ არეში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად დასაჩქარებელია საკითხის დაყენება და გადაწყვეტა ლეგიმეტრიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაარსების შესახებ. იდეისა და შემოთავაზებისადმი კეთილგანწყობილი მზაობის შემთხვევაში ჩასატარებელი იქნება წინასწარ მოსამზადებელი სამუშაო, ურომლისოდაც ვერ გაიშლება ვერც შემდგომი ორგანიზაციული და კვლევითი საქმიანობა და, მით უფრო ვერ აეწყობა შესაბამისი წრთვნის, სწავლებისა და მომზადება-გადამზადების პროცესი.

On the Possibility of the Legimetric Research in the Prevention of Group Criminality

Professor, Dr. Mindia Ugrekhelidze *Caucasus International University; Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: Legimetry, Quantification, Legal Dimension

The success in the prevention of group criminality largely depends on the extent to which we use sociometric, econometric, psychometric, and other similar measurement methods in our research. These include legimetric or legal means of measurement. This topic is less studied and developed. So, let's see what it looks like at first glance (*prima facie*).

If we look at the history of mankind from its very inception to the present day, we can easily see that one of the main functions of law has always been measuring. The ancient formula “an eye for an eye, a tooth for a tooth”, known as the talionic principle, confirms the fact of measuring at an early stage of the development of law. However, when the international community accuses Russia of “disproportionate” use of military force in the 21st century in connection with the military situation in the South Caucasus, the situation is essentially the same. It's just that the scale is here expanded. This time, “His Majesty” - International Law takes the stage.

International law, including human rights law, extremely widely applies and strongly calls for “proportionality” or a balance of retaliatory legal measures and their consequences. This, of course, should be based on a certain measuring concept and methodology, if we do not want legal voluntarism to be strengthened.

The requirement of proportionality, introduced in international law, has been adopted from domestic law, where it is used and has always been considered one of the fundamental principles of law. The question arises in connection with measuring the law, in modern scientific language “legimetry”, as to whether it serves to determine the degree of proportionality (which in itself is undeniable), or it is something more with its essence and intention? But whatever the answer may be, positive or negative, is modern Georgian law properly equipped to carry out the desirable measurements or legimetry? If so, on what basis? If not, what can be done about it?

The legal semiotics provides an indicative answer to the initial question. The fact that for centuries the symbol of justice was scales, or rather the blindfolded Themis with the scales in her hands, clearly indicates that the law, as well as the process of administration of justice (“samarthlis qmna”) and its produce (“samarthlis gachena”) may not be limited to application of legimetry just to any of its small section or group, no matter how important it may be. Subsequently, there is undoubtedly an indirect but weighty proof in favour of this view that in other disciplines, such as geometry from the exact sciences and sociometry from the so-called social and “liberal” sciences, as well as structural linguistics, mathematical logic, etc., “measuring operations” have never been reduced to one segment; Its use covered almost the entire corpus of the relevant field. Another additional, but crucial and convincing document in favour of the above idea comes from the complex nature of law itself, its complex etiology, the graphic image of which could be presented as follows: Morality, Politics, Logic, Law.

According to the graphic image, essentially the law is a kind of amalgamation of morality, politics and logic, though in different cases the necessary and appropriate doses may be completely different... Denying or ignoring this would be tantamount to knowing exactly the ingredients when preparing a particular dish, but not caring for their quantity, dosage and combination. In both cases, we are dealing with a measurement operation, the efficiency of which almost entirely depends on the degree of optimality of the quantitative side.

In the field of law, following a practical need to create and use formalized systems of current irreversible dynamic processes in the world, we simply cannot avoid the need to measure, display, and convert qualitative characteristics into quantitative indicators. This process, known in mathematical logic as “quantification”, covers two major areas of law: the first is the field of possible quantification, and the second is the field of necessary quantification. The first involves legimetric operations where there is sufficient theoretical demand and opportunity to do so; The second refers to the inheritance of legal quantities (data), without the calculation of which the law would not function at all. But what scientific arsenal for this exists?

In this regard, there is no organisational or even purely theoretical basis in Georgia¹, and it has not even become the subject of serious discussion. There is a danger that such an advanced country as Georgia, in terms of the development of legal science, may lag behind in this respect and become backward, if the appropriate measures are not planned in a timely manner.

First of all, in my opinion, the above-mentioned issues should be inventoried, then scientifically studied and processed in order to prepare a group of relevant professionals according to the interests and abilities at the next stage, which will start and lead research in several areas:

1. Studying and generalising foreign scientific and practical experience;
2. Studying the situation in adjacent and related (similar) fields (for example - sociometry);
3. Formulating working hypotheses, principles, assumptions, starting provisions, general postulates and presumptions;
4. Explanatory analysis and characterization of the specifics of the Georgian legal space;
5. Legislative tasks (first branch);
6. Needs of the executive sphere (second branch);
7. Peculiarities of the field of judiciary (the third branch);
8. Legimetric niche of public law;
9. Private law and its legimetric abilities;

¹ Only a few papers of legimetric profile can be named, one of which is dedicated to the idea of its establishment (see M. Ugrehelidze “From Legimetry to the Dimension of Law” (in Russian with the attached Resume in English). Journal “Caucasus International University Herald”, № 3, 2011; Others serve to support and apply the idea of legimetry in different directions (see, for example, L. Mosashvili “On the Concept of Legimetry” (in Georgian with the attached Resume in English). Journal “Law and the World”, № 6, 2017, p. 163; also P. Guruli “Parole - Legimetric Comprehension”. Journal “Law and the World”, № 6, 2017, p. 34.

10. Legimetric area of substantive law;
11. Legimetric specifics of procedural law;
12. Legimetric space of domestic law;
13. Legimetric extension of international law.

Research in this direction is practically inexhaustible and endless, as are legal issues in general. But the task will be easier if we say what we consider to be an initial statement when we talk about legimetry; How do we imagine the essence of legimetry?

To begin with, we can agree on the following: Legimetry is a field of legal science that studies the characteristics of legal measurements, conditions, or processes by converting (expressing) qualitative characteristics of law into quantitative indicators in (or in accordance with) the appropriate system of legal dimensions.

It should be noted that the concept of “legimetry” is not finally formulated. It is only in the process of being defined, and one of the scientific tasks is to determine its essential features.

It would be rational in all respects if the Georgian National Academy of Sciences was in charge of this extremely important and long-term scientific endeavor. Not because the tradition already exists here, but in order to create this tradition. Moreover, the history of the Georgian National Academy of Sciences is adorned with the names of legal professionals who have become legends. If legimetry were a traditional field, there would be no need to bypass the knowledge and experience gained over decades at Tbilisi State University. But since legimetry is a newborn discipline that only takes the first steps, it would be prudent to set its foundations here. Moreover, the Georgian National Academy of Sciences is famous in the world for its mathematical research. And legimetry is closely related to mathematics and mathematical logic. In fact, it is a complex discipline at the crossroads of ethics, politics, and mathematical logic. Therefore, this point would be an important impetus not only for the law, but also for other related disciplines. This would make it easier to bring Georgian legal science into the realm of international cooperation through interaction with other scientific disciplines; in general, to introduce the Georgian legal science on the map of world science in a more dignified and reliable manner; to attract the most talented young people to cooperate, which will give them new scientific horizons. Moreover, if an appropriate centre is established, it will be possible to invite the most prominent representatives of the field from leading scientific centres throughout the world, which will greatly increase the interest and level of professional development. I am sure that in a few years it will be possible to prepare a “strong group” of legimetrists/legimetricians. This will be a strong asset of newly trained and thinking Georgian lawyers, who should be trained not only in educational institutions of completely different profiles and traditions, but also on their native ground, based on a well-thought-out programme and system. Most importantly, legimetry is a widely used specialty that is not limited to cognitive purposes. Along with the theoretical, it is an applied field that is necessary for the legislative, executive and judicial branches. It inherently implies the measurement of the degree of democracy of state institutions and political processes by specially developed methodology, which is still not used in

our country and, therefore, unfortunately, these expert opinions (especially - electoral) are like groping in the dark.

In view of all the above, it is necessary to raise the issue as soon as possible and decide on the establishment of a scientific-research center of legimetry. In case of a willingness to come up with ideas and suggestions, pre-preparation work will be carried out, without which further organisational and research activities will not be possible and, moreover, the process of respective training and retraining will not be launched.

პრობლემის სიმწვავის სრულად შეცნობის აუცილებლობა

პროფესორი, დოქტორი რომან შენგელია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია

საკვანძო სიტყვები: კრიმინოლოგია, ისტორია, თანამშრომლობა

უძველესი დროიდან, როცა ადამიანებმა მოახერხეს ზოოლოგიურიდან საზოგადოებრივ მდგომარეობაში გადასვლა, როცა ჯოგურის ნაცვლად თემური ხასიათის ოჯახური ფორმები დამკვიდრდა და საკუთრების დაგროვება სხვისი შრომის გამოყენებითაც გახდა შესაძლებელი, მისი გაზრდა და სხვათა ხელყოფისაგან დაცვა აქტუალური აღმოჩნდა. საზოგადოებაში მიღებული ჩვეულებანი ყოველთვის არ იყო საკმარისი ნორმალურისგან გადახრილი ქცევის აღმოსაფხვრელად. საჭირო იყო დევიატურ ქმედებათა მიზეზების გაანალიზება და მათ შესამცირებლად მიმართული ღონისძიებების განხორციელება. აქედან მოყოლებული, საზოგადოების ყველა საფეხურზე დღის წესრიგში იდგა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი თავიდან აცილების პრობლემა. დანაშაულობა გადაიქცა ნებისმიერი საზოგადოების თანამდევ თავსატეხად, მისგან დაზღვეული არც მომავალი საზოგადოებები იქნება.

უკანასკნელ პერიოდამდე, პოსტსაბჭოურ სივრცეში დანაშაულობათა გამომწვევი მიზეზების შესწავლას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. ასეთ საქმიანობას მეცნიერების საგნად არც თვლიდნენ, ან უკეთეს შემთხვევაში, სისხლის სამართლის სფეროს მიაკუთვნებდნენ. მართალია, სისხლის სამართალი დანაშაულთა და მის პრევენციასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს, მაგრამ უმეტესად ყურადღების გარეშე რჩება დანაშაულის ცალკეული სახეობების, ანუ დანაშაულობათა გამომწვევი მიზეზების და პირობების პრობლემები. არადა, ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია იურისპრუდენციისათვის, თუმცა მეცნიერების არც ერთი დარგი მას სპეციალურად სრულყოფილად არ შეისწავლიდა. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო კრიმინოლოგია, რომელიც ეტიმოლოგიურად სწორედ მოძღვრებას ნიშნავს დანაშაულობათა მიზეზებისა და მათი თავიდან აცილების გზების შესახებ. კრიმინოლოგია აღიარებულ უნდა ყოფილიყო სამართლებრივი, ან საერთოდ, მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად და გამიჯვნოდა იმ არასწორ დებულებას, რომ დანაშაულობა არ არსებობს ისეთ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში, როგორც სოციალისტურია, ამიტომ მის მიზეზებზე ყურადღების გამახვილება ზედმეტია. სინამდვილეში დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა ნებისმიერი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა წარმოადგენს არა მარტო იურისტთა, არამედ ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა, ეკონომისტთა და სხვა მეცნიერების წარმომადგენელთა ინტერესების სფეროს. მართალია, აღნიშნულმა დარგებმა მთლიანობაში ვერ მოიცვა დანაშაულობა როგორც მოვლენა, მაგრამ მათმა მიღწევებმა, კერძოდ, მათ მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდებისა და რეკომენდაციების სინთეზირებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცნიერების ცალკე დარგად კრიმინოლოგიის ჩამოყალიბებას. მიღწეული წარმატებების მიუხედავად ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვანი ასპარეზი კრიმინოლოგიური კვლევებისა და ახალი კონცეფციების

შესაქმნელად, პრობლემათა კომპლექსურ გადაწყვეტაში მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ერთობლივი საქმიანობისათვის.

საქართველოში კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროფესორების ანზორ გაბიანისა და ზაურ წულაიას შრომებმა, მათი საქმიანობა ღირსეულად გააგრძელეს გიორგი თოდრიამ, გიორგი ღლონტმა, მალხაზ ბაძალუამ, ბესო კვირიკაშვილმა, ჯემალ გაბელიამ და სხვა მეცნიერებმა, მათ არჩევანს განაპირობებდა არა მარტო კრიმინოლოგიასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების დამუშავება, არამედ ქვეყანაში შექმნილი კრიმინალური ატმოსფერო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე გადასვლის პროცესში თავი იჩინა დანაშაულობათა ისეთი სახეების სიმრავლემ, რომელიც სერიოზულად უშლიდა ხელს არა მარტო სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა-განვითარებას, არამედ მთელი საზოგადოებისა და ცალკეული პირების კანონიერი ინტერესების შესაბამისი უფლება-მოვალეობების რეალიზაციას. იმატა სახელმწიფოს, ადამიანის, საკუთრების, სამეწარმეო საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებმა. სახელმწიფოს მიერ გატარებულ ქმედით ღონისძიებებთან ერთად საჭირო გახდა საზოგადოების ფართოდ ჩართვა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

დამოუკიდებელ საქართველოში სოციოლოგიურ და კრიმინოლოგიურ კვლევების შეზღუდული ფორმატით (ნარკომანია, პროსტიტუცია) ახორციელებდა საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კავკასიის ფილიალის დაშლის შემდეგ პროფ. ანზორ გაბიანის ინიციატივით შექმნილი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელმაც გაუქმებამდე რამდენჯერმე შეიცვალა სტატუსი. ფაქტობრივად ქვეყანა დარჩა მსგავსი სტრუქტურის გარეშე. ასეთ ვითარებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებად რეფორმატორთა ჯგუფმა პოლკოვნიკ მალხაზ ბაძალუას ინიციატივით, თსუ იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომელთა მონაწილეობით და საზოგადოების ფართო ჩართულობით 2001წლის ზაფხულში დააფუძნეს კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირი „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი“, ამ სტატუსით საქართველოში პირველად შექმნილი სტრუქტურის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა პრაქტიკოსი და მეცნიერი იურისტების გაერთიანება და სხვა მომიჯნავე პროფესიების წარმომადგენლებთან ერთად განხორციელებინა წესდებით გათვალისწინებული ფართო სპექტრის ამოცანები და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა სახელმწიფო უშიშროების განმტკიცებისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აგრეთვე „კრიმინოლოგიის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დარგის დოქტრინის განვითარებაში და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში.

ცენტრის პირველი რიგის ამოცანა გახდა ცალკეული ავტორების მიერ მომზადებული პუბლიკაციების უზრუნველყოფა და სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრებთან კავშირის დამყარების საფუძველზე მოსახლეობის ფართო ფენებისათვის კრიმინოლოგიის საკითხებით დაინტერესება. ცენტრის თანადამფუძნებელმა ნანა ლომაიამ, რომელიც იმავდროულად რედაქტორობდა პოპულარულ გაზეთს „გაუხმაურებელი ფაქტები“, ამ გაზეთის მთელი გვერდი ხანგრძლივი ვადით დაუთმო ცენტრის წევრების სტატიებს და მათში

მოცემული წინადადება–რეკომენდაციების ანალიზს. გვერდს ჰქონდა თავისი სახელწოდება – „პროფესიონალი-სამართალმცოდნე“. გაზეთთან ნაყოფიერმა თანამშრომლობამ მოგვიანებით განაპირობა პროფესიონალური ჟურნალის „კრიმინოლოგის“ დაარსება. 2007 წლიდან ეს ჟურნალი ცენტრის სახეს, მის განუყოფელ ინდეგრირენტს წარმოადგენს, იგი სამეცნიერო და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ავრცელებს ქართველი პრაქტიკოსი და მეცნიერი ავტორების შემოქმედებას, ცენტრის საქმიანობის სხვა ასპექტებს.

სამეცნიერო კონტაქტების გაფართოებას ისახავდა მიზნად სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან კავშირების განმტკიცება და კრიმინოლოგიის სასწავლო დისციპლინის საფუძვლიან შესწავლაში სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა, აგრეთვე პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების, სხვადასხვა სახის კონკურსების ჩატარება და გამარჯვებულთა დაჯილდოება–წახალისება. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის, პროფესორ მალხაზ ბაძაღუას თანამშრომლობა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან. რექტორის, პროფესორ მამუკა თავხელიძის თანადგომით დაიწყო კრიმინოლოგიის გაძლიერებული კურსის სწავლება, გახშირდა სამეცნიერო პროდუქციის პრეზენტაციები, ჯერ შეიქმნა კრიმინოლოგიის სასწავლო კლინიკა, შემდეგ კი, კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-პრაქტიკული ნოვაციებისადმი შემოქმედებითად მიდგომისა და ცენტრის უნივერსიტეტის წიაღში ბაზირებისა და მისი საქმიანობისათვის ხელშეწყობის უზრუნველყოფის გზაზე. სწორედ ამ ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით ხდება ჟურნალ „კრიმინოლოგის“ თითოეული ნომრის მასალების დამუშავება და გამოცემა.

2011 წლის დეკემბერში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრს შორის. მხარეებმა დაადასტურეს მომავალი თანამშრომლობის სურვილი და მზადყოფნა სამართლისმცოდნე კრიმინოლოგთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა კრიმინოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაბმის უზრუნველყოფის მიზნით, ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად, პერიოდულად (წელიწადში ერთხელ მაინც) კრიმინოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენციის ჩასატარებლად და შესაბამისი მასალების გამოსაქვეყნებლად. მემორანდუმის რეალიზაციამ ხელი შეუწყო სტუდენტობის დაინტერესებას კრიმინოლოგიის საკითხებით, სამეცნიერო კონფერენციის რეგულარულ ჩატარებას, კრიმინოლოგიის მიმართულებით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო შრომების მომზადებას, დოქტორის აკადემიური ხარისხების მოპოვებას.

ცენტრის საქმიანობის არეალის გაფართოებამ და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ პოპულარობამ დღის წესრიგში ლოგიკურად დააყენა კრიმინოლოგიურ მეცნიერებათა სპეციალიზებული აკადემიის შექმნა. 2017 წლიდან ცენტრის ძველ სხეულს შეემატა ახალი ნაწილი – აკადემია, რომელშიც გაერთიანდნენ არა მარტო ქართველი გამოჩენილი მეცნიერები და პრაქტიკოსები, არამედ საყოველთაოდ აღიარებული უცხოელი სპეციალისტები. ამან კი დასაბამი მისცა საერთაშორისო კრიმინოლოგიური სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების ჩატარებას საქართველოსა და უცხოეთში.

აკადემიის ნაყოფიერი საქმიანობა და მისი მიღწევების საყოველთაო აღიარება საფუძვლად დაედო მისთვის გაეროს კონსულტანტის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას.

კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებამ ახალ საფეხურზე აიყვანა იურისტებთან ერთად მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენელთა კონსოლიდაცია და კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელების პროცესში ახალი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა. გაფართოვდა კონტაქტები სხვა დარგობრივ აკადემიებთან. ურთიერთ-თანამშრომლობის შეთანხმებები გაფორმდა ახალ სუბიექტებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 2018 წლის მაისში დადებული მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ და აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა მალხაზ ბაძაღუამ. ხელმოწერის ცერემონია, რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტისა და აკადემიის წარმომადგენლები, იმითაც იყო გამორჩეული, რომ მოხდა პროფესორ მალხაზ ბაძაღუას სახელმძღვანელოს „პროფესიული ეთიკის საფუძვლები“ პრეზენტაცია – განხილვა. ახლადგამოცემული სასწავლო წიგნი შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისა და რობაქიძის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფინანსური და ინტელექტუალური მხარდაჭერით. მემორანდუმმა გააქტიურა სწრაფვა კრიმინოლოგიის პრობლემებზე სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების, ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობის მიმართ. გათვალისწინებულ იქნა უნივერსიტეტში კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა.

2018 წლის ოქტომბერში ასეთივე მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, ამით ფაქტობრივად პატრონაჟის ნოვაციური ფორმა ჩამოყალიბდა ქართულ მეცნიერებაში.

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის შექმნა ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ბედით დაინტერესებული ენთუზიასტი იურისტების მიერ დამოუკიდებლობის გზაზე ახლადფეხადგმულ საქართველოში ღირსშესანიშნავ პატრიოტულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მისი წევრებისა და თანამოაზრეების სიმრავლემ ხალხში გააღვივა სიმართლის აღქმის მუხტი და წლების მანძილზე ადგილზე არსებული თუ საბჭოეთიდან მემკვიდრეობით მიღებული დანაშაულებრივი ატმოსფეროს გაუმჯობესების სურვილი. ცენტრმა გააფართოვა თავისი საქმიანობის არეალი და შექმნა ისეთი ახალი სტრუქტურები, რომლებიც საქართველოში კრიმინოლოგიის როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის განვითარებისა და მისი მიღწევების ქვეყნის სამსახურში ჩაყენების იდეით არიან გაერთიანებულნი. კრიმინოლოგიის სასწავლო – სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ავტორიტეტული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ „კრიმინოლოგიას“ და ბოლოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნება ამის ვალიდური დასტურია. პირველი ოცწლეულისათვის მიღწეული წარმატებები საიმედო მომავლის საფუძველია.

დღეისათვის დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ბაზაზე და მისივე ინიციატივით შექმნილი სტრუქტურულად დამოუკიდებელი და შინაარსობრივად იგივეობრივი ერთეულები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წარმატებით ახორციელებენ

სამეცნიერო, პრაქტიკულ-მეთოდოლოგიურ და კომპარატივისტულ საქმიანობას, რამაც გამოაცოცხლა კრიმინოლოგიურ მეცნიერებათა პოტენციური შესაძლებლობანი სისხლის სამართლებრივი დარღვევების მიზეზების კვლევის მიმართ. კრიმინოლოგიამ, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელმა დარგმა, მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი სტატუსი და ღირსეული ადგილი დაიკავა ჰერმენევტიკულ მეცნიერებათა შორის.

ცენტრის ოცწლიანი მრავალმხრივი საქმიანობის დეტალური ანალიზი ერთ სტატიაში შეუძლებელია, ამიტომ შემოვიფარგლებით იმ ძირითადი მიმართულებების მოკლე ანალიზით, რომლითაც ნათლად ჩანს დასახული მიზნების განხორციელების აუცილებლობა და მიღწეული შედეგების სარგებლიანობა.

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოცი წლის წინ ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე. მასში მონაწილეობა მიიღეს ცენტრის ინიციატორთა იმ ნაწილმა (ჯ. გახოკიძე, მ. ბაძალა, რ. შენგელია, ჯ. ჯანაშია, გ. თოდრია, გ. ლლონტი და სხვ.), რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ცენტრის არა მარტო დაფუძნებაში, არამედ წლების მანძილზე მისი ავტორიტეტის შექმნაში. მათი აზრით, კორუფციაზე სერიოზული ზეგავლენა ვერც სახელმწიფო სტრუქტურებმა და ვერც საზოგადოებამ მოახდინა, აქედან გამომდინარე, საჭიროა, ორივე მიმართულებით შეიქმნას სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის სფეროში დასაქმებულ თანამდებობის პირთა მიერ მათთვის მინიჭებული უფლებებისა და ხელისუფლებითი შესაძლებლობების ბოროტად გამოყენებისადმი შეურიგებლობის საერთო ატმოსფერო. უნდა დაიწყოს კორუფციის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი. ასეთი ამოცანა არა მარტო სახელმწიფოებრივ ინტერესთა სფეროში შედის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების შექმნისა და განვითარების პრობლემებთან არის დაკავშირებული. სერიოზულ კორუფციულ სამართალდარღვევებს კვლევებში მონაწილე რესპოდენტთა უმრავლესობა მიაკუთვნებს – მაღალი თანამდებობის პირების იმ კერძო ბიზნესის უკანონო მფარველობას, რომელსაც ნათესაური ურთიერთობა უდევს საფუძვლად, სახელმწიფო აპარატის ნებისმიერ რგოლში უკანონო გასამრჯელოს მიღების შესაძლებლობებს და კორუმპირებულ პირთა აბსოლუტური უმრავლესობის დაუსჯელობის ფაქტებს კორუფციის ყველაზე გავრცელებულ და ზოგად ფორმას საზოგადოებრივი და სახელმწიფო ფონდების გაფლანგვა-განიავება წარმოადგენს. კორუფციული სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი როლი საზოგადოებამ უნდა იტვირთოს, მაგრამ საზოგადოება ჯერჯერობით მხოლოდ აფიქსირებს კორუფციის გამო შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას. იგი თვლის, რომ ეს მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების პრეროგატივაა. შეიძლება მას ამისთვის გარკვეული საფუძველიც ჰქონდეს: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მაღალი თანამდებობის პირებს თავის თავზე აინტერესებს არა საზოგადოების, არამედ მმართველი პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთა აზრი, მეორეც, რა მკვეთრად უარყოფითი აზრიც უნდა შეიქმნას მოხელეზე და რა მამხილებელი ცნობებიც არ უნდა გამოქვეყნდეს მასზე, ეს ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ვითარებაზე. მესამეც, პატიოსანი მოხელის ცხოვრების წესი და დონე ბევრისათვის მისაბამი არ არის. ამის გამო მათ ასეთი ყოფისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება უყალიბდება. საზოგადოება პასიურია იმიტომაც, რომ მისი გარკვეული ნაწილი ჩათრეულია უმნიშვნელო კორუფ-

ციაში. ამიტომ მათ ურჩევნიათ კორუფციას კი არ ებრძოლონ, არამედ მძიმე ყოფითი პირობების გამო თვითონაც მიიღონ კორუფციით სარგებლობის თუნდაც უმნიშვნელო უფლება. სერიოზული კორუფციის არსებობისას საზოგადოებრივი აფეთქებები კი არ ხდება, არამედ მოჩვენებითი სტაბილურობა სუფევს. ამიტომაც სწორედ აუცილებელი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაებას საზოგადოება. მის აზრს ანგარიში უნდა გაუწიოს ნებისმიერმა მოხელემ, ნებისმიერმა თანამდებობის პირმა. უმაღლესი ხელისუფლება კი არ უნდა ქმნიდეს საზოგადოებრივ აზრს ამა თუ იმ თანამდებობის პირის კორუმპირებულობის შესახებ, არამედ საზოგადოებრივი აზრი უნდა იყოს კორუმპირებული პირებისადმი უმაღლეს ხელისუფალთა დამოკიდებულების საზომი.

საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით უნდა მოხდეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სოციალური, სამართლებრივი და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა, მათ შორის ისეთების, როგორიცაა: კორუფციის გამომწვევი მიზეზების ანალიზი და თავიდან აცილების მიზნობრივი ამოცანების შემუშავება, ანტიკორუფციული კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებების შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება კომპეტენტური ორგანიზაციებისათვის, კორუფციის ლატენტურობის პირობების შესწავლა და სხვ. აღნიშნული ამოცანების რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობა გახდა დანაშაულებათა კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება.

2. ცენტრის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა ჩაითვალოს სტუდენტ-ახალგაზრდობის დაინტერესება კრიმინოლოგიის საკითხებით, უმაღლეს სასწავლებლებში ამ დარგის სწავლების ხარისხის ამაღლება და კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა ფართო წარმომადგენლობის ჩართვა. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა საქართველოს მთავარ უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის დამყარებით, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მონაწილეობით საუნივერსიტეტო-შორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებით. მრგვალი მაგიდის, სიმპოზიუმის, დისკუსიების ჩატარება კრიმინოლოგიის საკითხებზე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისათვის. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 2010 წლის დეკემბერში ცენტრისა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის ინიციატივით ჩატარებული სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „თანამედროვე მსოფლიო წესრიგი – დანაშაულობა და დანაშაულებრივი ორგანიზაციები“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: გ. რობაქიძის უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები. ბაკალავრებთან ერთად ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტიც მონაწილეობდა (გივი აბაშიძე მოხსენებით „დამნაშავის პროცესების კრიმინოლოგიური დახასიათება“) სტუდენტურ ფორუმში.

სტუდენტთა მოხსენებები აქტუალურ თემებს ეხებოდა, მათ შორის, ზოგიერთი უშუალოდ კრიმინოლოგიის საგანთან იყო კავშირში. მაგალითად: „ტერორიზმის გამოწვევები თანამედროვე საქართველოში“ (რობაქიძის უნივერსიტეტის ბაკალავრიანტი სოფიკო ჭელიძე). „ადამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგის მიზეზები და ძირითადი ვექტორები“ (ივ. ჯავა-

ხიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ელენე ჩომახიძე); „ლა-ტენტური დანაშაულობა თანამედროვე საზოგადოებაში“ (დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი მაკა ედიშერაშვილი) და სხვ. კონფერენციაზე მოწონებული მოხსენებები გამოქვეყნდა ჟურნალში „კრიმინოლოგი“ (№6, 2011).

2013 წლის ივნისში რობაქიძის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტისა და ცენტრის ორგანიზებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევები“. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ორივე უნივერსიტეტის ოცმა ბაკალავრიანტმა. მათი გამოსვლები ეხებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულობას და მიზეზების კვლევას სხვადასხვა მეთოდების (ანკეტური, დოკუმენტური, ინტერვიუ) გამოყენებით. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება სისტემატურ ხასიათს ატარებს და მათში ჩართული სტუდენტები ეუფლებიან მეცნიერული კვლევის ჩვევებს, რაც მათ უმაღლესი განათლების უფრო მაღალ საფეხურებზე წარმატებების მიღწევის პერსპექტივას წარმოადგენს.

3. ცენტრისა და მისი ცალკეული სტრუქტურების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირება კრიმინოლოგიურ მეცნიერებათა წარმომადგენლების მიერ სპეციალური ლიტერატურის შექმნისათვის ზრუნვის შესახებ და გამოქვეყნებული შრომების პრეზენტაცია–განხილვების მოწყობა. ამ მხრივ აღსანიშნავია 2013 წლის აპრილში რობაქიძის უნივერსიტეტში ორგანიზებული მრგვალი მაგიდა, გურამ გვეტაძის წიგნის „გენერლის მოგონებათა ზარდახმა“ განხილვასთან დაკავშირებით. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის გამოჩენილმა მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა. აღინიშნა, რომ წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია მათთვის, ვინც მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის საკითხებით, აგრეთვე ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცებაში განვითარების ამა თუ იმ ეტაპის შუქ–ჩრდილების ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების კვლევით არის დაინტერესებული. გენერლის წიგნის ცალკეული, საზოგადოებრივი მომეტებული ინტერესების სფეროს მიკუთვნებული ნაწილები გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალშიც „კრიმინოლოგი“ (№7–8).

2015 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პოლკოვნიკ გაიოზ ჩუბინიძის წიგნის „ქართველი მზვერავები საიდუმლო მისიით“ პრეზენტაცია–განხილვა. მასში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა და სპეცსამსახურების სფეროს პროფესიონალმა პრაქტიკოსებმა. აღინიშნა, რომ წიგნი და მისი ავტორის სამსახურებრივი გამოცდილება სერიოზულ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს.

ჟურნალმა „კრიმინოლოგი“ ჯეროვანი ყურადღება დაუთმო ცენტრის აქტიური წევრის, სამართლის დოქტორის ეკა ბესელიას წიგნის „ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში“ მნიშვნელობას კრიმინოლოგიის მეცნიერებათა განვითარებაში. წიგნის რედაქტორის პროფესორ გიორგი ღლონტის საპრეზენტაციო სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ავტორის მიერ გაწეულ კვლევასა და შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების სარგებლიანობაზე.

4. ცენტრისა და მისი სტრუქტურების საქმიანობას ღირსეულად წარმოადგენს სამეცნიერო–პრაქტიკული და მეთოდურ–სარეკომენდაციო პროექტების შემუშავება და განხორციელება.

ასეთი პროექტების რეალიზაცია ძირითადად პროფესორ მალხაზ ბაძაღლას ძალისხმევით ხორციელდება.

2016 წელს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ხელშეწყობით რობაქიძის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე განხორციელდა პროექტი „კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები ინგლისური და რუსული შესატყვისებით“. შრომა გამოიცა ცალკე წიგნად და იგი კრიმინოლოგიის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის სასარგებლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

2017 წელს ახალი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროექტის სახელწოდებაა „მასალები ძველი ქართული სამართლისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიისათვის“. პროექტის მიზანი იყო ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ალბომის მომზადება და გამოცემა. პროექტის იდეის ავტორის და ხელმძღვანელის აქტიური მონაწილეობით მოხდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ივანე ჯავახიშვილის საარქივო ფონდის მასალების დამუშავება და დიდი მეცნიერის მიერ ისტორიულ საბუთებზე, წყაროებსა და ხელნაწერებზე დაყრდნობით შედგენილი ტერმინების ალბომის სახით გამოცემა. ალბომში შესულია სამართლისა და ეკონომიკის მიმართულების 1800-ზე მეტი ტერმინი. ამ უნიკალური ალბომის რედაქტორია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, პროფესორი ზაზა აბაშიძე. პრეზენტაციაზე გამოსულმა მეცნიერებმა ზაზა გაუსვეს ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის შესწავლაში მისივე ხელით შედგენილი ტერმინების ფოტოტიპური სახით ალბომში მოთავსებული მასალის დიდ მნიშვნელობას, ასევე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს 2017 წელს განხორციელებული პროექტის „პროფესიული ეთიკის განვითარება“ განხორციელება, შესაბამისად გამოიცა პროფესორ მალხაზ ბაძაღლას სახელმძღვანელო „პროფესიული ეთიკის საფუძვლები“ და რობაქიძის უნივერსიტეტში შეიქმნა „პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრი“, რომელშიც გაერთიანდნენ მეცნიერები და პრაქტიკოსები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, საჯარო სტრუქტურების მოხელეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

5. ცენტრისა და კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ძირითად საზრუნავს წარმოადგენს წმინდა სამეცნიერო-სარეკომენდაციო საქმიანობა. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და მათში პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობა მარტო ორგანიზაციულ საქმიანობას არ გულისხმობს. პედაგოგები მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევებს სტუდენტებს ასწავლიან არა მარტო ლექცია-სემინარებზე, არამედ ცალკეული საკვანძო საკითხების ირგვლივ დისკუსიების ჩატარებისას, სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში კანონმდებლობის საპრობლემო საკითხების შერჩევისას საკუთარი პოზიციის დაფიქსირების წახალისებისას და სხვ. სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მაგისტრები და დოქტორანტებიც. კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე და დისპუტებზე გამორჩეული მოხსენებები დაუბრკოლებლად ქვეყნდება სპეციალურ ჟურნალში. ყურადღება ექცევა კრიმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების სტუდენტთა საკვალიფიკაციო შრომების სახით დამუშავებას. მაგალითად, წარმატებით დაიცვეს დისერტაციები დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დოქტორანტებმა: გ. აბაშიძემ, ს. ასანიძემ, ი. დადუნაშვილმა და სხვ.

დისერტაციებთან დაკავშირებული პუბლიკაციები სერიოზული შენამენია ქართული სამართლებრივი მეცნიერებისათვის. ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში წონადი წვლილი შეაქვს ქართველი მეცნიერების მონაწილეობას საუნივერსიტეტო, უნივერსიტეტთაშორისი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ცენტრისა და აკადემიის ეგიდით ჩატარებულ კონფერენციებში ნათლად ჩანს არა მარტო ქართული სამეცნიერო ელიტის მაღალი დონე და პოტენციური შესაძლებლობანი, არამედ უცხოური სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებთან სამეცნიერო ინტეგრირების უნარი და უცხოელ გამოჩენილ მეცნიერთათვის ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობა. ეს კი, ხელს უწყობს საერთაშორისო კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესს. ყოველივე აღნიშნულის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 2019 წლის მაისში საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის, რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ამერიკის შეერთებული შტატების კრიმინოლოგიური საზოგადოების მხარდაჭერით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „კრიმინოლოგიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში“. მასში ცნობილ ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ: ამერიკის კრიმინოლოგთა საზოგადოების წევრები – ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი მიანჰუნ რო, ჩრდილო კენტუკის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ჯი-სან ლი საერთო თემაზე – „კრიმინოლოგიისა და მართლმსაჯულების სამხილებზე დაფუძნებული პრაქტიკის ცვლილების მოდელი“, ამერიკის ნებრასკის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი კრის ესკრიჯი მოხსენებით „მართლმსაჯულება და მართლმსაჯულების სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში“. რუსეთიდან მონაწილეობას ღებულობდა პროფესორი ვიტალი კვაშისი. ქართველი მეცნიერებისა და უცხოელი სტუმრების მოხსენებები გამოქვეყნდა ჟურნალში „კრიმინოლოგი“ (№14).

დანაშაულობათა კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის შექმნისა და განვითარების ზემოთ აღნიშნული მიმართულებების ცალკეული ფრაგმენტები ნათლად მეტყველებს მის უდიდეს წვლილზე საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროში, რომ არაფერი ითქვას ისეთ მიმართულებებზე როგორიცაა: ხელისუფლებითი ორგანოებისათვის სამართალდამცავ სტრუქტურებში რეფორმების გატარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების პერიოდულად მიწოდება; დანაშაულის სტატისტიკის პერიოდული ანალიზი; ცალკეული სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება; სამართლის სფეროში დამსახურებული მუშაკებისა და ვეტერანების წახალისება; დამსახურებულ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მიმართ მაღლიერების გამოხატვა, დეტექტიური ხასიათის მასალების გამოქვეყნება და სხვა.

The need to fully understand the severity of the problem

Professor, Dr. Roman Shengelia, *Iv. Javakhishvili Tbilisi State University; Georgian Academy of Criminology Sciences*

Keywords: Criminology, History, Cooperation

The fight against crime and its prevention has always been on the agenda at all stages of development of the society. Crime has become an eternal puzzle for any society. Humanity will not be secure from it in future either.

Until recently, the study of the causes of crime in the post-Soviet space did not receive due attention. Although this issue is important for jurisprudence, no field of science is used to study criminology specifically and thoroughly. Criminology had to begin to eliminate this shortcoming because it means the doctrine of the causes of crimes and the ways to avoid them.

Crime as a social phenomenon is typical of any society. It is of interest not only to lawyers but also to philosophers, psychologists, sociologists, economists and representatives of other branches of sciences to study the causes of crime and search for its preventive measures. Although these fields as a whole could not embrace all problems regarding crime, their achievements – particularly, the synthesis of research methods and recommendations developed – significantly contributed to the formation of criminology as an independent field of science.

The development of criminology in Georgia was significantly facilitated by the works of Georgian professors Anzor Gabiani and Zaur Tsulaia. In their footsteps, the next generation of Georgian scientists such as George Todria, George Glonti, Malkhaz Badzagua, Beso Kvirikashvili, Jemal Gabelia and others continued criminology research at an equally high level.

After the collapse of the Soviet Union, crime against the state, people, property, entrepreneurship increased. Along with the effective measures taken by the newly re-established, independent Republic of Georgia, it became necessary to involve the society in the fight against crime.

At the initiative of Professor Anzor Gabiani, the Scientific Research Centre Against Crime was established at the Ministry of Internal Affairs of Georgia. This centre conducted a limited format of sociological and criminological research (e.g. drug addiction, prostitution) in post-Soviet Georgia, and even this small progress was terminated later when the centre ceased to exist. As a result, the country was left without such a necessary institution. In such a situation, a group of reformers who worked at the Ministry of Internal Affairs established the Centre For Crime Research and Forecasting at the initiative of Colonel Malkhaz Badzagua in the summer of 2001. The main goal of this institution was to carry out a wide range of tasks according to the charter, with the help of lawyers and representatives of other related professions, making a significant contribution to improving state security and the fight against crime, also, the development of the doctrine of criminology as an independent scientific field and the implementation of relevant scientific research.

The main task of the centre was to prepare publications by individual authors, establish links with scientific and practical centres, and increase public interest in criminology. Articles by the members of the centre were often published in *The Undivulged Facts* newspaper. In 2007 the professional magazine *Criminologist* was founded. It is trilingual and spreads the works of Georgian authors and other aspects of the Centre's activities in different countries of the world.

The cooperation of the Centre and its head, Professor Malkhaz Badzagua with Grigol Robakidze University turned out to be especially fruitful. With the support of the University President, Professor Mamuka Tavkhelidze, an intensive course in criminology was prepared, and the presentation of scientific products became more frequent. First, a criminology training clinic was established, then a criminology research institute.

In December 2011, a Memorandum of Understanding was signed between Grigol Robakidze University, Georgian Technical University, Batumi Shota Rustaveli State University, and the Centre for Crime Research and Forecasting. The memorandum facilitated the students' interest in criminology, resulted in regular scientific conferences and preparation of theses in criminology for obtaining bachelor's, master's, and doctoral degrees.

The expansion of the centre's activities and the popularity of the journal *Criminologist* logically put on the agenda creation of the Academy of Criminology Sciences. In 2017, the Academy was established, which brought together not only prominent Georgian scientists and practitioners but also noted foreign specialists. The fruitful work of the Academy and the universal recognition of its achievements formed the basis for granting it the official status of a UN consultant.

In October 2018, a memorandum was signed between the Georgian National Academy of Sciences and the Academy of Criminology Sciences.

The establishment of the Crime Investigation and Forecasting Centre by enthusiastic lawyers interested in the fate of the country and society is a remarkably patriotic fact in Georgia which has recently regained its independence. A large number of members and associates of the Centre aroused the spark of perception of the truth in the people. The establishment of institutes of criminology, the launch of the journal *Criminologist* and the creation of the Academy of Criminology have boosted the development of criminology as an independent field of science in Georgia. At the same time, this progress has put the results of the achievements in the service of the young democracy. The successes of the first twenty years are the foundation of a secure future of criminology in Georgia.

Moving the National Institute of Justice Forward: July 2010 through December 2012

Professor, Dr. John H. Laub, *University of Maryland, College Park, MD, USA,*¹ *Georgian Academy of Criminology Sciences*

Keywords: translational criminology, research evidence, public policy

Introduction

Social scientists are often frustrated by the perceived disconnect between sound empirical research and public policy initiatives. This occurs across a number of domains, including education, health, labor, and the focus of this article—crime and criminal justice. Recently, there have been several attempts to better connect research evidence and public policy. However, these attempts have focused somewhat narrowly on improving research methodology (e.g., using more randomized controlled trials in evaluation studies) or by creating new strategies of dissemination (e.g., What Works Clearinghouses and Research Briefs). A focus on new means of dissemination is especially timely given recent changes in how individuals access information drawing on new forms of social media (e.g., Twitter). While these new strategies may well bear fruit, I believe the challenge is largely an intellectual one. Ideas and research evidence must guide public policy and practice.

In the current system, science is too often ignored in our understanding of the nature of crime and the formulation of criminal justice policies. Moreover, destructive policies such as extensive use of long sentences of incarceration remain in place despite strong evidence of their limited utility. But the field of criminology and criminal justice has changed as well. There is now a strong emphasis on careerism—publication counts, citation counts, and grant dollar counts. As a field, we seem to be writing more and more and saying less and less. Questions that truly matter in the policy world are too often left unanswered.

This concern about the state of academic criminology was one of the reasons why I became the Director of the National Institute of Justice (NIJ) in 2010. I saw this position as an opportunity for me as an academic criminologist to engage with policymakers and practitioners. It was the hardest job I ever had in my life, but I am glad I did it and I would do it again.

The NIJ

After 30 years in academe, I had the good fortune of being nominated by President Barack Obama to serve as the Director of the NIJ in the Office of Justice Programs in the Department of Justice. At the time, the position of Director was a presidential appointment with confirmation by the U.S. Senate.

Created more than 40 years ago, the NIJ is the research, development, and evaluation agency of the U.S. Department of Justice. NIJ is dedicated to improving knowledge and understanding of crime and justice issues through science. NIJ provides objective and independent knowledge and tools to reduce crime and promote justice, particularly at the state and local levels. In my view, NIJ

¹ Journal of Contemporary Criminal Justice, 2021, Vol. 37(2) 166–174. © The Author(s) 2021. Article reuse guidelines: sagepub.com/journals-permissions DOI: 10.1177/1043986221999857 journals.sagepub.com/home/ccj

has a unique mission as a science agency focused on policy and practice. Given this position, NIJ faces a two- fold strategic challenge—generating knowledge that is scientifically rigorous and disseminating knowledge that is relevant to policymakers and practitioners.

On July 22, 2010, I was sworn in as the Director of the NIJ. Never before in the history of the Institute had the position of Director been filled by someone with a PhD in criminology and criminal justice and with extensive research experience.² Some have called this a turning point for the field, and it was a clear indication that science is and will be an important part of the mission of NIJ, the Office of Justice Programs, and the Department of Justice as a whole.

There are other important features of NIJ and my role as the director that need to be pointed out. First, despite the fact that NIJ is the primary federal funding source for research on crime and justice, it is woefully underfunded with a base budget of about US\$40 million a year. Second, NIJ resides in the Office of Justice Programs in the Department of Justice. In other words, NIJ sits amid a sea of lawyers, which represents a challenge to NIJ as a science agency. There is simply not a strong culture of science in the Department of Justice. Third, and perhaps most important, in July 2010, the same month that I started my stint as Director, the National Research Council (NRC) released a report entitled *Strengthening the National Institute of Justice*.

This was the first large-scale evaluation of NIJ by an independent entity in more than 30 years (see NRC, 1977). The 2010 NRC Report offered five broad recommendations that focused on the need for independence and self-governance at NIJ; the critical elements essential for a science agency that NIJ purports to be; the need for NIJ to bolster the research infrastructure internally and externally; the need for NIJ to embrace scientific integrity and transparency in all of its activities; and the need for NIJ to embrace a culture of self-assessment. According to the NRC Report, NIJ has lacked the essential tools commensurate with a science agency: (a) a strong management structure, (b) a scientific staff, (c) a budget to support both short- and long-term goals, and (d) protections from political shifts. Moreover, because of budget constraints and directives from Congress starting in 2004, NIJ has shifted attention and resources away from both basic and applied social science research toward capacity building and training, especially in the area of forensic sciences (see NRC, 2010).

My Vision for NIJ

So what should be the priorities of the NIJ? In my view, NIJ lacked a conceptual and intellectual framework. Too often the wrong questions were posed, the wrong language was used, and false choices were presented. Coherent theory organizes research findings, sets priorities for future research, and provides influential guides to policy and practice. Despite efforts by many to divide theory and research from policy, the fact is theory, research, and policy are deeply intertwined and central to the lives of everyone involved in explaining crime and advancing justice and public safety.

In 2003 when I was President of the American Society of Criminology, I organized the annual meeting program around the following theme—“The Challenge of Practice, The Benefits of Theory.” I did this because I believe that such either-or distinctions between theory and practice are unnecessary and ultimately counterproductive. Furthermore, the distinction is inconsistent with much of the history of criminology (see Laub, 1983). We have a strong tendency to favor

dichotomies, all-or-nothing propositions, and subsequently we are forced to choose, theory or policy. As I wrote in my presidential address, I believe that to enhance policy and practice one needs not only sound research but also strong theory (see Laub, 2004).

One can legitimately ask, What is the role of the federal government in criminology and criminal justice? In the broadest sense, it is to support research and data collection, analysis, and dissemination.³ Following James Q. Wilson (1996), the federal government can be and should be the research and development arm of the criminal justice system. For instance, a key role for NIJ is designing and testing crime prevention and crime control strategies. To accomplish this mission, I believe you need to focus on three major areas—the nature of crime, the causes of crime, and the response to crime.

In my view, this is the nucleus of a comprehensive research plan in the area of crime and justice and can be informed by the three scientific offices housed at NIJ—social sciences, physical sciences, and forensic sciences.

Translational Criminology

One of the ideas that I emphasized at NIJ was what I call “Translational Criminology.” I believe translational criminology acknowledges NIJ’s unique mission to facilitate rigorous research that is relevant to practice and policy. The idea of translational criminology is simple, yet powerful. If we want to prevent, reduce, and manage crime, scientific discoveries must be translated into policy and practice. Translational criminology aims to break down barriers between basic and applied research by creating a dynamic interface between research and practice. This process is a two-way street—scientists discover new tools and ideas for use in the field and evaluate their impact. In turn, practitioners offer novel observations from the field setting that stimulate basic investigation. This is the knowledge creation process, and both researchers and practitioners play key roles here. In translational medicine, this is referred to as T1—taking research from the “bench” (basic research) to the patient’s “bedside” (clinical/applied research) (see <https://michr.umich.edu/what-is-clinical-translational-research>).

A unique aspect of translational criminology then is the dynamic interface between research and practice and vice versa. To have this kind of exchange assumes a great deal of trust. It should be recognized that there is skepticism among practitioners about researchers, and researchers do not often view the observations of practitioners as meaningful and important. Thus, translational criminology requires something that heretofore has not occurred with much regularity—the research community and the practitioner community working together as equal trusted partners.

Another goal of translational criminology is to address the gaps between scientific discovery, program delivery, and effective crime policy. This is the knowledge application process. This next phase of translational medicine focuses on the implementation of research findings in clinical and community practice (see <https://michr.umich.edu/what-is-clinical-translational-research>).

Translational criminology thus calls for more data on the implementation process. In particular, we need to know whether the research evidence is being implemented with fidelity. Over the last decade or so, we have spent a considerable effort to find out what programs work and what programs

do not work. However, these laudable efforts are not enough. What is needed is a better understanding of how to implement research evidence in real-world practice settings and to find out why a program works. Unpacking the underlying mechanisms of successful policies and programs is essential in translational research.

Finally, translational criminology focuses on dissemination of existing research results as much as generating new knowledge. What is needed is more systematic study of the process of knowledge dissemination with the recognition that successful dissemination of research findings may well require multiple strategies including using new forms of social media. We spend so much time and energy on the front end of the research process, but not nearly enough time on making sure that critical research findings make their way into the field in a meaningful way. Without robust dissemination efforts, research evidence will not be used the way it was intended—to inform criminal justice policy and practice.⁴

Moving NIJ Forward

I strongly believed that NIJ needed to develop a cutting-edge research agenda that addressed the major topics of interest in the field. Consider the following: In the last 40+ years in the field of criminal justice, arguably two of the most important developments were the large run-up in the rate of incarceration, sometimes referred to as mass incarceration, and the great crime decline during the 1990s and continuing into the new century. Yet NIJ had no active, systematic research portfolio on either topic.

- I would like to highlight some of the major projects generated during my tenure as NIJ Director.
- NIJ co-funded, with the MacArthur Foundation, the National Academies of Sciences panel on the causes and consequences of high rates of incarceration in the United States.
- NIJ funded the National Academies of Science Roundtable on Crime Trends.
- NIJ funded research in a number of new areas, including California realignment; race, crime, and victimization; the victim–offender overlap; desistance from crime, police legitimacy; and the use of swift and certain criminal justice sanctions.
- NIJ also continued work in its signature research programs such as violence against women, teen dating violence, sexual assault, the use of emergent technologies in the justice system, and police officer safety. The goal here was to develop a strong cumulative body of research knowledge in each of these areas.
- NIJ worked closely with National Institute of Standards and Technology (NIST) and the President’s Council of Advisors on Science and Technology (PCAST) to strengthen the sciences in forensic science. These efforts eventually led to the creation of National Commission on Forensic Science.

In addition, building on the earlier Harvard Executive Sessions on policing, NIJ funded another Executive Session on Policing and Public Safety. In my view, the Executive Sessions were an

exemplar of Translational Criminology. Here, the leading police executives and researchers come together on a regular basis to tackle the major issues facing the field. The Executive Sessions recognize in a direct way that practitioners are partners in the research enterprise. It is not about pushing research results out to the field. Rather, it is focusing on practitioners and finding out what research they need to do their jobs more effectively and fairly. There is also considerable attention being paid to how best to “influence the field” through concerted efforts to transform practice and policy. An impressive crop of papers (jointly written by police chiefs and researchers) are available on topics such as police leadership, race and policing, police culture, police professionalism, rightful policing, and social media and policing. The Harvard Executive Sessions on Policing were foundational both here in the United States and internationally.

NIJ also funded a Harvard Executive Session on Community Corrections that began after I left NIJ. This Executive Session focused on the future of community corrections policy. The goal was to assemble a panel of expert researchers, practitioners, and others to explore key ideas related to community corrections to help shape the future of policy, practice, and research on a range of issues facing offenders supervised in the community. In my view, the Executive Sessions on policing shaped a new paradigm, and one could argue that the Executive Sessions on Community Corrections accomplished the same thing (see Executive Session on Community Corrections, 2017).

Challenges

In 2012, the NRC of the National Academies issued a report, *Using Science as Evidence in Public Policy*. The NRC (2012, p. 8) report stated that “Science is not the only source of knowledge used in policy argument—beliefs, experience, trial and error, reasoning by analogy, and personal or political values are also used in policy argument.” At NIJ, I argued forcefully for science to be at the policy and practice table. However, I soon recognized that political considerations, financial constraints, and value preferences are also present in all policy decisions.

The Budget

Full disclosure—I was terribly naïve about the federal budgeting process. I did not expect to become so enmeshed in matters relating to the budget, but it was the most crucial part of the job and it was the annual federal budget that caused me the most stress and concern. In my first fiscal year (FY) at NIJ (October through September), we had a Continuing Resolution which provided us funds until mid-April. In effect, this meant that I did not know with any certainty what level of funds we could provide the research community in FY 2011. Moreover, I had no idea what our budget would be for FY 2012 which began on October 1, 2011. In March 2011, I learned about “Spring Call” when I was asked to provide my plans for FY 2013! I said I do not know my budget for FY 2011 or FY 2012, how can I plan for FY 2013? I was told “Welcome to government!”

What were some other challenges I faced at NIJ?

Competing Priorities

The President, the Vice President, the Attorney General, and the Office of Management and Budget (OMB) have their priorities and interests. At the same time, Congress, especially those on the Appropriations staff, have their priorities and interests as well. The result of all this was “crave-outs”—funds directed to specific areas of research—by Congress, OMB, the Department of Justice,

and/or the White House. For example, in FY 2014, the House Appropriations panel directed NIJ to spent US\$4 million to support research on domestic radicalization—the process by which individuals in the United States become violent extremists and seek to engage in terrorist acts here and abroad. Similarly, in FY 2014, the Senate Appropriations panel directed NIJ to spent US\$2 million on gun safety technology. These directed requests for funding-specific areas occur virtually every year.

Time Pressure

Science needs time, but policymakers cannot wait. They must act now, often in response to a crisis. After the tragic shooting at the Sandy Hook Elementary School in Newtown, Connecticut, NIJ responded to multiple requests from Congress, Department of Justice, and the White House about gun violence. I was asked to review a joint proposal from the Department of Homeland Security and the Office for Community Oriented Policing Services calling for scores of school resource officers to be placed in schools around the country. I asked whether there was any empirical evidence that school resource officers reduced violence in schools. I was told, “John, good question, but what we need now are answers, not questions.”

Fragility of the Evidence

In evaluation research in criminal justice, there are few studies that use randomized controlled trials, and as a result selection issues loom large. Moreover, single-site studies are the norm, and once positive results are found, there is enormous pressure to scale up quickly. When the results came in from an NIJ-funded study of Judge Alm’s HOPE (Hawaii Opportunity Probation with Enforcement) program showing large reductions in recidivism, NIJ was under pressure from Congress to implement HOPE in all 50 states! Moreover, criminal justice research is plagued by weak data. For example, official administrative records are often not suited for research purposes, and missing data are a major concern.⁵

Conclusion

As the Director of NIJ, I had a once-in-a-lifetime opportunity to shape criminal justice research and practice for years to come. Of course, saying this does not ignore the challenges of bringing research to bear on public policy and practice. There are real obstacles, and at times these can be difficult to overcome. Moreover, as many have noted, we have witnessed recently serious attacks on the social sciences in the federal government. Regardless, the fact is we need more social science researchers in government, not less. Our voices are essential, and the academy writ large needs to recognize this, nurture and encourage it, and, ultimately, reward it. I urge my colleagues in criminology and criminal justice, especially younger scholars—“Please Get Involved!”

Author’s Note

Parts of this paper were drawn from John H. Laub. (2016). Life course research and the shaping of public policy. In M. J. Shanahan, J. T. Mortimer, & M. K. Johnson (Eds.), *Handbook of the Life Course: Volume II*, pp. 623–637. I thank Rob Sampson for his comments on an earlier draft of this paper.

Declaration of Conflicting Interests

The author(s) declared no potential conflicts of interest with respect to the research, authorship, and/or publication of this article.

Funding

The author(s) received no financial support for the research, authorship, and/or publication of this article.

Notes

1. In 2012, Congress enacted legislation removing the Director of the National Institute of Justice (NIJ) position from the Senate confirmation process. The other directors of units in the Office of Justice Programs are also no longer confirmed by the Senate. All of these positions remain presidential appointments. For more details, see <https://fas.org/sgp/crs/misc/R41872.pdf>.
2. After my tenure at NIJ, the subsequent acting and permanent directors had PhDs in various fields and had research experience in criminology and criminal justice. Perhaps a precedent was set.
3. Note that data collection, analysis, and dissemination function is the mission of the Bureau of Justice Statistics in the Office of Justice Programs in the Department of Justice.
4. For more discussion of translational criminology, see Laub and Frisch (2016).
5. While I was at NIJ, I worked closely with my long-time friend and colleague, Jim Lynch, who was the Director of the Bureau of Justice Statistics during my tenure. We strongly believed that the research and statistical units needed to work in tandem.

References:

- Executive Session on Community Corrections. (2017). *Toward an approach to community corrections for the 21st century: Consensus document of the executive session on community corrections*. Program in Criminal Justice Policy and Management, Harvard Kennedy School.
- Laub, J. H. (1983). *Criminology in the making: An oral history*. Northeastern University Press.
- Laub, J. H. (2004). The life course of criminology in the United States: The American Society of Criminology 2003 presidential address. *Criminology*, 42, 1–26.
- Laub, J. H., & Frisch, N. E. (2016). Translational criminology: A new path forward. In T. G. Blomberg, J. M. Brancale, K. M. Beaver, & W. D. Bales (Eds.), *Advancing Criminology and Criminal Justice Policy* (pp. 52–62). Routledge.
- National Research Council. (1977). *Understanding crime: An evaluation of the national institute of law enforcement and criminal justice*. The National Academies Press.
- National Research Council. (2010). *Strengthening the national institute of justice*. The National Academies Press.
- National Research Council. (2012). *Using science as evidence in public policy*. The National Academies Press.
- Wilson, J. Q. (1996). *What, if anything, can the federal government do about crime?* (Perspectives on Crime and Justice: 1996-1997 Lecture Series, Volume I Series). *NIJ Perspectives on Crime and Justice Seminars*.

**აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის, იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტის
წინსვლა: 2010 წლის ივლისიდან 2012 წლის დეკემბრამდე**

პროფესორი, დოქტორი ჯონ ჰ. ლაუბი. *ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების წევრი - ყოფილი პრეზიდენტი, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია, მეირლენდის უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ტრანსლაციური კრიმინოლოგია, კვლევის მტკიცებულება, კანონმდებლობა

სოციოლოგები უკმაყოფილონი არიან ცდებზე დამყარებული გამოკვლევების შედეგებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს შორის კავშირის არ არსებობის გამო. ეს ხდება სხვადასხვა სფეროებში, მაგ.: განათლება, ჯანდაცვა და სხვ. ამ ბოლო დროს იყო რამდენიმე მცდელობა საკანონმდებლო ინიციატივებისა და ცდებზე დამყარებული გამოკვლევების შედეგების უკეთესად დაკავშირებისა, მაგრამ ეს მცდელობები გარკვეულწილად არასრულფასოვანი იყო, ცდილობდნენ კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას, ან გავრცელების ახალი სტრატეგიების შემუშავებას. გავრცელების ახალ მეთოდებზე ყურადღების გამახვილება გაცილებით დროულია თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხი იღებს ინფორმაციას სოციალური მედიის ახალი ფორმებიდან (მაგალითად, ტვიტერიდან). ამ ახალმა სტრატეგიებმა შეიძლება ნაყოფი გამოიღოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს გამოცანა უმეტეს წილად ინტელექტუალურია. იდეები და კვლევები წინ უნდა გაუძღვეს საჯარო პოლიტიკასა და პრაქტიკას.

თანამედროვე სისტემაში მეცნიერებას ხშირად ყურადღება არ ექცევა დანაშაულის არსის გარკვევასა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში. აგრეთვე, გამანადგურებელი კანონები როგორებიც არის გახანგრძლივებული თავისუფლების აღკვეთა, შეუცვლელი რჩება იმის მიუხედავად, რომ ამის ეფექტურობის მაჩვენებელი ფაქტიურად არ არსებობს. მაგრამ დანაშაულის და სისხლის სამართლის სფეროც გარკვეულად შეიცვალა, რადგან გამახვილდა ყურადღება კარიერიზმზე (პუბლიკაციების, ციტირების და გრანტების თვლაზე). ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხები კი, კანონმდებლობის შესახებ ხშირად პასუხის გარეშე რჩება.

ეს შფოთვა აკადემიურ კრიმინოლოგიაზე არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მე გავხდი იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტის დირექტორი 2010 წელს. მე მიმაჩნდა ეს თანამდებობა სასარგებლოდ იმისათვის, რომ როგორც მეცნიერი და კრიმინოლოგი პირდაპირ ჩავრთულიყავი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან. ეს იყო ყველაზე რთული სამუშაო, რაც კი ოდესმე მქონია ცხოვრებაში, მაგრამ მე მას სიამოვნებით ვასრულებდი და კიდევაც შევასრულებდი.

იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტი (NIJ)

გამიმართლა და პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მე ინსტიტუტის დირექტორად დამნიშნა (დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატს ნიშნავდა პრეზიდენტი ა.შ.შ.-ს სენატის თანხმობით).

ინსტიტუტი შეიქმნა 40 წელზე მეტი ხნის წინათ და არის ა.შ.შ.-ს იუსტიციის დეპარტამენტის კვლევის, განვითარებისა და შეფასების სააგენტო. ინსტიტუტი ორიენტირებული

არის მეცნიერების საშუალებით დანაშაულისა და სამართლის პრობლემების შესახებ ინფორმაციის უკეთესად გაგებასა და გაანალიზებაზე. ინსტიტუტი მუშაობს ობიექტურ და დამოუკიდებელ მეცნიერებასა და დანაშაულის დასაქვეითებელ, სამართლის გასაგვრცელებელ მეთოდებზე, განსაკუთრებით შტატებისა და ლოკალური მასშტაბებით. ჩემი აზრით, ინსტიტუტს განსაკუთრებული დავალება აქვს, რადგან ეს არის სამეცნიერო სააგენტო პრაქტიკაზე და კანონმდებლობაზე გამახვილებული ყურადღებით. ამ პოზიციაში ინსტიტუტს ორმაგი ამოცანა აქვს - მეცნიერული კვლევების ჩატარება და შესაბამისი მასალების საკანონმდებლო /ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მისაღები ფორმით მიწოდება.

2010 წლის 22 ივლისს მე დავინიშნე ინსტიტუტის დირექტორად. ინსტიტუტის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა დირექტორის თანამდებობა ისეთ ადამიანს დაეკავებინოს, რომელიც კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის სფეროში სადოქტორო ხარისხის მქონე იყო კვლევების ჩატარებაში დიდი გამოცდილებით. ზოგს ეგონა, რომ ეს არის ამ სფეროში დიდი გადატრიალების მომენტი, ნათელი იყო, რომ მეცნიერება იქნებოდა ინსტიტუტის, იუსტიციის პროგრამების ოფისისა და საერთოდ იუსტიციის დეპარტამენტის მთავარი ამომავალი წერიტილი.

რაც შეეხება ჩემს როლს, როგორც ინსტიტუტის დირექტორს, არის კიდევ რამოდენიმე ასპექტი, რომელიც უნდა გამოიკვეთოს. პირველ რიგში, იმის მიუხედავად, რომ ინსტიტუტი არის მთავარი დაფინანსების წყარო დანაშაულის და სამართლის კვლევის სფეროებში. მისი ბიუჯეტი, რომელიც წელიწადში შეადგენს დაახლოებით 40 მილიონ დოლარს მაინც არასაკმარისია. მეორე, ინსტიტუტი გარშემორტყმულია ადვოკატებით, რაც ეწინააღმდეგება ინსტიტუტს როგორც სამეცნიერო სააგენტოს ფუნქციას. მესამე, რაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, 2010 წლის ივლისს, იმ თვეს, როდესაც მე დავიწყე ჩემი მოღვაწეობა როგორც დირექტორმა, ნაციონალურმა კვლევის საბჭომ გამოაქვეყნა მოხსენება „*იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტის გაძლიერების შესახებ*“.

ეს იყო დაახლოებით 30 წლიან პერიოდში არსებული პირველი შემთხვევა, როდესაც ინსტიტუტი ფართო მასშტაბით შეაფასა დამოუკიდებელმა ერთეულმა. ნაციონალური კვლევის საბჭოს 2010 წლის მოხსენება მოიცავდა ხუთ ფართო-მასშტაბიან რეკომენდაციას, რომელიც ორიენტირებული იყო ინსტიტუტის დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის აუცილებლობაზე; აუცილებლობა იმისა, რომ ინსტიტუტმა გააძლიეროს კვლევის ინფრასტრუქტურა; საჭიროება იმისა, რომ ინსტიტუტმა განახორციელოს გამჭირვალედ საქმიანობა; საჭიროება იმისა, რომ ინსტიტუტში დაინერგოს საკუთარი საქმიანობის შეფასების კულტურა. ნაციონალური კვლევის საბჭოს მოხსენების მიხედვით, ინსტიტუტს არ გააჩნდა საჭირო ელემენტები იმისათვის, რომ ნამდვილი სამეცნიერო სააგენტოს მსგავსი გამხდარიყო, რასაც განაპირობებდა: ა) ძლიერი მენეჯმენტის სტრუქტურა, ბ) სამეცნიერო პერსონალი, გ) ბიუჯეტი, რომელიც მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს ეყოფა, დ) პოლიტიკური გავლენებისაგან თავისუფლება. აგრეთვე, ბიუჯეტის შემცირებისა და კონგრესისგან მიღებული დავალებების გამო, რაც 2004 წელს დაიწყო, ინსტიტუტმა გადაიტანა ყურადღება და რესურსები ძირეული/გამოყენებითი სოციალური მეცნიერების კვლევებიდან ბაზისური კვლევების დანერგვაზე და შესაბამის წვრთნაზე, განსაკუთრებით სამართლის მეცნიერებების სფეროში.

ჩემი ხედვა ინსტიტუტის მომავლისათვის

მაშინ, რა უნდა იყოს ინსტიტუტის პრიორიტეტები? ჩემი აზრით, ინსტიტუტს არ გააჩნდა კონცეპტუალური და ინტელექტუალური ჩარჩო. ხშირად ისმებოდა არასწორი შეკითხვები, გამოიყენებოდა არასწორი ენა და წარდგენილი იყო არასწორი არჩევანი. საღი თეორია ალაგებს კვლევის შედეგებს, სახავს პრიორიტეტებს სამომავლო კვლევისათვის და წარადგენს გავლენიან მიმართულებებს კანონმდებლობისათვის. იმის მიუხედავად, რომ ბევრი ცდილობდა გამოეყო თეორია და პრაქტიკა კანონმდებლობისაგან, ფაქტია, რომ თეორია, პრაქტიკა და კანონმდებლობა არის ერთმანეთში ღრმად გადახლართული და მნიშვნელოვანი ყველასთვის, ვინც არის ჩართული დანაშაულის გახსნის, სამართლის გავრცელებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საქმეში.

2003 წელს, როდესაც მე ვიყავი ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების პრეზიდენტი, მოვახერხე წლიური შეხვედრის პროგრამის ორგანიზება შემდეგი თემის ირგვლივ - „პრაქტიკის გამოწვევა, თეორიის სარგებელი“. მე ეს გავაკეთე იმიტომ, რომ მჯერა, ესეთი არაერთგვაროვანი განსხვავებები თეორიასა და პრაქტიკას შორის არ არის საჭირო და საბოლოო ჯამში არასასარგებლოა. აგრეთვე, ეს განსხვავებები არ ემთხვევა კრიმინოლოგიის ისტორიას. ჩვენ გვაქვს მწვავე ტენდენცია „ან ყველაფერი, ან არაფერი“, ამის შედეგად იძულებულები ვართ გავაკეთოთ არჩევანი - თეორია თუ კანონმდებლობა, როგორც მე დავწერე ჩემს საპრეზიდენტო მოხსენებაში, მიმაჩნია, რომ კანონმდებლობისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად საჭიროა არა მხოლოდ ღრმა კვლევა, არამედ ძლიერი თეორიაც.

ისმის კითხვა: რა როლი მიუძღვნის ფედერალურ მთავრობას კრიმინოლოგიაში და სისხლის სამართლის სფეროში? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის მხარდაჭერა კვლევასა და მონაცემების მოძიებაში, გაანალიზებასა და გავრცელებაში. ჯეიმს ქიუ უილსონის (ამერიკელი მეცნიერი პოლიტიკის დარგში) აზრით, ფედერალური სახელმწიფო შეიძლება იყოს და უნდა იყოს სისხლის სამართლის სისტემის კვლევისა და განვითარების შტო. მაგალითად, ინსტიტუტის მთავარი როლია დანაშაულის თავიდან აცილებისა და დანაშაულის კონტროლის სტრატეგიების შემუშავება, გამოცდა. ამის შესასრულებლად მინდა, რომ თქვენ სამ მთავარ სფეროს მიაქციოთ ყურადღება - დანაშაულის ძირითად მახასიათებელს, დანაშაულის მიზეზს და დანაშაულის შედეგს. ჩემი აზრით, ეს არის კვლევის გეგმის შუაგული, დანაშაულისა და სამართლის სფეროში და მასში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ და სამართლებრივ მეცნიერებებზე დაყრდნობა.

ტრანსლაციური კრიმინოლოგია

ერთ-ერთი იდეა, რომელსაც ინსტიტუტში ხაზი გავუსვი იყო ის, რასაც „ტრანსლაციურ კრიმინოლოგიას“ ვეძახი. ჩემი აზრით, ტრანსლაციური კრიმინოლოგია აღიარებს ინსტიტუტის უნიკალურ დავალებას, რომ დააჩქაროს ზუსტი კვლევა, რაც კანონმდებლობისთვის და პრაქტიკისთვის შესაბამისი იქნება. ტრანსლაციური კრიმინოლოგიის იდეა მარტივია, მაგრამ მძლავრი. თუ ჩვენ გვსურს დავაქვეითოთ დანაშაულის დონე და თავიდან ავიცილოთ, მაშინ მეცნიერული აღმოჩენების ტრანსლაცია (გადაცემა) უნდა მოხდეს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში. ტრანსლაციური კრიმინოლოგია ცდილობს ჩამოშალოს ბარიერი ძირეულ და გამოყენებით კვლევებს შორის კვლევის და პრაქტიკას შორის დინამიური ურთიერთკავშირის არსებობით. ეს პროცესი ორივე მხარეს მუშაობს: მეცნიერები

აღმოჩენენ ახალ მეთოდებს და იდეებს, რომელიც შეიძლება პრაქტიკაში იქნეს გამოყენებული და აფასებენ მათ ეფექტებს. პრაქტიკაში მათი გამოყენება, თავის მხრივ, წარმოშობს ახალ ინფორმაციას. ეს არის ინფორმაციის შექმნის პროცესი და მკვლევარებიც, პრაქტიკაში მომუშავე პერსონალიც აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

ტრანსლაციური კრიმინოლოგიის უნიკალური ასპექტი არის დინამიური დამოკიდებულება კვლევასა და პრაქტიკას შორის, თუმცა, ასეთი სახის მიმოცვლა რომ მოხდეს, საჭიროა, საკმაოდ დიდი ნდობა. უნდა ითქვას, რომ არსებობს სკეპტიციზმი პრაქტიკაში მომუშავე წრეებში მკვლევარებთან მიმართებით. მკვლევარები არ თვლიან პრაქტიკულად ჩატარებულ სამუშაოს მნიშვნელოვნად, ამიტომ ტრანსლაციური კრიმინოლოგიისათვის საჭიროა ისეთი რამ, რაც აქამდე ხშირად არ მომხდარა: მკვლევარებმა და პრაქტიკოსებმა უნდა იმუშაონ ერთად, როგორც თანასწორმა და სანდო პარტნიორებმა.

ტრანსლაციური კრიმინოლოგიის კიდევ ერთი მიზანია, რომ რაიმე მოუხერხოს სამეცნიერო აღმოჩენებსა და კანონმდებლობის შორის არსებულ დაშორებებს, ანუ ტრანსლაციური კრიმინოლოგია მოითხოვს მეტ მონაცემებს იმპლემენტაციის პროცესზე. საჭიროა იმის ცოდნა, რომ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პირწმინდად. ბოლო დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ჩვენ ბევრი ენერგია დავხარჯეთ იმის გასარკვევად, თუ რომელი პროგრამები მუშაობს და რომელი არ მუშაობს, მაგრამ ეს საქებარი მცდელობა არ არის საკმარისი. საჭიროა უკეთესი გაგება იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების იმპლემენტაცია პრაქტიკაში. კანონმდებლობისა და შესაბამისი პროგრამების ძირითადი ასპექტების შესწავლა აუცილებელია ტრანსლაციური კვლევისთვის.

და ბოლოს, ტრანსლაციური კრიმინოლოგია ამახვილებს ყურადღებას არსებული კვლევების ინფორმაციის გავრცელებაზე ისევე, როგორც ახალი ინფორმაციის მოძიებაზე. საჭიროა ინფორმაციის გავრცელების პროცესზე უფრო სისტემატიურად ჩატარებული კვლევები, რამაც შეიძლება მიგვანიშნოს, რომ საჭიროა ახალი სტრატეგიები. მაგალითად, სოციალური მედიის ახალი ფორმები და სხვ. ჩვენ იმდენ დროს და ენერგიას ვუთმობთ კვლევის პროცესის საწყის მხარეს, რომ დრო აღარ გვრჩება უზრუნველყოთ ის, რომ ჩვენი კვლევის შედეგებმა შესაბამის სფეროში სრულყოფილად ჰპოვოს ასახვა. ინფორმაციის გავრცელების ენერგიული მცდელობების გარეშე, კვლევის შედეგები არ იქნება გამოყენებული დანიშნულებისამებრ - სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

ინსტიტუტის განვითარება

მჯერა, რომ ინსტიტუტს სჭირდებოდა შეექმნა განსავითარებელი პროტოკოლი, რომელიც გაითვალისწინებდა ამ სფეროს მთავარი ინტერესის საკითხებს. გაითვალისწინეთ, რომ ბოლო 40 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის სფეროში, ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პატიმართა რაოდენობის საგრძნობი ზრდა, რასაც ხშირად მასობრივ დაპატიმრებას უწოდებენ და ამის საფუძველზე გასული საუკუნის 90-იან წლებში (რაც 21-ე საუკუნეში გაგრძელდა) დანაშაულის დონის დაქვეითება. თუმცა, სამწუხაროდ, ინსტიტუტს არ გააჩნდა აქტიური, სისტემატიზირებული კვლევის ანალიზის მაჩვენებლები ამ ორი მოვლენიდან არც ერთზე.

მინდა ხაზი გავუსვა ზოგიერთ დიდ პროექტს, რომელიც ჩემი დირექტორობის დროს შეიქმნა:

- ინსტიტუტისა და მაკარტურის ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული ნაციონალური მეცნიერებების აკადემიის პანელი დაპატიმრებების მაღალი დონის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების თემაზე;
- ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული ნაციონალური მეცნიერებათა აკადემიის შეკრება დანაშაულის სტატისტიკური ტენდენციების შესახებ;
- ინსტიტუტმა დააფინანსა კვლევა რამოდენიმე ახალ სფეროში, როგორებიც არის მსხვერპლისა და თავდამსხმელის საერთო არეალი, დანაშაულისთვის თავის დანებება, პოლიციის ლეგიტიმურობა და სისხლის სამართლის სანქციების სწრაფად და ზუსტად გამოყენება;
- ინსტიტუტმა განაგრძო მუშაობა ისეთ პროგრამებზე როგორიცაა, ქალების წინააღმდეგ ძალადობა, ახალგაზრდების შეხვედრების დროს ჩადენილი ძალადობა, სექსუალური ძალადობა, იუსტიციის სისტემაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და პოლიციელების უსაფრთხოება. აქ მიზანია თითოეულ ამ სფეროში საგრძნობლად ვრცელი ინფორმაციის წყარო შეიქმნას;
- ინსტიტუტი აქტიურად თანამშრომლობდა სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ნაციონალურ ინსტიტუტთან, აგრეთვე პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოსთან, მეცნიერებაზე და ტექნოლოგიაზე იმისათვის, რომ გაძლიერებულიყო მეცნიერება სამართლებრივ სფეროში. ამ მცდელობებმა მიგვიყვანა სამართლებრივი მეცნიერების ნაციონალური კომისიის ჩამოყალიბებამდე.

ადრინდელი ჰარვარდის აღმასრულებელი სესიების საფუძველზე ინსტიტუტმა დააარსა კიდევ ერთი აღმასრულებელი სესია პოლიციისა და საზოგადო უსაფრთხოების თაობაზე. ჩემი აზრით, ეს აღმასრულებელი სესიები ტრანსლაციური კრიმინოლოგიის ნათელი მაგალითია. აქ რეგულარულად იკრიბებიან პოლიციის აღმასრულებელი პირები და მკვლევარები, რათა განიხილონ მთავარი პრობლემები ამ სფეროში. აღმასრულებელი სესიები პირდაპირ აღიარებენ, რომ მკვლევარები და აღმასრულებელი პირები პარტნიორები არიან კვლევის საქმიანობაში. საქმე კვლევის შედეგების გამოქვეყნებაში არ არის. საქმეა იმაშია, რომ უნდა იყოს გარკვეული, თუ რა კვლევა სჭირდებათ აღმასრულებლებს, რომ მათ თავისი საქმე უფრო ეფექტურად და სამართლიანად აწარმოონ. აგრეთვე, განსაკუთრებული ყურადღება ეძღვნება „სფეროზე გავლენის“ საუკეთესო მეთოდებს, პრაქტიკისა და კანონმდებლობის შეცვლის კონცენტრირებული მცდელობების მეშვეობით. ნაშრომების შთამბეჭდავი რაოდენობა (პოლიციის უფროსებისა და მკვლევარების მიერ ერთად დაწერილი) არსებობს ისეთ თემებზე, როგორიცაა პოლიციის საქმიანობის წარმართვა, პოლიციის კულტურა, პოლიციის პროფესიონალიზმი, სამართლიანი პოლიცია, სოციალური მედია და პოლიცია. ჰარვარდის აღმასრულებელი სესიები პოლიციის თაობაზე იყო მეტად მნიშვნელოვანი ა.შ.შ. - შიგ და მთელ მსოფლიოშიც.

ინსტიტუტმა აგრეთვე დააფინანსა ჰარვარდის აღმასრულებელი სესიები საზოგადოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბების თაობაზე მას შემდეგ, რაც მე ინსტიტუტი დავტოვე. ეს აღმასრულებელი სესია ორიენტირებული იყო იმაზე, რომ შეეკრიბა პროფესიონალი

მკვლევარები, პრაქტიკოსები და სხვა პროფესიონალები, რომლებიც განიხილავდნენ მთავარი იდეებს პრაქტიკისა და კვლევის სხვადასხვა პრობლემების შესახებ, კანონმდებლობაზე მათი ასახვის თაობაზე, ასევე იმ პრობლემებს, რაც გააჩნიათ საზოგადოებაში მეთვალყურეობის ქვეშ მოქცეულ დამნაშავეებს.

დაბრკოლებები

2012 წელს, ნაციონალური მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაკეთდა მოხსენება, „*მეცნიერების სამხილად გამოყენება კანონმდებლობაში*“. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ „მეცნიერება არ არის ერთადერთი ცნობიერების წყარო, რაც კანონმდებლობის არგუმენტად გამოიყენება - მოსაზრებები, გამოცდილება, წარსული შეცდომები, ანალოგიები და პირადი, პოლიტიკური მტკიცებულებები, აგრეთვე გამოიყენება კანონმდებლობის არგუმენტებად“. ინსტიტუტში გამალებით ვამტკიცებდი, რომ მეცნიერებას კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ადგილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ პოლიტიკური სიტუაცია, ფინანსური შეზღუდვა და პრიორიტეტები დიდ როლს ასრულებს ყველა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე.

ბიუჯეტი

პირდაპირ გეტყვით - მე ძალზედ გულუბრყვილო ვიყავი სახელმწიფო დაფინანსების პროცესთან დაკავშირებით. არ ველოდებოდი, რომ ასე ძალიან გავიხლართებოდი ბიუჯეტის საკითხებში, მაგრამ ეს იყო ჩემი სამსახურის მთავარი ნაწილი. ყოველწლიურმა ფედერალურმა ბიუჯეტმა ყველაზე დიდი სტრესი და ნერვიულობა მომაცენა. ჩემს პირველ ფისკალურ წელს ინსტიტუტში (ოქტომბრიდან სექტემბრის ჩათვლით), ჩვენ გვქონდა მიმდინარე ხელშეკრულება, რომელიც დაფინანსებას შუა აპრილამდე გვამლევდა. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავდა, რომ არ ვიცოდი ნამდვილად დაფინანსების რა რაოდენობა შეგვეძლო წარგვედგინა მკვლევართა საზოგადოებისათვის 2011-ის ფისკალურ წელს. აგრეთვე, არ ვიცოდი, თუ რა იქნებოდა ჩვენი ბიუჯეტი 2012 წლის ფისკალურ წელს, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო. 2011 წლის მარტში, მე შევიტყვე „შემოდგომის მოხსენების“ შესახებ, როდესაც მომთხოვეს ჩემი 2013 ფისკალური წლის გეგმების გაზიარება. მე ვუთხარი, რომ 2011 წლის და 2012 წლის ფისკალური წლის ბიუჯეტიც კი არ ვიცი, 2013 წლის ფისკალური წელი როგორ უნდა დავგეგმო- მეთქი? მე მითხრეს: "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მთავრობაში!"

კიდევ რა დაბრკოლებები მქონდა ინსტიტუტში?

კონკურენტული პრიორიტეტები

ქვეყნის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, გენერალურ პროკურორს, კონგრესს, ყველას თავისი პრიორიტეტები და ინტერესები აქვთ. ამ ყველაფრის შედეგია, რომ თანხები, რომლებიც კვლევის კონკრეტულ სფეროებში არის გადამისამართებული - კონგრესის, იუსტიციის დეპარტამენტის და/ან თეთრი სახლის მიერ. მაგალითად, 2014 წლის ფისკალურ წელს, ასიგნირების დეპარტამენტმა დაავალა ინსტიტუტს, რომ დაეხარჯათ 4 მილიონი დოლარი შინაგანი რადიკალიზაციის კვლევაზე. ეს არის პროცესი, რომლითაც ა.შ.შ.-ს მოქალაქეები ხდებიან აგრესიული ექსტრემისტები და ცდილობენ ჩაატარონ ტერორისტული აქტები ქვეყანაში და მის გარეთ. ასევე, 2014 წლის ფისკალურ წელს სენატის ასიგნირების დეპარტამენტმა დაავალა ინსტიტუტს დაეხარჯა 2 მილიონი დოლარი

იარაღის უსაფრთხოების ტექნოლოგიებზე. ასეთი პირდაპირი მოთხოვნები კონკრეტული სფეროების დაფინანსებისთვის ხდება ფაქტიურად ყოველ წელს.

დროის შეზოგვა

მეცნიერებს დრო სჭირდებათ, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოები დიდხანს ვერ მოიცდიან. მათ უნდა იმუშავონ მაშინვე, ხშირად კრიზისის საპასუხოდ. როდესაც მოხდა სენდი ჰუკის საბავშვო ბაღის ტრაგედია ქალაქ ნიუტაუნში, შტატ კონექტიკუტში, ინსტიტუტმა პასუხი გასცა რამოდენიმე მოთხოვნას კონგრესიდან, იუსტიციის დეპარტამენტიდან, თეთრი სახლიდან ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულების შესახებ. მე მოთხოვეს, რომ თვალი გადამევლო შემოთავაზებისთვის, რომელიც წარდგენილი იყო სახელმწიფოს უსაფრთხოების დეპარტამენტისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სერვისების მიერ და მოუწოდებდა იმისკენ, რომ ქვეყნის სკოლებიდან გათავისუფლებულიყვნენ სკოლის მანდატურები. როდესაც მე ვიკითხე არის თუ არა რაიმე დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ აღნიშნული სკოლაში მომხდარ სისასტიკის დონეს დააქვეითებს, მე მითხრეს: „ჯონ, კარგი შეკითხვაა, მაგრამ ჩვენ ახლა პასუხები გვჭირდება და არა შეკითხვები“.

დამამტკიცებელი საბუთების სიმცირე

სისხლის სამართლის შესაფასებელ კვლევაში არის რამდენიმე კვლევა, რომელიც იყენებს შემთხვევითობის პრინციპით კონტროლირებად ექსპერიმენტებს, ამიტომ შერჩევის საკითხები საკმაოდ პრობლემატურია. კვლევები, როგორც წესი, ერთ ადგილას არის ჩატარებული, როგორც კი გამოჩნდება დადებითი შედეგები, მაშინვე ხდება დიდი ზეწოლა იმაზე, რომ მასშტაბი გაიზარდოს. როგორც კი შემოვიდა შედეგები ინსტიტუტის მიერ დაფინანსებულ ერთ-ერთ კვლევაზე, ცხადი გახდა, რომ რეციდივიზმის დონე დაქვეითდა. ინსტიტუტმა მიიღო რეკომენდაცია კონგრესისგან, რომ მსგავსი კვლევა ორმოცდაათივე შტატში განეხორციელებინა. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართალი სუსტი მონაცემებით არის სავსე, მაგალითად, ოფიციალური ადმინისტრაციის ჩანაწერები არ არის შესაფერისი კვლევისთვის და დაკარგული მონაცემები დიდი პრობლემაა.

დასკვნა

როგორც ინსტიტუტის დირექტორს, მე მომეცა საშუალება, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ შეიძლება მიეცეს ადამიანს. კერძოდ ის, რომ სისხლის სამართლის კვლევისა და პრაქტიკის გაერთიანებისთვის გზა მიმეცა. მართალია, უყურადღებოდ არ უნდა იქნეს დატოვებული ამ საქმის განსახორციელებლად არსებული ზემოთ აღნიშნული დაბრკოლებები, თუმცა ფაქტია - თეორია, კვლევა, პრაქტიკა და კანონმდებლობა ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული, რათა ეფექტიანი იყოს საქმიანობა დანაშაულის გახსნის, სამართლის გავრცელებისა და საზოგადოების უსაფრთხოების საქმეში, რისთვისაც მნიშვნელოვანია სოციალურ და სამართლებრივ მეცნიერებებზე დაყრდნობა, დანაშაულის ძირითადი თვისების, დანაშაულის მიზეზისა და შედეგის კვლევა. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ჩვენ გვჭირდება მეტი მეცნიერ-მკვლევარები მთავრობაში. ჩვენი ხმა აუცილებელია და ამას ყველამ მხარი უნდა დაუჭიროს, საბოლოო ჯამში კი, წახალისოს. მე მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს კრიმინოლოგიის და სისხლის სამართლის სფეროებში, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერებს - „გთხოვთ ჩაერთოთ!“

Current Challenges in the Field of Criminal Research: The Experiences of the European Union

Professor, Dr. Karol Karski (Poland) - *European Parliament; University of Warsaw; Georgian Academy of Criminology Sciences.*

Keywords: European Union, Criminal, Experience

As you are all aware the problem, we are currently facing in the area of Criminal Research is so complex and huge that we need to gather a wide range of experts with knowledge that reaches beyond the traditional criminal tools which we know well from the past.

The 21st Century world is increasingly dependent on digital infrastructures, Technologies and online systems that open doors to new businesses, products and services but which, at the same time, rapidly change the security threat landscape. The criminal environment is constantly evolving. On the one hand, technological development brings fresh opportunities for people, and offers new tools for law enforcement and judicial systems; but, on the other hand, it also brings an easy platform for criminals and emerging threats. That is why both judicial and enforcement authorities have to react swiftly to identify new trends and respond to new developments¹.

Today's criminal policy and criminal justice are heavily impacted by an increasingly interconnected world. Global networks are not limited any more to communications, economic relations or exchange of information, but contribute to the intensive development and evolution of international organized crime as well. The current issues of insecurity, crime and its growth have to be seen in the context of internationalisation, globalisation and accelerated interlinking. Criminal justice systems face the challenges of digitalisation and have to interact with other administrative and legal orders.

With regard to the above aspect, crime research requires a multi-disciplinary approach and a robust, intelligence-led response. Researchers will need to have access to new tools, and must develop new skills as they pioneer new investigative techniques. While perpetrators are increasingly ruthless and methodical in their modus operandi, it is essential to be at the forefront of law enforcement innovation and research².

We all agree that cybercrime remains a global challenge. During the last two years, the Coronavirus has transformed many aspects of our daily life and moved the world online. Criminals have increased their operational security by hiding their online activity, using more secure communication channels. Moreover, the Covid crisis has increased the potential for more sophisticated and hybrid attacks encompassing a wide range of new methods: disinformation campaigns, cyber-attacks, espionage, promotion of irregular migration, manipulation of

¹ Communication from the Commission to the European Parliament, the European Council, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on the EU Security Union Strategy, Brussels, 27 July 2020, COM/2020/605 final, pp. 3, 10-11.

² Legislation: EU Level, "Cybercrime Judicial Monitor" 2021, No. 6, European Union Agency for Criminal Justice Cooperation (Eurojust), pp. 3-5.

international law, deployment of irregular armed groups and conventional forces, terrorism, economic pressure and energy dependence¹.

Following my remarks on the multi-disciplinary approach to crime research, I believe that to solve problems it is essential to establish networks of experts and bring professionals with different skills from different sectors together, including industry, civil society, international organisations, academia, and law enforcement. Linking all players in the public and private sectors could bring tangible benefits to this area.

Secondly, because technical sophistication has made possible quicker and easier Access to skills, knowledge and operational expertise, it is essential to have technically skilled officers who can adequately tackle criminality, and especially cyber-criminality. For instance, in the field of child sexual exploitation more advanced technical solutions are needed to increase victim identification.

Furthermore, in my view crime research has to focus on data analysis tools and timely access, processing and decryption of data for lawful undercover work. The same goes for research and analysis of digital evidence, which is at the heart of the majority of investigations. Here as well it is necessary to ensure an adequate level of skills in the field of criminal procedure, tactics and techniques for digital investigation or digital forensics. It has been estimated that in the EU electronic information and evidence is needed in about 85% of investigations into serious crimes, while 65% of the total requests go to providers based in another jurisdiction².

In fact, nowadays the most challenging issues for crime research are new technologies, the increasing sophistication of crime, and the vast quantities and different types of data. It is therefore necessary to invest in and actively pursue new solutions. Innovation must be seen as a strategic necessity when meeting current threats and anticipating future risks³.

Keeping in mind all the various aspects, I would like to share with you some thoughts and experiences developed in the EU.

Under different EU programmes, the European Commission offers funding for EU projects in the area of civil and criminal matters and in fighting crime and terrorism more effectively, particularly through better prevention of criminal acts and enhanced investigation capabilities, notably as concerns cybercrime. Horizon Europe, the Internal Security Fund, the Integrated Border Management Fund, the EU Invest Programme, the European Regional Development Fund and the

¹ Juan Pablo Villar García, Carlota Tarín Quirós, Julio Blázquez Soria, Carlos Galán Pascual, Carlos Galán Cordero, Strategic communications as a key factor in countering hybrid threats, Study, Panel for the Future of Science and Technology, European Parliamentary Research Service, Brussels 2021, p. 3.

² COM/2020/605 final, pp. 12; *Commission Staff Working Document Impact Assessment: Accompanying the document: Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on European Production and Preservation Orders for electronic evidence in criminal matters and Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council laying down harmonised rules on the appointment of legal representatives for the purpose of gathering evidence in criminal proceedings*, Brussels, 17 April 2018, SWD(2018) 118 final, p. 258.

³ COM/2020/605 final, pp. 24.

Digital Europe Programme are all cited as offering support for “the development and deployment of innovative security technologies and solutions along the security value chain”¹.

The EU has spent almost €3 billion in funding over 600 projects related to security research since 2007 “to drive technology and knowledge in support of security solutions”. The EU is currently exploring the possible establishment of a European Innovation hub for internal security, as part of its review of Europol’s mandate that would “seek to deliver common solutions to shared security challenges and opportunities, which Member States might not be able to exploit alone”. In addition, the EU Space programme contributes to the security of the Member States through the services it offers². These are just some of the ways that the EU is playing its part within the broad coalition of actors and experts that is essential in driving innovation in the security field to tackle the new challenges we face.

.

¹ *Ibidem*.

² *Ibidem*, pp. 24-25.

სისხლის სამართლის სფეროში გამოძიების პროცესში ახალი ცვლილებები: ევროკავშირის გამოცდილება

პროფესორი, დოქტორი კაროლ კარსკი (*პოლონეთი*) - ევროპარლამენტის პრეზიდიუმის წევრი; ვარშავის უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, სისხლის სამართალი, გამოცდილება

ყველას მოგეხსენებათ, განსახილველი პრობლემა, რომელიც ჩვენ წინაშეა წარმოადგენს კრიმინალური კვლევისათვის ერთ-ერთი კომპლექსურ საკითხს. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა გამოცდილი და მცოდნე ექსპერტთა ფართო სპექტრის შეკრება, რომელიც გასცდება ტრადიციულ კრიმინალურ ინსტრუმენტებს, ეს ჩვენ წარსულიდან კარგად ვიცით. 21-ე საუკუნის სამყარო სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, ტექნოლოგიებზე და ონლაინ სისტემებზე, რომლებიც კარს აღებენ ახალი ბიზნესებისთვის, პროდუქტებისა და სერვისებისთვის. თუმცა, ამავდროულად, ეს ყველაფერი ასევე სწრაფად ცვლის უსაფრთხოების ლანდშაფტს, რაც გარკვეულწილად საფრთხის შემცველია. კრიმინალური გარემო მუდმივად ვითარდება. ერთი მხრივ, ტექნოლოგიურ განვითარებას ახალი შესაძლებლობები მოაქვს ადამიანებისთვის და გვთავაზობს ახალ გამოწვევებს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემებისათვის, მეორე მხრივ, ეს ინსტრუმენტები წარმოადგენს მარტივ პლატფორმას, როგორც კრიმინალებისათვის, ისე ახალი საფრთხეებისათვის, ამიტომ, როგორც სასამართლო, აღმასრულებელმა ორგანოებმა უნდა მოახდინოთ სწრაფი რეაგირება ახალი ტენდენციების გამოსავლენად, რათა სწრაფი რეაგირება შევძლოთ ახალ მოვლენებზე¹.

დღევანდელ კრიმინალურ პოლიტიკაზე და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე უდიდეს გავლენას ახდენს მზარდი ურთიერთდაკავშირებული სამყარო. გლობალური ქსელები აღარ შემოიფარგლება მხოლოდ კომუნიკაციებით, ეკონომიკური ურთიერთობებით და/ან ინფორმაციის გაცვლით, მაგრამ ხელს უწყობს საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის ინტენსიურ განვითარებას. აქტუალურ საკითხებს წარმოადგენს სწორედ დაუცველობისა და კრიმინალის ზრდა. ეს უნდა განიხილებოდეს ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის კონტექსტში. სისხლის სამართლის სისტემა დგას ამგვარი გამოწვევის წინაშე, რაც უკავშირდება სხვა ადმინისტრაციულ და იურიდიულ ბრძანებებს.

ზემოაღნიშნულ ასპექტთან მიმართებით, დანაშაულის კვლევა მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას და ძლიერი დაზვერვის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას. მკვლევარებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ამ ახალ ინსტრუმენტებზე, რათა მათ განავითარონ ახალი უნარები. მკვლევარები არ უნდა იყვნენ პიონერები ახალი საგამოძიებო ტექნიკით, მაშინ როცა დანაშაულები სულ უფრო დაოუნდობლები და მეთოდურები არიან თავიანთ

¹ Communication from the Commission to the European Parliament, the European Council, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on the EU Security Union Strategy, Brussels, 27 July 2020, COM/2020/605 final, pp. 3, 10-11.

მოდუსში. აუცილებელია, მკვლევარები ვიყოთ სამართალდამცავი ინოვაციებისა და კვლევების სათავეში¹².

ჩვენ ყველა ვთანხმდებით, რომ კიბერდანაშაული კვლავ გლობალურ გამოწვევად რჩება. ბოლო ორი წლის განმავლობაში კორონავირუსმა შეცვალა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მრავალი ასპექტი და მსოფლიო ონლაინ რეჟიმში გადაიყვანა. კრიმინალებმა გაზარდეს თავიანთი ოპერატიული უსაფრთხოების სისტემა ონლაინ აქტივობების დამალვით, ვინაიდან ისინი იყენებენ უსაფრთხო საკომუნიკაციო არხებს. უფრო მეტიც, კოვიდ კრიზისმა საფუძველი ჩაუყარა უფრო მეტად დახვეწილ და მაღალი პოტენციალის მქონე ჰიბრიდულ შეტევებს, ასეთი შეტევები მოიცავს ახალი მეთოდების ფართო სპექტრს: დეზინფორმაციული კამპანიები, კიბერშეტევები, ჯაშუშობა, არაღელვარებითი მიგრაციის ხელშეწყობა, საერთაშორისო სამართლით მანიპულირება, არაღელვარებითი შეიარაღებული დაჯგუფებებისა და ჩვეულებრივი ძალების განლაგება, ტერორიზმი, ეკონომიკური ზეწოლა და ენერგეტიკული დამოკიდებულება².

დანაშაულის შესწავლის მულტიდისციპლინური მიდგომის მიხედვით, რომელსაც მე გთავაზობთ, იმისათვის, რომ ეს პრობლემა გადაჭრათ აუცილებელია ექსპერტთა ქსელების შექმნა და პროფესიონალი კადრების მოყვანა სხვადასხვა სექტორებიდან. მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციები, აკადემია და სამართალდამცავი ორგანოები, თუკი საზოგადოების ამ წევრებს ერთმანეთთან დავაკავშირებთ, კერძო სექტორი შეძლებს სარგებელი მოუტანოს ამ სფეროს.

მეორე მხრივ, ვინაიდან ტექნიკურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა უფრო სწრაფი და მარტივი წვდომა უნარებზე, ცოდნასა და ოპერატიულ შესაძლებლობებზე, აუცილებელია ამ მიმართულებით გამოცდილი ოფიცრების მოძიება. მათ შეუძლიათ ადეკვატურად გაუმკლავდნენ კრიმინალს და განსაკუთრებით კიბერდანაშაულს. მაგალითად, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის სფეროში მსხვერპლის იდენტიფიკაციისათვის საჭიროა მეტი ტექნიკური გადაწყვეტილებები იმისათვის, რომ მოხდეს მსხვერპლის იდენტიფიკაციის გაზრდა.

გარდა ამისა, ჩემი აზრით, დანაშაულის კვლევა ფოკუსირებული უნდა იყოს მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტებზე და დროულ წვდომაზე, რათა კანონიერი გზით მოხდეს ფარული სამუშაოებისთვის მონაცემთა დამუშავება და გაშიფვრა. იგივე ეხება კვლევას და ციფრული მტკიცებულებების ანალიზს, რაც გამოძიების ცენტრია. აქაც აუცილებელია სისხლის სამართლის სფეროში კვალიფიკაციის ადეკვატური დონის უზრუნველყოფა, როგორც ციფრული გამოძიების, ისე ციფრული სასამართლო პროცედურების, ტაქტიკისა და ტექნიკის შემუშავება. დადგენილია, რომ ევროკავშირში ელექტრონული ინფორმაცია და მტკიცებულებები საჭიროაა დაახლოებით 85%-ში სერიოზული დანაშაულების

¹ Legislation: EU Level, “Cybercrime Judicial Monitor”2021, No. 6, European Union Agency for Criminal Justice Cooperation (Eurojust), pp. 3-5.

² Juan Pablo Villar García, Carlota Tarín Quirós, Julio Blázquez Soria, Carlos Galán Pascual, Carlos Galán Cordero, Strategic communications as a key factor in countering hybrid threats, Study, Panel for the Future of Science and Technology, European Parliamentary Research Service, Brussels 2021, p. 3.

გამოიძებნას, ხოლო მთლიანი მოთხოვნების 65% მიდის სხვა იურისდიქციის პროვაიდერებზე¹.

ფაქტობრივად, დღესდღეობით დანაშაულის კვლევის ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიები, დანაშაულის მზარდი დახვეწილობა, დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტიპის მონაცემები. შესაბამისად, აუცილებელია ახალი ინვესტიციები გადაწყვეტილებების კუთხით და მათი აქტიურად გატარება. ინოვაციები უნდა განიხილებოდეს, როგორც სტრატეგიული აუცილებლობა, მაშინ როდესაც ჩვენ ვდგავართ ახალი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა მიმდინარე საფრთხეები და მაშინ, როდესაც ჩვენ ვპროგნოზირებთ სამომავლო რისკებს².

ყველა სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, მსურს გაგიზიაროთ რამდენიმე აზრი და ევროკავშირში განვითარებული გამოცდილება.

ევროკავშირი სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ევროკომისიას სთავაზობს დააფინანსოს ევროკავშირის პროექტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებში. კერძოდ, დანაშაულთან და ტერორიზმთან უფრო ეფექტურად ბრძოლის, განსაკუთრებით დანაშაულებრივი ქმედებების უკეთესი პრევენციისა და კიბერდანაშაულთან დაკავშირებული პროექტები. ჰორიზონტი ევროპა, შიდა უსაფრთხოების დონტი, ინტეგრირებული საზღვრის მართვის ფონდი, ევროკავშირის საინვესტიციო პროგრამა, ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი და ციფრული ევროპის პროგრამა. ისინი მოხსენიებულია როგორც მხარდაჭერის შემთავაზებული „განვითარებისათვის და უსაფრთხოების ინოვაციური ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების დანერგვა უსაფრთხოების ჯაჭვში“³.

2007 წლიდან ევროკავშირმა თითქმის 3 მილიარდი ევრო დახარჯა 600-ზე მეტი პროექტის დასაფინანსებლად, რომლებიც ეხებოდა უსაფრთხოების კვლევებს „ტექნოლოგიისა და ცოდნის გასაძლიერებლად უსაფრთხოების მიზნებისთვის“. ამჟამად, ევროკავშირი იკვლევს შიდა უსაფრთხოების ევროპული საინოვაციო ცენტრის შესაძლო შექმნის შესაძლებლობას, როგორც ევროპოლის მანდატის მიმოხილვის ნაწილს. საინოვაციო ცენტრი შეეცდება საერთო უსაფრთხოების ერთობლივ გამოწვევებთან გამკლავებას და ახალი შესაძლებლობების მიგნებას (გადაწყვეტილებების მიღება), რაც ვერ შეძლეს წევრმა სახელმწიფოებმა. გარდა ამისა, ევროკავშირის კოსმოსური პროგრამა ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოების

¹ COM/2020/605 final, pp. 12; Commission Staff Working Document Impact Assessment: Accompanying the document: Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on European Production and Preservation Orders for electronic evidence in criminal matters and Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council laying down harmonised rules on the appointment of legal representatives for the purpose of gathering evidence in criminal proceedings, Brussels, 17 April 2018, SWD(2018) 118 final, p. 258.

² COM/2020/605 final, pp. 24.

³Ibidem

უსაფრთხოებას, შემოთავაზებული სერვისის გამოყენებით¹, ეს არის მხოლოდ რამდენიმე გზა, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს ექსპერტთა ფართო კოალიციაში, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ გაატარო ინოვაცია უსაფრთხოების სფეროში ახალი გამოწვევების დასაძლევად.

¹ Ibidem, pp. 24-25.

Where is Russian criminology going?

Professor, Dr. Vitali Kvashis (Russia) - *Honored Scientist of the Russian Federation; Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: Russia, Criminology, Problems

In recent years, I have published several works on the state of affairs in Russian criminology. Speaking about the origins and symptoms of her illness, I did not make a diagnosis, did not offer recipes, but the essence of my judgments was closer to the requiem. Indeed, we live in a world where nothing is perfect. To say that we live in a world disfigured by legal nihilism is to confine ourselves to a "common place" and camouflage the peculiarities of our legal culture, social and criminological situation. Our legal regime has long since passed from a state of turbulence to a rapidly accelerating degradation, where the legal space is increasingly shrinking, and the irrational crowds out the rational. The vector of development of legislation is becoming more repressive, and the "territory of common sense" is shrinking more and more noticeably.

The last 10 years have been a time that especially strongly recoded the consciousness and psychology of many people, their worldview and self-awareness. Propaganda masters have successfully worked to disunite and corrupt society. Therefore, now we live against the backdrop of the bacchanalia of the Lilliputians - both human, and scientific, and political, and cultural.

They say that the XXI century is the century of the death of morality, the century of the death of humanity. People become rude, hardened, lose their soulfulness, society is overflowing with anger and hatred. Against this background, it is especially noticeable that the concepts of "humanity", "justice", "mercy", etc. have left the current everyday vocabulary altogether. In general, like Ostrovsky - "cruel, sir, manners in our city."

The palette of the absurdity of everyday life is endless, and the latest legislative innovations, more and more reminiscent of shafts, make the psychological atmosphere in society more difficult, sow despair and fear. Legislators recently came up with a retroactive rule of one of the most recent repressive laws in a show of blatant contempt for law and common sense. Now you can issue any laws, you can cancel all laws, you can do anything ...

It has been noted many times that criminology, like any other science, has, among other things, a human dimension. To put it simply, science is done by people, especially large figures, who significantly advance scientific knowledge. Unfortunately, our criminology lost almost all of its leaders almost simultaneously; being orphaned, she did not even stiffen in the state in which she was left, but began to rapidly degrade. Most of the current research has been transformed either into an elementary sociology of current changes in crime, or has replaced the development of emerging problems with comparative material.

Against the background of the foregoing, the future of Russian criminology for many reasons seemed (and still seems) very problematic to me. Sometimes I even called this future Fata Morgana. Indeed, it is difficult to predict the future of science when education and science are being pulled back with all their might. The optimistic scenario of the development of criminology is actually

difficult to see, especially since, as one optimist noted, it is never so bad that it does not get worse. Well, when the law and the law are turned off, then even moderate optimism looks unjustified (in hydrogen sulfide, as you know, flowers do not grow). Therefore, some provisions in my publications on this topic were of a funeral nature and were more like a requiem. The way out of criminology from its comatose state, as it seemed to me, lies on the paths of cooperation and integration with world criminology, fortunately, science is international in nature. But this path is today recognized as unacceptable, because it runs counter to the course of self-isolation; cooperation and integration into international knowledge is no longer our *modus operandi*. It turns out that that optimist was right. Against this background, domestic criminology now looks much like infantile, divorced not only from the methodological foundations of science, but also from the achievements of world criminology.

The modern criminological community can be divided into two quantitatively unequal parts, between which there is a huge gap and the absence of any connections; in fact, they are autonomous and each of these parts has its own life. At one extreme there is the bulk of those who, for various reasons, are engaged in criminological research, different in goals, objectives, in scale and, of course, in their level. This category is formed mainly by relatively young people (25–45 years old) who have received a law degree. For many reasons, this group is a consequence of the encapsulation of a new, quasi-scientific environment, which is characterized by massiveness and impersonality, where the ability to adapt, manipulate and produce scientific counterfeit is most often manifested. This is the result of a number of negative processes accompanying changes in society, including in science, education and culture.

Despite the challenges of the time, most research is carried out in the traditional paradigm of Russian criminology of the 80s of the last century, the methodology and methodology of which were built statically, without taking into account the ongoing and upcoming qualitative changes in society due to the progress of science and technology. The rapid development of technology, the Internet and other technical means have greatly facilitated access and accelerated the acquisition of information. But these processes at the same time reduced the general intellectual level, scientific and legal culture, changed the psychology and interests of young people, discouraged them from the desire to independently comprehend knowledge and creativity.

This trend is largely due to the excessive bureaucratization of education and science management, absurd and destructive attitudes towards accounting for formal indicators, which gave rise to the pursuit of the number of publications, citation indices, etc., excluding the already extinct desire for creativity. The bureaucratization of education and science gave rise to a host of other painful problems that led to a sharp decline in the quality of education; it created the basis for quasi-science, when amateurs and imitators who did not know the basics of the subject, did not know the methodology and methodology of research, came to the fore. They are distinguished by superficial analysis, incompetence, incorrect use of basic concepts of science, misunderstanding of complex relationships between phenomena, formulation of banal, legally illiterate conclusions that compromise criminology as a science [1]. In many ways, this is an imitation, or rather, a profanation of science [2]. Among young criminologists, there is an increasingly noticeable detachment from

the foundations of law; they do not keep up with the changes in the course of the "improvement" of legislation and do not see the prospects for the implementation of criminological material.

The reasons for this situation, as already noted, are many - these are the costs of legal education, generated, among other things, by the transition to the European system of education, and the shortcomings of personnel policy, and the disdainful attitude towards criminological science on the part of the authorities, etc. the main thing is that the value of humanitarian knowledge turned out to be ousted to the periphery of public demand, in the absence of demand for criminology by the state and society. As a result, legal education found itself on the margins of humanitarian knowledge, and criminology - on the margins of legal education.

At the other extreme, there is a small group of well-known criminologists, with quantitatively equal categories "70+" and especially notable "80+". Here are their own disease processes and symptoms of the disease. The "cultural immunodeficiency syndrome" that struck society could not bypass criminology and the representatives of this science. About what and how it manifests itself, it is described in detail in the work "On the past and the present" [3]. In this Jurassic park, you can find amazing revelations from people of authority; I sometimes lack medical education to assess their "discoveries". In the twilight state of one of them, for example, the idea has matured to use in criminology and in the practice of crime prevention ... esotericism [4]. Among some especially venerable scientists, one can notice messianic ideas about their place and their role in science. This inadequacy of some of the celestials allows them to either broadcast common truths, or amaze the reader, to put it mildly, with very strange revelations. Maybe they really moved to another level, went into space, into the astral plane and now communicate only with the gods? ...

Criminology, like much else in society, is a child of context. The futurism of criminology looks very fragmented and, as already noted, clearly not optimistic. Its theoretical horizons are narrowing, the brand of Russian criminology is dying. In addition to all that has been said, today the trouble of domestic criminology is also in the absence of living, scientifically grounded thought, competition and criticism, in the absence of a market for new ideas. Maybe that's why there is no state or public demand for criminological knowledge.

References:

1. Kvashis V.E. Problems of the quality of criminological research: the origins and symptoms of the disease Journal of Russian law, 2018, No. 6
2. Kleimenov M.P., Kleimenov I.M. Profanation of criminology // Criminological journal of the Baikal State University, 2010, №2
6. Kvashis V.E. About the past and the present. Memories and Reflections // Selected Works on Criminal Law and Criminology. 3rd add. ed., St. Petersburg, Legal Center, 2021
4. Nomokonov V.A., Sudakova T.M. Criminology of the Future: Positive Criminology? Lex Russica, 2018, No. 9

საით მიემართება რუსული კრიმინოლოგია?

პროფესორი, დოქტორი ვიტალი კვაშისი (რუსეთი) - *რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;*

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, კრიმინოლოგია, პრობლემები

ბოლო წლებში გამოვაქვეყნე რამდენიმე ნაშრომი რუსულ კრიმინოლოგიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მისი ავადმყოფობის წარმომავლობასა და სიმპტომებზე საუბრისას, მე არ დავსვი დიაგნოზი, არ შევთავაზე რეცეპტები, მაგრამ ჩემი განსჯის არსი უფრო ახლოს იყო რეკვიმთან. მართლაც, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც არაფერია სრულყოფილი. იმის თქმა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იურიდიული ნიჰილიზმით დამახინჯებულ სამყაროში, ნიშნავს „საერთო ადგილით“ შემოფარგვლას და ჩვენი სამართლებრივი კულტურის, სოციალური და კრიმინოლოგიური მდგომარეობის თავისებურებების შენიღბვას. ჩვენი სამართლებრივი რეჟიმი დიდი ხანია გადავიდა ტურბულენტური მდგომარეობიდან სწრაფად მზარდ დეგრადაციამდე, სადაც იურიდიული სივრცე სულ უფრო მცირდება და ირაციონალური ბრბოს რაციონალურს. კანონმდებლობის განვითარების ვექტორი სულ უფრო რეპრესიული ხდება და „სადი აზრის ტერიტორია“ სულ უფრო შესამჩნევად მცირდება.

ბოლო 10 წელი იყო დრო, რომელმაც განსაკუთრებით ძლიერად შეცვალა მრავალი ადამიანის ცნობიერება და ფსიქოლოგია, მათი მსოფლმხედველობა და თვითშეგნება. პროპაგანდის ოსტატები წარმატებით მუშაობდნენ საზოგადოების გასახლეჩად და გასაყვრნელად. ამიტომ, ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ ლილიპუტების ვათხანალიის ფონზე - როგორც ადამიანური, ასევე სამეცნიერო, და პოლიტიკური ისე კულტურული.

ამბობენ, რომ XXI საუკუნე - მორალის სიკვდილის საუკუნეა, კაცობრიობის სიკვდილის საუკუნე. ადამიანები უხეშდებიან, სასტიკდებიან, კარგავენ სულიერებას, საზოგადოება გადამეტებულია ბოროტებითა და სიძულვილით. ამ ფონზე განსაკუთრებით შესამჩნევია ცნებებმა „ადამიანობა“, „სამართლიანობა“, „წყალობა“ და ა.შ. საერთოდ დატოვეს დღევანდელი ყოველდღიური ლექსიკა. ზოგადად, ოსტროვსკის მსგავსად - "ბატონო, ჩვენს ქალაქში სასტიკი ცხოვრების წესია".

ყოველდღიური ცხოვრების აბსურდულობის პალიტრა უსასრულოა და უახლესი საკანონმდებლო სიახლეები, ართულებს საზოგადოებაში არსებულ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, თესავს სასოწარკვეთას და შიშს. კანონმდებლებმა ცოტა ხნის წინ მოიფიქრა ნორმა ერთ-ერთი უახლესი რეპრესიული კანონის უკუმაღლის შესახებ, სამართლისა და სადი აზრის მიმართ აშკარა ზიზღის გამოსახატად. ახლა თქვენ შეგიძლიათ გამოსცეთ ნებისმიერი კანონი, შეგიძლიათ გააუქმოთ ყველა კანონი, შეგიძლიათ გააკეთოთ ყველაფერი ...

მრავალჯერ აღინიშნა, რომ კრიმინოლოგიას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, ადამიანური განზომილება. მარტივად რომ ვთქვათ, მეცნიერებას აკეთებენ ადამიანები, განსაკუთრებით დიდი მოღვაწეები, რომლებიც საგრძნობლად აწინაურებენ მეცნიერულ ცოდნას. სამწუხაროდ, ჩვენმა კრიმინოლოგიამ თითქმის ერთდროულად დაკარგა თითქმის

ყველა წინამძღოლი; დაობლებული, ის კი არ აღმოჩნდა იმ მდგომარეობაში, რომელშიც დატოვეს, არამედ სწრაფად დაიწყო დეგრადაცია. მიმდინარე კვლევების უმეტესობა გარდაიქმნა ან დამნაშავეობაში მიმდინარე ცვლილებების ელემენტარულ სოციოლოგიად,

ზემოაღნიშნულის ფონზე, რუსული კრიმინოლოგიის მომავალი მრავალი მიზეზის გამო მეჩვენებოდა (და ახლაც მეჩვენება) საკმაოდ პრობლემატურად. ხანდახან ამ მომავალს ფატა მორგანას ვეძახდი კიდეც. მართლაც, რთულია მეცნიერების მომავლის პროგნოზირება, როდესაც განათლება და მეცნიერება მთელი ძალით უკან წარსულში გექაჩება. კრიმინოლოგიის განვითარების ოპტიმისტური სცენარი რეალურად ძნელი დასანახია, მით უმეტეს, რომ, როგორც ერთ-ერთმა ოპტიმისტმა აღნიშნა, არასდროს არის ისეთი ცუდი, რომ არ გაუარესდეს. ისე, როცა კანონი და სამართალი გამოთიშულია, მაშინ ზომიერი ოპტიმიზმიც კი გაუმართლებელი ჩანს. (მოგეხსენებათ, ყვავილები წყალბადის სულფიდში არ იზრდება). ამიტომ, ჩემს პუბლიკაციებში ამ თემაზე ზოგიერთი დებულება დაკრძალვის ხასიათს ატარებდა და უფრო რეკვიემს ჰგავდა. კრიმინოლოგიიდან გამოსავლა კომატოზური მდგომარეობიდან, როგორც მომეჩვენა, მსოფლიო კრიმინოლოგიასთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის გზებზეა, საბედნიეროდ, მეცნიერება საერთაშორისო ხასიათს ატარებს. მაგრამ ეს გზა დღეს მიუღებლად არის აღიარებული, რადგან ეწინააღმდეგება თვითიზოლაციის კურსს; თანამშრომლობა და ინტეგრაცია საერთაშორისო ცოდნაში აღარ არის ჩვენი *modus operandi*. გამოდის ის ოპტიმისტი მართალი იყო. ამ ფონზე, სამამულო კრიმინოლოგია ახლა ძალიან ჰგავს ინფანტილურს, განშორებულია არა მხოლოდ მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, არამედ მსოფლიო კრიმინოლოგიის მიღწევებს.

თანამედროვე კრიმინოლოგიური თანამეგობრობა შეიძლება დაიყოს ორ რაოდენობრივად არათანაბარ ნაწილად, რომელთა შორის არის უზარმაზარი უფსკრული და ყოველგვარი კავშირების არარსებობა; ფაქტობრივად, ისინი ავტონომიურები არიან და თითოეული ეს ნაწილი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. ერთ პოლუსზე - ძირითადი უმეტესობა, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო ეწევა კრიმინოლოგიურ კვლევებს, განსხვავებული მიზნებით, ამოცანებით, მასშტაბით და რა თქმა უნდა, დონით. ამ კატეგორიას ძირითადად ქმნიან შედარებით ახალგაზრდები (25-45 წლის), რომლებმაც მიიღეს იურიდიული განათლება. მრავალი მიზეზის გამო, ეს ჯგუფი არის ახალი, კვაზიმეცნიერული გარემოს კაფსულირების შედეგი, რომელიც ხასიათდება მასიურობითა და უპიროვნულობით, სადაც ყველაზე ხშირად ვლინდება ადაპტაციის, მანიპულირების და მეცნიერული გაყალბების წარმოების უნარი. ეს არის მთელი რიგი უარყოფითი პროცესების შედეგი, რომლებიც თან ახლავს საზოგადოებაში ცვლილებებს, მათ შორის მეცნიერებაში, განათლებასა და კულტურაში.

მიუხედავად დროის გამოწვევებისა, კვლევების უმეტესობა ტარდება გასული საუკუნის 80-იანი წლების რუსული კრიმინოლოგიის ტრადიციულ პარადიგმაში, რომლის მეთოდოლოგია და მეთოდიკა აგებული იყო სტატიკურად, საზოგადოებაში მიმდინარე და სამომავლოდ მოსალოდნელი თვისებრივი ცვლილებების გათვალისწინების გარეშე, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პროგრესით განპირობებული. ტექნოლოგიების, ინტერნეტისა და სხვა ტექნიკური საშუალებების სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წვდომას და დააჩქარა ინფორმაციის მოპოვება, მაგრამ ამ პროცესებმა ამავედროულად შეამცირა ზოგადი ინტელექტუალური დონე, სამეცნიერო და იურიდიული კულტურა,

შეცვალა ახალგაზრდების ფსიქოლოგია და ინტერესები, დაუკარგა ცოდნისა და შემოქმედების მისწრაფების დამოუკიდებლად გააზრების სურვილი.

მითითებული ტრენდი დიდწილად გამოწვეულია განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტის გადაჭარბებული ბიუროკრატიზაციით, ფორმალური ინდიკატორების აღრიცხვისადმი აბსურდული და დესტრუქციული დამოკიდებულებით, რამაც გამოიწვია პუბლიკაციების რაოდენობის, ციტირების ინდექსების ძიება და ა.შ. განათლებისა და მეცნიერების ბიუროკრატიზაციამ წარმოშვა მრავალი სხვა მტკივნეული პრობლემა, რამაც გამოიწვია განათლების ხარისხის მკვეთრი ვარდნა; მან შექმნა კვაზიმეცნიერების საფუძველი, როდესაც წინა პლანზე გამოჩნდნენ მდილეტანტები და მიბაძველები, რომლებმაც არ იცინ საგნის საფუძველები, არ ფლობენ კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკას. მათ გამოირჩევთ ზედაპირული ანალიზი, არაკომპეტენტურობა, არაკორექტულობა მეცნიერების საბაზისო ცნებების გამოყენება, მოვლენათა შორის რთული ურთიერთკავშირის გაუგებრობა, ბანალური, იურიდიულად გაუნათლებელი დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც კომპრომეტირებას უკეთებს კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას [1]. უმეტესწილად, ეს არის იმიტაცია, უფრო სწორად, მეცნიერების პროფანაცია [2]. ახალგაზრდა კრიმინოლოგებს შორის სულ უფრო შესამჩნევია სამართლის საფუძველებიდან ჩამოშორება; ისინი ვერ ეწევიან კანონმდებლობის „სრულყოფის“ კურსში განხორციელებულ ცვლილებებს და ვერ ხედავენ კრიმინოლოგიური მასალის განხორციელების პერსპექტივას.

შექმნილი სიტუაციის მიზეზები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრია - ეს არის იურიდიული განათლების ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება, სხვა საკითხებთან ერთად, განათლების ევროპულ სისტემაზე გადასვლით და საკადრო პოლიტიკის ხარვეზებით და კრიმინოლოგიური მეცნიერების უგულველყოფა ხელისუფლების მხრიდან და ა.შ. მთავარი ის არის, რომ ჰუმანიტარული ცოდნის ღირებულება საზოგადოებრივი მოთხოვნილების პერიფერიაზე განდევნილი აღმოჩნდა, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან კრიმინოლოგიაზე მოთხოვნის არარსებობის პირობებში. შედეგად, იურიდიული განათლება ჰუმანიტარული ცოდნის უკანა პლანზე აღმოჩნდა, კრიმინოლოგია კი – იურიდიული განათლების უკანა პლანზე.

მეორე პოლუსზე -არის ცნობილი კრიმინოლოგების მცირე ჯგუფი, რაოდენობრივად თანაბარი კატეგორიებით „70+“ და განსაკუთრებით აღსანიშნავი „80+“. აქ არის საკუთარი დაავადების პროცესები და დაავადების სიმპტომები. „კულტურული იმუნოდეფიციტის სინდრომმა“, რომელიც საზოგადოებას დაასნებოვნა, კრიმინოლოგიასა და ამ მეცნიერების წარმომადგენლებს გვერდი ვერ აუარა. იმის შესახებ, თუ რა და როგორ ვლინდება იგი, დეტალურად არის აღწერილი ნაშრომში „წარსულისა და აწმყოს შესახებ“ [3]. ამ იურიულ პარკში შეგიძლიათ იპოვოთ საოცარი გამოცხადებები ავტორიტეტული ადამიანებისგან; ზოგჯერ მათი „აღმოჩენების“ შესაფასებლად მე არ მყოფნის სამედიცინო განათლება. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანს ბინდის მდგომარეობაში, მოუმწიფდა იდეა, ეზოთერიკა გამოყენებულიყო კრიმინოლოგიაში და დანაშაულის პრევენციის პრაქტიკაში ... [4]. ზოგიერთ განსაკუთრებით პატივცემულ მეცნიერთა შორის შეიძლება აღინიშნოს მესიის წარმოდგენები მეცნიერებაში მათი ადგილისა და მათი როლის შესახებ. ცაზე მაცხოვრებელთა ნაწილის ეს არაადექვატურობა მათ საშუალებას აძლევს ან გაავრცელონ საერთო

ჭეშმარიტება, ან გააოცონ მკითხველი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უცნაური გამოცხადებებით. შესაძლოა, იქნებ მართლაც ისინი გადავიდნენ სხვა დონეზე, წავიდნენ კოსმოსში, ასტრალში და ახლა მხოლოდ ღმერთებთან ურთიერთობენ?...

კრიმინოლოგია, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ საზოგადოებაში, - კონტექსტის შვილია. კრიმინოლოგიის ფუტურისტიკა ძალიან ფრაგმენტულად გამოიყურება და როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშკარად არა ოპტიმისტურად. მისი თეორიული ჰორიზონტები ვიწროვდება, სამამულო (რუსული) კრიმინოლოგია კვდება. გარდა იმისა, რაც ითქვა, დღეს სამამულო კრიმინოლოგიის უბედურება არის ცოცხალი, მეცნიერულად დასაბუთებული აზრის, კონკურენციისა და კრიტიკის არარსებობა, ახალი იდეების ბაზრის არარსებობა. შესაძლოა, ამიტომაც არ არის არც სახელმწიფო და არც საზოგადოებრივი მოთხოვნა კრიმინოლოგიურ ცოდნაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Квашиш В.Е. Проблемы качества криминологических исследований : истоки и симптомы болезни Журнал российского права, 2018, №6.
2. Клейменов М.П., Клейменов И.М. Профанация криминологии// Криминологический журнал Байкальского государственного ун-та, 2010, №2.
6. Квашиш В.Е. О прошлом и настоящем. Воспоминания и размышления //Избранные труды по уголовному праву и криминологии. 3-е доп. изд., СПб., Юридический центр, 2021.
4. Номоконов В.А., Судакова Т.М. Криминология будущего: позитивная криминология? Lex Russica, 2018, №9.
8. Антонян Ю.М. Типология убийств // «Общество и право», 2021, №3.

The proposal for the creation of the Anti-Money Laundering Authority as an expression of the European Union's activity against organized crime

Professor, Dr. Elzbieta Karska (Poland) – *UN Working Group on Business and Human Rights, Cardinal Stefan Wyszyński University in Warsaw; Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: European Union, Money Laundering, Organized Crime

Money laundering is a gigantic problem on a global scale. According to a joint report by Deloitte and the Institute of International Finance (IIF) of 2019: "The global framework for fighting financial crime: Enhancing effectiveness & improving outcomes"¹, up to 5% of annual global GDP is money laundered: between €715 billion and €1870 billion. Europol estimates that illegal financial flows in the EU exceed €200 billion per year. Such estimates may, of course, be imprecise, but periodically scandals confirm the truly enormous scale of the practice. For example, the 2018 scandal concerning the largest Danish bank, Danske Bank, revealed that approximately € 200 billion from illegal sources² was laundered through the EU.

The significance of the criminal nature of money laundering is that it is not just about hiding the benefits of other crimes, leaving money in the hands of criminals and making it difficult to detect crime. The aforementioned report by Deloitte and the IIF indicates the terrible social consequences of this practice and its strong influence on the stability of the global financial system. It is particularly hard on developing countries, where money laundering – potentially affecting more than a quarter of all financial transactions – supports corruption and budget theft with serious consequences for public expenditure, including on education and health.³ Another aspect that we have become acutely aware of, especially since the terrorist attacks in 2001, is the use of money laundering schemes to finance terrorism.

Money laundering is a crime that requires a high degree of organization and the penetration of criminal structures into financial and public institutions. For this reason, it is extremely difficult to combat. In addition, the dynamic digitization of financial services taking place around us results in completely new instruments – such as crypto-assets and cryptocurrencies – also used by criminals. The Deloitte-IIF report indicates that despite the huge and growing resources devoted to the fight against money laundering, the global effectiveness of these efforts continues to decline: every year we fall further behind criminal operations. According to specialists, this situation requires an urgent and fundamental reform of the entire system: not only new regulations, but also the large-scale

¹ The global framework for fighting financial crime: Enhancing effectiveness & improving outcomes, The Institute of International Finance and Deloitte LLP White Paper, London 2019, <https://www2.deloitte.com/uk/en/pages/financial-advisory/articles/global-framework-for-fighting-financialcrime.html> (accessed: 19.12.2021).

² PAP, KE: UE musi zrobić więcej w walce z praniem brudnych pieniędzy, "Puls Biznesu", 24 July 2019, <https://www.pb.pl/ke-ue-musi-zrobic-wiecej-w-walce-z-praniem-brudnych-pieniedzy-966621> (accessed: 19.12.2021).

³ According to the Deloitte-IFF report: "Analysis of trade related financial flows in 148 developing nations between 2006-2015 has indicated that on average 27% were potentially related to illicit finance, of which 45% ended up in offshore financial centres". The global framework..., p. 5.

involvement of new technologies. It also requires taking serious steps towards cultural changes - changing the approach and building social awareness around the problem of financial crimes.

An example of such significant reforms is currently being made in the European Union. At the level of the EU Parliament and Council, work is currently underway to establish an Anti-Money Laundering Authority (AMLA)¹. The need to create such an authority arises from the experience of the European Union in combating money laundering.

Here, I would like to briefly outline the thirty-year history of EU anti-money laundering regulations and the lessons of a long journey, which, as the EU, we have gone through in this regard.

The awareness of the need for EU-wide regulations in this area was born during the progressive integration of the EU financial services market and the expansion of money laundering. The practical functioning of the Single Market, the introduction of the euro, the integration of the banking system or the financial markets union - which is now being finalized - resulted in an urgent need for a systemic solution to the problem of money laundering, against which national regulations were not (and could no longer be) effective.

Since 1991, six directives have therefore been introduced (currently intensive work on the sixth is underway), along with the anti-money laundering regulation (also currently being amended)². These directives have successively expanded and specified provisions on Anti-Money Laundering (AML), especially in the field of client identification and verification, storage and sharing of data with control authorities, development of new confidentiality rules (including the indication of professional groups required to report information on money laundering - the most controversial issue concerned lawyers, ultimately obliged to disclose information under the 3rd Directive), and

¹ Legislative Observatory: European Parliament: 2021/0240(COD): Anti-Money Laundering Authority (AMLA), [https://oeil.secure.europarl.europa.eu/oeil/popups/ficheprocedure.do?reference=2021/0240\(COD\)&l=en](https://oeil.secure.europarl.europa.eu/oeil/popups/ficheprocedure.do?reference=2021/0240(COD)&l=en) (accessed: 19.12.2021).

² Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering (OJ L 166, 28.6.1991, p. 77–82); Directive 2001/97/EC of the European Parliament and of the Council of 4 December 2001 amending Council Directive 91/308/EEC on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering - Commission Declaration (OJ L 344, 28.12.2001, p. 76–82); Commission Directive 2006/70/EC of 1 August 2006 laying down implementing measures for Directive 2005/60/EC of the European Parliament and of the Council as regards the definition of politically exposed person and the technical criteria for simplified customer due diligence procedures and for exemption on grounds of a financial activity conducted on an occasional or very limited basis (OJ L 214, 4.8.2006, p. 29–34); Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council, and repealing Directive 2005/60/EC of the European Parliament and of the Council and Commission Directive 2006/70/EC (OJ L 141, 5.6.2015, p. 73–117); Directive (EU) 2018/843 of the European Parliament and of the Council of 30 May 2018 amending Directive (EU) 2015/849 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, and amending Directives 2009/138/EC and 2013/36/EU (OJ L 156, 19.6.2018, p. 43–74); Directive (EU) 2018/1673 of the European Parliament and of the Council of 23 October 2018 on combating money laundering by criminal law (OJ L 284, 12.11.2018, p. 22–30); Regulation (EU) 2015/847 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on information accompanying transfers of funds and repealing Regulation (EC) No 1781/2006 (OJ L 141, 5.6.2015, p. 1–18).

above all the issue of international cooperation and harmonization of relations between supervisory authorities.

This latter issue has turned out to be the Achilles' heel of the entire system. It has made it necessary to establish a special, supra-national body to coordinate the work of national authorities. The new EU agency - the Anti-Money Laundering Authority (AMLA) - is to supplement and make effective EU AML legislation by counteracting its shortcomings resulting from the fact that due to the existence of the single market and large supranational financial institutions, money laundering is supranational while regulators still remain only at the national level.

All serious money laundering cases in the EU reported recently had a cross-border nature. The approach of national authorities to cross-border transactions is not consistent. Moreover, not all national authorities are able to cooperate effectively with each other. Legal and organizational issues overlap with the interests of some Member States, whose economies are largely based on the banking and financial sectors, and traditions regarding financial confidentiality lag behind EU regulations.

The lack of proper supervision of international transactions poses a threat to the entire single market. - AMLA will therefore act as a central pillar of an integrated supervision system. The elements of this system will be national authorities, largely subordinated to AMLA exercising control over them. The Authority will also directly supervise some systemically important cross-border financial institutions.

Coordination of national supervisory authorities is expected to lead to an increase in the enforcement of uniform rules (so far, due to insufficient actions of these authorities, these have so far remained partly "on paper") and to uniform standards of supervision, reporting and risk assessment. Of course, the existence of the new office will significantly improve the Exchange of information and cooperation between financial intelligence units. AMLA will play the role of a support and coordination centre.

Work on establishing AMLA is currently underway in the Council and starts in the Parliament. Several issues - especially regarding the details of the relationship between AMLA and national regulators - remain under discussion. However, it is already clear today that in a united but economically diversified Europe, this body is actually indispensable and only its existence will enable the full implementation of the EU AML legislation.

We also hope that AMLA's activities will build European solidarity. It will nurture awareness in European countries that we must move beyond narrow and vested economic interests and that there must be clear rules of the game and a ruthless fight against practices harmful to everyone.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სააგენტოს შექმნის წინადადება როგორც ევროკავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯი ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ

პროფესორი, დოქტორი ელზბიეტა კარსკა (პოლონეთი) - *გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, ვარშავის კარდინალ სტეფან ვიშინსკის სახელობის უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;*

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ფულის გათეთრება, ორგანიზებული დანაშაული

ფულის გათეთრება გლობალური მასშტაბის პრობლემაა. დელოიტისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის (IIF) 2019 წლის ერთობლივი ანგარიშის მიხედვით „ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ჩარჩო: ეფექტურობის გაძლიერება და შედეგების გაუმჯობესება“¹, ყოველწლიურად შიდა პროდუქტის 5 % არის ფულის გათეთრების შემთხვევები: დაახლოებით 715 მილიარდი ევროდან 1870 მილიარდ ევრომდე. ევროპელების შეფასებით, ევროკავშირში უკანონო ფინანსური ნაკადები წელიწადში 200 მილიარდ ევროს აღემატება, ასეთი შეფასებები, შესაძლოა იყოს არაზუსტი, მარგამ „პერიოდულად, სკანდალები ადასტურებენ ამგვარი პრაქტიკის უზარმაზარ მასშტაბებს. მაგალითად, 2018 წლის სკანდალმა, რომელიც ეხებოდა დანიის უდიდეს ბანკს (Danske Bank), გამოავლინა, რომ დაახლოებით 200 მილიარდი ევრო უკანონო წყაროებიდან იქნა გათეთრებული“² ევროკავშირის მეშვეობით.

ფულის გათეთრების კრიმინალური ხასიათის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს არ არის მხოლოდ გადაფარვა სხვა დანაშაულების, არამედ ეს არის გარკვეულწილად სარგებელი სხვა დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, როდესაც ხდება ფულის გადაცემა კრიმინალური დაჯგუფებისათვის. ეს ართულებს დანაშაულის გახსნას, აღმოჩენას. Deloitte-ისა და IIF-ის ზემოხსენებულ ანგარიშში მითითებულია ზემოხსენებული პრაქტიკის მძიმე სოციალური შედეგები, უფრო მეტიც, ეს ძლიერ გავლენას ახდენს გლობალური ფინანსური სტაბილურობის სისტემაზე. ეს განსაკუთრებით მძიმეა განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც ფულის გათეთრება პოტენციურად გავლენას ახდენს ფინანსურ ტრანზაქციებზე და აღეტება ყველა ასეთი ტრანზაქციის მეოთხედს. ეს ნიშნავს კორუფციის წახალისებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის ქურდობას. ფულის გათეთრება პოტენციურად გავლენას ახდენს განათლებასა და ჯანმრთელობის სფეროებშიც³. სხვა ასპექტი, რომლის ფინანსური დანაშაულიც კარგად გავიაზრეთ, განსაკუთრებით 2001 წლის ტერაქტების

¹ The global framework for fighting financial crime: Enhancing effectiveness & improving outcomes, The Institute of International Finance and Deloitte LLP White Paper, London 2019, <https://www2.deloitte.com/uk/en/pages/financial-advisory/articles/global-framework-for-fighting-financialcrime.html> (accessed: 19.12.2021).

² PAP, KE: UE musi zrobić więcej w walce z praniem brudnych pieniędzy, "Puls Biznesu", 24 July 2019, <https://www.pb.pl/ke-ue-musi-zrobic-wiecej-w-walce-z-praniem-brudnych-pieniedzy-966621> (accessed: 19.12.2021).

³ According to the Deloitte-IFF report: "Analysis of trade related financial flows in 148 developing nations between 2006-2015 has indicated that on average 27% were potentially related to illicit finance, of which 45% ended up in offshore financial centres". The global framework..., p. 5.

შემდეგ, როდესაც ფულის გათეთრების სქემების გამოყენება ხორციელდებოდა ტერორიზმის დასაფინანსებლად.

ფულის გათეთრება ეს არის დანაშაული, რომელიც მოითხოვს მაღალი დონის ორგანიზაციას და კრიმინალური სტრუქტურების შედგენას ფინანსურ და საჯარო დაწესებულებებში. სწორედ ამიტომ, ძალიან რთულია ამ დანაშაულთან ბრძოლა და აღმოფხვრა. გარდა ამისა, ჩვენ ირგვლივ მიმდინარეობს ფინანსური სერვისების დინამიური დიგიტალიზაცია, რის შედეგადაც გამოიყენება სრულიად ახალი ინსტრუმენტები, როგორიცაა კრიპტოაქტივები და კრიპტოვალუტები. ამას იყენებენ დამნაშავეები, დანაშაულის ამსრულებლები და/ან თანამონაწილეები. ზემოხსენებული ანგარიში მიუთითებს, რომ მიუხედავად უზარმაზარი და მზარდი რესურსებისა, რომლებიც ემსახურება ფულის გათეთრების დანაშაულთან ბრძოლას, ასეთი ძალისხმევის გლობალური ეფექტურობა განიცდის კლებას. ყოველწლიურად ჩვენ უფრო ჩამოვრჩებით კრიმინალურ პროცესებს. დარგის სპეციალისტებზე დაყრდნობით, აღნიშნული სიტუაცია მოითხოვს მთელი სისტემის სასწრაფო და ფუნდამენტურ რეფორმას: არა მხოლოდ განახლებული რეგულაციები, არამედ ახალი ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი ჩართვა საჭირო. ეს ასევე მოითხოვს სერიოზული ნაბიჯების გადადგმას კულტურული ცვლილებებისკენ - მიდგომისა და სოციალურ-ფინანსური დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირი. ამ ეტაპზე ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დონეზე მიმდინარეობს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ორგანოს (AMLA)¹ ჩამოყალიბება. საჭიროება ასეთი ავტორიტეტული ორგანოს შექმნისა განაპირობა ევროკავშირის ფულის გათეთრების დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკამ. აქვე მსურს მოკლედ გაგაცნოთ ევროკავშირის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის 30 წლიანი ისტორია, რეგულაციები და ჩვენი, როგორც ევროკავშირის ხანგრძლივი მოგზაურობის ისტორია ამ მიმართულებით.

გაცნობიერება, იმისა რომ ევროკავშირის მასშტაბით საჭირო იყო გარკვეული რეგულაციების აუცილებლობა, დაიბადა პროგრესული ინტეგრაციის პერიოდში. მაშინ, როდესაც ხორციელდებოდა ევროკავშირის ფინანსური სერვისების ბაზრის ინტეგრაცია და ადგილი ჰქონდა ფულის გათეთრების გაფართოებას.

ერთიანი ბაზრის პრაქტიკული ფუნქციონირებამ, ევროს შემოღებამ, საბანკო სისტემის ინტეგრაციამ და/ან ფინანსური ბაზრების გაერთიანებამ, რაც ახლაც მიმდინარეობს, განაპირობა ფულის გათეთრების პრობლემის სისტემური გადაწყვეტის გადაუდებელი აუცილებლობა. ამ პრობლემის წინააღმდეგ ნაციონალური რეგულაციები არ იყო (და არც შეიძლება ყოფილიყო) ეფექტური.

¹ Legislative Observatory: European Parliament: 2021/0240(COD): Anti-Money Laundering Authority (AMLA), [https://oeil.secure.europarl.europa.eu/oeil/popups/ficheprocedure.do?reference=2021/0240\(COD\)&l=en](https://oeil.secure.europarl.europa.eu/oeil/popups/ficheprocedure.do?reference=2021/0240(COD)&l=en) (accessed: 19.12.2021)

1991 წლიდან მიღებულ იქნა ექვსი დირექტივა (ამჟამად, აქტიურად მიმდინარეობს მეექვსე დირექტივაზე მუშაობა), ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულაციასთან ერთად (ასევე ამჟამად შესწორებული)¹.

ზემოხსენებულმა დირექტივებმა თანმიმდევრულად გააფართოვა და დააზუსტა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი დებულებები (AML). ეს შეეხო განსაკუთრებით შემდეგ მიმართულებებს: კლიენტის იდენტიფიკაცია და გადამოწმება, შენახვისა და მონაცემთა ბაზების გაზიარება მაკონტროლებელ ორგანოებთან, კონფიდენციალურობის ახალი წესების შემუშავება (ეს მოიცავს პროფესიული ჯგუფების გამოყოფა-მითითებას, რომლებსაც ესაჭიროებათ ფულის გათეთრების შესახებ ინფორმაციის ანგარიში. განსაკუთრებით საკამათო საკითხი ეხებოდა იურისტებს, რომლებიც საბოლოოდ ვალდებული იყვნენ გაემჟღავნებინათ ინფორმაცია დირექტივის მე-3 პუნქტის შესაბამისად) და, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთობების ჰარმონიზაციის საკითხი სამეთვალყურეო ორგანოებს შორის.

ზემოხსენებული უკანასკნელი საკითხი აღმოჩნდა აქილევსის ქუსლი მთელი სისტემისათვის. ყოველივე ამან აუცილებელი გახდა სპეციალური, ზეეროვნული ორგანოს შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ეროვნული ხელისუფლების მუშაობას.

ევროკავშირის ახალი სააგენტო - ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ორგანო (AMLA) - უნდა იქნეს შევსებული და ეფექტური გახადოს ევროკავშირის AML კანონმდებლობა. სააგენტოს მიზანი უნდა გახდეს საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა. მოგეხსენებათ, რომ არსებობს ერთიანი ბაზარი და ზესახელმწიფოებრივი, მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები, ხოლო ფულის გათეთრება არის ზესახელმწიფოებრივი. შესაბამისად, მარეგულირებლები კვლავ რჩებიან ეროვნულ დონეზე, ეს კი არის გამოწვევა.

¹ Council Directive 91/308/EEC of 10 June 1991 on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering (OJ L 166, 28.6.1991, p. 77–82); Directive 2001/97/EC of the European Parliament and of the Council of 4 December 2001 amending Council Directive 91/308/EEC on prevention of the use of the financial system for the purpose of money laundering - Commission Declaration (OJ L 344, 28.12.2001, p. 76–82); Commission Directive 2006/70/EC of 1 August 2006 laying down implementing measures for Directive 2005/60/EC of the European Parliament and of the Council as regards the definition of politically exposed person and the technical criteria for simplified customer due diligence procedures and for exemption on grounds of a financial activity conducted on an occasional or very limited basis (OJ L 214, 4.8.2006, p. 29–34); Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council, and repealing Directive 2005/60/EC of the European Parliament and of the Council and Commission Directive 2006/70/EC (OJ L 141, 5.6.2015, p. 73–117); Directive (EU) 2018/843 of the European Parliament and of the Council of 30 May 2018 amending Directive (EU) 2015/849 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, and amending Directives 2009/138/EC and 2013/36/EU (OJ L 156, 19.6.2018, p. 43–74); Directive (EU) 2018/1673 of the European Parliament and of the Council of 23 October 2018 on combating money laundering by criminal law (OJ L 284, 12.11.2018, p. 22–30); Regulation (EU) 2015/847 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on information accompanying transfers of funds and repealing Regulation (EC) No 1781/2006 (OJ L 141, 5.6.2015, p. 1–18).

ევროკავშირში ფულის გათეთრების ყველა სერიოზული შემთხვევა, რომლებიც ბოლო დროს იქნა დაფიქსირებული, ტრანსსასაზღვრო ბუნება ჰქონდა. ეროვნული ხელისუფლების მიდგომა ამ კუთხის ტრანზაქციებზე არ არის თანმიმდევრული. უფრო მეტიც, ყველა ეროვნულ ხელისუფლებებს არ შეუძლიათ ერთმანეთთან ეფექტური თანამშრომლობა. სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხები ემთხვევა ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს ინტერესებს, რომელთა ეკონომიკა ძირითადად დაფუძნებულია საბანკო და ფინანსურ სექტორზე, ასევე, იმ ტრადიციებზე, რომლებიც ფინანსური კონფიდენციალურობის სტანდარტით ევროკავშირის რეგულაციებს ჩამორჩება.

საერთაშორისო ტრანზაქციებზე სათანადო ზედამხედველობის არარსებობა წარმოადგენს საფრთხეს მთელი ბაზრისათვის. შესაბამისად, AMLA იმოქმედებს, როგორც ინტეგრირებული ზედამხედველობის სისტემის ცენტრალური საყრდენი. ამ სისტემის ელემენტები იქნება ნაციონალური ორგანოები, რომლებიც დიდწილად აღმოჩნდება AMLA-ს კონტროლის ქვეშ. ხელისუფლება კი უშუალოდ ზედამხედველობას გაუწევს სისტემურად მნიშვნელოვან ტრანსსასაზღვრო ფინანსურ ინსტიტუტებს.

მოსალოდნელია ეროვნული სამეთვალყურეო ორგანოების კოორდინაცია, რაც გაზრდის ერთიანი წესების აღსრულებას (ჯერჯერობით, ამ ორგანოების არასაკმარისი მოქმედებების გამო, დირექტივები მხოლოდ „ქაღალდზე“ დაწერილი რჩებოდა) და ხელს შეუწყობს ზედამხედველობის ერთიანი სტანდარტების, ანგარიშებისა და რისკების შეფასებას. რა თქმა უნდა, ახალი ოფისის არსებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის გაცვლის სტანდარტს და ხელს შეუწყობს ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფებს შორის თანამშრომლობას. AMLA იქნება როგორც მხარდამჭერი და კოორდინაციის ცენტრი.

AMLA –ს შექმნაზე მუშაობა ამჟამად საბჭოში მიმდინარეობს, ხოლო პარლამენტში ახლა იწყება. რამდენიმე საკითხი, როგორიცაა AMLA-სა და ეროვნულ მარეგულირებელთან ურთიერთობის დეტალები, რჩება განხილვის პროცესში, თუმცა, დღეისათვის უკვე ცხადია, რომ ერთიანი, მაგრამ ეკონომიკურად დივერსიფიცირებული ევროპა, ეს ორგანო შეუცვლელია და მისი არსებობა უზრუნველყოფს ევროკავშირის AML-ის კანონმდებლობის სრულ განხორციელებასა და დანერგვას.

ჩვენ ასევე ვიმედოვნებთ, რომ AMLA-ს საქმიანობა საფუძველს ჩაუყრის და ააშენებს ევროპულ სოლიდარობას. ეს გაზრდის ცნობიერებას ევროპულ ქვეყნებში, რათა ჩვენ ვიწრო და დაკისრებული ეკონომიკური ინტერესებიდან გამოვიდეთ. გარდა ამისა, განსაზღვრული იქნება მკაფიო თამაშის წესები და დაუნდობელი ბრძოლა ფულის გათეთრების საშიში პრაქტიკის აღსაკვეთად, რომელიც ზიანს აყენებს ყველას.

ტერორიზმის კვლევა მასთან წარმატებული ბრძოლის წინაპირობაა

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი დავით სუჯაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, კვლევა, გამოცდილება

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში საერთაშორისო ტერორიზმი კვლავ აქტუალურ პრობლემად დარჩება ცივილიზებული სამყაროსთვის, მეტიც ის პოზიციებს გაიმყარებს კიბერსივრცეში, რომელზეც სამყარო დღითიდღე უფრო დამოკიდებული ხდება.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით, ოკუპირებული ტერიტორიებით და მისი მისწრაფებებით გახდეს ევროატლანტიკური სივრცის სრულფასოვანი ნაწილი, ხდის მას საერთაშორისო ტერორისტებისთვის პირდაპირ თუ არა ირიბ სამიზნედ. საერთაშორისო ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეების მეცნიერული კვლევა და ანალიზი, მასზე დაფუძნებული სტრატეგია, იძლევა წარმატებული და სწორი პრევენციული ზომების გატარების საშუალებას.

1798 წელს გამოცემულ Académie Française-ის ლექსიკონის დანართში დაფიქსირდა „ტერორიზმის“ პირველი ოფიციალური განმარტება, რომლის მიხედვით „ტერორიზმი“ „ტერორის მმართველობას“¹ ნიშნავდა. მაგალითად კი მოყვანილი იყო რობესპიერის მმართველობის მეთოდი, რაც, რევოლუციის მტრების მიმართ სასტიკ მოპყრობაში მდგომარეობდა. ეს მეთოდი გადამდები აღმოჩნდა ოპოზიციისთვისაც, რომელიც პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ტერორს თავს არ არიდებდა. პარიზის კომუნის ხანმოკლე მმართველობის დროს (1871წ). ფართოდ გამოიყენებოდა ტერორიზმის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტი – მძევლების აყვანა².

მიუხედავად იმისა, რომ „ტერორის მმართველობა“ იყო საფრანგეთის მთავრობის ქმედებების შედეგი, თანამედროვე განსაზღვრებით ტერმინი „ტერორიზმი“ აღნიშნავს ადამიანების მკვლელობა/განადგურებას სამთავრობო ან არასამთავრობო პოლიტიკური აქტორების მიერ სხვადასხვა, როგორც წესი პოლიტიკური მიზეზების გამო. აღნიშნული ინტერპრეტაცია გავრცელდა 1870-იან წლებში რუსი რადიკალების მიერ³, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლად უფრო ეფექტურ საშუალებად ტერორისტულ ქმედებებს მიიჩნევდნენ.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „ტერორიზმის“ 200-ზე მეტი განმარტებიდან, დაახლოებით 90 ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო უწყებების მიერ. ლეიდენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდები) მკვლევარების აღექვს

1 Système, régime de la terreur - ეს არის პოლიტიკური მმართველობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ხელისუფლება პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ იყენებს ძალადობრივ მეთოდებს.

2 დავით სუჯაშვილი „სახელმწიფო ტერორიზმის ზოგიერთი ფორმის ისტორიული ასპექტები“, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, N 34, თბ. 2016, გვ. 234

3 ცნობილი რუსი ნიჰილისტი, რევოლუციონერი და რუსული რევოლუციური ტერორიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი სერგეი ნეჩაევი (1847-1882).

შმიდის და ალბერტ იონგმანის მიერ, 1988 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით¹, განმარტებებში ფიგურირებს: ძალადობის კონცეფცია - 83.5%, პოლიტიკური მიზნები - 65%, შიშის და ტერორის წარმოქმნა - 51%, თვითნებობა და განურჩევლად სამიზნეების შერჩევა - 21%, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ნეიტრალურად განწყობილი პირების, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები კი - 17.5%.²

თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორის არიელ მერარის მიერ 1993 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში სამართლებრივ განმარტებებში იკვეთება ტერორიზმის სამი საერთო ელემენტი, კერძოდ:

- ძალადობის გამოყენება;
- პოლიტიკური მიზნები;
- ძალადობრივი ქმედებების შედეგად, სამიზნე ჯგუფებში პანიკური შიშის დანერგვა.³

წლების მანძილზე, სხვადასხვა კვლევითი ცენტრები და ცალკეული ექსპერტები ცდილობდნენ განესაზღვრათ თუ რა არის „ტერორიზმი“ თუმცა, ტეროლოგიაში (მეცნიერება ტერორიზმის შესახებ), უნივერსალური და საყოველთაოდ მისაღები განმარტება ჯერ კიდევ არ არსებობს. მსოფლიო ისტორიაში ტერორიზმის სხვადასხვა ფორმით გამოვლენის მრავალი ფაქტის არსებობის მიუხედავად, დღეისათვის ტეროლოგია, როგორც მეცნიერება არ არის საკმარისად განვითარებული. „ტერორიზმის“ სამართლებრივ განმარტებასთან დაკავშირებითაც კი, სამეცნიერო წრეებში არ არის ჩამოყალიბებული საერთო აზრი. თუ ტეროლოგების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭირო არ არის ტერორიზმის უნივერსალური განსაზღვრების შემუშავება და საკმარისია მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელ ასპექტზე შეთანხმება, ტეროლოგთა მეორე ნაწილისთვის „ტერორიზმის“ სრულყოფილი განსაზღვრების შემუშავება არის ტერორიზმთან წარმატებული ბრძოლის წინაპირობა.⁴

ქვემოთ ჩამოთვლილია მეცნიერებისა და ინსტიტუციების ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული განმარტება:

უოლტერ ზე'ევ ლაქიორი (გამოჩენილი ამერიკანისტი - პოლიტოლოგი):

„ტერორიზმი არის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, ბრძოლის მეთოდი, ან გარკვეული მიზნების მიღწევის სტრატეგია... ტერორიზმის მიზანია დაუნდობელი და არაპუმანური ქმედებით, მსხვერპლი ჩააგდოს პანიკური შიშის მდგომარეობაში... საჯარო ქმედებები ტერორისტული სტრატეგიის აუცილებელი ფაქტორია“.

1 კვლევაში გაანალიზებულ იქნა „ტერორიზმის“ ასობით ოფიციალური და აკადემიური განმარტებების ძირითადი კომპონენტები.

2 Schmid A.P., Jongman A.J., Political Terrorism. Amsterdam: North Holland Publishing Company, 1988, pp 5-6.

3 Chaliand G., Blin A., The History of Terrorism From Aniquity To Al Qaeda. London: University Of California Press, Ltd., 2007, page 14

⁴ სუჯაშვილი, დ. (2018). საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო. თბ., გამო.”საარი”.

ბერნარდ გომი (პოლონელი ტეროლოგი): „ტერორიზმი არის ჩადენილი ძალადობა ობიექტურად უფრო ძლიერი სუბიექტის მიერ, ხოლო „ტერორიზმი“ ძალადობაა, რომელიც ჩადენილია ობიექტურად უფრო სუსტი ძალის მიერ“.

ბრიუს ჰოფმანი (აშშ-ის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ანალიტიკოსი): „ტერორიზმი პოლიტიკურია მიზნებითა და მოტივებით, ძალადობრივი - ქმედებით, შორს მიმავალი ფსიქოლოგიური ზეწოლის ამოცანებით, რომლებიც გათვლილია არა უშუალო მსხვერპლზე, არამედ სამიზნე ჯგუფებზე.“

ალექს შმიდი და ალბერტ იონგმანი (ნიდერლანდების ლეიდენის უნივერსიტეტის მკვლევარები): „ტერორიზმი არის პოლიტიკური მიზნებისთვის, პერმანენტული შიშის მომგვრელი ძალადობრივი ქმედებები, ჩადენილი ნაწილობრივ ან მთლიანად გასაიდუმლოებული ინდივიდის, ჯგუფის, ან სახელმწიფო სტრუქტურის მიერ, რომლის დროსაც - განსხვავებით სისხლის სამართლის დანაშაულისა, ძალადობის პირდაპირ სამიზნეებს არ წარმოადგენს უშუალო მსხვერპლი, არამედ გათვლილია კონკრეტული მესიჯების გავრცელებისა და მოსახლეობის ფართო მასებში შიშის დათესვაზე.“

დევიდ რაპაპორტი (აშშ-ის კალიფორნიის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი): „ტერორიზმი არის ძალადობის გამოყენება, ხალხის ცნობიერებაში გარკვეული სიმკათიისა და/ან შიშის გრძნობების პროვოცირებისათვის.“

იონა ალექსანდერი (აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი ტერორიზმის საკითხებში): „ტერორიზმი წარმოადგენს საზოგადოების დაშინებას და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ძალადობის გამოყენებას შემთხვევითი სამოქალაქო სამიზნეების მიმართ.“

ერთა ლიგის კონვენციის განმარტება (1937): „ტერორისტულ აქტად ითვლება ყველა ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ცალკეულ პირთა, პირთა ჯგუფის ან ფართო საზოგადოების ცნობიერებაში წარმოქმნას ტერორის შეგრძნება.“

ევროპული კავშირის შეფასება: „ტერორიზმი არის ქმედება, რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების დაშინება, მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე არაკანონიერი გზით ზეგავლენის მოხდენა, ქვეყნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურება“.

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის განმარტება: „ტერორიზმი წარმოადგენს პოლიტიკური, რელიგიური, ან იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად უკანონო ძალადობის მიზანდასახულ გამოყენებას ან შიშის დასანერგად მისი გამოყენების მუქარას მთავრობასა და საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად.“

კოფი ანანი (გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი): „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის ფუნდამენტურ პრინციპებზე“.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განმარტება: „ქვეეროვნული და ფარული ელემენტების მიერ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, დაგეგმილი ძალადობა, რომელიც მიმართულია არასაომარი – სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ“.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო: „ტერორიზმი არის: ძალადობის წინასწარ დაგეგმილი და არაიმპულსური აქტი, ქმედება, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკური წესრიგის შესაცვლელად, ქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ და ხორციელდება ქვეეროვნული დაჯგუფების მიერ.“

აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო: „ტერორიზმი არის უკანონო ძალადობა მიმართული ადამიანის ან საკუთრების წინააღმდეგ, იმისათვის, რომ დააშინოს და აიძულოს სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება ან ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მხარდასაჭერად“.

არაბული კონვენცია ტერორიზმის აღკვეთის შესახებ:¹ „ტერორიზმი არის ნებისმიერი აქტი ან ძალადობის მუქარა, მიუხედავად მისი მოტივებისა ან მიზნებისა, რომელიც ინდივიდუალური ან კოლექტიური ფორმით მიმართულია საზოგადოებაში შიშის დასაწერად, ფიზიკური ზიანის მისაყენებლად ან სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ხელყოფის მიზნით. ასევე ყველა ის ქმედება, რომლის შედეგად საფრთხე ემუქრება გარემოს, კერძო და საჯარო საკუთრებას და ეროვნულ რესურსებს“.

ფაქტია, რომ ტერორიზმი არ წარმოადგენს მხოლოდ ძალადობას. ძალადობის ფორმის მიუხედავად - იქნება ეს აფეთქება, მკვლელობა თუ თვითმფრინავის გატაცება, ტერორისტების მოქმედების მიღმა ყოველთვის იმალება კონკრეტული სტრატეგია პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ტერორიზმი არ არის შემთხვევითი, მოუმზადებელი, ან ბრმა აქტი. ის არის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული, წინასწარ კარგად გათვლილი ძალადობა.

ტერორიზმის მრავალწახნაგიანობას მიაწინებს 1974 წელს პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის ლიდერის, იასირ არაფატის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სიტყვით გამოსვლისას გაკეთებული განცხადება: „ის, ვინც ერთი ადამიანისთვის ტერორისტია, მეორე ადამიანისთვის - თავისუფლებისთვის მეზრძოლია“².

საერთაშორისო თანამეგობრობას ისტორიულად ჰქონდა მიზანი, ჩამოეყალიბებინა „ტერორიზმის“ საერთაშორისო განმარტება. 1937 წელს, ერთ ლიგამ შეიმუშავა ტერორიზმის პრევენციისა და რეპრესიის (დასჯის) შესახებ კონვენცია, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, ტერორიზმში ბრალდებული

1 წყარო: http://www.unodc.org/images/tldb-f/conv_arab_terrorism.en.pdf უკანასკნელად გადამოწმებული იქნა – 15.12.2021

2 აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს 2001 წლის 21 დეკემბერს, პალესტინაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა. გამოკითხულ პალესტინელთა 98,1%-მა მიიჩნია, რომ 1994 წელს ჰებრონში, ალ იბრაჰიმის მეჩეთში, ბარუხ გოლდშტეინის მიერ, 29 პალესტინელის მკვლელობა უნდა შეფასდეს, როგორც „ტერორიზმი“, ხოლო იმავე რესპოდენტთა 82,3% არ დაეთანხმა, ან კატეგორიულად არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ თელ - ავივის დელფინარიუმში თვითმკვლეელი პალესტინელის მიერ განხორციელებული აფეთქება, რომლის შედეგადაც დაიღუპა 21 ახალგაზრდა ებრაელი, შეფასდეს, როგორც „ტერორიზმი“.

პირების გასამართლების იურისდიქციით¹. კონვენციის მიღება იყო 1934 წელს მარსელში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და იუგოსლავიის მეფის მკვლელობის ერთგვარი პასუხი. კონვენცია მიზნად ისახავდა ტერორისტული აქტის დეფინიციასა და მისი განხორციელების სანქცირებას, თუმცა მონაწილე წევრი ქვეყნების მხრიდან არაერთსულოვანი დამოკიდებულებისა და აზრთა სხვადასხვაობის გამო, კონვენცია ძალაში არ შევიდა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ტერორიზმის სამართლებრივი განმარტების სირთულე².

ტერორიზმის ცნების იურიდიული განსაზღვრების პირველი მცდელობა დაფიქსირდა ქბრიუსელში გამართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციის მე-3 საერთაშორისო კონფერენციაზე.³ წარმოდგენილი რეზოლუციის პოზიცია ნათლად იკითხება მის პირველივე მუხლში :

მუხლი 1. ისეთი საშუალებების მიზანმიმართული გამოყენება, რომელთაც შეუძლია წარმოშვან საერთო საფრთხე, ყოველ ჯერზე დადგენილ იქნება მაშინ, როდესაც ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, სხეულის ხელშეუხებლობას, ადამიანის ჯანმრთელობას, ან ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ფასეული სიკეთეების განადგურებას, კერძოდ:

ხანძრის მიზანმიმართული გაჩენა, აფეთქება, დატბორვა, მხუთავი და სასიკვდილო ნივთიერებების გავრცელება, ისეთი სიგნალების, ფარნების, ნაგებობების ან მოწყობილობების ნგრევა და მწყობრიდან გამოყვანა, რომლებიც გამოიყენება ხანძრის ჩასაქრობად და ადამიანთა გადარჩენისათვის;

ტრანსპორტის, კომუნიკაციების, რკინიგზის, ტელეგრაფის, ტელეფონის, ფოსტის ნორმალური მუშაობის თვითნებური შეყოვნება, ჰიდრავლიკური დანადგარების, განათების, გათბობის ან საზოგადოებრივი მოხმარებისა და დანიშნულებების საგნების მიზანმიმართული მწყობრიდან გამოყვანა;

სასმელი წყლის ან პირველადი აუცილებლობის საკვების წაბილწვა, გაფუჭება ან მოწამვლა, ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების ან მიწათმოქმედებისა და სატყეო მეურნეობისათვის პირველადი მნიშვნელობის მცენარეთა დაავადებების გამოწვევა ან გავრცელება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1971 წლის 2 თებერვალს, სახელმწიფოები კვლავ დაუბრუნდნენ ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმის შემუშავებას. კერძოდ, მიღებულ იქნა პირველი საერთაშორისო კონვენცია „ტერორისტული აქტების პრევენციისა და დასჯის შესახებ“. კონვენცია ეხება ტერორისტულ აქტებს, რომლებიც ჩადენილია ადამიანების წინააღმდეგ, რაც გათვალისწინებულია ქვეყნების სისხლის სამართლის

1 Thomas Weatherall, “The status of the prohibition of terrorism in International Law: Recent development”, Georgetown Journal of International Law, Vol. 45, 2015, p.591.

2 Viridiana Molinares Hassan, “Terrorismo: Registros Jurídicos y debates doctrinales” in Joan Lluís Pérez Francesch, Viridiana Molinares Hassan, EN defensa del Estado de Derecho, Estudios sobre las tensiones entre la seguridad y la libertad en el mundo de hoy, Universidad del Norte Editorial, 2016, pp.193-194.

3 Saul B., Attempts To Define “Terrorism” In International Law. Netherlands International Law Review., 2005, Page 59.

კოდექსებით, თუმცა ატარებენ საერთაშორისო ხასიათს.¹ კონვენციით გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: მკვლელობა, გატაცება, გამოძალვა და ასევე, ადამიანის ძირითადი უფლებების ხელყოფა.

1972 წლის დეკემბერში, გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო N3034 რეზოლუცია ტერორიზმისა და სხვა ფორმის ძალადობის შესახებ.^{2 3 4}

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 28-ე სესიაზე, „საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ“ მიღებული კონვენციით, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირებზე ახალი სამართლებრივი რეჟიმი გავრცელდა.

ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენცია ასევე შემუშავებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ, 1977 წლის 27 იანვარს, ქ. სტრასბურგში.⁵

საერთაშორისო სამართლებრივი ტექსტების შემუშავებას არ გადაუჭრია ტერორიზმის განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემები. „ტერორიზმის“ უნივერსალური განმარტების შემუშავების საკითხი დღემდე დღის წესრიგშია.

შესაძლოა ტერორიზმს შემდეგი განმარტება მიეცეთ - ტერორიზმი ეს არის კანონსა-წინააღმდეგო ქმედება, რომლის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებაში შიშის დანერგვით პოლიტიკური მიზნის მიღწევა.

ტერორისტული ორგანიზაცია - უკანონო, არაოფიციალურად მოქმედი ორგანიზაციაა, რომელიც, ძირითადად შედგება ტერაქტის დაგეგმვის, მისი მომზადებისა და უშუალო შემსრულებელი რგოლებისაგან. ტერორისტულ ორგანიზაციას, შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა სახის სტრუქტურული მოწყობა, მაგალითად:

- იერარქიული (იდენტიფიცირებადი - ვერტიკალური სტრუქტურა);
- ჰორიზონტალური (სტრუქტურა, სადაც ლიდერები ძნელად იდენტიფიცირებადია და არ თამაშობენ მთავარ როლს);
- ქსელური (სტრუქტურა, სადაც ორგანიზაცია შესაძლოა შედგებოდეს, როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ჯგუფების, ისე დამოუკიდებლად მოქმედი, ე.წ. „მარტოხელა მგელი“ ტერორისტებისგან).

1 Convention to Prevent and Punish the Acts of Terrorism, February 2, 1971 <http://www.oas.org/juridico/english/treaties/a-49.html>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა – 15.11.2021

2 რაც იწვევს უდანაშაულო ადამიანების დაღუპვას ან საფრთხეს უქმნის მათ ფუნდამენტურ უფლებებს.

3 გაეროს N3034 რეზოლუციის მე-9 პუნქტის შესაბამისად, 1973 წელს შეიქმნა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური კომიტეტი.

4 Measures to Prevent International Terrorism Which Endangers or Takes Innocent Human Lives or Jeopardizes Fundamental Freedoms <https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/270/64/IMG/NR027064.pdf?OpenElement>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა – 15.12.2021

5 European convention on the Suppression of Terrorism, <https://rm.coe.int/16800771b2>, უკანასკნელად გადამოწმებული იქნა – 15.12.2021

ხშირ შემთხვევაში, ტერორიზმი მოიცავს ძალის ასიმეტრიულ გამოყენებას. ასიმეტრიული ომი წარმართება უთანასწორო მხარეებს შორის, სადაც ნაკლებად ძლიერი ძალა, ომის წესების დაუცველად, თავს ესხმის უფრო ძლიერ ძალას, რადგანაც იგი აპრიორში ვერ გაიმარჯვებს პირდაპირ საბრძოლო მოქმედებებში.

დღეს, ტეროლოგია, როგორც მეცნიერება ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ნახსენები დეფინიციები, უმეტესწილად, შესაძლოა იმ ეპოქის გამოწვევებს პასუხობდეს. დღეს კაცობრიობა დღითიდღე დამოკიდებული ხდება კიბერსივრცეზე. ცივილიზებული სამყარო უმეტესწილად სწორედ კიბერსივრცეში წყვეტს მის წინაშე დასმულ საკითხებს. ადამიანებს შორის კომუნიკაციის უდიდესი ნაწილი სწორედ კიბერსივრცეზე მოდის, ამიტომ სავსებით მართებულად შეიძლება ვიფიქროთ, რომ დამნაშავე სამყაროს და ამ შემთხვევაში ტერორიზმის მომავალი სამიზნე სწორედ კიბერსივრცე იქნება. თუმცა სავარაუდოა, რომ ტერორიზმის განმარტებაში დარჩება ის, რომ ქმედება კანონსაწინააღმდეგოა და მისი მიზანი იქნება საზოგადოების რაც შეიძლება ფართო მასების დაშინებით პოლიტიკური მიზნების მიღწევა.

The study of Terrorism is a precondition to combat it successfully

Associate Professor, Dr. Davit Sujashvili, *Grigol Robakidze University; Georgian Academy of Criminology Science;*

Keywords: Terrorism, Research, Experience

The ongoing processes in the world give us the reason to assume that in the near future international terrorism will remain an urgent problem for the civilized world. Moreover, it will strengthen its positions in cyberspace, on which the world is becoming more and more dependent.

Georgia, with its geopolitical location, ethnic and religious diversity, occupied territories, and its aspirations to become a full-fledged part of the Euro-Atlantic space, makes it an indirect target for international terrorists, if not direct.

Academic research and analysis of the threats posed by international terrorism and the precise strategy based on it are tools for the right and successful preventive measures.

The first meaning of the word 'terrorism', as recorded by the Académie Française in 1798, was "system or rule of terror".¹ The example was Robespierre's method of governing, which consisted of brutal treatment of the revolution's enemies. This method was also contagious for the opposition, which, in order to achieve its political goal, did not turn away from terror. During the short ruling of the Paris Commune (1871), one of the main components of terrorism was widely used, in particular- the taking of hostages.²

While the Reign of Terror was a product of the French government, in modern times, terrorism denotes the killing of humans by governmental or nongovernment political actors for various reasons—usually as a political statement. This interpretation came from Russian radicals in the 1870s,³ who saw terrorist acts as a more effective means of waging the socio-political struggle.

According to a study conducted in 1988 by researchers at the University of Leiden (Netherlands),⁴ Alex Schmid and Albert Jongman, the definitions include the Concept of violence - 83.5%, Political goals - 65%, causing Fear and terror - 51%, Arbitrariness, and indiscriminate targeting - 21%, the victimization of civilians, noncombatants, neutrals, or outsiders - 17.5%.⁵

A study conducted by Ariel Merari, a professor at Tel Aviv University, in 1993, found that, in the U.S., Britain, and Germany, three common elements exist in the legal definitions of terrorism of those countries:

¹ *Système, régime de la terreur* - This is one of the forms of political governance when the government uses violent methods against the political opposition.

² Davit Sujashvili "Historical Aspects of Some Forms of State Terrorism", Journal "Historical Verticals", N 34, Tbilisi. 2016, p. 234

³ Sergei Nechaev (1847-1882), a well-known Russian nihilist, revolutionary and one of the first representatives of Russian revolutionary terrorism.

⁴ The study analyzed key components of hundreds of official and academic definitions of "terrorism."

⁵ Schmid AP, Jongman AJ, Political Terrorism. Amsterdam: North Holland Publishing Company, 1988, pp. 5-6.

- The use of violence,
- Political objectives, and
- The aim of propagating fear in a target population¹

Throughout the years, various scholars, and research centers have attempted to define terrorism. Yet, the term is so loaded with conceptual problems that in Terology (science about terrorism) a totally accepted definition of it still does not exist. Despite the existence of many facts of manifestation of terrorism in different forms in world history, today terrorism as a science is not sufficiently developed. Even with regard to the legal definition of "terrorism", there is no consensus in scientific circles. If one party believes that there is no need to develop a universal definition of terrorism and only agrees on a few key aspects, developing a comprehensive definition of "terrorism" for the other part of the theorists is a prerequisite for a successful fight against it.²

The following are some of the most common definitions by scholars and institutions:

Walter Laqueur (Prominent American - Political Scientist): "Terrorism is the use or the threat of the use of violence, a method of combat, or a strategy to achieve certain targets... [I]t aims to induce a state of fear in the victim, that is ruthless and does not conform with humanitarian rules... [P]ublicity is an essential factor in the terrorist strategy."

Bernard Gom (Polish Terologist): "Terrorism is violence committed by an objectively stronger subject, while 'terrorism' is violence committed by an objectively weaker force."

Bruce Hoffman (Georgetown University analyst, USA): "Terrorism is ineluctably political in aims and motives, violent—or, equally important, threatens violence, designed to have far-reaching psychological repercussions beyond the immediate victim, it aims to have an impact on target groups".

Alex Schmid and Albert Jongman (Researchers at Leiden University in the Netherlands): "Terrorism is an anxiety-inspiring method of repeated violent action, employed by (semi-)clandestine individual, group, or state actors, for idiosyncratic, criminal, or political reasons, whereby—in contrast to assassination—the direct targets of violence are not the main targets. The immediate human victims of violence are generally chosen randomly (targets of opportunity) or selectively (representative or symbolic targets) from a target population, and serve as specific message generators. And aims to spread fear in masses".

David Rapoport (Professor of Political Science, University of California, USA): terrorism is "the use of violence to provoke consciousness, to evoke certain feelings of sympathy and revulsion."

¹ Chaliand G., Blin A., The History of Terrorism From Aniquity To Al Qaeda. London: University Of California Press, Ltd., 2007, page 14

² Sujashvili, d. (2018). Anatomy of International Terrorism and Georgia. Tb. Due to " Saari ".

Yonah Alexander (Columbia University, USA, Professor of Terrorism): terrorism is "the use of violence against random civilian targets in order to intimidate or to create generalized pervasive fear for the purpose of achieving political goals."

League of Nations Convention Definition of Terrorism (1937): terrorist acts are "all criminal acts directed against a State and intended or calculated to create a state of terror in the minds of particular persons or a group of persons or the general public."

European Union Assessment: "Terrorism is an act committed with the aim of seriously intimidating a population, unduly compelling a government or international organization to perform or abstain from performing any act, seriously destabilizing or destroying countries and democratic institutions.

U.S. Department of Defense Definition of Terrorism: terrorism refers to "the calculated use of unlawful violence or threat of unlawful violence to inculcate fear; intended to coerce or to intimidate governments or societies in the pursuit of goals that are generally political, religious, or ideological."

Kofi Annan (former Secretary-General of the United Nations): "Terrorism is a global threat, with global effects... "By its very nature, terrorism is an assault on the fundamental principle of law, order and human rights".

U.S. Department of State: terrorism is "premeditated, politically motivated violence perpetrated against noncombatant targets by subnational groups or clandestine state agents."

US Central Intelligence Agency: "Terrorism is: a premeditated and not impulsive act of violence. An action designed to change the political order. "An action against civilians carried out by sub-national groups."

The U.S. Federal Bureau of Investigation: "Terrorism is the unlawful use of force or violence against persons or property to intimidate or coerce a government or civilian population in furtherance of political or social objectives".

Arab Convention for the Suppression of Terrorism: terrorism is "any act or threat of violence, whatever its motives or purposes, that occurs in the advancement of an individual or collective criminal agenda and seeking to sow panic among people, causing fear by harming them, or placing their lives, liberty or security in danger, or seeking to cause damage to the environment or public or private installations or property or to occupying or seizing them, or seeking to jeopardize national resources."¹

The fact is that terrorism is not just violence. Regardless of the form of violence - be it an explosion, a murder, or a hijacking, there is always a specific strategy behind the actions of terrorists to achieve a political goal. Terrorism is not an accidental, unprepared, or blind act. It is premeditated, well-calculated violence against noncombatants.

¹ Source: http://www.unodc.org/images/tldb-f/conv_arab_terrorism.en.pdf Last checked - 15.12.2021.

As one can see, there are problems with attaining an all-inclusive definition. As Yasser Arafat, late Chairman of the PLO (the Palestine Liberation Organization), notably said in a 1974 speech before the United Nations, "[O]ne man's terrorist is another man's freedom fighter."¹

The international community has historically aimed to formulate an international definition of "terrorism." In 1937, The League of Nations drafted the Convention for the Prevention and Punishment of Terrorism, and the Convention for the Creation of an International Criminal Court.² The adoption of the Convention was a kind of response to the assassination of the French Foreign Minister and the King of Yugoslavia in 1934 in Marseilles. The convention was intended to define and sanction a terrorist act, but the Convention did not enter into force due to differing views and opinions among the member states. This is where the difficulty of legally defining terrorism comes from.³

The first attempt to define the concept of terrorism was made at the 3rd International Conference on the Unification of Criminal Law in Brussels.⁴ The position of the presented resolution is clearly read in its very first article:

Article 1.

'The intentional use of means capable of producing a common danger that represents an act of terrorism on the part of anyone making use of crimes against life, liberty, or physical integrity of persons or directed against private or state property.

Whoever, for the purpose of terrorizing the population, uses against persons or property bombs, mines, incendiary or explosive devices or products, firearms or other deadly or deleterious devices, or who provokes or attempts to provoke, spreads or attempts to spread an epidemic, contagious disease or other disasters, or who interrupts or attempts to interrupt a public service or public utility will be punished.

After World War II, the states returned to developing a legal mechanism to fight terrorism, in particular on February 2, 1971, the first convention to prevent and punish the acts of terrorism taking the form of crimes against persons and related extortion that are of international significance.⁵ The Convention covers crimes such as murder, kidnapping, extortion, and the violation of basic human rights.

¹ This view is supported by a public opinion poll conducted in Palestine on 21 December 2001. 98.1% of Palestinians surveyed believe that the killing of 29 Palestinians at the Al Ibrahim Mosque in Hebron in 1994 by Baruch Goldstein should be considered "terrorism", while 82.3% of the same respondents either disagreed or strongly disagreed. That a suicide bomber blew himself up at a Tel Aviv dolphinarium, killing 21 young Jews, was described as "terrorism."

² Thomas Weatherall, "The status of the prohibition of terrorism in International Law: Recent development", Georgetown Journal of International Law, Vol. 45, 2015, p.591.

³ Viridiana Molinares Hassan, "Terrorism: Legal Registers and Doctrinal Debates" by Joan Lluís Pérez Francesch, Viridiana Molinares Hassan del Norte Editorial, 2016, pp.193-194.

⁴ Saul B., Attempts To Define "Terrorism" In International Law. Netherlands International Law Review., 2005, Page 59.

⁵ Convention to Prevent and Punish the Acts of Terrorism, February 2, 1971. <http://www.oas.org/juridico/english/treaties/a-49.html> , last verified - 15.12.2021.

In December 1972, the UN General Assembly adopted Resolution N3034 on Terrorism and Other Forms of Violence.¹²³

At the 28th session of the UN General Assembly, in 1973 Convention on the Prevention and Punishment of Crimes against Internationally Protected Persons Including Diplomatic Agents was adopted.

On 27 January 1977, in Strasbourg - the European Convention on the Suppression of Terrorism was drafted.⁴

The drafting of international legal texts has not solved the problems related to the definition of terrorism. The issue of developing a universal definition of "terrorism" is still on the agenda.

Maybe we should define Terrorism as - Terrorism is an unlawful act, aiming to achieve political goals by inculcating fear in society.

A terrorist organization is an illicit clandestine organization that generally consists of planners, trainers, and actual bombers/killers. A terrorist organization can have various structures, such as:

- Hierarchical (identifiable - vertical structure);
- Horizontal (a structure where leaders are difficult to identify and do not play a major role);
- Cell structure (where the terrorists can be "lone wolves").

Terrorism is also asymmetric warfare. Asymmetric warfare refers to the use of random/unpredictable violence by a weak group (i.e., one with a smaller force) against a stronger power (i.e., military, government, or even society in general) to gain an advantage. Asymmetrical warfare is fought between grossly unequal sides.

Nowadays, terrorism as a science is still in the process of formation, and it can be said that the above definitions may, for the most part, meet the challenges of that era. Today humanity is becoming more and more dependent on cyberspace. The civilized world mostly solves the issues in cyberspace, most of the communication between people is in cyberspace, so we can rightly think that the next target of the guilty world and in this case terrorism will be cyberspace. However, in the definition of terrorism will likely remain the following - action will be unlawful and aim to achieve political goals by inculcating fear in mass society.

¹ which causes the death of innocent people or endangers their fundamental rights.

² In accordance with Article 9 of UN Resolution N3034, a Special Committee on Combating International Terrorism was established in 1973.

³ Measures to Prevent International Terrorism Which Endangers or Takes Innocent Human Lives or Jeopardizes Fundamental Freedoms <https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/270/64/IMG/NR027064.pdf?OpenElement> , last checked – 15.12.2021.

⁴ European Convention on the Suppression of Terrorism, <https://rm.coe.int/16800771b2> , last verified - 15.12.2021.

დამნაშავის პიროვნების კვლევა, როგორც მთავარი ფაქტორი დანაშაულობის ერთიან სისტემაში

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გივი აბაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

საკვანძო სიტყვები: კრიმინოლოგია, დამნაშავის პიროვნება, კვლევა

პიროვნების ცნება რთული და მრავალწახნაგოვანია, ამიტომ, ვერანაირი განსაზღვრება პიროვნებისა, რაც არ უნდა ფართო იყოს, ვერ მოიცავს მის ყველა მხარეს და თვისებებს, მითუმეტეს, როცა ლაპარაკია დამნაშავის პიროვნებაზე.

დანაშაულობის აქტუალური პრობლემების შესწავლის პროცესში უპირველესი და მთავარი საკითხია დამნაშავის პიროვნება. სწორედ დამნაშავის პიროვნების შესწავლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დანაშაულობის კვლევაში. ამასთან, დამნაშავის პიროვნება ასევე ყოველთვის ფართო საზოგადოების ყურადღებისა და ინტერესის ქვეშ იყო, რადგან ადამიანებს ზოგადად პირველ რიგში აინტერესებთ პირი, რომელმაც დააზიანა მისი სამართლებრივი სიკეთე.

დამნაშავის პიროვნების მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა. მეცნიერებმა გადაწყვიტეს დანაშაულის ჩამდენი პირი თავიანთი ინტერესთა სფეროში მოექციათ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია იტალიელი ფსიქიატრის ჩ. ლომბროზოს წიგნი „დამნაშავე ადამიანი“ (1895 წელი), რომელშიც ავტორმა თანმიმდევრულად გადმოსცა დამნაშავეზე ჩატარებული ანთროპოლოგიური გამოკვლევების შედეგები¹.

დამნაშავის პიროვნება (Criminal personality), წარმოქმნილია „დამნაშავის“ სოციალურ-სამართლებრივი და „პიროვნების“ ზოგად-სოციოლოგიური ტერმინებისაგან. დამნაშავის პიროვნება - კრიმინოლოგიურად ხასიათდება: სოციალურ დემოგრაფიული, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური, ზოგად სამართლებრივი ნიშნებით².

დამნაშავის პიროვნული თვისებებების შესწავლა ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დამნაშავის პიროვნების გამოკვლევას და შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კრიმინოლოგიაში დანაშაულის ჩამდენი პირის პრობლემა დღემდე ერთ-ერთ ძირითად და რთულ პრობლემად რჩება. საერთოდ, დანაშაულობის, მისი წარმოშობი მიზეზების, ხელისშემწყობი პირობების გამოკვლევა დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

კრიმინოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრება გამოითქვა დამნაშავის პიროვნების კვლევის აუცილებლობაზე. „დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილე-

¹. კრიმინოლოგია. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ლლონტი, თბ., 2008, გვ. 98.

². მ. ბაძაღუა. კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები. თბ., 2016, გვ. 32.

ბელი რგოლია იმ მოვლენების და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც ერთობლიობაში დანაშაულობის მთლიან სურათს ხატავენ და მასზე მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან“¹.

უკანასკნელ წლებში კრიმინოლოგიური მეცნიერების განვითარებამ განაპირობა სხვა მრავალი მეცნიერების დარგის ინტერესი დამნაშავეს პიროვნების მიმართ. დღესაც დამნაშავეს პიროვნების საკითხი კრიმინოლოგიის, კრიმინალისტიკის, სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დამნაშავეა პირი, თუ იგი ჩაიდენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას.

დამნაშავეს პიროვნების ცნების იმ ნიშნით განსაზღვრა, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, ანუ მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით, არ არის მართებული. დამნაშავეს პიროვნება კრიმინოლოგიაში შეისწავლება სისტემური მიდგომით, რაშიც გათვალისწინებულია მისი სოციალურ-დემოგრაფიული, სოციალურ-როლებრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი².

დანაშაულის ჩამდენის პიროვნული მექანიზმის გაცნობიერებაში კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება ეფუძნება სოციალური მეცნიერების, პირველ რიგში სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის მონაცემებს. დამნაშავეს პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლა ემსახურება დანაშაულის პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფას.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დანაშაულის ჩამდენი პირი ანუ „დამნაშავეს პიროვნება“ შენადგენი სიტყვაა, სახელდობრ იგი წარმოქმნილია „პიროვნების“ ზოგად-სოციოლოგიური და „დამნაშავეს“ სოციალურ-იურიდიული ცნებებისაგან. დანაშაულის ჩამდენი პირი არის ადამიანი, რომელიც ბრალეულია სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ მართლსაწინააღმდეგო ანუ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენაში და რომელსაც ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა³.

დანაშაულის ჩამდენი პირი ფართო მნიშვნელობის ცნებაა. დამნაშავეს პიროვნება არის რთული კომპლექსი, რომელიც ახასიათებს მის თვისებას, გამოვლინებებს, კავშირებს, მის შინაგან ზნეობრივ და სულიერ სამყაროს აღებულს მოძრაობაში. ასევე ავლენს ურთიერთ-კავშირებს ზოგად სოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ პირობებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ, ამა თუ იმ ზომით განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ჩამდენი პირი ყველაზე სრული სახით დანაშაულის ჩადენის მომენტში წარმოგვიდგება.

¹. კრიმინოლოგია. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ლლონტი, თბ., 2008, გვ. 97.

². მ. გაბუნია. შესავალი კრიმინოლოგიაში. თბ., 2011, გვ. 90.

³. ზ. წულაია. კრიმინოლოგია, ზოგადი ნაწილი. თბ., 2005, გვ. 77.

დამნაშავის პიროვნებას კრიმინოლოგიურად ახასიათებს: სოციალურ-დემოგრაფიული და სისხლისსამართლებრივი ნიშნები; სოციალური როლი და დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებისადმი; ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისება და ღირებულებითი ორიენტაციები.

დამნაშავის პიროვნების შესწავლისა და მისი კრიმინოლოგიური დახასიათების მეცნიერულ-პრაქტიკული ასპექტების გასარკვევად საჭიროა ყველა კონკრეტული პირობების, გარემოებების გამოკვლევა, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებს დამნაშავე პირის ყოფაცევაში. დანაშაულის ჩამდენი პირი დახასიათებული უნდა იქნეს მთელი მისი ინდივიდუალობით, უნდა გაირკვეს დანაშაულის ჩადენის მოტივები, პიროვნების საშიშროების ხარისხი, მისი წარსული, საყოფაცხოვრებო ჩვევები და სხვა. დამნაშავის კრიმინოლოგიური დახასიათებისას საჭიროა ასევე დამნაშავის პიროვნება შესწავლილი იქნას სოციოლოგიური თვალსაზრისითაც.

დამნაშავის პიროვნების ძირითადი დამახასიათებელი, სპეციფიკური ნიშანი არის მისი საზოგადოებრივი საშიშროება, რადგან დამნაშავე ყოველთვის გამოდის ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების, ჩვევების მატარებელ პიროვნებად, რომელიც იგნორირებას უკეთებს საზოგადოების მორალურ და სამართლებრივ მოთხოვნებს, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების ხედვებსა და ინტერესებთან. დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროება არ არის რაღაც თანდაყოლილი თვისება მისი პიროვნებისა. ის ვლინდება იმგვარ თავისებურებებში და ნიშნებში, რაც ახასიათებს კონკრეტულ დამნაშავის პიროვნებას და რითაც განსხვავდება ის სხვა მოქალაქისაგან. ანუ დამნაშავის პიროვნებას აქვს ბევრი მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რითაც ისინი განსხვავდებიან წესიერი პირებისაგან.

მრავალ ფაქტორებს შორის, რომლებიც ზოგადად ახასიათებს დამნაშავის პიროვნებას, შეიძლება გამოვყოთ ფაქტორები, რომლებიც აისახება დამნაშავის ქცევაში და წინ უსწრებს დანაშაულის ჩადენას, რაც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან და ახასიათებს პიროვნების ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურ და ფსიქიკურ თვისებებს.

კრიმინოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, დამნაშავის პიროვნების განსაზღვრება, საერთო სახე და თვისებები უნდა ვეძიოთ მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებში. კერძოდ, იმ თავისებურებებში, რომლებიც განასხვავებენ ამ პირებს სხვა კანონმორჩილ მოქალაქეებისაგან. თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, კერძოდ, რომ „ეს თავისებურებები არ არის სტანდარტული დამნაშავეთა ყველა კატეგორიისათვის. ამასთან, ბევრი კრიმინოლოგი ვერ პოულობს არსებით განსხვავებას დამნაშავეებისა და დანაშაულის არ ჩამდენი პირების შედარებისას. კრიმინოლოგიური დარგის მეცნიერები ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს რაიმე პიროვნული ნიშნების სისტემა, რომელიც მხოლოდ დამნაშავეებისთვისაა დამახასიათებელი“.¹

მიგვაჩნია, რომ როგორც სისხლისსამართლებრივ, ასევე კრიმინოლოგიურ ასპექტში დამნაშავის პიროვნების კვლევა, რომელიც ერთ-ერთი რთული, სადავო და ამავე დროს

¹ Шнайдер Г. Криминология. Изд. Группа “прогресс”. 1994, с. 87.

ნაკლებად დამუშავებული საკითხია, არ არის საკმარისი და მისი პიროვნება ბოლომდე არ არის შესწავლილი.

დამნაშავის პიროვნების შესწავლის, მისი სწორად გააზრების საკითხს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც ცალკეული დანაშაულის და მისი ჩამდენი პირის შესწავლის, ასევე დამნაშავეთა სოციალური დახასიათების თვალსაზრისით, რადგან დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლა ხელს უწყობს აგრეთვე დამნაშავის პიროვნების სოციალური ნიშნების დადგენას და გაანალიზებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრიმინოლოგია. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. დლონტი, თბ., 2008.
2. მ. ბაძალა. კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები. თბ., 2016.
3. მ. გაბუნია. შესავალი კრიმინოლოგიაში. თბ., 2011.
4. ზ. წულაია. კრიმინოლოგია, ზოგადი ნაწილი. თბ., 2005.
5. Шнайдер Г. Криминология. Изд. Группа „прогресс“. 1994.

Investigating the criminal personality as a major factor in a unified crime system.

Associate Professor, Dr. Givi Abashidze, *Batumi Shota Rustaveli State University; Georgian Academy of Criminology Science;*

Keywords: Criminology, Criminal Personality, Research

The notion of personality, in general, is complex and multifaceted. Therefore, no definition of a person, no matter how broad it is, cannot include all its aspects and features, especially when it comes to the criminal personality.

In the process of studying the current problems of crime, the first and foremost issue is the criminal personality. It is the study of the offender's personality that is one of the most important stages in the study of crime.

In addition, the criminal personality has always been under the attention and interest of the general public, as people are generally primarily interested in the person who has harmed their legal good.

Interest in the criminal personality dates back to the 19th century. Scientists have decided to turn the offender into their area of interest. In this regard, the Italian psychiatrist C. Lombroso's book "Criminal Man" (1895), in which the author consistently presented the results of anthropological research on the culprit¹.

The criminal personality is derived from the socio-legal term "criminal" and the general sociological term "personality". Criminal personality – is criminologically characterized by: social demographic, moral-psychological, general legal features².

The study of the personal characteristics of the criminal is one of the key issues. That is why in the work of investigative and judicial bodies, the investigation and study of the criminal is crucial from a criminological point of view, because in criminology the problem of the person who committed the crime remains one of the main and difficult problems to this day. In general, it is impossible to investigate a crime, its origins, its facilitating conditions without a criminological examination of the offender.

Numerous opinions have been expressed in the criminological scientific literature on the necessity of researching the personality of the criminal. "The study of the criminal personality is an essential link in the chain of events and processes that together paint the whole picture of the crime and allow scientific conclusions to be drawn about it."³

The development of criminological science in recent years has aroused the interest of many other sciences in the criminal personality. Even today, the issue of the criminal personality remains one of the most pressing problems in criminology, forensics, sociology and psychology.

¹ Criminology. (T. Tsereteli Institute of State and Law), Editor G. Glonti, Tb., 2008, p. 98.

² M. Badzaghua. Definitions of key terms in criminology. Tb., 2016, p. 32.

³ Criminology. (T. Tsereteli Institute of State and Law), Editor G. Glonti, Tb., 2008, p. 97.

According to the criminal law, a person is guilty if he commits an illegal and culpable act under the Criminal Code of Georgia.

Determining the notion of the criminal by the sign that he has committed a criminal act under criminal law, i.e. only from a legal point of view, is not correct.

The criminal personality is taught in criminology with a systematic approach, which takes into account his socio-demographic, socio-role and socio-psychological characteristics¹.

From a criminological point of view, a person who commits a crime or "criminal personality" is a compound word, namely, it is derived from the notions of general sociological "personality" and sociological "criminal". A person who commits a crime is a person who is guilty of committing an illegal or publicly dangerous act prohibited by criminal law and who bears criminal responsibility².

The person who committed a crime is a concept of broad significance. The criminal personality is a complex that characterizes his qualities, manifestations, connections, the inner moral and spiritual world taken in motion. He also reveals the relationship between general social and individual living conditions, which in turn, to a greater or lesser extent, determines the commitment to a crime. It should also be noted that the criminal personality is presented in the most complete form at the time of the crime.

The criminal personality is criminologically characterized by: socio-demographic and criminal signs; Social roles and attitudes towards different areas of public life; Moral-psychological traits and value orientations.

The main characteristic, a specific sign of the criminal personality is his public danger, because the offender always emerges as a person with anti-social views, who ignores the moral and legal requirements of society, which in itself contradicts the views and interests of society.

The public danger of the criminal is not some innate feature of his personality. It is manifested in such features and signs that characterize the personality of a particular criminal and thus distinguish him from another citizen. That is, the offender's personality has many specific characteristics that distinguish it from decent individuals.

According to the prevailing opinion in the criminological scientific literature, the definition of the criminal personality, the general image and features should be sought only in the facts of the crime committed. In particular, in the peculiarities that distinguish these persons from other law-abiding citizens. However, there is also the opposite view, namely "these features are not standard for all categories of offenders. In addition, many criminologists do not find a substantial difference when comparing criminals and non-criminals. Criminologists often conclude that there is no system of personal traits that is unique to only criminals³.

¹ M. Gabunia. Introduction to Criminology. Tb., 2011, p. 90.

² Z. Tsulaia. Criminology, general part. Tb., 2005, p. 77.

³ G. Schneider. Criminology. Ed. Progress group. 1994, p. 87.

We believe that the study of the criminal personality, both criminally and criminologically, which is one of the most difficult, controversial and at the same time less processed issues, is not enough and his personality has not been fully studied.

The study of the criminal personality, its proper understanding is of great theoretical and practical importance both in terms of the study of the individual crime and its perpetrator, as well as the social characterization of the perpetrators, because the criminological study of the criminal personality also helps to identify and analyze the social marks of the criminal personality.

References:

1. Criminology. (T. Tsereteli Institute of State and Law), Editor G. Glonti, Tb., 2008.
2. M. Badzaghua. Definitions of key terms in criminology. Tb., 2016.
3. M. Gabunia. Introduction to Criminology. Tb., 2011.
4. Z. Tsulaia. Criminology, general part. Tb., 2005.
5. G. Schneider. Criminology. Ed. Progress group. 1994.

ფსევდოეთიკა და კრიმინოგენეზი

პროფესორი, დოქტორი თემურ ფაჩულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

საკვანძო სიტყვები: ფსევდოეთიკა, კრიმინოგენეზი, დამნაშავის პიროვნება

ეთიკის გარეშე შეუძლებელია ფსევდოეთიკის რაობის დადგენა, რის გამოც უპირველეს ყოვლისა უნდა ჩავატაროთ ეთიკის ჰერმენევტიკა. გავრცელებული განსაზღვრების მიხედვით, ეთიკა წარმოადგენს ქცევის ნორმების ერთობლიობას, რომელიც დაფუძნებულია თავისუფალ არჩევანზე და მიმართულია პიროვნებისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ. არსებობს უფრო ზოგადი განსაზღვრებაც, რომლის მიხედვით, ეთიკა არის ადამიანის ცხოვრების წესის განმსაზღვრელი მეცნიერება, რომელიც აწესრიგებს ადამიანურ და საზოგადოებრივ ყოფიერებას, ორივე განსაზღვრების მიხედვით, ეთიკა ნორმატიული მეცნიერებაა, რომელსაც წესრიგში მოჰყავს ადამიანური და სოციალური სინამდვილე. ეთიკურ ნორმებს გააჩნიათ სპეციფიკურობა, რითაც ისინი განსხვავდებიან საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებისგან, მაგალითად, სამართლის ნორმებისგან, რომელთაც ახასიათებთ კლასობრიობა, კოდიფიცირება, სანქცია, დინამიურობა, მათგან განსხვავებით ეთიკური ნორმები გამოირჩევიან ზეკლასობრიობით, არასანქციონერულობითა და სტატიკურობით. თუ სამართლებრივი ნორმის დარღვევას მოსდევს სანქცია, ანუ სახელმწიფოებრივი იძულება, რაც ობიექტური ფაქტორია, ეთიკური ნორმის დარღვევას არ ახლავს სანქცია და მისი რეგულატორია სუბიექტური ფაქტორი ანუ სინდისი, რომელიც ადამიანის შინაგანი მსაჯულია.

სპეციფიკურობით გამოირჩევიან ეთიკური კატეგორიებიც, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავდებიან ონტოლოგიური, მეტაფიზიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა. შ. კატეგორიებისგან. ეთიკის კატეგორიებია: თავისუფლება, სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, მეგობრობა, მოვალეობა, სიმამაცე, პიროვნება, ღმერთი, სულის უკვდავება, რომელთაგან ცენტრალური კატეგორიაა ღმერთი, საიდანაც გამომდინარეობს ყველა დანარჩენი კატეგორია. ღმერთი ეთიკის ხერხემალია, რომელზედაც აგებულია ეთიკის მთელი კონსტრუქცია, რომელიც მაშინათვე ჩამოიშლება და დაინგრევა, როგორც კი ამ ხერხემალს გამოვაცლით. ღმერთის გარეშე არ არსებობს თავისუფლება, რომელიც აბსოლუტთან დიალოგისა და დისტანცირების გზით წარმოიქმნება, ასევე სიკეთეც, რომელიც დაუინტერესებელი, უმოტივაციო ქმედებაა, რომელსაც მსჭვალავს თავგანწირვისა და ნაცვალების აქტი. სიკეთე იმეორებს ქრისტეს გზას, რაც ნიშნავს საკუთარი ეგოცენტრისტული ინტერესების დათმობას სხვის სასარგებლოდ, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ სიყვარულამდე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ენერგიას, რომლითაც გამსჭვალულია ნებისმიერი ეთიკური კატეგორია, იქნება ეს ერთგულება, მეგობრობა, მოვალეობა თუ სიმამაცე. ნებისმიერი მათგანი წარმოუდგენელია სიყვარულის გარეშე, რადგან იგი აძლევს თითოეულ ამ კატეგორიას არსებობის უფლებას. ერთგულება სიყვარულის განხორციელებული აქტია, რადგან სიყვარულის გარეშე შეუძლებელია ბოლომდე ერთგული დარჩევა და დაცვა ვინმეს ინტერესები და სიცოცხლე. მეგობრობა ნიშნავს თავგანწირვას იმისათვის, ვინც შენი სულის ნაწილად და შენს მეორე მედ მიგაჩნია, რაც სიყვარულის გარეშე შეუძლებელია. ასევე მოვალეობა და სიმამაცე, რომლებიც სიყვარულის რეალიზაციას

წარმოადგენენ და მის გარეშე ყოველგვარ აზრს ჰკარგავენ. რაც შეეხება პიროვნებას, იგი ინდივიდუალური ყოფიერების ის საფეხურია, რომელზედაც ასვლა მხოლოდ სიყვარულის მეშვეობითაა შესაძლებელი. პიროვნებას გააჩნია შინაგანი მზაობა ეთიკური აქტისათვის, რაც სიყვარულის გარეშე გამოირიცხულია. ღმერთი თავად არის სიყვარული, რომელიც ერთ მთლიანობად ჰკრავს ადამიანთა თაობებს, რასაც კაცობრიობა ეწოდება, რომელიც ისტორიის ჭეშმარიტი სუბიექტია და პროგრესის გზაზე მიჰყავს ჩვენი პლანეტა.

თითოეული ეთიკური კატეგორია ღმერთიდან დაწყებული პიროვნებით დამთავრებული წარმოადგენს ღირებულებას, რასაც სუბსტანციური დატვირთვა გააჩნია ეთიკაში. ღირებულების სხვადასხვა დეფინიციიდან ჩვენთვის მისაღებია ის განსაზღვრება, რომელიც გამოყოფს ღირებულების ისეთ ნიშნებს, როგორებიცაა: ნორმატიულობა, ტელეოლოგიური კაუზალობა, ან-ანის პრინციპი. მათი სუმაციით გამოდის, რომ ღირებულება წარმოადგენს თავისუფლების საფუძველზე არსებულ ჯერარსულ ნორმას, რომელსაც ახასიათებს ტელეოლოგიური კაუზალობა და თან სდევს უნდაობისა და ან-ანის პრინციპი. ღირებულება თავისუფლების მანიფესტაციაა, რომელიც ვერ ითმენს გარეგან ჩარევებსა და დიქტატს. იქ, სადაც ადგილი აქვს გარეგან იძულებას ღირებულებას, როგორც ასეთს არაფერი ესაქმება. ღირებულება არის ნორმა, რომელიც ადამიანის ცხოვრების წესის დამდგენი და მომწესრიგებელია, იგი არის ჯერარსული ხასიათის ნორმა, რომელიც ატარებს sollen-ის თვისებრიობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მკვეთრად განსხვავდება werden-ისაგან, ბუნებრივი აუცილებლობისაგან, რომელიც გარდაუვალია. ღირებულება განეკუთვნება ტელეოლოგიური კაუზალობის სფეროს, რომელიც არსობრივად გამიჯნულია კაუზალური დეტერმინაციისაგან, რომელსაც ფიზიკური მოვლენები და საგნები ემორჩილებიან. ღირებულება შეიცავს უნდას მომენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი, როგორც ნორმა ფიზიკურად არ არსებობს, მაგრამ, როგორც ასეთი უნდა განხორციელდეს. იგი ასევე ატარებს ან-ანის ხასიათს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ღირებულება, როგორც თავისუფლების მოქალაქე შეიძლება ან განხორციელდეს, ან არ მოხდეს მისი რეალიზაცია, რითაც იგი განსხვავდება აუცილებლობის სამყაროს მოვლენებისგან, რომელთა რეალიზაცია ბუნებრივ აუცილებლობას ანუ გარდაუვალობას წარმოადგენს.

ღირებულებები არ არიან თანაბარი მნიშვნელობისა და მოდიფიკაციის მქონენი, მათ შორის არსებობს გარკვეული იერარქია, სადაც გამოარჩევენ მიზან ღირებულებებსა და საშუალებას ღირებულებებს, აბსოლუტურ და რელატიურ ღირებულებებს, რომელთა შორის პირველები თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებიან. უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს ღმერთი, რომელიც აქსიოლოგიური პირამიდის სათავეში იმყოფება, საიდანაც საზრისსა და ონტოლოგიურ განზომილებას იძენენ დანარჩენი ღირებულებები, მისი უარყოფით ინგრევა და საზრისს ჰკარგავს არა მარტო აქსიოლოგია, არამედ ეთიკა და კულტურა, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ღირებულებათა კანონზომიერების საფუძველზე მოწესრიგებული ადამიანური ყოფიერება. ამდენად, ეთიკის არსებობა აქსიოლოგიის გარეშე ნონსენსია, რაც ვერ გაითვალისწინეს ნიცშემ და კამიუმ, რომლებმაც სცადეს ახალი ეთიკის დაფუძნება, რაც კრახით დასრულდა, რადგან ორივე მიზნად ისახავდა უღმერთო ეთიკის აგებას, რომელშიც ნიცშეს მიხედვით ცენტრალური ადგილი უნდა დაეკავებინა ზეკაცს, ხოლო კამიუსთან აბსურდსა და მის პერსონაჟებს. აქსიოლოგიური ეთიკა თვისებრიობაზე დაფუძნებული ეთიკაა, სადაც ადამიანი აწარმოებს პერმანენტულ ბრძოლას

საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან და სამყაროსთან, რასაც ზნეობრივ სრულყოფილებამდე მიჰყავს ადამიანი. ეს ბრძოლა გულისხმობს თვითდისციპლინასა და ორგანიზებულიობას, რაც გამორიცხავს მიღწეულით ტკობასა და მოდუნებას, რის გამოც ფილისტერი და ობივატელი მუდმივად გაურბის მას. ეთიკა დაუკმაყოფილებლობის, მუდმივი ძიების, შემართებისა და ბრძოლის უწყვეტი პროცესია, რასაც თან ახლავს განსაცდელი, ტანჯვა, ტკივილი, რაც, ბუნებრივია, აფრთხობს ფილისტერს, რომელიც განცხრომას, აუტკივარ ყოფასა და კომფორტსაა მიჩვეული. ეთიკა ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანებისა და გმირების საქმეა, ხოლო რაც შეეხება ფილისტერებსა და კონფორმისტებს, ისინი ფსევდოეთიკას ამჯობინებენ.

ფსევდოეთიკა წარმოადგენს მოჩვენებით ეთიკას, რომელიც ჭეშმარიტი ღირებულებების ნაცვლად ყალბ ღირებულებებზეა ორიენტირებული, იგი არის დამახინჯებული, ვულგარიზებული ეთიკა, რომელსაც თავისი პროფანიზებული აქსიოლოგიით საერთო არაფერი აქვს ჭეშმარიტ ეთიკასთან. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება მისი გაიგივება ანტიეთიკასთან, რომელიც დაუნდობლად ებრძვის ეთიკას და ყოველნაირად ცდილობს მის განადგურებასა და უარყოფას. ანტიეთიკისაგან განსხვავებით ფსევდოეთიკას არ ახასიათებს მსგავსი რადიკალიზმი, იგი ცდილობს ეთიკის არა განადგურებას, არამედ მის მშვიდობიან ჩანაცვლებასა და ტრანსფორმაციას. კონფრონტაციისა და ანაჟირების ნაცვლად იგი ირჩევს მიმიკრიისა და მიმბაძველობის გზას, რომლითაც ცდილობს დაემსგავსოს ეთიკას და მოახდინოს მისი ხავერდოვანი ჩანაცვლება და დემონტაჟი, რაც, ცხადია, უფრო ვერაგული გზაა, რომელიც საბოლოო ჯამში ეთიკის სრულ პარალიზებასა და კვდომას იწვევს. ანტიეთიკის მაგალითს წარმოადგენს ნიცშეს ფილოსოფია, რომელმაც ტოტალიტარიზმის მარცხენა ნაირსახეობასთან, ფაშიზმთან მიიყვანა მსოფლიო, რაც უზარმაზარი მსხვერპლისა და ტრაგედიის ფასად დაუჯდა კაცობრიობას. ანტიეთიკაა კამიუს აბსურდის ფილოსოფია, რომელიც ტრადიციული ეთიკის ნეგაციისკენაა მიმართული. ფსევდოეთიკა უკლებლივ ყველა პუნქტში არ ეთანხმება და ზურგს აქცევს ეთიკას. თუ ეთიკა ეფუძნება თავისუფლებას, ფსევდოეთიკა ფუნდირებულია მორჩილებაზე, თუ ეთიკა არის ჯერარსული ნორმის, ტელეოლოგიური კაუზალობის, უნდაობის, ან-ანის გამოვლინება, ფსევდოეთიკა ეფუძნება ფსევდო-ღირებულებებს და შესაბამისად მისი აქსიოლოგია წარმოადგენს ფსევდოაქსიოლოგიას, სადაც წინა პლანზეა ეგოცენტრიზმი, კონფორმიზმი, მიმიკრია, პრაგმატიზმი. ეთიკა არის თავგანწირვის, ალტრუიზმის, ნაცვალგების სფერო, რომლის აქსიოლოგია დამუხტულია სიკეთის, სიყვარულის, სიმპატიის, ერთგულების, მეგობრობის გრძნობებით, რაც უცხო და მიუღებელია ფსევდოეთიკისთვის. თუ ეთიკა წარმოადგენს მუდმივ მზადყოფნას სიკვდილისთვის, რაც მოყვასისთვის თავგანწირვაში გამოიხატება, ფსევდოეთიკა მსგავს ქმედებას უბრალოდ არც იცნობს და ისე გაურბის, რომ ახლოსაც არ ეკარება. ფსევდოეთიკა გაურბის სიკვდილს და თავის გასამართლებლად იგონებს უამრავ ხრიკსა და საბაბს, რათა გაამართლოს საკუთარი ლაჩრობა და უძლურება. თუ ეთიკა წარმოადგენს პერმანენტულ ბრძოლას სამყაროსთან, საზოგადოებასთან და საკუთარ თავთან, რასაც სრულყოფილებისაკენ მიჰყავს ადამიანი, ფსევდოეთიკა კონფორმიზმისა და შემგუებლობის გზას ადგას, რითაც დეგრადაციისა და სულიერი გადაგვარებისკენ უბიძგებს ადამიანს. ეთიკა აკრიტიკებს და კიცხავს ყოველგვარი სახის დანაშაულს, რითაც მონანიებას იწვევს ადამიანში, რაც სულიერი კათარზისის გზაა, რომელიც ადამიანის მენტალურ ამაღლებასა და გაკეთილშობილებას ემსახურება. ფსევდოეთიკა არ იცნობს

სინანულს, მისთვის უცხო და მიუღებელია დანაშაულის კრიტიკა და გაკიცხვა. იგი, პირიქით, ამართლებს დანაშაულს და უარყოფის ნაცვლად ეწევა მის აპოლოგიას. ფსევდოეთიკა ემყარება ფსევდოლირებულებებს, რომლებიც ჭეშმარიტი ღირებულებებისგან პრინციპულად განსხვავდებიან. ფსევდოლირებულება არ შეიცავს თავისუფლების, ჯერარსის, ნორმის, უნდაობის, ტელეოლოგიური კაუზალობის, *sollen*-ის, ან-ანის მომენტებს, რითაც თვისებრივად დაცილებულია ღირებულებისგან. ფსევდოეთიკის გამოვლენის თვალსაჩინო მაგალითია პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა ფსევდო ღირებულებებს, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს ელექტორატის გაცურება და შეცდომაში შეყვანა. სანამ რეალური პოლიტიკა დაცლილია ზნეობრივი მომენტისგან და ზურგმექცევით დგას ეთიკასთან მიმართებაში, მანამ ფსევდოეთიკას და ფსევდოაქსიოლოგიას წამყვანი პოზიციები ექნებათ მასში. რაც უფრო ზნეობრივია პოლიტიკა მით უფრო დისტანცირებულია იგი ფსევდოეთიკისაგან და გამიჯნული ფსევდოლირებულებებისაგან. პოლიტიკის მომავალი, საბოლოო ჯამში, ამგვარ დისტანცირებაზეა აგებული, რაც გამოიწვევს პოლიტიკისა და ეთიკის სინთეზს, სადაც გამოირიცხება ფსევდოეთიკის ყოველგვარი გამოვლინებები. ფსევდოეთიკის წარმოჩენის ასპარეზია ქურდული სუბკულტურა, ეგრეთწოდებული კანონიერი ქურდების ინსტიტუცია, რომელიც მთლიანად ფსევდოლირებულებებზეა დაფუძნებული, ამ სუბკულტურის ისეთ „კატეგორიებს“, როგორებიცაა: სამართლიანობა, თავისუფლება, ღირსება, თანასწორობა და ა. შ. არაფერი აქვთ საერთო ჭეშმარიტ სამართლიანობასთან, თავისუფლებასთან და ეთიკის სხვა ღირებულებებთან. არადა ქურდული ინსტიტუცია სწორედ სამართლიანობის, თანასწორობისა და ა. შ. დაცვის პრეტენზიით იწონებს თავს, მისი აზრით, სახელმწიფო ბოროტებაა, რომელიც ჩანასახშივე სპობს სამართლიანობას, თავისუფლებასა და ა. შ., რომელთა დაცვა და ცხოვრებაში გატარება მხოლოდ კანონიერ ქურდებს შეუძლიათ, სინამდვილეში ესაა მითი, რომლის უკანაც შიშველი ძალადობა და ტერორი იმალება, რომლის მეშვეობითაც კანონიერი ქურდები მართავენ კრიმინალურ სამყაროს. ისინი ყოველგვარ კანონზე და მორალზე მაღლა დგანან და შეუვალ, შეუმცდარ ავტორიტეტებს წარმოადგენენ, რომელთა სიტყვა და განაჩენი სავალდებულოა ქურდული სუბკულტურის წევრებისათვის, მათ არ გააჩნიათ სინანულის განცდა, რადგან უმცდარებლად მოაქვთ თავი, ხოლო სინანული არ არსებობს იქ, სადაც შეცდომას არ აღიარებენ და საკუთარი თავი მუდამ მართლად მიაჩნიათ. რასაკვირველია, აქ საქმე გვაქვს ყალბ ცნობიერებასთან, რომელიც კეპთაყვანისმცემლობის რეციდივს წარმოადგენს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჯანსაღ ადამიანურ ურთიერთობასთან. მსგავსი ვითარებაა დანაშაულობის სხვა ფორმებთანაც, სადაც ფსევდოეთიკა ირგებს კრიმინალის აპოლოგეტიკას და ლეგიტიმატორის ფუნქციას. დანაშაულობის ონტოგენეზი მრავალშრიანი პროცესია, რომელიც დანაშაულთან ერთად მოიცავს მის პრე და პოსტ სტადიას, რომლებშიაც მკაფიოდ იკვეთება ფსევდოეთიკის როლი, რომელიც წინარე სტადიაში ფსიქოლოგიურად ამზადებს, ხოლო ფინალურ ეტაპზე ამართლებს დანაშაულს. რომ არა ფსევდოეთიკა დანაშაულობა ინსპირატორისა და დამცველის გარეშე დარჩებოდა, რაც საგრძნობლად შეამცირებდა მის რიგებს. კრიმინოგენეზი აქსიოლოგიური და ეთიკური დეფიციტის შედეგია, რომლის შევსება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დანაშაულობის კლებას. დამნაშავე მუდამ იმართლებს თავს და ცდილობს გამოჩინოს გამამართლებელი არგუმენტები, რომელთა მეშვეობით ცდილობს თავის დაძვრენასა და საკუთარი საქციელის ლეგიტიმაციას, რაშიაც მას ფსევდოეთიკა ეხმარება, რომელიც

დანაშაულობის გამართლებისა და გაკეთილშობილებისკენაა მიმართული. ფსევდოეთიკასა და მის ფსევდოლირებულებებს ამოფარებული დამნაშავე ინუგემებს თავს და ყოველნაირად ცდილობს გაექცეს სინდისის შინაგან ხმას, რომელიც მონანიებისა და საკუთარი დანაშაულის სიმძიმის გაცნობიერებისაკენ მოუწოდებს, რაც საბოლოო ჯამში ფსევდოეთიკის დაძლევისა და ზნეობრივი კათარზისის მიღწევაში ემხარება. რაც უფრო ადრე მოხდება ფსევდოეთიკის დაძლევა, მით უფრო ადრე დადგება ადამიანი ეთიკური გაკეთილშობილებისა და სრულყოფილების გზას, რაც მისი ადამიანურობისა და ეგზისტენციის დამკვიდრების საფუძველია.

Pseudoethics and criminogenesis

Professor, Dr. Teimuraz Pachulia, *Sokhumi State University, Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: Pseudo-ethics, Criminogenesis, Criminal Personality

Pseudo-ethics is an imaginary, surrogate ethic based on false values. It is focused on pseudo-values, which is why its axiology is pseudo-axiology, where egocentrism, conformism, pragmatism, mimicry are in the foreground. If ethics is a field of self-sacrifice, altruism, reciprocity, and if ethics' axiology is full of feelings of kindness, love, sympathy, loyalty, friendship, all this is unacceptable in the case of pseudo-ethics. If ethics is a permanent struggle with the world, society, oneself, which leads to the moral perfection of man, pseudo-ethics stands in the way of conformism and tolerance, thereby pushing humanity towards spiritual degradation. Ethics criticizes and condemns all kinds of crimes, thereby causing repentance in man, which is the path to spiritual catharsis, which leads to mental upliftment and perfection. Pseudoethics knows no remorse, it does not criticize, rebuke, and deny the crime. It, on the contrary, justifies the criminal and apologizes for it instead of denying it. Pseudoethics is the theoretical basis of crime, the purpose of which is to justify and protect crime, which is why it is a fundamental factor in criminogenesis that drives people to crime.

Pseudoethics is widely represented in certain forms of public consciousness, especially in politics based on pseudo-values aimed at misleading and exploiting the masses. Unfortunately, as long as real politics is empty of the moral realm and turns its back on ethics, pseudo-ethics will have dominant positions in it. The more moral politics is, the more distant it is from pseudo-ethics and the more it is separated from pseudo-values. The future of politics ultimately depends on such distancing, which will lead to the convergence and synthesis of politics and ethics, which excludes the manifestations of pseudo-ethics.

An example of the manifestation of pseudo-ethics is the thieving subculture, the so-called institution of thieves-in-law, which is built entirely on pseudo-values. Categories of this subculture such as: justice, dignity, freedom, equality, etc. have nothing to do with true justice, freedom and other categories of ethics. However, the thieving institution arose precisely from the pursuit of justice, equality, etc. It originated with a claim of protection, believing that the state is an evil that can not pursue a life of justice and freedom, which is only the prerogative of law-abiding thieves. In fact, this is a myth behind which naked violence and demagoguery are hidden, by which thieves-in-law rule the criminal world. They exalt themselves above law and morality and present themselves as infallible authorities whose judgment is binding and concluding on the members of their subculture. They have no sense of remorse because they consider themselves infallible and are always right in front of their own audience. Here we are dealing with a false consciousness that is a relapse of idolatry that has nothing to do with civil human relations.

The ontogenesis of crime is a multifaceted process that includes the pre- and post-stages, where the role of the pseudo-ethic that psychologically and theoretically prepares crime is explicit, while at the final stage it deals with its apology. If not pseudo-ethics the criminal would be left without an inspirer and apologist, which would significantly reduce its number. Criminogenesis is the result of

an axiological and ethical deficit, the filling of which will significantly contribute to the reduction of the criminogenic situation. The culprit, hiding behind pseudo-ethics and pseudo-values, justifies and comforts itself, thus trying to escape the inner voice of conscience calling for repentance and confession of its own guilt, which is the way to overcome the pseudo-ethics that leads one to moral catharsis. The sooner pseudoethics is overcome, the sooner a person will embark on the path of perfection and ethical benevolence, followed by the establishment of one's humanity and existence.

არასაპატიმრო სასჯელის სახეები და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პრობლემები

პროფესორი, დოქტორი მიხეილ მამნიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

საკვანძო სიტყვები: არასაპატიმრო სასჯელი, მსჯავრდებული, რესოციალიზაცია

სასჯელი, ისევე როგორც დანაშაული სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. იგი სისხლის სამართლის მეცნიერების ქვაკუთხედს წარმოადგენს. სასჯელი როგორც სისხლის სამართლის ერთ-ერთი ცნება, შედარებით ნაკლებად იყო დამუშავებული ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში და ძირითადი აქცენტი დანაშაულის კვლევის საკითხებზე იყო გადატანილი¹, თუმცა უკანასკნელ წლებში ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში გამოჩნდა ნაშრომები, რომლებიც სასჯელის პრობლემატიკის კვლევას ეძღვნება². უნდა ითქვას, რომ სასჯელის მიზნები არა მარტო სისხლის სამართლებრივი საკითხია, არამედ ღრმა ფილოსოფიურ გააზრებასაც მოითხოვს, რადგანაც საჯელი არის დანაშაულის იურიდიული შედეგი. შესაბამისად, თუ ვიკვლევთ დანაშაულის პრობლემებს, სასჯელის პრობლემაც უნდა იქნეს გამოკვლეული³.

სასჯელის მიზნების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისითაც, რაც რეალურად უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, რადგან კანონმდებელმა უარი თქვა მკაცრ სისხლის-სამართლებრივ პოლიტიკაზე, რომელიც ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობით“ იყო ცნობილი და სასჯელის ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკის კურსი აირჩია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სისხლის სამართლის საკანონმდებლო რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომელიც ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გადასვლის მაჩვენებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის სასჯელის ჰუმანურობის მიმართულებით, რამდენადაც სასჯელი დამაშინებელ ეფექტს არ უნდა იძლეოდეს, არამედ მასში, ასევე აუცილებელია აისახოს, ასევე პოზიტიური ასპექტები, როგორიცაა სპეციალური პრევენცია, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბოლო დროს დღის წესრიგში დადგა ალტერნატიული სასჯელების გამოყენების პრაქტიკის დანერგვა, რაც უპირველეს ყოვლისა ნაკარნახევია იმით, რომ სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე თავისუფლების აღკვეთა, როგორც საჯელის უკიდურესი ზომა ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევს მიზანს, ამიტომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელებს.

¹ ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, 2016, გვ. 5.

² ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები, სისხლის სამართლის ბუნება, ტომი III, გამ. „იურისტების სამყარო“, 2015; ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლის სამართლებრივი შედეგები), თბ., 2013; მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი-80, საიუბილეო კრებული, 2014. 3 ნ. ჭეიშვილი, რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში. სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, 2014, გვ. 14.

ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლიბერალური მართლმსაჯულების პოლიტიკის განხორციელების პროცესში. საქართველოში, წინა წლებისაგან განსხვავებით, 2012 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ალტერნატიული სასჯელების გამოყენების მაჩვენებელი. სწორედ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ინსტიტუტების აღსრულების ინსტიტუტების აღსრულების შესაძლებლობას ქმნის პრობაციის სამსახური და მისი ეფექტური ფუნქციონირება.¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ისევე როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში სასჯელები სისტემატიზებულია და დალაგებულია სიმძიმის ზრდის მიხედვით. სსკ-ს 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადებაში მითითებულია, რომ „სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს საჯელის მიზნის განხორციელებას“, სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე თავს უთმობს იურიდიული პირისათვის დადგენილ სასჯელებს.²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 40-ე მუხლში განსაზღვრულია სასჯელები, რომელიც შეიძლება დაენიშნოს 18 წელს მიღწეულ პირს, ამასთანავე „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესებსა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დანაშაულის პრევენციის, აგრეთვე არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებასა და პრობაციის ღონისძიების გამოყენების უფლების ორგანოთა სისტემას, სტატუსს და მათი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, მეორე მუხლის შესაბამისად, პირობით აღსრულებას ექვემდებარება პრობაციის სახის შემდეგი სამართლებრივი აქტები: ა) სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ; ბ) სასჯელის სახით იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ; გ) სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ; დ) სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნის შესახებ; ე) სასჯელის სახით შინაპატიმრობის დანიშვნის შესახებ; ვ) იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა.

ხსენებული კანონით დადგენილი წესითა და პირობებით აღსრულებას ექვემდებარება პრობაციის სახით შემდეგი სამართლებრივი აქტები: ა) პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ; ბ) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ; გ) სასჯელის მოხდის გადავადება (ორსული ქალებისათვის-მშობიარობის შემდეგ 1 წელი). ასევე, შეიძლება შეიცავდეს აღმზრდელობითი ზემოქმედების ან/და სამედიცინო მოთხოვნებს. მათი გამოყენება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით.

პირობით აღსრულებას ექვემდებარება აგრეთვე განრიდების სუბიექტის მიერ ნაკისრი საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება.

¹ ევროკავშირი საქართველოსათვის. პირობითი მსჯავრისა და არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების პროცესში მსჯავრდებულთა (მათ შორის მწყვილადი ჯგუფების) უფლებრივი მდგომარეობა, თემატური ანგარიში, 2018, გვ.14.

² ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები), თბ., 2013, გვ. 38.

ზემოთ ჩამოთვლილი სასჯელები იყოფა ძირითად და დამატებით სასჯელებად, მათგან ზოგიერთ მხოლოდ ძირითადი სასჯელის სტატუსი აქვს, ზოგიერთს მხოლოდ დამატებითი, ხოლო ზოგიერთს ორივე. აღსანიშნავია, რომ ძირითად სასჯელთან ერთად პირს შეიძლება დაენიშნოს რამდენიმე დამატებითი სასჯელი ერთად, ამასთან დაუშვებელია მხოლოდ დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

სასჯელის პირობით ვადამდე გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ ძირითადი სასჯელის მიმართ.

არასაპატიმრო სასჯელეთა ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებს პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მისი უფლებამოსილება განსაზღვრულია მინისტრის მიერ 2019 წლის 31 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

სააგენტოს მიზანს წარმოადგენს კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულებით, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებითა და მსჯავრდებულისა და ყოფილი პატიმრის რესოციალიზაციითა და რეაბილიტაციით საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სააგენტო თავისი მიზნების მისაღწევად საქმიანობას ახორციელებს მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულზე აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობით და დახმარებით, არასრულწლოვნის გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში მონაწილეობით, პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებით და მისი შესრულების კოორდინაციით, აგრეთვე რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა სოციალიზაციისა და რეაბილიტაციის სერვისებისა და პროგრამების უზრუნველყოფითა და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციით.

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით სააგენტო თანამშრომლობს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან, რომელიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

სააგენტო უფლებამოსილია მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, აგრეთვე რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა სოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით დააფინანსოს კულტურული, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ღონისძიებები.

მაშასადამე, სააგენტოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია.¹ მეტიც,

¹ გ. ასოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, „პრობაციის სამართალი“, თბ., 2015, გვ. 29-20.

არასაპატიმრო ღონისძიებები წარმოადგენს პატიმრობის ალტერნატივას, რომლის ძირითადი მიზანია პატიმრობის სიხშირის შემცირება, რაც სისხლის საიმართლის პოლიტიკის ჰუმანიზაციის რაციონალიზაციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს და თავიდან იქნება აცილებული პატიმრობის არასაჭირო გამოყენების პრეცედენტები.

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა არაერთხელ იქნა შესწავლილი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. 2018 წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით კვლევა ჩაატარა ციხის საერთაშორისო რეფორმა-სამხრეთ კავკასიის ოფისის მიერ განხორციელებულ პროექტის- „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგის სამოქალაქო ჩართულობით - ფარგლებში¹, კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის სისტემა მოიცავს და საკანონმდებლო რეგულირების სფეროში აქცევს არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებას, როგორც ტრადიციული საპატიმრო სასჯელების ალტერნატიულ სახეს, რაც უდავოდ დადებითია, თუმცა, გამოვლინდა ხარვეზები როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე არასაპატიმრო ღონისძიების პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით, რაც საჭიროებს ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ:

სტატისტიკური ინფორმაცია მუშავდება ასაკისა და სქესის ნიშნით, თუმცა, ის არ მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობა, სექსუალური უმცირესობა, უცხო ქვეყნის მოქალაქეობა. აღნიშნული შეუძლებელს ხდის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საშუალებით პირობითი მსჯავრისა და არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების მიმართულებით არსებული სიტუაციის შეფასებას.

კვლევამ გამოავლინა, რომ არ არსებობს ცხადი მოთხოვნები არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების პროცესში ჩართული პროფესიონალების საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესახებ. ასევე, გაურკვეველია მათი პროფესიული კვალიფიკაციის საკითხი ისეთ თემებზე, როგორიცაა ქალთა და უმცირესობათა უფლებები და ის სპეციფიკური საჭიროებები, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია არასაპატიმრო ღონისძიებების აღსრულების პროცესში.

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა სრულიად მოუმზადებელია ქალთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და უმცირესობათა უფლებების გარანტიების კუთხით და ვერ აკმაყოფილებს ფორმალურ კრიტერიუმსაც კი, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია და ასახულია საერთაშორისო რეგულაციებში.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია, რაც შემდგომ პრაქტიკულ ანალიზსა და თეორიულ კვლევას მოითხოვს.

¹ ევროკავშირი საქართველოსათვის. პირობითი მსჯავრისა და არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების პროცესში მსჯავრდებულთა (მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების) უფლებრივი მდგომარეობა, თემატური ანგარიში, 2018.

Types of non-custodial sentence and resocialization issues of convicted persons

Professor, Dr. Mikheil Mamniashvili, *Georgian Technical University; Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: Non-Custodial sentence, Convicted Person, Resocialization

Punishment like crime is one of the main concepts of criminal law. It constitutes the cornerstone of criminology. Punishment like one of the concepts of criminal law was least processed in the theory of Georgian criminal law and the main focus was given to crime investigation¹, though recently some works have appeared in Georgian criminology, those dedicated to crime problems². There should be mentioned that punishment purposes are not only a criminal topic; but also requires deep philosophical realization as well, as punishment is a legal result of the crime. Therefore, if we investigate the crime problems, the punishment issues should be investigated also³.

The study of punishment purposes is especially urgent in the liberalization of criminal policy standpoint that is actually held in our country in recent years as the legislator has waived the strict criminal policy, which was known as so-called “zero-tolerance” and has chosen the human criminal policy course of punishment. By this side, an important is Project Criminal Code worked out by the Criminal Legislative Reform Coordination Council of the Ministry of Justice of Georgia that indicates the transition to human criminal policy. Especially it can be said on punishment`s human trend, as the punishment should not give the deterrent effect, but it should necessarily consist with positive aspects as well like special prevention, resocialization of a convicted person, rehabilitation etc.

Coming out of the above mentioned, the recent agenda is to implement the practice to apply alternative punishments, which firstly is directed from the fact that imprisonment (as an extreme measure of punishment) coming out of punishment purposes, often does not reach the goal, thus other lighter punishments should be preferred.

Application of alternative punishments has special importance during the execution of liberal justice policy. Unlike the previous years, starting from 2012 significantly increased the index of alternative punishments` application in Georgia. Probation Service and its effective functioning creates exact opportunities to enforce the alternative institutions of imprisonment.⁴

In the Criminal Code of Georgia as well as in Juvenile Justice Code the punishments are systematized and listed according to the increase of their seriousness. In the second statement of 1st part of the 53rd article of the Criminal Code the following is indicated: “More strict punishment can be applied

¹ I. Vardzelashvili, Punishment purposes, submitted to acquire doctoral academic degree, TSU, 2016, p. 5

² O. Gamkrelidze, Urgent criminal issues, criminal nature, third volume, “Lawyers world” Publishing company, 2015; I. Dvalidze, General part of Criminal Law (punishment and other criminal outcomes), Tb., 2013; M. Ivanishe, Alternative punishments (comparative analysis), Mzia Lekveishvili - 80-th Anniversary compilation, 2014.

³ N. Tcheishvili, Resocialization policy in Georgia. Center for Civil Involvement, 2014, p. 14.

⁴ European Union for Georgia. Convicted persons` (including the vulnerable groups) legal condition during the execution of conditional sentence and non-custodial sentences, thematic report, 2018; p. 14.

only when less strict punishment is unable to ensure the implementation of punishment's purpose"; the Criminal Code assigns a separate chapter for punishments determined for a legal entity.¹

In the 40th chapter of the Criminal Code of Georgia, the punishments are defined, which might be applied to a person above 18, besides the law of Georgia "About the procedure for enforcing non-custodial sentences and probation" governing the system and status of bodies of crime prevention, enforcement of non-custodial sentences and probation application right in the system of the Ministry of Justice of Georgia and legal grounds of their activities, the following legal acts are subject to conditional enforcement according to the second article: a) deprivation of position held or activity rights as the punishment; b) deprivation of activity rights for legal entities as the punishment; c) assignment with community service as the punishment; d) assignment with corrective labour as the punishment; e) assignment of house arrest as the punishment; f) restriction of rights related to weapon.

The following legal acts as the probation are subject to enforcement under the rule and terms established by mentioned law: a) about the imposition of a conditional sentence; b) about the release on parole; c) about the suspension of a sentence (for pregnant women - up to 1 year after delivery).

It could also consist of requirements with educational impact or/and medical requirements. Their application is possible according to the rule established by law.

The fulfilment of free work beneficial for society undertaken by diversion subject is also subject to conditional enforcement.

The punishments listed above ~~is~~ are divided into main and additional punishments, some of them have only main punishment status whilst the others have only additional punishment status and some of them have both. It should be mentioned that together with the main punishment some additional punishments can be applied against one person, besides it is impermissible to impose additional punishment.

Free before the punishment's conditional term is applied only against the main punishment.

Organizational management of non-custodial sentences is carried out by the National Bureau of prevention, enforcement of non-custodial sentences and probation, which is a Legal Entity of Public Law acting under the management of the Ministry of Justice of Georgia. Its competence is established by provision asserted by No.31 order (dated as of 2019) of the minister.

The Agency's goal is to ensure the security of society by executing the legal acts determined by law, implementing crime prevention and resocializing and rehabilitating the convicted persons and former prisoners.

The agency implements its activity on the basis of evaluation of risks and needs of convicted persons by individual planning of penitentiary, necessary supervision and control over the convicted persons, by encouraging the resocialization and support of convicted persons and former prisoners, by participating the preparatory process to free the juvenile, via assertion of a resocialization-

¹ I. Dvalidze, General part of Criminal Law (punishment and other criminal outcomes), Tb., 2013, p. 38.

rehabilitation plan of juvenile convicted since the conditional sentence and serving the sentence and by coordinating its fulfilment, also ensuring the socialization and rehabilitation services and programs for juvenile with complicated conduct and coordinating the juvenile referring process.

In order to promote the resocialization and rehabilitation of convicted persons and former prisoners, the agency collaborates with the Legal Entity of Public Law acting under the Ministry's management - Vocational Education and Training Center for Inmates, which ensures vocational preparation and training of convicted persons according the rule established by Minister's order.

In order to ensure the resocialization and rehabilitation of convicted persons and former prisoners and the socialization and rehabilitation of juvenile with complicated conduct, the agency is entitled to fund the cultural, social, healthcare and other events.

Therefore, the main goal of the agency is to execute the legal acts established by law, prevent the new crimes, protect the social security and convicted persons' resocialization and rehabilitation.¹

Moreover, non-custodial events constitute an alternative of to imprisonment the main aim of which is to eliminate the frequency of imprisonment that presents a significant component towards rationalization of criminal policy's humanization and will prevent imprisonment's unnecessary application precedents.

The activity of crime prevention, enforcement of non-custodial sentences and those implemented by the National Probation Agency was many times studied by different international organizations; In 2018 the research was held by UN financial funding, which was held under the bounds of "Promotion and monitoring of penitentiary and probation reforms with civil involvement"² the study report indicates that Criminal Law system of Georgia includes enforcement of non-custodial sentences and puts it in the legislative regulation field as an alternative type of traditional imprisonment punishments that is certainly positive, but some defects were revealed on the legislative level and in line with the application of non-custodial events in the practice, which needs implementation of changes, in particular:

Statistical data is processed according to age and gender, it does not include such subdivision properties as disabilities, ethnical and religious minorities, sexual minorities, citizenship of a foreign country. The mentioned makes it impossible to assess the situation existing in line with conditional sentence and enforcement of non-custodial sentences by analyzing the statistical data.

The research has revealed that there are no obvious requirements regarding the qualification frames of professionals involved in the enforcement of non-custodial sentences. Besides, it is uncertain their professional qualification issue regarding the topics like rights of women and minorities and those specific needs the foreseeing of which is necessary during the enforcement process of non-custodial events.

¹ Giorgi Asoshvili, Givi Mikanadze, Moris Shalikashvili, "Probation law", Tb., 2015, p. 29-20.

² European Union for Georgia. Convicted persons' (including the vulnerable groups) legal condition during the execution of conditional sentence and non-custodial sentences, thematic report, 2018.

Results of research also ~~was~~ revealed that Georgian legislation is completely unprepared in line with guarantees of rights of women, citizens of foreign countries and minorities and is unable to satisfy even formal criteria, which is essentially important and reflected in international regulations.

We suppose that the above mentioned-references are significant that require further practical analysis and theoretical research.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენის პრობლემატიკა გამომიების სტადიაზე

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი გიმიზერ ალანია, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია; დოქტორი თამარ
მამნიაშვილი;

საკვანძო სიტყვები: დანაშაულის მიზეზები, სისხლის სამართალი, გამოძიება

ცნობილია, რომ კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში დანაშაულის კვლევის სხვადასხვა მეთოდები არსებობს, როგორცაა, სოციოლოგიური, სტატისტიკური და ასე შემდეგ, მაგრამ ზოგადად არა მარტო დანაშაულობათა კვლევის, არამედ მათი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოებების დადგენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად გვესახება, თუკი საპროცესო კანონმდებლობა, როგორც ეს წინა საპროცესო კოდექსით იყო გათვალისწინებული გამომძიებელს, პროკურორს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში დაავალდებულებს გამოძიების სტადიაზე, მტკიცების საგანთან ერთად, დაადგინოს ასევე დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, ხოლო მისი აღმოფხვრის მიზნით გამოძიების დამთავრების ეტაპზე ან/და გამოძიების დამთავრების შემდგომაც, მისი აღმოფხვრის მიზნით, სადაც გამოვლინდა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, წარდგინების შეტანით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. საპროცესო კანონმდებლობის ამ სახით რეგულაცია ექვემდებარება სასიკეთოდ აისახება როგორც ზოგად, ისე სპეციალურ პრევენციაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობას არ იძლევა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რადგანაც ეს საკითხები გათვალისწინებული არ არის. განვიხილოთ აღნიშნული პრობლემატიკის შესაძლო დარეგულირების პრობლემატიკას სისხლის სამართალ-წარმოების პროცესში.

სისხლის სამართლის პროცესი ცალკეული სტადიებისაგან შედგება. ამასთანავე თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელია განსხვავებული ამოცანები და მიზნები. თავისებური პროცესუალური ფორმა, მასში მონაწილე სუბიექტების განსხვავებული წრით და ბოლოს გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებებით.

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ დამოუკიდებელ სტადიას გამოძიება წარმოადგენს, რომელიც მიჩნეულია პირველ, დამოუკიდებელ და საწყის სტადიად¹

გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტიდან გამომდინარე, არის უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებათა შეგროვება.

გამოძიების განმარტების დეფინიციიდან გამომდინარე, ყურადღებას იპყრობს სიტყვები „უფლებამოსილი პირი“ და არა „გამომძიებელი“, „პროკურორი“, რასაც წინა საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ გამოძიების ჩატარების

¹ შ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის მიზნები, ამოცანები და სტადიები, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, გამ. „იურისტების სამყარო“, თბ., 2015, გვ. 28-30.

უფლებამოსილებით სარგებლობს არა მხოლოდ ბრალდების მხარე (პროკურორი, გამო-
მძიებელი), არამედ დაცვის მხარეც (ბრალდებული, ადვოკატი). ასევე, სსსკ მე-9 მუხლის
პირველი ნაწილიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე,
სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა შეჯიბრებითობის
საფუძველზე, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ კანონმდებელმა გამოძიების პროცესში
მტკიცებულებათა შეგროვების ანუ გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით, ორივე
მხარე (ბრალდება, დაცვა), თანაბარი უფლებამოსილებით აღჭურვა, მხოლოდ ერთის
გამონაკლისით, ბრალდების მხარემ უნდა შეაგროვოს ბრალდების გამამტყუნებელი
მტკიცებულებები, ხოლო დაცვის მხარემ კი- გამამართლებელი მტკიცებულებები.

ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოზე ბევრია
დამოკიდებული, რადგანაც სწორედ ეს ორგანოები არიან ვალდებული მომხდარი
დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის შემთხვევაში დაიწყონ გამოძიება, ჩაატარონ
საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო და პროცესუალური
მოქმედებები. მათ მიჰყავთ, წარმართავენ გამოძიებას, ეკისრებათ დანაშაულის გახნის
მოვალეობა, იწყებენ სისხლისსამართლებრივ დევნას, უფლებამოსილები არიან ცალკეულ
სუბიექტთა მიმართ გამოიყენონ საპროცესო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები და ა.შ.
ისინი „საქმის მწარმოებელ ორგანოებად“ იწოდებიან, ხოლო სხვა დანარჩენი სუბიექტები
(დაცვის მხარე) უერთდებიან მაშინ, როდესაც მხილებულია ბრალდებული პირი და იწყება
სისხლისსამართლებრივი დევნის სტადია¹.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად,
დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ლეგალობის პრინციპიდან
გამომდინარე „ოფიციალურობის პრინციპი“ (Principle ex officio) გამომძიებელი, პროკურორი
ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების
თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

გამოძიების დაწყების შემდეგ გამომძიებელი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმიდან
გამომდინარე ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება. ამასთანავე, სისხლის სამართლის
საქმის გამოძიება მეტად რთულია და გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. იგი
მოქცეულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ჩარჩოებში და მის ფარგლებში
მოდრაობს, რაც იმას გულისხმობს, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა უფლე-
ბამოსილმა პირმა (ბრალდება, დაცვა) მკაცრად უნდა დაიცვას საპროცესო კანონმდებ-
ლობით დადგენილი წესები.

რადგან, მოკლედ მიმოვიხილეთ გამოძიების, როგორც სისხლის სამართლის პროცესის
ძირითადი კონცეპტუალური საკითხები, ალბათ ურიგო არ იქნება განსახილველ
პრობლემასთან დაკავშირებით დავსვათ ერთი მნიშვნელოვანი შეკითხვა, მოქმედი საპრო-
ცესო კოდექსით, როდესაც გამომძიებლის უფლებამოსილება უკიდურესად შეზღუდულია,
მისი საქმიანობა პროკურორის მხრიდან საპროცესო ხელმძღვანელობით მკაცრად არის
შეზღუდული და მისი უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ „მტკიცებულებათა

¹ ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ზ. მელქაძე, გამოძიების ორგანიზაცია და გამომძიებლის სტატუსი
მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერნი“, 1-2,
2021, გვ.142-154.

შეგროვებით” შემოიფარგლება, მეტიც მას შუალედური გადაწყვეტილების მიღების უფლებაც არ გააჩნია, რამდენად შეძლებს ის მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე დაადგინოს დანაშაულის გამომწვევი მიზეზები.

აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვფიქრობთ, რთული არ უნდა იყოს იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ საპროცესო კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე (სსსკ მე-9 მუხლის პირველი ნაწილი) და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გამომძიებლის მთლიანი ძალიხმევა მიმართულია იქითკენ, რომ საგამოძიებო მოქმედებათა საშუალებით მოიპოვოს გამამტყუნებელი მტკიცებულებები, ასეთი პირობების არსებობისას კი, არა მარტო გამომძიებლის სტატუსი, არამედ, რაც მთავარია, საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული გამომძიებლის მიერ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები გამოკვლევა.

ჩვენ მიერ დასმული საკითხის დადებითად გადაწყვეტის იმედს გვისახავს ამასწინათ საპროკურორო საბჭოს სხდომაზე დაანონსებული განცხადება იმის შესახებ, რომ „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის” ეგიდით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში იგეგმება ცვლილებები, რომელიც პროკურორისა და გამომძიებლის საპროცესო უფლებამოსილებისა და ფუნქციების გამიჯვნასა და ახლებურად დარეგულირებას შეეხება. კერძოდ: პროკურორი საპროცესო ზედამხედველობასა კონტროლს უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით და აღარ იქნება გამოძიების წარმართველი საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით პირველადი გადაწყვეტილების მიმღები და გამომძიების აქტიური მონაწილე.

რეფორმატორთა აზრით, დაგეგმილი ცვლილებები ერთის მხრივ, გაზრდის გამომძიებლის დამოუკიდებლობის ხარისხს, მის პასუხისმგებლობას და გამოძიებას უფრო ეფექტიანს გახდის. მეორე მხრივ, პროკურორი გათავისუფლდება რა ამ ტვირთისაგან, გაუმჯობესდება მისი მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაც.

პროკურორის მიერ გამოძიების სტადიაზე საპროცესო ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებით, ეჭვგარეშეა, გამომძიებელი უფრო დამოუკიდებელი და მიუკერძოებული გახდება. უფლებამოსილი იქნება დამოუკიდებლად განსაზღვროს თითოეული კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმართულება, თუ რა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებები უნდა ჩაატაროს. ამასთანავე, ის აღჭურვილი იქნება ცალკეული პროცესუალური საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილებით, მათ შორის, კარგი იქნება, თუკი კანონმდებელი გაითვალისწინებს და დაარეგულირებს გამომძიებლის მიერ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენისა და რეაგირების საკითხებსაც.

ჩვენ მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, კრიმინოლოგიურ მეცნიერებას დანაშაულობის უფრო ღრმა კვლევისა და ანალიზის შესაძლებლობა მიეცემა.

Problems in identification of reasons causing crime on investigation stage

Associate Professor, Dr. Gimzer Alania, *Sokhumi State University; Georgian Academy of Criminology Sciences*; **Dr. Tamar Mamniashvili**;

Keywords: Reasons of Crime, Criminal Law, Investigation

It is known that there are different crime investigation methods in criminology like sociological, statistical etc., but we think that one of the best means generally not only for crime investigation but for identification of provoking reasons and encouraging circumstances as well would be if the procedural legislation will oblige the investigator, prosecutor during the criminal case investigation process to determine the reasons causing the crime together with the subject of proof on investigation stage (as it was stipulated by previous Criminal Procedure Code) and on investigation's final stage or after its finish as well - in order to eradicate them (where the crime provoking causes were revealed) perform proper response by submission of presentation. Regulation of procedural legislation in such manner, without doubt, will have a beneficial reflection on general and special prevention as well but, unfortunately, acting criminal procedural code is not allowing such opportunity as these topics are not foreseen in there. Now we wish to overview the possible governance of the mentioned problems in the criminal proceeding process.

The criminal law process consists of some particular stages, besides one of them is characterized by different tasks and goals, original procedural form with a different circle of subjects participating in and with originalities in decision-making.

One of the independent stages of the criminal law process of in Georgia is an investigation, which is considered the first, independent and initial stage¹.

Coming out of the 10th paragraph of the 3rd article of Criminal Code of Georgia, the investigation is a unity of activities (established by procedural code) implemented by an authorized body, the aim of which is to collect the pieces of evidence related to crime.

Coming out of the definition of investigation, firstly attention is paid to the terms "authorized person" and not "investigator", or "prosecutor", which were stipulated by previous procedural code. This implies that not only the prosecution (prosecutor, investigator) benefits with right to conduct the investigation but defending party as well (accused, lawyer). The second - coming out of the first chapter of the 9th article of Criminal Procedure Code, immediately at criminal pursuit's commencement, criminal law process is continued on the basis of equality and pleading of the parties; in the other words, the legislator has granted both parties with equal authorization to collect the evidence or conduct the investigation during the investigation process, but there is one exception - the prosecuting party should collect the pieces of evidence condemning the accusation, and the defending party should collect the acquittal evidences.

¹ Sh. Phaphiashvili, Criminal law purposes, tasks and stages, in book "Criminal Law Process of Georgia", general part, third edition, "Lawyers World" publishing company, Tb., 2015, p. 28-30.

Besides, there should be said that very much depends on the criminal pursue (prosecution) body yet, as exactly these bodies are liable for starting the investigation in case of information acquired on the crime committed, conducting the investigative and procedural activities stipulated by procedural legislation, they lead, manage the investigation, are entitled with a duty to clearance of crime, commence criminal pursue (prosecution), are entitled to apply compulsory events with procedural nature against some particular subjects etc. They are called after “Case proceeding bodies” and the rest subjects (defending party) are joined if the accused person is exposed and the criminal pursue (prosecution) stage takes over.

According to the 100th article of the Criminal Procedure Code of Georgia, in case of acquisition of information about the crime, coming out of legality principle (“principle ex officio”) investigator, prosecutor are obliged to start an investigation and the prosecutor should be immediately notified about the commencement of investigation by investigator.

After the investigation starts, the investigator is entitled to perform any of actions coming out of the case; besides, criminal case investigation is too complex and is subject to some particular regularities. It lays in bounds of criminal law procedural legislation and moves within, which implies that the person (prosecution, defending) authorized to perform the investigative action should strictly abide the rules established by procedural legislation.

While we’ve very briefly overviewed the investigation, as the main conceptual issues of criminal law process, it would be expedient to rise one significant question regarding the issue to be discussed: according to the acting procedural code, whilst the investigator’s authority is extremely limited, his or her activity is strictly limited by procedure guidance from the prosecutor and their authority is only and merely limited to “collection of evidence”, moreover - he / she is not entitled to make an interim decision, then how he or she will be able to identify the causes provoking the crime regarding the criminal case existed under his / her proceeding?

Answering the mentioned question is not so hard we suppose, that’s so because of those obvious reasons that according to procedural legislation, immediately at the criminal pursuit’s (prosecution’s) commencement, criminal law process is implemented on the basis of equality and pleading of the parties (first chapter of the 9th article of Criminal Procedure Code) and coming out of this, it is natural that investigator’s complete effort is directed to acquire the evidence condemning the accusation via investigative means; during the existence of such conditions, the procedural code doesn’t foresee not only investigator’s status, but investigation of crime provoking reasons by investigator as well.

The statement recently announced at Prosecutors council meeting gives us hope for a positive resolution of the problem researched by us. The statement was under the auspices of „justice system reform” the changes are planned in criminal procedure legislation, which covers the separation of procedural authorities and functions of prosecutor and the investigator, in particular: the prosecutor ensures the procedural supervision and control in criminal pursuit (prosecution) standpoint and he/she won’t be leading the investigation regarding the investigative activities, decision-maker of initial resolution and active participant of investigation.

According to reformers' point of view, the changes planned from one side: will increase the quality of prosecutor's independence, his/her responsibility thus making the investigation more effective and from another side: the prosecutor will be released from this burden - the implementation of criminal pursue (prosecution) from his / her side will be improved as well.

By implementation of procedural supervision function by prosecutor at investigation stage, it is without doubt that investigator will become more independent and impartial as he/she will be entitled to independently determine the trend for each particular criminal case, define the types of investigative or procedural activities to be held, besides he/she will be granted with authority to make a decision on particular procedural topics, including it would be good if the legislator will foresee and regulate the issues on the identification of crime provoking reasons and response by investigator.

If the legislator will foresee the references given by us, certainly the criminology will be granted the possibility to perform a deeper investigation and analysis of the crime.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სუბიექტები და მიწოდების შემცირების სტრატეგია

პროფესორი, დოქტორი ჯემალ ჯანაშია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
ნარკოვითარების და დემოგრაფიული პრობლემების კვლევისა და მონიტორინგის ცენტრის
ხელმძღვანელი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

დოქტორი ზაზა ბეროზაშვილი, სამხრეთ კავკასიის ნარკოტიკებისა და დანაშაულის
ოფისის უფროსი იურიდიული მრჩეველი;

ჯერ შეისწავლე მეცნიერება, შემდეგ იბრძოლე პრაქტიკისთვის,

რომელიც ამ მეცნიერებიდან გამომდინარეობს

ლეონარდო და ვინჩი

საკვანძო სიტყვები: კრიმინოლოგია, ნარკოტიკები, უკანონო ბრუნვა,

2021 წლის ჟურნალ „თემიდა“-ს მე-14 ნომერში გამოქვეყნებული ნაშრომის „საქართველოში ავღანური ჰეროინის ბრუნვის სიტუაციური ანალიზი“-ს და ზოგადად ნარკოდანაშაულის თემაზე მზარდი პროფესიონალური და საჯარო ინტერესის გამო, ავტორებმა ჩვენი მოკრძალებული თეორიულ-პრაქტიკული და საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, უფრო მეტად განვავრცოთ თემა და ამჯერად წარმოგიდგინოთ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი კონვენციური მექანიზმების ამოქმედების აუცილებელი მიმართულება, რომლებიც ქვემოთმოყვანილ ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ ოთხსაფეხურიანი „ანტინარკოტიკული სტრატეგიის“ მარკერებს წარმოადგენს: 1. სამართალდამცავი მოქმედებები - ნარკოტიკების უკანონო მიწოდების შემცირებისათვის; 2. პრევენცია; 3. მკურნალობა; 4. პრობლემური მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება - ნარკოტიკების უკანონო მოთხოვნის შემცირებისათვის.

ნაშრომში მოყვანილია სამართალდამცავი უწყებების მიერ ერთი შეხედვით მარტივად რეალიზებადი, მაგრამ ნარკოდანაშაულის ჩამდენი პიროვნების შესწავლის აუცილებელი მიმართულება, რომლის გარეშე საკმაოდ რთული იქნებოდა ზემოაღნიშნული წინმსწრები (პროაქტიური) ანუ პრევენციული მიზნობრივი ღონისძიებების გატარება ნარკოტიკების, როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების შემცირების მიმართულებით.

დღეისათვის და დღემდე ასეთი მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და დამუშავება არც ერთ ინსტანციაში არ ხდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში შსს) დეტექტივებს და დღეგამოშვებით მორიგე გამომძიებლებს ამის არც დრო აქვთ და არც რესურსი. პროკურატურის და სასამართლოს კომპეტენციაში პიროვნების შესწავლა გამონაკლისი ან ირიბია. პენიტენციურ დეპარტამენტში მოხვედრილი მსჯავრდებულის პიროვნება უკვე შესწავლილი უნდა იყოს და ასე ვხვდებით მანკიერ წრეში.

რა თქმა უნდა, არ გვაქვს პრეტენზია იმაზე, რომ ამ სფეროში ყველა მიგნება მოვახდინეთ, ამოვწურეთ და ხვალიდან ყველა მარკერი დამუშავდება, პირიქით, ჩვენი მიზანია პრობლემის სრული ხედვისთვის სადისკუსიო სივრცის გახსნა და სპეციალისტთა კიდევ უფრო მეტად ჩართვა.

ნაშრომზე მუშაობისას ვეცადეთ გამოგვეყენებინა საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები მათზე წვდომის ფარგლებში, პირადი არქივები, ნაშრომები ან ღია წყაროებიდან მოპოვებული სხვა ინფორმაცია.

კრიმინოლოგია, რომელიც მოიცავს კრიმინალური ქცევის უფრო ფართო ანალიზს სავსებით სამართლიანად გვითითებს, რომ დამნაშავეს პიროვნების შესწავლა აუცილებელია არა მარტო საგამომიებო-ოპერატიული მიზნებისთვის, არამედ სამეცნიერო პრაქტიკისთვისაც, რათა დადგინდეს ფაქტორები, რომლებიც გარკვეულ პირს უბიძგებს დანაშაულის ჩადენას. სამართალდამრღვევი პიროვნების ცალკეული მახასიათებლები, პირველ რიგში ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა და შერაცხადობა იმავდროულად დანაშაულის სუბიექტის ნიშნებს წარმოადგენს, რომელთა დადგენის გარეშეც პირი არ უნდა იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქართველოში ამ პრობლემის არასაკმარისად შესწავლის გამო შეზღუდულია დანაშაულისა და ანტისაზოგადოებრივი ცხოვრების წესის მიმდევარ პირთა მიმართ პროაქტიური ან პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა.

ნარკომანთა სოციალური ქცევის პირობების, მიზეზების და ფაქტორების (დეტერმინანტი) შესწავლისას წარმოქმნილ კითხვებზე, თუ რატომ ყალიბდებიან ერთნი ნარკომანებად და მეორენი - არა, ნარკომანთა ერთი ჯგუფი ჩადის სხვა დანაშაულსაც და მეორენი - არა, პასუხები უპირველეს ყოვლისა თვით პიროვნებაში უნდა ვეძებოთ. ნარკოტიკებისკენ მიდრეკილების მიზეზის ძიებისას, მთავარი ადგილი ნარკომანის პიროვნული თვისებების ანალიზს უნდა დავუთმოთ.

მომეტებული რისკ-ფაქტორის კონტიგენტთან წინმსწრები, პროაქტიური და გამაფრთხილებელი მუშაობის ნაყოფიერება ბევრადაა დამოკიდებული მათი პიროვნების შეცნობის დონეზე. ასეთ პირთა ქცევის მიმართულების პოზიტიური კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ სოციალური და მედიკო-სარეაბილიტაციო ზომების მთელი კომპლექსის რეალიზაციით.

I. სოციალურ-დემოგრაფიული ხასიათი:

ასაკი

ადამიანის დანაშაულებრივი ქცევის ხასიათი ბევრადაა დამოკიდებული მის ასაკზე. ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროს დანაშაული ახალგაზრდული პრობლემაა. ასეთი დანაშაულის ჩამდენ პირთა შორის უმრავლესობა 18-29 წლის ახალგაზრდაა. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემულ პირთა საშუალო ასაკი შეადგენს 28,2 წელს, როდესაც სხვა დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემულ პირთა საშუალო ასაკის მაჩვენებელი 33,1 წელია. შეიმჩნევა დიდი განსხვავება დამნაშავე ქალთა და მამაკაცთა შორის საშუალო ასაკში, შესაბამისად 33,6 და 27,4 წელი.

რაც შეეხება სხვა დანაშაულის ჩამდენ ნარკომანებს, მათი საშუალო ასაკი არ აღემატება 27 წელს. ნარკოდანაშაულის „გაახალგაზრდავება“ შემდეგი ფაქტორებით უნდა ავხსნათ:

ნარკოტიკების პირველი გასინჯვა 12-დან 16 წლის ასაკობრივ პერიოდში ხდება. მოზარდთა ნარკომანიის საერთო სტრუქტურაში ისინი 3-4% წარმოადგენენ;

ნარკობიზნესისთვის გაცილებით ადვილია ნარკომანიის გავრცელება მოზარდებში მათი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის, თვითდამკვიდრების სურვილის, არადამოუკიდებელი აზროვნების და მიზამკვებზე მისწრაფების გამო. ამავდროულად, ნარკობიზნესი არასრულწლოვანთა მიმართ ფსიქიკური და ფიზიკური ზემოქმედების სხვა კარგად დამუშავებულ და ნაცად მეთოდებსაც იყენებს.

ოჯახური მდგომარეობა

ბევრ მკვლევართა მიერ დადგენილია ოჯახის ანტიკრიმინოგენული ზემოქმედება პიროვნებაზე, ან პირიქით და ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩათრევა გამონაკლისს არ წარმოადგენს. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროს დანაშაულის ჩადენთა შორის უმეტესობას წარმოადგენენ მამაკაცები, ხოლო გაცილებით ნაკლებია ქალები.

აუცილებელია აღვნიშნოთ მოცემული კატეგორიის ოჯახური მდგომარეობის არაკეთილსასურველი ტენდენციები სხვა კატეგორიებთან შედარებით. პირველყოვლისა აღინიშნება იმ პირთა უმეტესობა (საუბარია ნარკოტიკების მომხმარებელ მამაკაცებზე), რომელთაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაენგრათ ოჯახები, ხოლო სხვა დანაშაულის ჩადენისას ოჯახის დაშლის შემთხვევები ორჯერ ნაკლებია .

მოცემულმა მონაცემებმა არ უნდა გამოიწვიოს გაკვირვება, რადგანაც ასეთ შემთხვევებში, სავარაუდოდ, ხდება ორი მიზეზის თანხვედრაც: დამნაშავის პიროვნული თვისებები, რომელიც განსაზღვრავდა ოჯახის არამდგრადობას დანაშაულის ჩადენამდე და ოჯახისაგან მოწყვეტა, ახლობლებთან კონტაქტების გაწყვეტა, თანაცხოვრების შეუძლებლობა, რაც განპირობებულია მსჯავრდებულის იზოლაციაში ყოფნით.

მეორე არასასიკეთო ტენდენციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ განსახილველი კატეგორიის პირებს ნასამართლობისა და სასჯელის მოხდის შემდეგ პრობლემები უჩნდებათ ოჯახის შექმნაში, განსაკუთრებით ქალებს.

ოჯახის სიმყარის სხვა უარყოფით მიზეზებს შესაძლოა მივაკუთვნოთ ნარკობიზნესიდან ფულადი შემოსავლის მიღების შემთხვევითობა, ნარკომანიით დაავადების უარყოფითი შეფასება ოჯახის ერთ-ერთი პარტნიორის მხრიდან და ა.შ.

საბოლოოდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული კატეგორიის დამნაშავეთა უმეტესობის ფასეულობათა ორიენტაციის სისტემაში ოჯახი მაინცდამაინც წინა პლანზე არ დგას.

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი

საცხოვრებელი და ზოგადად საკუთრება ერთ-ერთი მასტაბილიზირებელი და ანტიკრიმინოგენული ფაქტორია. საცხოვრებელი ადგილის არქონა ან იძულებითი შეცვლა, უჩვეულო გარემოებები ან ყოფითი პრობლემები - ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ქცევაზე. მოცემული მაჩვენებლით ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისათვის გასამართლებულ პირთა საერთო დახასიათება მოცემულ სფეროში შედარებითი ოპტიმიზმის

საფუძველს გვაძლევს, რადგანაც უმეტესობას აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. საცხოვრებელი ადგილის არმქონეთა მეტი პროცენტია ქალებში და მათვე ვერ შეინარჩუნეს საცხოვრებელი ადგილი გასამართლების შემდგომ. მამაკაცებთან შედარებით ასეთ პირთა რაოდენობა ორჯერ მეტია. უდავოა, რომ ეს გარემოება აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს პროფილაქტიკურ და სოციალურ-სარეაბილიტაციო საქმიანობისას.

განათლების დონე

ცნობილია, რომ განათლება პიროვნების ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობს და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ინტელექტისა და კულტურის დონეს. ასე, რომ მაღალი საგანმანათლებლო დონე საფუძველშივე წარმოადგენს ანტი კრიმინოგენულ ფაქტორს. მაგალითისათვის, ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა სახელმწიფო მართვისა და საფინანსო-საკრედიტო ან საბანკო სისტემის (როგორც წესი უმაღლესი განათლების მქონენი) მუშაკთა მიერ უმნიშვნელოა, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირთა განათლების საშუალო დონე მაღალია, ვიდრე სხვა დანაშაულის ჩამდენთა.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს. პროფილაქტიკური და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გატარებისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისადმი მაღალი დონის განათლების მქონე პირთა მომეტებული მიდრეკილება. მოცემულ შემთხვევაში მაღალი განათლების დონის მაჩვენებელი არ წარმოადგენს სრულ ანტიკრიმინოგენულ ფაქტორს, რომელზეც ჩვეულებრივ მითითებულია იურიდიულ ლიტერატურაში. საშუალო, სპეციალური, არასრული უმაღლესი და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენთა შორის სამჯერ მეტია ვიდრე სხვა დანაშაულისა.

სპეციალობა და შრომითი საქმიანობა

ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენთა განსაკუთრებულ მაჩვენებელს წარმოადგენს მათი სპეციალობა და შრომითი საქმიანობა. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაუსაქმებელ პირთა მონაცემებსაც, რომელნიც ძირითად კრიმინოგენულ კონტინგენტად უნდა განვიხილოთ. ნარკოდანაშაულის ჩამდენ პირთა უმრავლესობას არ აქვს სტაბილური შემოსავლის წყარო და არსად არ მუშაობს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს ქალაქში. მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია სპეციალობა, მათ შორის 34% ქალია.

ნარკომანით დაავადება

სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს კორელაციური დამოკიდებულება ნარკოდანაშაულის ჩადენასა და მის ჩამდენ პირთა ნარკომანობით დაავადებას შორის. ასეთი დამოკიდებულების დადგენა განაპირობებს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა შერჩევას, სამედიცინო და სხვა ხასიათის ზომებისა და ადგილის განსაზღვრას. ნარკოდანაშაულის ჩამდენ პირთა შორის უმრავლესობა (სავარაუდოდ 70% მეტი) ნარკოტიკების „მომხმარებელია“. მათი თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა თავს დაავადებულად არ მიიჩნევს. მამაკაცთა რაოდენობა ამ შემთხვევაში დაახლოებით 15-17-ჯერ აღემატება ქალთა სქესის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, მკურნალობის კურსი გავლილი აქვთ ერთეულებს.

II. სისხლის სამართლებრივი და სპეციალური კრიმინოლოგიური დახასიათება:

საშუალებას გვაძლევს შევიქმნათ წარმოდგენა პიროვნების იმ მახასიათებლებზე, რომელმაც იგი დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა. პიროვნების ასეთ განსაკუთრებულობათა ცოდნა აუცილებელია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მოქმედი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთათვის, რათა გაითვალისწინოს დანაშაულის აცილებისაკენ მიმართული პრევენციული ზომების გატარებისას. პიროვნების ყველა უარყოფითი მახასიათებელი კონცენტრირებული სახით ვლინდება მის მიერ ჩადენილ დანაშაულში.

ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია

ნარკოდანაშაულის სფეროში ძირითადად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ვლინდება, ხოლო სხვა ნარკოდანაშაული სსკ რანჟირების მიხედვით კლებულობს სსკ 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) გათვალისწინებული დანაშაულის გარდა, რომელი საქმეების რაოდენობაც საკმაოდ ჭარბობს, რაც პირდაპირ გამომდინარეობს ქვეყანაში ნარკოტიკების მომხმარებლებისა და ნარკომანიით დაავადებულთა საკმაოდ დიდი რაოდენობიდან (სავარაუდოდ მოსახლეობის 3%).

ნარკომანიით დაავადებულნი გაცილებით მეტ დანაშაულში იმხილებიან, ვიდრე ყველა სხვა ნარკოდანაშაულის ჩამდენნი. მათ შორის, ნარკოტიკების მოხმარებაზე დაყოლიება, რომელიც ლატენტური რჩება. ასეთი მდგომარეობა ძირითადად გამომდინარეობს ნარკოტიკების მიმართ ადამიანის ორგანიზმის ტოლერანტობიდან და შედეგია ქვეყანაში ნარკოლოგიური დახმარების პროგრამათა მათი დაუფინანსებლობის გამო არარსებობისა.

სასჯელის გამოყენება

ნარკოდანაშაულის სფეროში სისხლის სამართლებრივი სასჯელის გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიმუშაოთ საქართველოს სსკ შესაბამისი მუხლების სანქციათა დახვეწის ზომები როგორც საკანონმდებლო, ასევე მათი გამოყენების ქრილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებული იქნა 2928 პირი (1807-უკანონო შეძენა, შენახვა, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება; 113-საქართველოში უკანონო შემოტანა, გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა; 658 უკანონო მოხმარება; 350 სხვა ნარკოტიკული დანაშაული) - მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 727-ს (24,8%), პირობითი მსჯავრი 1497, განაჩენის აღსრულება გადაიდო 302 პირის მიმართ, დაჯარიმდა 402, ხოლო გამართლდა 0 პირი.

ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში, თავისუფლების აღკვეთის ვადების მხრივ, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა არ მიდის სასჯელთა გამკაცრების გზით ე.ი. არსებობს ნიშნები და საფუძველი კანონმდებლობაში მოქმედ სანქციათა შემცირების (დეპენალიზაციის) კუთხით გადახედვის, მითუმეტეს, რომ მოქმედ კანონმდებლობაში „გამოუყენებელი რეზერვი“ საკმარისზე მეტია.

ნასამართლობა და მათი რაოდენობა

წარსულში ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა გარკვეულწილად განაპირობებს პირის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ამ მაჩვენებლით ნარკოდანაშაულის ჩამდენი პირები არაფრით განსხვავდებიან სხვა დანაშაულის ჩამდენ პირთაგან. ზოგადად, ნასამართლებ მამაკაცთა რაოდენობა სამჯერ აღემატება ქალთა რაოდენობას.

ნარკოტიკული თრობა და დანაშაული

ნარკოტიკული დანაშაულის ძირითადი ნაწილი ჩადენილია ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში. 2002 წელს 497 (ვაჟი 486, გოგონა 11) არასრულწლოვან მსჯავრდებულთაგან 15 დანაშაული ჩადენილი იყო ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნარკოტიკული თრობის მდგომარეობა უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისაკენ მიმავალი გზაა. ნარკოტიკების მოხმარების შეზღუდვით, თავიდან ვიცილებთ ნარკომანთა მიერ ჩადენილ დანაშაულს.

ნარკოტიკების მოხმარების დაწყების ასაკი

დანაშაულის ადრეული პროფილაქტიკის კუთხით დიდ ინტერესს წარმოადგენს ასაკი, რომლიდანაც პირმა დაიწყო ნარკოტიკის მოხმარება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩართულ პირთა საშუალო ასაკი 25 წელია, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების ინტენსიურობა 14-15 წლიდან იწყება.

პირის მიერ ნარკომანიით დაავადების აღიარება

პირის მიერ ნარკომანიით დაავადების სუბიექტური შეფასება ეფექტური მკურნალობის უპირობო განმსაზღვრელი ფაქტორია. ნარკოტიკულ საშუალებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფ 100 გამოკითხულ პირთაგან 92% უარყოფს დაავადების ფაქტს, 6% ადასტურებს ნარკომანიით დაავადებას, ხოლო 2% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე.

ნარკოტიკების მოხმარების (დასახელებული ან დადგენილი) მიზეზი

კრიმინოლოგიის პოზიციიდან გამომდინარე, პრევენციული ხასიათის სამუშაოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნარკოტიკების მოხმარების მიზეზთა, მათი შეძენის წყაროების და მოხმარების ადგილების ცოდნას, აგრეთვე, ნარკომანიის ნიადაგზე დანაშაულის ჩამდენი პირის დამოკიდებულებას საერთოდ ნარკომანიის პრობლემასთან. ასეთი მონაცემები გათვალისწინებული უნდა იქნეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისას.

გამოკითხვით დგინდება, რომ ნარკოტიკის პირველადი მოხმარების ძირითად განმსაზღვრელ მოტივს ცნობისმოყვარეობა წარმოადგენს, ასეთი კანონზომიერება მახასიათებელია, როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთათვის; მეორე შედარებით უფრო მცირე რაოდენობა ასახელებს „არსებულ ცხოვრებისეულ სიძნელეებს“; მესამე ჯგუფი „პირად ცხოვრებაში გაუმართლებლობას“ ასახელებს; მეოთხე - „მეგობრებსა და ნაცნობებზე მიბადვას“; მეხუთე, ყველაზე მცირე ჯგუფი „სხვა დაავადების მკურნალობისას ნარკოტიკების გარდაუვალ მიღებას“ ასახელებს.

ნარკოტიკების შემდგომი მოხმარების მიზეზად ხუთივე კატეგორიის მიერ ნარკოტიკებზე დაუძლეველი დამოკიდებულება სახელდება.

ნარკოტიკების შეძენის (დასახელებული ან დადგენილი) წყარო

შეძენის ძირითად წყაროებად სისხლის სამართლის საქმეების შესწავლისას 87% შემთხვევაში უცნობი პირები სახელდება, 8% ნაცნობი და 5% ნარკოტიკი დაამზადა თვითონ ან იპოვნა. ნარკოტიკების გასაღების პირველწყაროზე გასვლის, ან წარმოშობის წყაროს დადგენის, ანდა ასეთის მცდელობის ნიშნებიც კი სისხლის სამართლის საქმეებში არ არსებობს. „შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2020 წლის განმავლობაში 71 ნარკორეალიზატორი დააკავა“ - გვამცნობს შსს ახალი ამბების ვებგვერდი. თავად „ნარკორეალიზატორი“, როგორც საპროცესო ფიგურა, ან სსკ რომელი მუხლით ისჯება ასეთი ქმედება, არსად არ იძებნება და დღემდე მხოლოდ ლოგიკით უნდა მივხვდეთ, რომ იგულისხმება „გამსაღებელი“.

თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ ფონიჭალის ბაღებსა და კრწანისის ტყე-პარკში კულტივირებული არ და ვერ იქნება ოპიუმის ყაყაჩო და კოკას ბუჩქი, არ იწარმოება ოპიუმი ან კოკას ფოთლები, არ მზადდება ჰეროინი ან კოკაინი.

„დაკავებებით“ მიღწეულ შედეგებს შეფასების ხუთი საერთაშორისო სტანდარტული კრიტერიუმის: 1. მიზანშეწონილობის, 2. ეფექტურობის, 3. რეზულტატიურობის, 4. პრობლემაზე ზემოქმედების და 5. მდგრადობის - მიხედვით, თუ შევაფასებთ, მხოლოდ საკანონმდებლო „მიზანშეწონილობა“ მიიღებდა დამაკმაყოფილებელ ქულას. ვინაიდან დაკავებულ 1987 წელს დაბადებულ ფონიჭალელ მ.მ.-ს მეორე დღესვე ჩაენაცვლება პირობითად ისევე ფონიჭალელი ი.ი. ან სხვა პირი, რაც უკვე წლების მანძილზე გრძელდება.

2001 წელს იგივე ფონიჭალაში ნარკოტიკების გამსაღებელმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა მის დასაკავებლად მისულ ოპერატიულ ჯგუფს. დამნაშავე საპასუხო ცეცხლით ლიკვიდირებულ იქნა. სხვა შემთხვევაში გამსაღებლის ბინიდან ნარკოტიკულ საშუალებებთან ერთად ამოღებული იქნა ორი ცალი საბჭოთა ნიმუშის ტიტანის ბრონირებული დამცავი ჟილეტი, რომელიც გაყიდვაში არ არის.

ჩვენს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკული საშუალების ამოსაღებად ჩხრეკაზე მისულ ოპერატიულ ჯგუფს ბინაში შეღწევა, მეტალის კარების სპეციალური საშუალებით შენგრევა მოუწია. ამასობაში გამსაღებელი ბინის ვიწრო კორიდორში მდებარე ტუალეტში ჩაიკეტა, სადაც დაბრკოლების გადასალახი მოწყობილობის დარტყმის ინერცია შეუძლებელი გახდა, ხოლო ტუალეტის კარი უფრო მყარი მეტალის იყო, ვიდრე ბინაში შესასვლელის.

ნარკოტიკების გამსაღებლები აღჭურვავენ სახლებს თანამედროვე დაცვისა და სიგნალიზაციის სისტემებით, აშენებენ დამაბრკოლებელ ღობეებსა და მეტალის კარებს, გადაადგილდებიან ძვირადღირებული და უახლესი მოდელის სწრაფი და მაღალი გამავლობის ავტომანქანებით. ისინი დანაშაულის ბოლო სტადიაში ანუ ნარკობიზნესში რთავენ მათივე ოჯახის წევრ არასრულწლოვნებსა და მცირეწლოვნებს, რომლებიც არ არიან ნარკოტიკული დანაშაულის სუბიექტები. ამით ადრეული ასაკიდანვე უვითარებენ ნარკობიზნესისათვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს, პასუხისგებაში მიცემის შემთხვევებში სარგებლობენ

ყველაზე ძვირადღირებული ადვოკატების მომსახურებით, მათთვის ასევე ადვილად ხელმისაწვდომია ნებისმიერი ტიპის საპროცესო გარიგება.

ნარკოდანაშაულის თანხებით თითოეული მათგანი თავისი ფინანსური „იერარქიიდან“ გამომდინარე, ზედმიწევნით ზრუნავს საკუთარი ავტორიტეტისათვის, ეწევა ქველმოქმედებას, მონაწილეობს ეკლესიების და მეჩეთების მშენებლობაში, მატერიალურად ეხმარება სამეზობლო წრეს, აქტიურად ერთვება და რაც შეიძლება ღიად, ხმაურით, დემონსტრაციულად და გამოსაჩენად უჭერს მხარს ნებისმიერ იმდროისათვის ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ჯგუფს. ასეთი ტენდენცია არც არასდროს შეწყდება, თუ სტანდარტული შეფასების კრიტერიუმის ხუთივე მარკერი არ დაიმსახურებს სამართლიან, საწყის ეტაპზე თუნდაც უმდაბლეს ქულებს.

ნარკოტიკების მოხმარების (დასახელებული ან დადგენილი) ადგილი

ძირითადად ნარკოტიკების მოხმარების ადგილი ნარკომანთა პირადი საცხოვრებელი ან ახლო სამეგობრო წრის ბინებია. საზოგადოებაში მოარული ხმების მიუხედავად, დისკოთეკები და სხვა დასასვენებელი თუ გასართობი ადგილები მხოლოდ მესამე კატეგორიად განიხილება. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავ ორგანოთა ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს ასეთი ბინების გამოვლენაზე. ეს ობიექტურ მიზეზთა გამო ძალზედ ძნელია, ვიდრე ნარკომანთა დისკოთეკებზე, ან სხვა გასართობ ადგილებზე გამოვლენა. თუმცა ეს უკანასკნელნიც სამართალდამცავი ორგანოების თვალთახედვის არეში უნდა იყოს, რადგანაც იქ თავს იყრის ახალგაზრდული აუდიტორია თავისი კრიმინოგენული აქტიურობით.

კაცები:

ასაკი 27 წელი, უმეტეს შემთხვევებში არ არიან დაოჯახებულნი, აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, საშუალო განათლება, როგორც წესი, ფლობენ რაიმე სპეციალობას, უმეტესი ნაწილი მოიხმარს ნარკოტიკებს, რომლის მიღებაც 14-16 წლიდან ცნობისმოყვარეობის მიზნით დაიწყო. თავს ავადმყოფად არ თვლის, ნასამართლები არიან რამდენიმეჯერ, ნარკოტიკის ძირითადად ყველა მომხმარებელი წმინდა სამართლებრივი გაგებით ნებით, თუ უნებლიედ პოტენციურ გამსაღებლადაც გვევლინება.

ქალები:

საშუალო ან არასრული უმაღლესი განათლება, მათ ნაწილს გააჩნია სპეციალობა, უმეტესობა ნარკოტიკებს არ მოიხმარს და უფრო ხშირად ნარკოტიკების გამსაღებლებად გვევლინებიან, ნარკოტიკული თრობის დროს დანაშაულის ჩადენის შემთხვევები იშვიათია. ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პიროვნების, სოციალურ-დემოგრაფიული, სოციალურ-კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი თვისებების ანალიზი, შესაძლებლობას მოგვცემს გარკვეული მინიმალური ფორმით შევქმნათ მათი კრიმინოლოგიური «პორტრეტი», ხოლო გასაღებისა და ქვეყნის სივრცეში შემოდინების ადგილების, თუნდაც მიმართულებების არაირიბი იდენტიფიკაცია დაგვეხმარება შევიმუშაოთ რეალისტური, ნარკოტიკების მიწოდების შემცირების - სტრატეგია.

Subjects of Illicit Drug Trafficking and Supply Reduction Strategy

Professor, Dr. Jemal Janashia, *Georgian Technical University; Head of the Center for Research and Monitoring of Drugs and Demographic Problems; Georgian Academy of Criminology Sciences*; **Dr. Zaza Berozashvili**, *Senior Legal Adviser Illicit Drug Traffic and Transnational Organized Crime of South Caucasus Office on Drug and Crime (SCODC)*;

First study the science, and then practice
the art which is born of that science.

Leonardo Da Vinci

Keywords: Criminology, Drugs, Illicit Trafficking

Due to the growing professional and public interest in the topic of drug crime in general and also because the article titled "Situational Analysis of Afghan Heroin Illicit traffic in Georgia" which has been published in the 14th issue of the magazine "Temida" in 2021, aroused great interest, we authors, based on our theoretical-practical and international experience, considered it necessary to further expand the topic.

We would like to discuss the necessary directions for the fight against drug trafficking, the implementation of the main conventional mechanisms, which are markers of the four-step "anti-drug strategy" based on the following European experience: 1. Law enforcement actions – for Drug Supply Reduction; 2. Prevention; 3. Treatment; 4. Reduction of harm caused by problem consumption – for Drug Demand Reduction.

In the paper we present a direction that can be easily realized by law enforcement agencies at a glance, and is a necessary direction in the study of a person who has committed a drug crime. Without it, it would be quite difficult to take the above-mentioned preventive targeted measures to reduce the demand and supply of drugs.

At present, such data is not collected, systematized and processed in any instance. Detectives and investigators of the Ministry of Internal Affairs of Georgia (hereinafter: MIA) on duty have neither the time nor the resources to do so. The examination of a person within the competence of the prosecution and the court is the exception or indirect. The identity of the convict transferred to the Penitentiary Department should have already been studied. Thus, we find ourselves in a vicious circle.

Of course, we do not claim that we have made all the findings in this area, exhausted them and from tomorrow all the markers will be processed. On the contrary, our goal is to open discussion space for a full vision of the problem and to involve specialists even more.

While working on the paper, we tried to use the official statistics of Georgia within the framework of accessing them, personal archives, papers or other information obtained from open sources.

Criminology, which includes a broader analysis of criminal behavior, quite rightly suggests that the study of the offender's personality is necessary not only for investigative-operational purposes, but

also for scientific practice. It is necessary to identify the factors that motivate a certain person to commit a crime, the impact of the crime on society, the punishment of the crime and the development of ways to prevent it.

Certain characteristics of the offender, first of all age, mental state and identity, are at the same time the signs of the subject of the crime. Without establishing them, a person should not be held criminally liable.

In Georgia, due to insufficient study of this problem, the possibility of taking proactive or preventive measures against crime and an anti-social lifestyle is limited.

Questions that arise in the study of the conditions, causes, and factors (determinants) of social behavior of drug addicts, such as why some individuals develop into drug addicts and others do not, why one group of addicts commits another crime and another does not - we must look for answers in the study of human personality.

When looking for the cause of drug addiction, the main place should be given to the analysis of the personality traits of the addict.

The productivity of proactive and cautious work with an increased risk factor contingent depends on the level of our study of the personal characteristics of the drug user. Positive correction of the behavior of such persons is possible only through the implementation of a whole set of social and medical-rehabilitation measures.

I. Socio-demographic nature:

Age

The nature of a person's criminal behavior depends a lot on his or her age. Our analysis at different times has shown that crime in the field of drug trafficking is a youth problem. Most of the perpetrators of such crimes are young people aged 18-29. The average age of those responsible for crimes committed in the field of drug trafficking is 28.2 years, while the average age of persons responsible for other crimes is 33.1 years. There is a large difference between the average age of offending women and men at 33.6 and 27.4 years, respectively. As for other drug offenders, their average age does not exceed 27 years.

The "rejuvenation" of drug crime should be explained by the following factors: The first take of the drug takes place between the ages of 12 and 16 years. They account for 3-4% of the total structure of adult drug addiction; It is much easier for the drug business to spread addiction to adolescents because of their natural curiosity, desire for self-reliance, independent thinking, and striving for imitation. At the same time, other well-developed and tried methods of mental and physical impacts on minors are used.

Marital status

Many researchers have established the anti-criminogenic effects of the family on the individual or vice versa, and in the latter case involvement in drug trafficking is no exception.

The majority of perpetrators of drug trafficking are men, and far fewer are women.

It is necessary to note the unfavorable trends in the marital status of a given category compared to other categories. First of all, it mentions the majority of persons (we are talking about male consumers) who have broken up families after committing a crime, while the number of cases of family breakdown when committing another crime is twice as low. The given data should not come as a surprise, because in such cases two reasons are likely to coincide: the personal characteristics of the offender, which determined the instability of the family before the crime and separation from the family, severance of ties with relatives, inability to cohabit due to isolation of the convict.

The second unfavorable tendency is the circumstance that the persons in question (especially women) have problems starting a family after serving their sentences. Other negative reasons for the strength of the family may include: accidental receipt of cash income from the drug business, negative assessment of the disease by one of the partners, etc.

Finally, perhaps it should be noted here that in the value orientation system of most of the category of offenders, the family is not in the foreground.

Permanent residence

Housing and property, in general, is one of the stabilizing and anti-criminogenic factors. Having no place to live or forced change, unusual circumstances or everyday problems - all this negatively affects human behavior. The general characterization of persons convicted of illicit drug trafficking under this figure gives us the reason for comparative optimism in this area, as most have a permanent place of residence. A higher percentage of homeless people are women and they have not been able to maintain their place of residence since their trial. The number of such persons is twice as large as that of men.

Undoubtedly, this circumstance must be taken into account in preventive and social-rehabilitation activities.

The level of education

It is well known that education plays a major role in shaping a person and significantly determines the level of his or her intellect and culture. So, a high level of education is basically an anti-criminogenic factor.

For example, the number of crimes committed by public administration and employees of the financial-credit or banking system (usually with higher education) is negligible. But it should also be noted that the average level of education of perpetrators of drug crimes is higher than that of other perpetrators.

Knowledge of the above circumstances is essential. When carrying out preventive and operative-investigative measures, it is necessary to take into account the increased tendency of people with a high level of education to commit drug crimes. In this case, the high level of education is not a complete anti-criminogenic factor, which is usually indicated in the legal literature.

The number of persons with secondary, special, incomplete higher and higher education is three times higher among the perpetrators of drug crimes than when committing other crimes.

Specialty and labor activity

A special indicator of perpetrators of drug crimes is their specialty and labor activity. The data of the unemployed, which should be considered as the main criminogenic contingent, is also essential.

Most drug offenders do not have a stable source of income and do not work anywhere. The vast majority of them live in the city. A significant proportion does not have a specialty, of which 34% are women.

Drug addiction

Of scientific and practical interest is the correlation between the commission of a drug crime and the disease of drug offenders.

Determining such attitudes leads to the selection of means to combat drug crime, the determination of medical and other measures and location.

The majority (probably more than 70%) of drug offenders are "drug users". The vast majority of them do not consider themselves ill.

The number of men, in this case, is about 15 or 17 times higher than the number of women. Unfortunately, very few have undergone the course of treatment.

II. Criminal and special criminological characterization:

Allows us to form an idea of the characteristics of the person that led him to commit the crime.

Knowledge of such personality traits is essential for law enforcement officers working against drug trafficking to take into account when taking preventive measures to prevent crime as negative personality traits are manifested in the crime committed by them.

Qualification of the crime committed

In the field of drug crime, is mainly revealed the crime provided under Article 260, Part 1 of the Criminal Code of Georgia (hereinafter: CCOG). Other drug offenses decrease, except for the offense under Article 273 of the CCOG (Illegal manufacture, purchase, storage, carrying, transfer and/or illegal consumption without medical prescription of a narcotic drug, its analogue or a precursor in small quantity).

The number of such cases is quite large. This is directly due to the rather large number of drug users and drug addicts in the country (probably 3% of the population).

Drug users commit far more crimes than all other drug-related offenders. Among them is the persuasion to use drugs, which remains latent. Such a condition is mainly due to the tolerance of the human body to drugs. This is also a result of the lack of drug assistance programs in the country due to their lack of funding.

Use of punishment

Analysis of the practice of sentencing in the field of drug crime allows us to develop measures to improve the sanctions of the relevant articles of the Criminal Code of Georgia, both in terms of legislation and their application.

According to the 2018 statistics of the Supreme Court of Georgia, 2928 persons were convicted of drug crimes (1807 - illegal purchase, storage, manufacture, transportation, shipment, sale; 113 - illegal import, export or transit in Georgia; 658 illegal consumptions; 350 other drug crimes) - Among them 727 (24.8%) were sentenced to imprisonment, 1497 were sentenced to probation, the execution of the sentence was postponed against 302 persons, 402 were fined, and 0 persons were acquitted.

Because the case law does not choose the path of toughening the punishment in the field of drug crimes, there are signs and grounds for reducing the sanctions in force in the legislation. Moreover, in the current legislation, the "unused reserve" is more than enough.

Conviction and their quantity

The number of crimes committed in the past to some extent determines the degree of a person's public danger. With this indicator, the perpetrators of drug crimes are no different from the perpetrators of other crimes. The number of men convicted is generally three times higher than the number of women.

Drug addiction and crime

The major part of drug offenses is committed in under state of drug use. In 2002, out of 497 juvenile offenders (486 boys, 11 girls), 15 crimes were committed in a state of drug use. Thus, we can conclude that the state of drug usage is a path leading to a more serious crime. By limiting drug use, we prevent crimes committed by drug addicts.

Age of onset of drug use

For early crime prevention, it is important to determine the age at which a person started using the drug. The analysis shows that the average age of those involved in drug trafficking is 25 years. However, we must also take into account that the intensity of illegal drug use starts from 14-15 years.

Recognition of a person with a drug addiction

Subjective evaluation of the disease by a person is an unconditional determinant of effective treatment. Of the 100 respondents surveyed, 92% deny the disease, 6% confirm that they are addicted to the drug, and 2% refuse to answer.

Reason for drug use (named or prescribed)

From the position of criminology, knowledge of the reasons for drug use, the sources of their acquisition and places of consumption is of special importance for preventive work. Also important is the attitude of the person who committed the crime on the grounds of drug addiction to the problem of drug addiction.

Such data should be taken into account when developing strategies and tactics to combat drug trafficking.

The survey found that curiosity is the main determinant of primary drug use. Such a pattern is characteristic of both men and women.

The second relatively smaller number names "existing life difficulties";

The third group names "injustice in private life";

The fourth is "imitating friends and acquaintances";

The fifth smallest group names "the inevitable use of drugs in the treatment of other diseases."

All five categories name irresistible drug addiction as the reason for further drug use.

Source of drug purchase (named or established)

In 87% of the criminal cases, the main sources of acquisition of drugs are named unknown persons, 8% as acquaintances and 5% as themselves having made or found drugs. In criminal cases, there are no signs of finding a drug dealer.

"The Ministry of Internal Affairs arrested 71 drug dealers during 2020," the MIA News website informs us. The "drug dealer" himself, as a process figure or under which article of the Criminal Code such an act is punished, is not searched anywhere and until today we have to understand only by logic that it is meant as a "drug dealer".

However, we all know very well that opium poppies and coca bushes are not cultivated in Ponichala gardens and Krtsanisi forest park, no opium or coca leaves are produced, no heroin or cocaine is manufactured.

According to the five international standard criteria for evaluating the results of "arrests": 1. Relevance, 2. Effectiveness, 3. Efficiency, 4. Impact (on the problem) and 5. Sustainability - if we evaluate, only the legislative "Relevance" could receive a satisfactory score.

Since the arrested M.M. from Ponichala, born in 1987, will be conditionally replaced by I.I. from Ponichala Or, another person that has been going on for years.

In 2001, in the same Ponichala, a drug dealer opened fire from an automatic weapon on an operative group that had arrived to seize him, which was liquidated by return fire.

In another case, two pieces of Soviet-pattern armored titanium protective vest, which now is not for sale, were removed from the drug dealer's apartment along with drugs.

In our practice, there was a case when the operative group that came to the search to remove the drugs had to break into the apartment, breaking down the metal doors with a special means. Meanwhile, the drug dealer was locked in a toilet in the narrow corridor of the apartment, where the inertia of the obstacle-crossing device became impossible. And the toilet door was more solid metal than the entrance to the apartment.

Drug dealers equip homes with modern security and alarm systems, build barrier fences and metal doors, move around in expensive and state-of-the-art high-speed and off-road vehicles. In the last stage of the crime or drug business, they put minors of their own family in crime, who are not the subjects of drug crimes. In this way, they develop the skills typical of the drug business from an

early age. In cases of prosecution, they use the services of the most expensive lawyers. Any type of plea bargain is readily available to them.

With the money received, each of them, according to its financial "hierarchy", takes care of its own authority, engages in charity, participates in the construction of churches and mosques, materially helps the neighborhood, actively participates and openly, loudly, demonstratively and visibly supports the political group in power at the time.

Such a trend will never stop unless all five markers of the standard evaluation criterion will be able to deserve fair, even the lowest scores at the initial stage.

Place of drug use (named or prescribed)

The main place of drug use is the private residence of drug addicts or apartments of a close circle of friends. Discos and other entertainment places are considered only in the third category. Therefore, the efforts of the MIA bodies should be directed to the detection of such flats, which for objective reasons are much more difficult than the detection of drug users in discos or other entertainment venues. However, the latter should also be in the area of attention of law enforcement agencies, because gathers there young audience with its criminogenic activity.

Men:

Age 27 years, in most cases not married, have a permanent place of residence, secondary education, usually possess any specialty; Most of them consume drugs, which they started taking at the age of 14-16 out of curiosity; Does not consider himself ill; Have been convicted several times; Basically, all drug users in a purely legal sense voluntarily, if unintentionally, also appear a potential drug dealer.

Women:

Secondary or incomplete higher education; Some of them have a specialty; Most do not use drugs and more often than not appear to be drug dealers; Cases of crime during drug addiction are rare.

Analysis of the socio-demographic, socio-criminological and criminal characteristics of a person who has committed a drug crime will enable us to create their criminological "portrait" in a minimal form. The places of entry into the country and the sale of drugs, even non-indirect identification of directions, will help us to develop a realistic strategy to reduce the supply of drugs.

ეკონომიკური ზრდა: თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა

პროფესორი, დოქტორი თეიმურაზ ბერიძე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური, სოციალური, კორუფცია

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა წარმოადგენს საკმაოდ რთულ, მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ერთეულების (სახელმწიფოები, ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები (ფორმალური და არაფორმალური), ტრანსნაციონალური კომპანიები, ცალკეული ფირმები, საოჯახო მეურნეობები, ინდივიდუუმები) სისტემას. ამ სისტემამ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე შეიძინა სრულიად ახალი თვისებრიობა - გლობალური შინაარსი, რომელიც საკუთრივ ეკონომიკის გარდა, მოიცავს - პოლიტიკას, სოციუმს, კულტურას, რელიგიას, განათლებასა და ა.შ. საზოგადოებრივი ცხოვრების ეს კომპონენტები საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკაზე, ასევე, ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ შინაარსს. ამის გარდა, სოციალისტური სისტემის დაშლამ და სრულიად ახალი ფენომენის - გარდამავალი ქვეყნების, გარდამავალი ეკონომიკების („transitional countries, transitional economies”) წარმოქმნამ ახალი შინაარსი შესძინა გლობალიზაციის პროცესს. ამ ქვეყნების წარმოჩენამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა საკითხი იმის შესახებ თუ როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია ეკონომიკური ზრდა („economic growth”) და ეკონომიკური განვითარება („economic development”) ერთმანეთთან. რა განსხვავებაა ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის? რომელი მაჩვენებლებით ხდება მათი შეფასება? შეიძლება თუ არა განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების მოდელი გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკების ანალიზისას, თუ ის მხოლოდ ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი?

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე პასუხი მოითხოვს საკმაოდ ვრცელ და სიღრმისეულ გამოკვლევას. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ მხოლოდ კვლევის რამოდენიმე მიმართულებას შევხებით (და ისიც საკითხის დასმის წესით).

კიდევ ერთხელ ეკონომიკური ზრდის შესახებ

„ეკონომიკური ზრდის“ ფენომენი არ არის ახალი საკითხი ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში. ადამიანების სამეურნეო საქმიანობის დასაბამიდან იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა ერთი მარტივი მიზეზის გამო: ეკონომიკური ზრდის შედეგი აისახება ქვეყნის განვითარებასა და ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებაში, ხოლო ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები მუდმივად წარმოადგენს პოლიტიკოსთა და მეცნიერ-ეკონომისტთა კვლევის ობიექტს.

ეკონომიკური ზრდის საკითხებს იკვლევდნენ ეკონომიკური თეორიის იდეოლოგიურად საპირისპირო ბანაკების წარმომადგენლები – XIX საუკუნეში - კ. მარქსი (აღწარმოების თეორია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის კვლევაში) და XX საუკუნეში - ეკონომიკური ზრდის თეორიის ცნობილი წარმომადგენლები (ჯ. კეინზი, რ. ჰაროდი, ე. დომარი, ჯ. რობინსონი და ა.შ.), რომლებიც ყურადღებას ამახვილებდნენ ეროვნული შემოსავლის ზრდის მნიშვნელობაზე მხოლოდ ერთი ფაქტორის გათვალის-

წინებით - კაპიტალის დაგროვების ნორმით. უ. როსტოუ ამ ფენომენს უკავშირებს საზოგადოების სტადიურ განვითარებას. ხოლო მოგვიანებით ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელის ავტორი ჯ. მიდი ყურადღებას ამახვილებს მის ყველა ფაქტორზე (კაპიტალი, დანაზოგი, სამუშაო ძალა, ინვესტიციები) და თვლის, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში ეკონომიკურ ზრდას ექნება სტაბილური და მდგრადი ხასიათი.

აღნიშნული პრობლემის ყველა მკვლევარი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: რა არის ეკონომიკური ზრდა? რა განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას და როგორ გაიზომება იგი? ცნობილია, რომ ყველა ამ საკითხზე პასუხი გაცემულია მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებში¹, მაგრამ, ჩვენი აზრით, რჩება საკითხების გარკვეული წრე, რომელიც, ჯერ კიდევ, საჭიროებს ახსნას და განვითარებას.

ცნობილია, რომ ეკონომისტები ეკონომიკურ ზრდას ძირითადად აფასებენ მთლიანი შიდა პროდუქტის ("Gross Domestic Product") დინამიკით. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მაჩვენებელი სრულად ვერ ასახავს ეკონომიკურ ზრდას, ვინაიდან არ აჩვენებს ქვეყნის ცხოვრების ხარისხს და განაწილებითი ურთიერთობების ეფექტს, ამავე დროს მოიცავს საფინანსო შუამავლობის ოპერაციების მოცულობებს, რომლებიც არ ასახავენ ზრდას ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ეკონომისტები იყენებენ სხვა მაჩვენებლებსაც - მთლიანი ეროვნული შემოსავალი; წმინდა ეროვნული შემოსავალი; პირადი შემოსავალი; წმინდა პირადი შემოსავალი ანუ განკარგავადი შემოსავალი. გასათვალისწინებელია აგრეთვე მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის სოციალური შემადგენლებიც.

რა განსაზღვრავს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას? პასუხი ერთი შეხედვით მარტივია: ქვეყანაში მწარმოებლურობის დონე (უნდა ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი ბოლო ორი ათწლეული საერთოდ არ გაიანგარიშება სტატისტიკური ორგანოების მიერ). როგორია მისი დეტერმინანტები? ესენია: ფიზიკური კაპიტალი (მოწყობილობები და შენობები, რომლებიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის), ადამიანისეული კაპიტალი (ცოდნა და უნარი, რომელსაც ადამიანი იძენს განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით), ბუნებრივი რესურსები (საქონლისა და მომსახურების წარმოებაში გამოყენებული მასალა, რომელსაც ბუნება გვაძლევს), ტექნოლოგიური ცოდნა (უახლესი ტექნიკისა და „ნოუ-ჰაუს“ დანერგვა). თანამედროვე ეკონომიკაში ეს ფაქტორი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას (საქართველოსათვის ეს ფაქტორი უკიდურესად მნიშვნელოვანია და ამიტომ მთავრობის პოლიტიკა უნდა იქნას მიმართული ტექნოლოგიების იმპორტზე). აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკაში არ მომხდარა საწარმოო ბაზის განახლება და რეალურად რთულია საუბარი ინდუსტრიული ბაზის ზრდაზე, რაც ყველა სხვა დარგის ზრდის საფუძველია.

წარმოების ყველა ფაქტორი მონაწილეობს ეკონომიკურ ზრდაში, მაგრამ, ბუნებრივია, არა თანაბრად (ყველას არ გააჩნია ერთი და იგივე წონა), ვინაიდან ნებისმიერ ქვეყანას აქვს ამა თუ იმ ფაქტორის გამოყენების უპირატესობა, რაც საგარეო ვაჭრობაში მას უპირატესობებს აძლევს. ბუნებრივია, რაც უფრო ოპტიმალური იქნება ამ ფაქტორთა კომბინაცია, მით უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდა და მისი სტაბილურობა (საბჭოურ პერიოდში ეკონომისტ-

¹ Karl E. Case, Ray C. Fair. Principles of Economics. Eighth Edition. Pearson Prentice Hall. 2007. P.543-698; კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა 'სიახლე', 1996, გვ.210-277 და ა.შ.

მათემატიკოსთა მიერ შემუშავებულიც კი იყო ე.წ. ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების სისტემა).

როგორია ამ თვალსაზრისით მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში? სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 20-25 წლის განმავლობაში საქართველოში ყველა ეს დეტერმინანტი (ფაქტორი) პრაქტიკულად სულ უფრო და უფრო ქვეითდება. აქცენტი აღებულია ერთ ან ორ დარგზე, საუბარი უნდა მიდიოდეს ოპტიმალურ დარგობრივ სტრუქტურაზე. პასუხი არ არის მარტივი, ალბათ, აქ უნდა გამოყენებული იქნეს მოდელი - დანახარჯები-გამოშვება და ასევე რიგი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ავიღოთ ფიზიკური კაპიტალი. იგი ძირითადად გაცვეთილია, არ ხდება მისი შეცვლა ან გადაიარაღება (რომელიც, როგორც წესი, ყოველი 20-25 წელიწადში უნდა ხდებოდეს), არადა, თანამედროვე ეკონომიკის საფუძველს სამრეწველო დანადგარები და საწარმოო ხაზები წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით გადასახედია ქვეყნის საიმპორტო პოლიტიკა. უარი უნდა ითქვას მომხმარებლური ეკონომიკის მოდელზე.

რაც შეეხება ადამიანისეულ კაპიტალს - მილიონზე მეტი ადამიანი (ძირითადად 25-50 წლის ასაკში) გასულია ქვეყნიდან, ხოლო განათლება (განსაკუთრებით, საინჟინრო-ტექნიკური) არასახარბიელო მდგომარეობაშია. გადასახედია პროფესიათა და სპეციალობათა სისტემა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით სპეციალისტთა მომზადებაც.

ბუნებრივი რესურსები - ქვეყანაში დარღვეულია ეკოლოგიური ბალანსი (არ არსებობს ეკოლოგიური ბალანსის სტატისტიკა), მაშინ, როდესაც ეკოსისტემა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ხელს უწყობს არა მხოლოდ საზოგადოების ჯანდაცვას, არამედ ეკონომიკის ზრდას.

რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის ორნიშნა ზრდას (1996-1997 და 2004 წლებში), ის გამოწვეული იყო მხოლოდ ე.წ. მკვეთრი ზრდის ეფექტით (გრეგორი მენქიუს ტერმინოლოგიით) და ეკონომიკის აღდგენითი ზრდით (რუსი ეკონომისტის ე. გაიდარის ტერმინოლოგიით). სწორედ, რომ ამ გარემოებების გათვალისწინებით უნდა იქნეს შემუშავებული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური განვითარების არსი და მაჩვენებლები

ეკონომიკური განვითარება შედარებით ახალი ცნებაა და გაცილებით ფართოა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. იგი ასახულია სახელმძღვანელოებში და ისწავლება მსოფლიოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში.¹ ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება. ერთი შეხედვით, საკითხის ამდაგვარად დაყენება ტავტოლოგიაა, მაგრამ უფრო სიღრმისეული შესწავლისას დავინახავთ პრინციპულ სხვაობებს მათ შორის, რაც ეკონომიკის ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური მხარეებს შორის სხვაობიდან გამომდინარეობს. პირველი გულისხმობს ეკონომიკის განვითარებას მისი საწარმოო პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით, ხოლო მეორე აქცენტს აკეთებს ეკონომიკის განვითარების სოციალურ შედეგებზე. ამ თვალსაზრისით, გარკვეულწილად ეკონომიკური განვითარების მოდელი

¹ Hayami Y. and Godo Y. Development Economics. From the Poverty to the Wealth of Nations. Third Edition. 2002.

არის „სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური“ მოდელის გაგრძელება, რასაც ადგილი აქვს დასავლეთ გერმანიაში და სკანდინავიის ქვეყნებში XX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ცნობილია, რომ ეკონომიკური ზრდა ფასდება მთლიანი შიდა პროდუქტის (მათ შორის მოსახლეობის ერთ სულზე) რეალური გამოშვების მაჩვენებლით, ხოლო ეკონომიკური განვითარება ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა, ის უფრო სოციალურად ორიენტირებულია და ასახავს ქვეყნის განვითარების მრავალ შრეს.

ეკონომიკური განვითარება აჩვენებს, თუ რა ეფექტი მოაქვს ეკონომიკურ ზრდას უშუალოდ მოსახლეობისათვის, როგორ იზრდება ქვეყანაში ცხოვრების დონე და შესაბამისად, ის გაიზომება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: რეალური შემოსავალი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე; განათლების დონე; ჯანდაცვის დონე (მაგალითად, ექიმთა რაოდენობა 1000 კაცზე); ეკოლოგიის სტანდარტების დაცულობა. ამასთან, ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს: ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, კომუნიკაციები) დონე; მომსახურების სექტორის ეფექტიანობა¹; კორუფციის დაბალი დონე; შრომის მწარმოებლურობა; სამუშაო ძალის მობილობა; უცხოური ინვესტიციებისა და დახმარების ნაკადები; დანაზოგების და ინვესტიციების დონე და ა.შ.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორი შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდა განვითარების გარეშე:

1. ეკონომიკური ზრდის შედეგები აისახება მოსახლეობის მხოლოდ მცირე რაოდენობის მდგომარეობაზე. მაგალითად, ნავთობით მდიდარ ქვეყანაში ადგილი აქვს მშპ-ის ზრდას. შეიძლება ამ შემთხვევაში ფირმის შემოსავალი მკვეთრად იზრდებოდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სიკეთე თანაბრად აისახება მთელ მოსახლეობაზე;

2. კორუფცია. ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს მშპ-ის მაღალი დონე, მაგრამ მისი ზრდის ეფექტი აისახებოდეს მხოლოდ ოლიგარქების და პოლიტიკოსების საბანკო ანგარიშებზე. აქტუალურია საკითხი, როგორ გავზომოთ კორუფციის დონე საქართველოში. სამართლებრივი სტატისტიკა იძლევა მხოლოდ კორუფციაში დანაშაულთა მშრალ სტატისტიკას, მაგრამ ეს არის მხოლოდ მედლის ერთი მხარე, ბევრად უფრო აქტუალურია საკითხი, თუ რა ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის კორუფციას, კერძოდ, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში²;

3. ეკოლოგიური პრობლემები. ტოქსიკური ქიმიური პროდუქტების (და სხვა მავნე პროდუქტების) წარმოება ზრდის მშპ-ს, მაგრამ მათი წარმოების არასწორი რეგულირებით შეიძლება ზიანი მივაყენოთ გარემოს და ჯანდაცვას, რაც ბევრად უფრო ძვირი უჯდება საზოგადოებას, და, საერთოდ, ქვეყანას;

¹ ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რ. ასათიანის მონოგრაფიული გამოკვლევა: მომსახურება და საბაზრო სისტემა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1993.

² K. Shevardnadze, R. Chechelashvili, V. Chocheli, N. Khaduri. Papava Indexes of Tax Corruption. Tbilisi, Publisher “Company Imperial Ltd.”, 2000.

4. ეკონომიკის გადატვირთულობა. აქცენტის ადებამ მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტექნიკურ-ეკონომიკურ მხარეზე შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკაში რესურსების გადახარჯვა, რაც, ასევე, მიუღებელია სტაბილური განვითარებისათვის;

5. წარმოებული პროდუქციის გამოყენების არასათანადო დონე. ერთი შეხედვით ეს პარადოქსალურად ჟღერს, მაგრამ ეს ძალზედ აქტუალური საკითხია და დაკავშირებულია, ერთი მხრივ, განაწილებითი ურთიერთობების ეფექტიანობასთან და მეორე მხრივ, რესურსების არაადეკვატურ ალოკაციასთან (განაწილებასთან);

6. ხარჯები შეიარაღებაზე. ბიუჯეტში ხარჯების ოპტიმალური დაგეგმვა და მათი გაწევა მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის (საქართველოსათვის ბოლო წლებში ეს ძალზედ აქტუალური იყო, ვინაიდან შეიარაღებაზე ხარჯების ზრდამ მნიშვნელოვანწილად შეამცირა სოციალური ხარჯები).

და ბოლოს, შევეცადოთ ვუპასუხოთ კითხვას: შეიძლება თუ არა ეკონომიკური განვითარების მოდელის გამოყენება გარდამავალი (პოსტკომუნისტური) ეკონომიკების ანალიზისას ან მათი სამომავლო განვითარებისათვის? აღნიშნული მოდელის გამოყენება თანამედროვე ეტაპზე მიზანშეწონილია იმ თვალსაზრისით, რომ გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა ფაქტობრივად მოშალა ქვეყნის სოციალური ორიენტაცია და მიზნად გაიხადა მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკური ზრდა. ამიტომ აუცილებელია ამ მაჩვენებლის გამოყენება. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს არსებული ჩამორჩენის დაძლევისაკენ.

On a question of economic growth

Professor, Dr. Teimuraz Beridze, *Iv. Javakhishvili Tbilisi State University; Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: Economical, Social, Corruption

The modern world economy is a system of rather complex, closely interconnected entities (states, countries, international organizations and institutions (formal and informal), transnational corporations, individual firms, households, individuals). At the turn of the XX-XXI centuries, this system acquired a completely new quality - a global content that, in addition to its proper economy, includes politics, society, culture, religion, education, etc. These components of public life have a significant impact on the economy, and the economy in turn largely determines their content. In addition, the collapse of the socialist system and the emergence of a completely new phenomenon - transition countries, emerging economies ("transition countries, transitional economies") added new content to the process of globalization. The emergence of these countries has made more urgent the question of how economic growth and economic development are interrelated. What is the difference between economic growth and economic development? Which indicators are used to evaluate them? Can we consider the model of economic development in the analysis of the economies of countries in transition, if it is typically only for the countries of the so-called Third World?

The answers to the above questions require a fairly extensive and in-depth investigation. In the present article, we will only touch few areas of research (and only as the statement of questions).

Again about economic growth

The phenomenon of "economic growth" is not a new issue in economic theory and practice. From the beginning of a human economic activity, it has been in the focus of public attention for one simple reason: the economic growth is reflected in the development of the country and raising the standard of living of people, while the factors of growth are constantly present the object of research of politicians and scientists-economists. The issues of economic growth were studied by the representatives of the ideologically opposite camps of economic theory: in the XIX century - by K. Marx (the theory of reproduction, which made a significant contribution to the study of this issue) and in the twentieth century - the prominent representatives of the theory of economic growth (J. Keynes, R. Harrod, E. Domar, J. Robinson, etc.), which focused on the importance of increasing national income by considering only one factor - the rate of capital accumulation. W. Rostow links this phenomenon to the stadial development of society. Later the author of the neoclassical model of economic growth J. Meade focuses on all its factors (capital, savings, labor, investments) and believes that only in this case the economic growth will be stable and sustainable.

All researchers of this problem try to answer the questions: what is economic growth? What determines economic growth and how is it measured? It is well known that all these questions are

answered in the textbooks of macroeconomics¹, but in our opinion, a certain circle of questions remains that needs to be explained and developed.

It is well known that economists mainly measure economic growth by the dynamics of gross domestic product (GDP). However, we note that this figure does not fully reflect economic growth, as it does not show the quality of life of the country and the effect of distributional relations, but also includes the volume of financial intermediation operations, which do not reflect the growth of the economy in the real sector. Given these circumstances, economists use other indicators as well - gross national income; net national income; personal income; net personal income, or disposable income. The social components of gross domestic product creation should also be considered.

What determines the growth of the gross domestic product? The answer is simple at first glance: the level of productivity in the country (it must be said that for the last two decades this figure has not been calculated by statistical bodies at all). What are its determinants? These are physical capital (equipment and buildings used to produce goods and services), human capital (knowledge and skills that a person acquires through education and practical experience), natural resources (materials used in the production of goods and services, provided by nature), technological knowledge (introduction of the state-of-the-art technology and "know-how"). This factor is gaining special importance in the modern economy (this factor is extremely important for Georgia and therefore the government's policy should be aimed at importing technologies). We also note that during the last 25 years, the production base of the Georgian economy has not been renewed and it is really difficult to talk about the growth of the industrial base, which is the basis for the growth of all other sectors.

All factors of production contribute to economic growth, but, naturally, not equally (not everyone has the same weight), since any country has the advantage of using this or that factor, which gives it advantages in foreign trade. Naturally, the more optimal the combination of these factors, the higher the economic growth and its stability (in the Soviet period the economists-mathematicians even developed the so-called system of optimal functioning of the economy).

What is the situation in modern Georgia in this regard? Unfortunately, it should be noted that in the last 20-25 years, all these determinants (factors) in Georgia are practically are more and more worsening! The focus is on one or two industries, whereas the focus should be on the optimal sector structure. The answer is not simple, perhaps the model should be used here - costs-output and also many socio-economic indicators.

Let's take physical capital. It is mostly worn out, it is not replaced or re-equipped (which usually has to be done every 20-25 years), whereas industrial machinery and production lines are the basis of modern economics. The country's import policy should be reviewed from this point of view. The consumer economy model must be refused.

As for human capital - more than a million people (mostly aged 25-50) have left the country, and education (especially engineering) is in poor condition. The system of professions and specialties

¹ Karl E. Case, Ray C. Fair. Principles of Economics. Eighth Edition. Pearson Prentice Hall. 2007. P.543-698. J. Kakhniashvili. Macroeconomics. Tbilisi, publ. house "Siakhle", 1996, pp. 210-277 (in Georgian) etc.

and the training of specialists should also be reviewed taking into account the interests of the country.

Natural resources - the ecological equilibrium in the country is disturbed (there are no statistics on the ecological equilibrium), while the ecosystem is an important component of the socio-economic system and contributes not only to public health but also to economic growth.

As for the double-digit growth of GDP (in 1996-1997 and 2004), it was caused only by the so-called effect of sharp growth (in the terminology of Gregory Mankiw) and the recovery of the economy (in the terminology of the Russian economist E. Gaidar).

The economic policy of the country must be developed in these circumstances.

The essence and indicators of economic development

Economic development is a relatively new concept and is much broader than economic growth. It is reflected in textbooks and is taught in many higher education institutions¹ around the world. Therefore, first of all, it is important to perceive differences between economic growth and economic development. At first glance, posing the issue in this way is a tautology, but in a more in-depth study, we will see the fundamental differences between them, which are due to the difference between the technical-economic and socio-economic aspects of the economy. The first focuses on the development of the economy in terms of developing its productive potential, while the second is focused on the social consequences of economic development. In this sense, the model of economic development is, to some extent, a continuation of the "socially-oriented economic" model established in West Germany and the Scandinavian countries since the second half of the twentieth century.

It is well known that economic growth is measured in terms of the real output of GDP (including GDP per capita), while economic development is much broader than economic growth. It is more socially oriented and reflects many layers of the country's development.

Economic development shows the direct effect of economic growth on the population, how the standard of living in the country increases, and therefore it is measured by such indicators as a real income (GDP) per capita; the level of education; the level of health (e.g. number of doctors per 1000 people); protection of ecological standards. At the same time, the economic development is significantly determined by the level of infrastructure (transport, communications); efficiency of the service sector²; low level of corruption; labor productivity; workforce mobility; a flow of foreign investment and aid; level of savings and investments, etc.

Let us now consider what economic growth can be like without development.

1. The effects of economic growth are reflected in the well-being of only a small number of people. For example, in an oil-rich country, GDP is growing. In this case, the firm's income may increase

¹ Hayami Y. and Godo Y. Development Economics. From the Poverty to the Wealth of Nations. Third Edition. 2002.

² In this regard, it is necessary to mention the monographic research of R. Asatiani "Service and market system, Tbilisi, "Tbilisi University Publisher, 1993 (in Georgian).

dramatically, but this does not necessarily mean that this wealth is equally reflected in the entire population;

2. **Corruption.** The country may have high levels of GDP, but the effect of its growth will be reflected only in the bank accounts of oligarchs and politicians. The question of how to measure the level of corruption in Georgia is relevant. Legal statistics provide only dry statistics on corruption crimes, but this is only one side of the coin, much more relevant is the question of how corruption harms the country, in particular, the budget-tax system¹;

3. **Environmental problems.** Production of toxic chemical products (and other harmful products) increases GDP, but improper regulation of their production can harm the environment and health, making it much more expensive for society, and the country as a whole;

4. **Overloading of the economy.** Focusing only on the technical-economic side of economic growth can lead to a waste of resources in the economy, which is also unacceptable for sustainable development;

5. **Improper level of use of manufactured products.** At first glance, this may sound paradoxical, but it is a very topical issue and is related, on the one hand, to the efficiency of distributional relations and, on the other hand, to the inadequate distribution (allocation) of resources;

6. **Expenditure on armaments.** Planning and incurring optimal budget expenditure is important for the country's development (this has been very important for Georgia in recent years, as rising expenditure on armaments has significantly reduced social expenses).

Finally, let us try to answer the question: Can the model of economic development be used in the analysis of transitional (post-communist) economies or for their future development?

The use of this model at the present stage is appropriate in the sense that the economic reforms of the past years have disrupted the social orientation of the country and aimed only at technical-economic growth. Therefore it is necessary to use this indicator. The economic policy of Georgia should be aimed at overcoming the existing economic lag.

¹ K. Shevardnadze, R. Chechelashvili, V. Chocheli, N. Khaduri. *Papava Indexes of Tax Corruption*. Tbilisi. "Company Imperial Ltd" Publisher, 2000.

კიბერდანაშაულის პრევენციის კრიმინოლოგიური მხარე

პროფესორი, დოქტორი მაია ნადარეიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ამერიკისა და ბრიტანეთის შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

საკვანძო სიტყვები: კრიმინოლოგია, კიბერდანაშაული, პრევენცია

კორონავირუსით გამოწვეულ ორწლიან პანდემიას თუ არ ჩავთვლით, კიბერდანაშაულია ის ერთ-ერთი უახლესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც თანამედროვე გლობალური სოფლის[1] წინაშე დგას. კიბერთავდასხმები, თითქმის, მთელი XX საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო სტრუქტურათა ექსკლუზიურ თავსატეხს წარმოადგენდა, განსაკუთრებით, 1971 წლიდან მოყოლებული, როცა 28 წლის ჯონ დრეიპერმა (მოგვიანებით სილიკონის ველის ლეგენდარულმა პროგრამისტმა) საერთაშორისო ზარების უფასოდ განხორციელების მიზნით შექმნა „ლურჯი ყუთი“ და მისი აგების ინსტრუქცია გაასაჯაროვა. საყოველთაო საფრთხედ კიბერდანაშაული მხოლოდ მესამე ათასწლეულის დადგომასთან ერთად გადაიქცა მსოფლიო მოსახლეობის მიერ სოციალური მედიის ათვისებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების ყოველდღიურობაში აქტიურად დანერგვის შედეგად.[2]

კიბერდანაშაულობის სამეცნიერო კვლევამ სამართლისა და კრიმინოლოგიის კუთხით, ძირითადად, 1990-იანი წლების მიწურულიდან მიიღო მასშტაბური სახე. თუმცა, 40 წლით ადრე, 1958 წლის 7 თებერვალს ამერიკის 34-ე პრეზიდენტმა დუაიტ აიზენჰაუერმა სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის სააგენტო — ARPA[4] შექმნა შეერთებული შტატების უსაფრთხოების პრევენციული ზომების შემუშავების მიზნით. კიბერდანაშაულობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა, უმეტესად, ბოლო 6-7 წლის განმავლობაში გამრავლდა და გამრავალფეროვნდა.

მიუხედავად „ასაკმცრობისა“, კიბერდანაშაული სტრუქტურულად ძალზე რთული აგებულებისაა, რასაც ორი უმთავრესი ასპექტი განაპირობებს: საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის დაფიქსირება, სამხილების მიგნება და გამოძიების წარმოება განსაკუთრებით ძნელია კიბერსივრცის ციფრული ბუნებიდან გამომდინარე; კიბერდანაშაულობა მოიცავს ტრადიციული დანაშაულის, ფაქტობრივად, ყველა სახეს, ოღონდ, ტექნოლოგიურად მოდიფიცირებულ ვარიანტებად.

სწორედ ამ ორი ასპექტით, კიბერდანაშაულობა საწყის ეტაპზევე ამეტებდა სირთულით ტრადიციულ, ე.წ. „ქუჩის დანაშაულს“[19] როგორც გამოძიებისას, ისე პრევენციის საშუალებათა დანერგვის დროს. რაც შეეხება ქვემიზეზებს, სრული სია არ არსებობს და ალბათ, ვერც ვერასდროს შეიქმნება იმის გამო, რომ ყოველ კიბერდანაშაულებრივ პრევენციულ ზომას უპირისპირდება აურაცხელი პროფესიონალი თუ მოყვარული ენთუზიასტი, ვინც გამუდმებით დაკავებულია ახალ-ახალი კიბერშელწევითი გზების პოვნა-გამოგონებით. ამ პრობლემის მოგვარებას აშშ-ის მთავრობა იმით ცდილობს, რომ განსაკუთრებით საშიშ კიბერკრიმინალებს გასამართლების შემდეგ სახელმწიფო სამსახურში ასაქმებს[20] გამორჩეულად მომგებიანი ფინანსური ხელშეკრულებების საფუძველზე. თუმცა, რუსეთისა და აზიური ქვეყნების მხრიდან გლობალური მასშტაბით

წარმოებულ კიბერთავდასხმებს პრევენციის ეს ამერიკული ზომა, ცხადია, ვერ ამცირებს. სამაგიეროდ, თავდაცვითი პროგრამების შემუშავების კუთხით ზრდის ქვეყნის უსაფრთხოებას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ციფრულ რეალობაში განხორციელებული ისეთი ქმედებები, რომელიც სხვა ადამიანისა თუ ორგანიზაციის უფლებებს ლახავს, სამართლებრივად კარგა ხანს არ ითვლებოდა დანაშაულად და მისი სტატუსის განსაზღვრას წლები დასჭირდა.[8] კიბერდანაშაული ჰაიტექის გამოყენებით ზედონეზე ორგანიზებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რისი კოდებში ჩარჩენილი კვალის მოძიება გაცილებით ძნელია, ვიდრე რეალურ სამყაროში დამნაშავის მიერ დატოვებული სამხილის. კრიმინოლოგებსა და კრიმინალისტებს საქმეს ისიც ურთულებს, რომ რიგით მოქალაქეთა უმეტესობას დღემდე წარმოდგენა არ აქვს, ისე არღვევს სხვის უფლებებს კიბერსამყაროში ანდა ვერ ხვდება, როდესაც მის მიმართ ჩადიან კიბერდანაშაულს.

თანამედროვე ციფრულ სამყაროში ადამიანები ხშირად გაუაზრებლად უწყობენ ხელს კიბერკრიმინალებს დანაშაულის ჩადენაში საკუთარი თავისა თუ სხვათა მიმართ. რიგითი მომხმარებლები ვირუსულ პროგრამებს ხშირად უნებურად ავრცელებენ ერთმანეთში: თავად ააქტიურებენ სათვალთვალო ან შეღწევით აპლიკაციებს ოსტატურად შეთავაზებულ-შემოგდებულ ბმულზე თითის დაჭერით; საკუთარი სურვილით ავრცელებენ პირად ინფორმაციას ონლაინ პლატფორმებზე და ვერ ხვდებიან, რომ ამით საფრთხეს უქმნიან ინფორმაციასთან დაკავშირებულ თითოეულ პირს; უცნობისგან მიღებული ელექტრონული ფოსტის შინაარსის გაგების სურვილით ხსნიან სპამს და კლავიშზე თითის ერთხელ დაჭერით, ასეთების ცნობისმოყვარეობა კატას არ კლავს,[17] მაგრამ სერიოზულად აზიანებს კიბერსაფრთხოილეს მოკლებულ ინდივიდთა პერსონალურ კომპიუტერს და არღვევს მათ უფლებებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის კუთხით.

კიბერდანაშაული ჯერ კიდევ დაზუსტებას, გარკვევასა და სამართლებრივ ჩარჩოში უკეთ ფორმულირებას საჭიროებს მსოფლიოში არსებული ორასიოდე სახელმწიფოს უმეტესობაში. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტი, რომ კიბერუსაფრთხოების მიზნით ახალი რეგულაციის დაწესებამ მედიათავისუფლების შეზღუდვა არ უნდა გამოიწვიოს ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით. ასეთი საფრთხის წინაშე არაერთხელ აღმოჩნდა აშშ,[3] რომლის გამოცდილებაც[12] მუდმივად ვრცელდება დანარჩენ სამყაროზე. შესაბამისად, კიბერუსაფრთხოების საკანონმდებლო დარეგულირების საკითხს უნდა წყვეტდეს პროფესიონალთა მრავალდისციპლინური საბჭო, რომელშიც ციფრული მედიის, სამართლის, კრიმინოლოგიისა და უახლესი ტექნოლოგიების სპეციალისტები შეიმუშავებენ სამოქმედო პლატფორმას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Nadareishvili, Maia (2020), *The Media Mill: Political Communication*, Tbilisi: Publishing House Universal (In the Georgian language).
- Nadareishvili, Maia (2011), *The media, memetics and the hyperinformedness syndrome of society*, Caucasus International University *Herald*, #3, Tbilisi: Publishing House Universal, pp. 142-147, 206, 218, 229 (In the Georgian language).

- Nadareishvili, Maia (2011), Two new American bills introduced for the legal regulation of the media, Caucasus International University *Herald*, #3, Tbilisi: Publishing House Universal, pp. 92-100, 203, 215, 226-227 (In the Georgian language).
- A growing number of governments hope to clone America's DARPA (5 June 2021), *The Economist*, 439 (9248), pp. 67-68. The Defense Advanced Research Projects Agency (DARPA), originally known as the ARPA was created on 7 February 1958 by President Dwight D. Eisenhower in response to the Soviet launching of Sputnik 1 in 1957. DARPA formulates and executes research and development projects to expand the frontiers of technology and science, often beyond immediate US military requirements. today DARPA is a research and development agency of the US Department of Defense responsible for the development of emerging technologies for use by the military. *The Economist* has called DARPA the agency "that shaped the modern world", and pointed out that "Moderna's covid-19 vaccine sits alongside weather satellites, GPS, drones, stealth technology, voice interfaces, the personal computer and the Internet on the list of innovations for which DARPA can claim at least partial credit".
- Alexandrou, Alex (2021), *Cybercrime and Information Technology*, 1st Edition, Boca Raton, FL: CRC Press.
- Bandler, John, and Antonia Merzon (2020), *Cybercrime Investigations: A Comprehensive Resource for Everyone*, 1st Edition, Boca Raton, FL: CRC Press.
- Bequai, August (1978), *Computer Crime*, Lexington Books.
- Berris, Peter G. (21 September 2020), *Cybercrime and the Law: Computer Fraud and Abuse Act (CFAA) and the 116th Congress*, Congressional Research Service [crsreports.congress.gov/product/pdf/R/R46536].
- Brenner, Susan W. (2010), *Cybercrime: Criminal Threats from Cyberspace*, Crime, Media, and Popular Culture, 1st Edition, Santa Barbara, CA: Praeger.
- Burke, Roger Hopkins (2009), *An Introduction to Criminological Theory*, Third Edition, Devon, UK: Willan Publishing.
- Carrabine, Eamonn, Alexandra Cox, Pamela Cox, Isabel Crowhurst, Anna Di Ronco, Pete Fussey, Anna Sergi, Nigel South, Darren Thiel, and Jackie Turton (2020), *Criminology: A Sociological Introduction*, 4th Edition, Kindle Edition, Routledge.
- Cleaveland, Peter (24 September 2018), *What is the government doing to counter cybercrime?*, Enterprise IoT insights.
- Clough, Jonathan (2015), *Principles of cybercrime*, Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Funk, Jeffrey L. (2013), *Technology Change and the Rise of New Industries: Innovation and Technology in the World Economy*, 1st Edition, Kindle Edition, Stanford, CA: Stanford Business Books.
- Holt, Thomas J., and Adam M. Bossler (2017), *Cybercrime in Progress: Theory and prevention of technology-enabled offenses*, New York, NY: Routledge.
- Holt, Thomas J., George W. Burruss, and Adam M. Bossler (2015), *Policing cybercrime and cyberterror*, Durham, NC: Carolina Academic Press.
- Jonson, Ben (1598), *Every Man in His Humour*. "care'll kill a cat", The meaning and origin of the expression: Curiosity killed the cat, by Gary Martin; ცნობილი ინგლისური ანდაზა „ცნობისმოყვარეობამ კატა იმსხვერპლა“.
- Marion, Nancy E., and Jason Marion (2020), *Cybercrime: An Encyclopedia of Digital Crime*, Santa Barbara, CA: ABC-CLIO.
- Nirmala.k, Glory (2009), *Criminology*, Justice and Legal System Research Institute.
- Peterson, Andrea (24 October 2015), *How the government tries to recruit hackers on their own turf*, The Washington Post.
- Schmallegger, Frank (2017), *Criminology Today: An Integrative Introduction*, 8th Edition, New York, NY: Pearson.
- Yar, Majid, and Kevin F. Steinmetz (2019), *Cybercrime and Society*, 3rd Edition, London, UK: Sage Publications Ltd.

The Criminological Side of Preventing Cybercrime

Professor, Dr. Maia Nadareishvili, *American and British Studies Institute at Grigol Robakidze University; Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: Criminology, Cybercrime, Prevention

With the exception of the two-year coronavirus pandemic, cybercrime is one of the newest and most important problems the modern global village [1] is facing currently. Cyber-attacks have been the exclusive headache of the state for almost through the entire 20th century, especially, starting from 1971 when John Draper, a phone phreak who became a legendary figure in Silicon Valley lore, built a “blue box” with the whistle that allowed him to make free long-distance phone calls and published instructions on how to make it. Only after the beginning of the third millennium has cybercrime become a universal threat as a result of the overwhelming usage of social media and the adaptation to the latest innovations of information technology by the world population. [2]

The study of cybercrime in terms of law and criminology has mainly taken on a large scale since the late 1990s. Although, 40 years previous, on 7 February 1958, the 34th President of the United States, Dwight D. Eisenhower, created the Advanced Research Projects Agency (ARPA) [4] for helping develop innovative military systems and technologies, such as the Internet. Most of the scientific literature on cybercrime has been created and disseminated, for the most part, during the last 6 or 7 years.

Despite its relevant “young age”, cybercrime has a very complex nature, which is caused by two main aspects:

Due to the digital nature of cyberspace, it is particularly difficult to detect the crimes committed online, find relevant evidence, and conduct fruitful investigations;

Cybercrime encompasses virtually all forms of traditional crime but their technologically modified variants.

In these two aspects, cybercrime was initially more complex than the traditional so-called “street crime” [19] both at the prevention and investigation levels. As for the sub-reasons, the complete list of those does not exist and probably can never be provided because every cybercrime prevention measure is challenged by countless professional or amateur enthusiasts who are constantly busy looking for and inventing new cybercrime possibilities. The US government tries to monitor the situation and to solve this problem at least partially, some exceptionally talented cybercriminals are offered a job after being prosecuted, [20] to track their activities better. Obviously, the said American measure of prevention cannot reduce cyber-attack threats that come from Russia and the number of Asian countries. However, it increases state security through developing defence programs, which is no less important.

Illegal actions that occur in the digital world, violating the rights of a person or an organisation, were not considered a crime for a long time and it took years to determine their criminal status. [8] Cybercrime is a top-level organised illegal activity using high-tech, the traces of which are much

harder to find – as they are hidden through the codes – than the clues left by a criminal in the real world. A forensic and criminological investigation is especially difficult since the majority of ordinary citizens still have a vague idea about what cybercrime is. Therefore, they violate the rights of others online mostly without realising their wrongdoings or having no clue when cybercrime is committed against them.

In the modern digital reality, people often unknowingly support cybercriminals in committing online crimes against themselves or others: Ordinary users often spread viral programs inadvertently when exchanging data among each other; they activate the surveillance or hacking applications by clicking on the cunningly offered link; they voluntarily spread personal information on online platforms and never realise that they are endangering themselves and any person slightly related to the information publicly uploaded; they open spam because of pure interest towards the content of emails received from strangers and by pressing the button their curiosity does not kill the cat [17] but allows unknown cybercriminals to seriously damage the personal computer and violate rights of an individual who lacks the common sense of cyber security.

Cybercrime still widely needs to be clarified, researched and better formulated in the legal framework in most of the countries over the world. In this regard, it is extremely important to note that the introduction of new regulations on cyber security should not lead to restrictions on media freedom under the pretext of protecting human rights. The United States has repeatedly faced such a threat, [3] and the experience [12] of the “beacon of democracy” constantly influences the rest of the world. To avoid all legal traps, the issue of legislative regulation of cybercrime and providing better cyber security should be decided by a multidisciplinary council of professionals, which will include specialists in media, law, criminology, and the information technologies who will develop a platform for future actions.

Reference:

- Nadareishvili, Maia (2020), *The Media Mill: Political Communication*, Tbilisi: Publishing House Universal (In the Georgian language).
- Nadareishvili, Maia (2011), *The media, memetics and the hyperinformedness syndrome of society*, Caucasus International University *Herald*, #3, Tbilisi: Publishing House Universal, pp. 142-147, 206, 218, 229 (In the Georgian language).
- Nadareishvili, Maia (2011), *Two new American bills introduced for the legal regulation of the media*, Caucasus International University *Herald*, #3, Tbilisi: Publishing House Universal, pp. 92-100, 203, 215, 226-227 (In the Georgian language).
- A growing number of governments hope to clone America’s DARPA (5 June 2021), *The Economist*, 439 (9248), pp. 67-68. The Defense Advanced Research Projects Agency (DARPA), originally known as the ARPA was created on 7 February 1958 by President Dwight D. Eisenhower in response to the Soviet launching of Sputnik 1 in 1957. DARPA formulates and executes research and development projects to expand the frontiers of technology and science, often beyond immediate US military requirements. today DARPA is a research and development agency of the US Department of Defense responsible for the development of emerging technologies for use by the military. *The Economist* has called DARPA the agency “that shaped the modern world”, and pointed out that “Moderna’s covid-19 vaccine sits alongside

- weather satellites, GPS, drones, stealth technology, voice interfaces, the personal computer and the Internet on the list of innovations for which DARPA can claim at least partial credit”.
- Alexandrou, Alex (2021), *Cybercrime and Information Technology*, 1st Edition, Boca Raton, FL: CRC Press.
- Bandler, John, and Antonia Merzon (2020), *Cybercrime Investigations: A Comprehensive Resource for Everyone*, 1st Edition, Boca Raton, FL: CRC Press.
- Bequai, August (1978), *Computer Crime*, Lexington Books.
- Berris, Peter G. (21 September 2020), *Cybercrime and the Law: Computer Fraud and Abuse Act (CFAA) and the 116th Congress*, Congressional Research Service [crsreports.congress.gov/product/pdf/R/R46536].
- Brenner, Susan W. (2010), *Cybercrime: Criminal Threats from Cyberspace*, Crime, Media, and Popular Culture, 1st Edition, Santa Barbara, CA: Praeger.
- Burke, Roger Hopkins (2009), *An Introduction to Criminological Theory*, Third Edition, Devon, UK: Willan Publishing.
- Carrabine, Eamonn, Alexandra Cox, Pamela Cox, Isabel Crowhurst, Anna Di Ronco, Pete Fussey, Anna Sergi, Nigel South, Darren Thiel, and Jackie Turton (2020), *Criminology: A Sociological Introduction*, 4th Edition, Kindle Edition, Routledge.
- Cleaveland, Peter (24 September 2018), *What is the government doing to counter cybercrime?*, Enterprise IoT insights.
- Clough, Jonathan (2015), *Principles of cybercrime*, Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Funk, Jeffrey L. (2013), *Technology Change and the Rise of New Industries: Innovation and Technology in the World Economy*, 1st Edition, Kindle Edition, Stanford, CA: Stanford Business Books.
- Holt, Thomas J., and Adam M. Bossler (2017), *Cybercrime in Progress: Theory and prevention of technology-enabled offenses*, New York, NY: Routledge.
- Holt, Thomas J., George W. Burruss, and Adam M. Bossler (2015), *Policing cybercrime and cyberterror*, Durham, NC: Carolina Academic Press.
- Jonson, Ben (1598), *Every Man in His Humour*: “care’ll kill a cat”, The meaning and origin of the expression: Curiosity killed the cat, by Gary Martin.
- Marion, Nancy E., and Jason Marion (2020), *Cybercrime: An Encyclopedia of Digital Crime*, Santa Barbara, CA: ABC-CLIO.
- Nirmala.k, Glory (2009), *Criminology*, Justice and Legal System Research Institute.
- Peterson, Andrea (24 October 2015), *How the government tries to recruit hackers on their own turf*, The Washington Post.
- Schmallegger, Frank (2017), *Criminology Today: An Integrative Introduction*, 8th Edition, New York, NY: Pearson.
- Yar, Majid, and Kevin F. Steinmetz (2019), *Cybercrime and Society*, 3rd Edition, London, UK: Sage Publications Ltd.

სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარებაში

პროფესორი, დოქტორი დავით გუგავა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;

საკვანძო სიტყვები: სისხლის სამართლის პოლიტიკა, სამეცნიერო კვლევა, აშშ-ს იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტი

სისხლის სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ურთულესი საკითხია სისხლის სამართლის პოლიტიკის თეორიული საფუძვლების შემუშავება. სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს საქმიანობის ოპტიმიზაცია, სახელმწიფოს ტერიტორიაზე სტაბილურობისა და უსაფრთხო ატმოსფეროს შექმნა მისი, თითოეული მოქალაქისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის.

სახელმწიფოს დაბალანსებული და ეფექტური სისხლის სამართლის პოლიტიკა უზრუნველყოს დანაშაულის წინააღმდეგ აქტიურ და ეფექტურ ბრძოლას, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. სისხლის სამართლის პოლიტიკის შინაარსის გარკვევისას უნდა აღინიშნოს, რომ ის მოიცავს დანაშაულის პრევენციის კრიმინოლოგიურ ასპექტებს და განსაზღვრავს დანაშაულის პრევენციის პრიორიტეტულ მიმართულებას, რამდენადაც სისხლის სამართლის გადასაწყვეტია ქმედების მართლწინააღმდეგობისა და დასჯადობის საკითხი, რითაც ყალიბდება შესაბამისი საფუძველი დანაშაულის პრევენციის საქმიანობისათვის. ქმედებათა რომელი სპექტრი განისაზღვრება დანაშაულად, სასჯელის რა სახე შეესაბამება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რის საფუძველზე იქნება გამორიცხული ან ჩანაცვლდება ზემოქმედების სხვა ღონისძიებებით, ერთიანობაში დამოკიდებულია სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძვლებზე. ჩვენი აზრით, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიური პოლიტიკა არსებითად ემთხვევა ერთმანეთს მათი ჩამოყალიბების, განხორციელებისა და საბოლოო შედეგების ასპექტებში.

ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ, რომ წარმატებული სისხლის სამართლის პოლიტიკა დაფუძნებულია სიღრმისეულ მრავალდარგოვან სამეცნიერო კვლევებზე.

ხშირად მეცნიერ-მკვლევარები ცდილობენ თეორიული მიდგომებით გააუმჯობესონ არსებული პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საფუძველშივე იყო არასწორად დამკვიდრებული. ხოლო აკადემიურ წრეებში დამკვიდრებული თეორიული ცოდნა პირიქით, უმეტეს წილად დაშორებულია სისხლის სამართლის პოლიტიკის განმახორციელებელთა პრაქტიკაში არსებული პრობლემებისგან.

განვიხილოთ რა მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო კვლევებს აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის, იუსტიციის ეროვნულ ინსტიტუტის საქმიანობის მაგალითზე. იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტი წარმოადგენს გარდამტეხ ძალას სისხლის სამართლის პოლიტიკაში ექვსი სტრატეგიული გამოწვევის გადაჭრით:

სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკული საქმიანობის მხარდაჭერა- ოჯახისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის ზედმიწევნით დეტალური კვლევების მხარდაჭერა;

ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა-სიღრმისეული სამეცნიერო კვლევების გავრცელება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სპეციალისტებში დანაშაულის აღკვეთასა და პრევენციის საქმიანობის გააუმჯობესებისათვის;

ტექნოლოგიების განვითარება - რაც მოიცავს მართლმსაჯულებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უფრო ეფექტური, სამართლიანი და ქმედითი სისტემის შექმნას;

მულტიდისციპლინარული აქტივობა - რაც მოიზრებს სამართლის, საბუნებისმეტყველო, კრიმინალისტიკური და სოციალური მეცნიერებების ურთიერთკავშირს დანაშაულის შესამცირებლად და მართლმსაჯულების განვითარების მხარდასაჭერად;

კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერება - ახალგაზრდა მეცნიერებთა მხარდაჭერა, დისციპლინების ფართო სპექტრიდან მკვლევარების წახალისება, მათი ნაშრომების სისხლის სამართლის პოლიტიკაში გამოსაყენებლად და კვლევის შედეგებისა და მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის;

გლობალური პერსპექტივის აღქმა - აშშ-სა და მსოფლიოში დანაშაულობის აღქმა მის სოციალურ კონტექსტში.

საერთო ჯამში იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტი მხარს უჭერს კვლევის, შეფასებისა და განვითარების პროექტებს შემდეგი მიმართულებებით:

დანაშაულობის მიზეზები და მათი განსაზღვრება; დანაშაულობის პრევენცია და მასთან ბრძოლა. ძალადობისა და ვიქტიმიზაციის პრევენცია; კრიმინალისტიკა; სასჯელაღსრულების პრაქტიკა და პოლიტიკა;

სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობა, ლეგიტიმაცია, ანგარიშვალდებულება და უსაფრთხოება; სასამართლოები და სასამართლო გადაწყვეტილებები.

აღნიშნული ფართო სფეროების ფარგლებში, ინსტიტუტი მიმართულებების მიხედვით ცალკე ადგენს კვლევის მიზნებს, რომლებიც გარდაიქმნება კონკრეტულ კვლევებად ცალკეული პროგრამის ფარგლებში. იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტში კვლევის მიზნები განისაზღვრება შემდეგი სახით:

უკვე არსებული კვლევითი ცოდნა (რადგან ცოდნა გროვდება); დანაშაულთან ბრძოლის წარმატებების, წარუმატებლობისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია გროვდება უშუალოდ პრაქტიკაში და თეორიაში მყოფი კვალიფიცირებულ პერსონალისგან, ასევე სხვა ფედერალური სააგენტოების, მათ შორის, იუსტიციის დეპარტამენტის ოფისების მიერ განხორციელებული პროგრამების წარმატებებისა და სირთულეების გათვალისწინებით;

ინსტიტუტი რეგულარულად იხილავს და აახლებს კვლევის მიზნებს თითოეული კვლევის პორტფოლიოსთვის შიდა და გარე რესურსების გამოყენებით;

ინსტიტუტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული კვლევების თემატური გეგმების სერია, რომელიც მოცულია ინსტიტუტის ორი კვლევითი დანაყოფის მიერ. ეს გეგმები ეფუძნება არსებულ კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნას; კვლევის საჭიროებების შესახებ

პრაქტიკოსების და მკვლევარებისგან მიღებულ ინფორმაციას და კონგრესისა და მთავრობის ადმინისტრაციის პრიორიტეტებს.

ინსტიტუტის გრძელვადიანი კვლევის დღის წესრიგი ემყარება სტრატეგიულ გამოწვევებს. ინსტიტუტის დაგეგმარების პროცესს საფუძვლად უდევს არსებული კვლევის საფუძველზე მიღებული ცოდნის დაბალანსების აუცილებლობა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრაქტიკოსების და სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელთა აუცილებელი საჭიროებები. გარდა ამისა, ინსტიტუტის კონკრეტული, მოკლევადიანი პრიორიტეტები იცვლება დარგის საჭიროებებიდან გამომდინარე, ახალი გამოწვევების წარმოქმნასთან ერთად. ინსტიტუტი ასევე მოიძიებს და მხარს უჭერს ინოვაციურ იდეებს, რომლებსაც შეუძლიათ სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარება.

კვლევის განსახორციელებლად ინსტიტუტი იყენებს ორ ძირითად მექანიზმს: 1. გარე კვლევების დაფინანსება 2. შიდა კვლევების ჩატარება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1968 წელს დაარსდა „სამართალდამცავი და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეროვნული ინსტიტუტი“ (NILECJ), მას მიენიჭა „კანონის აღსრულების გაუმჯობესების, განვითარებისა და გაძლიერების მიზნით კვლევის წახალისების მანდატი“.

1979 წელს გამოიცა „მართლმსაჯულების გაუმჯობესების აქტი“, რომელმაც დაადგინა, რომ იუსტიციის ეროვნულმა ინსტიტუტმა (NIJ) უნდა გააძლიეროს და გააფართოვოს „სამართალდამცავი და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეროვნული ინსტიტუტის“ (NILECJ) ფუნქციები

1965 წელს პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის მიერ დამნაშავეობის პრობლემების შეფასებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში აუცილებელი ცვლილებების შეტანის შესაბამისი რეკომენდაციების მიზნით შეიქმნა კომისია. მუშაობის პროცესში კომისიამ გამოავლინა, რომ იყო არასაკმარისი სისტემატური მონაცემები, რომლებიც მათ დაეხმარებოდა დასახულ მიზნების მისაღწევად. მართლაც, იმდენად მცირე ემპირიული ინფორმაცია იყო, რომ კომისიის 1967 წლის ანგარიშში ერთ-ერთი მოთხოვნილი რეკომენდაცია იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეროვნული ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ. კომისიამ დაასკვნა, რომ „უმთავრესი მოთხოვნილება-ესაა ცოდნის აუცილებლობა“ (1967 წ. პრეზიდენტის კომისია გვ. 273)

1984 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოან პეტერსილიამ განახორციელა კვლევა „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კვლევის გავლენა“, რომელშიც წარმოაჩინა სამეცნიერო კვლევების ის მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატებში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას.

პროფესორ ჯოან პეტერსილიას კვლევა დაფინანსებული იყო იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის მიერ. კვლევას ინსტიტუტი აფინანსებს როგორც კვლევების პრაქტიკული ზემოქმედების გაზრდის მუდმივი ძალისხმევის ნაწილს. კვლევაში აღწერილია ინსტიტუტის ზოგიერთ წარმატება. კვლევითი პროექტები სრულად აჯამებს შედეგებს და

განიხილავს მათ გავლენას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკასა და პრაქტიკაზე. აღნიშნული პროექტები რეალური კვლევის მტკიცებულებას არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედებისა და მიღებული ცოდნა შეიძლება იყოს რელევანტური საჯარო პოლიტიკისთვის. კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვნად შევცვალა საზოგადოება, ხედვა დამნაშავეობაზე და დამნაშავეებზე, თუ როგორ დაუპირისპირონ მათგან მომდინარე საფრთხეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესაძლებლობები. კვლევამ აჩვენა, რომ მისი შედეგები დაეხმარა სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირებაში და პრაქტიკოსები დააფიქრა იმაზე, თუ როგორ უნდა მოახდინონ იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც მოითხოვს ყურადღებას და ამ მიმართულებით რა ალტერნატივები არსებობს. აშშ-ში სისხლის სამართლის მართლმსაჯულება არ იყო საყოველთაოდ აღიარებული აკადემიური კვლევის დისციპლინა და შესაბამისად სამთავრობო დონეზე მხარდაჭერილი.

სისხლის სამართლის პოლიტიკის მეცნიერული კვლევების სამთავრობო დონეზე მხარდაჭერა მოიაზრებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე მის ფუნქციებსა და პრობლემებზე სისტემატური კვლევის განვითარებას. განვლილმა გზამ ცალსახად წარმოაჩინა მისი აქტუალობა. სხვადასხვა მიზეზის გამო ცალკეულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უნივერსიტეტებმა ვერ შეძლეს ისეთი სახის სამეცნიერო კვლევების წარმოება, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა სრულად და კომპლექსურად წარმოჩენილიყო კვლევის მონაცემები და ანალიზი, რის საფუძველზეც ეფექტურად გადაწყდებოდა სისხლის სამართლის პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანები.

კერძოდ, მათ კვლევებში კრიმინოლოგია შემოიფარგლა სოციოლოგიით, რომელიც, მედიცინისა და ეკონომიკისგან განსხვავებით, არ არის შედეგზე ორიენტირებული, არ გააჩნია პოლიტიკის ბუნებრივად მიმართულობა და მიდრეკილია ხაზი გაუსვას სოციალურ ფაქტორებს, რომელთა შეცვლა ძნელია.

მაგალითისათვის, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს კვლევებს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე, ხშირ შემთხვევაში მოკლებულია სამართლებრივ ანალიზს, არის უფრო ზოგადი. მათი ინტერესები ძირითადად ორიენტირებულია იმაზე, თუ სად იხარჯებოდა სახელმწიფოს რესურსები და არა რეალურად პროფესიულ პრობლემებზე.

ამრიგად, მათ მიერ შეგროვილია მონაცემები, გააანალიზებულია პრობლემები, გამოკვეთილია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებმაც შეიძლება გავლენა ვერ იქონიოს პრობლემატიკის მოგვარებაზე, ვინაიდან უმეტესწილად ხასიათდება არაკომპლექსურობით და ვიწრო ფრაგმენტულობით. ამგვარი შეზღუდული მიდგომა წარმოაჩენს მთელ რიგ შემაფერხებელ ფაქტორებს. ვერ უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ცალკეულ განმახორციელებლებს შორის. ასევე მთავარი შეზღუდვა ის არის, რომ არ აძლევს საშუალებას მკვლევარებმა გადაწყვიტონ უფრო მნიშვნელოვანი კონცეპტუალური საკითხები, ან გააკრიტიკონ ტრადიციული მიდგომები, რომლებიც დამკვიდრებულია პრაქტიკის შედეგად.

მეცნიერული კვლევა არის უპირველესი ინსტრუმენტი ნებისმიერი ცოდნის, მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროს გასაუმჯობესებლად. სამეცნიერო კვლევა ეხმარება სტუდენტებს, მეცნიერებს, კანონმდებლებს, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელ პრაქტიკოსებს და სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელებს დაადგინონ, თუ რა მუშაობს ეფექტურად მართლმსაჯულების, სამართალდამცავ და სასჯელაღსრულების სფეროებში.

სამეცნიერო კვლევას უდავოდ შეუძლია დაეხმაროს სისხლის სამართლის სისტემაში ჯანსაღი, ეფექტური პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბებას. სამეცნიერო ფასეულობის გარდა, სავარაუდოდ, ის ისეთივე მნიშვნელოვანია პროფესიონალებისთვის, რომლებიც მუშაობენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. როდესაც პოლიციის ოფიცრებს, დეტექტივებს, სასჯელაღსრულების და პრობაციის ოფიცრებს ესმით ძირითადი ცნებები, პრინციპები და მეთოდები, რაც თეორიით არის აღიარებული, მათ უფრო შეუძლიათ ამოიციონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მოვლენები და უფრო წარმატებით განახორციელონ ყოველდღიური სამუშაო მოვალეობები. საბოლოო ჯამში, ეს უნარები ასევე ეხმარება სისხლის სამართლის პოლიტიკის განახორციელებელ პროფესიონალებს, რათა მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ ახალი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაში. ამგვარად, მეცნიერული კვლევა და აზროვნება ხელს უწყობს კანონისა და მართლმსაჯულების აღსრულების უფრო ეფექტური მიდგომების იდენტიფიცირებას.

The importance of scientific research for the development of criminal policy

Professor, Dr. David Gugava - *Georgian Academy of Criminology sciences, Grigol Robakudze University*

Keywords: Criminal Policy, Scientific Research, The National Institute of Justice

One of the most important and difficult issues in criminal science is to develop a theoretical basis for criminal policy. The task of criminal policy is to optimize the activities of the state in the fight against crime, to create stability and a safe atmosphere in the territory of the state, for each citizen and for society as a whole.

A balanced and effective criminal policy of the state ensures an active and effective fight against crime, strengthening law and order. While clarifying the content of criminal policy, it should be noted that it covers the criminological aspects of crime prevention, and determines the priority direction of crime prevention, as the issue of unlawfulness and punishment of crime is determined, thus forming an appropriate basis for crime prevention activities. Which range of actions is defined as a crime, what type of punishment is appropriate, and on what basis criminal liability will be excluded or replaced by other measures of influence in unity depends on the fundamentals of criminal policy. In our view, criminal and criminological policies essentially overlap in terms of their formulation, implementation, and final outcomes.

The aim of the paper is to show that successful criminal policy is based on in-depth multidisciplinary scientific research.

Often researchers try to improve the existing practical experience with theoretical approaches that were incorrectly grounded. On the other hand, the theoretical knowledge observed in academic circles is, for the most part, far removed from the existing problems in the practice of criminal policy-makers.

Consider the importance of scientific research on the example of the US Department of Justice, the National Institute of Justice.

The National Institute of Justice is a turning point in criminal policy, addressing six strategic challenges:¹

Fostering science-based criminal justice practice - Support for thorough family and community safety research;

Translating knowledge to practice - dissemination of in-depth scientific research to criminal justice specialists to improve crime prevention and prevention activities;

Advancing technology - which includes the creation of a more efficient, fair and effective system in the judiciary using modern technologies;

¹ <https://nij.ojp.gov/about/strategic-challenges-and-research-agenda>

Working across disciplines - which considers the relationship between law, science, forensic science and social sciences to reduce crime and support the development of justice;

Bolstering the research infrastructure - supporting young science, encouraging researchers from a wide range of disciplines to apply for their work in criminal policy, and increasing access to research results and data;

Adopting a global perspective - Perception of crime in the US and the world in its social context.

Overall, the National Institute of Justice supports research, evaluation and development projects in the following areas:

Causes of crime and their definition; Crime prevention and control. Prevention of violence and victimization; Criminology; Penitentiary practice and policy;

Efficiency, legitimacy, accountability and security of law enforcement agencies; Courts and court decisions.

Within these broad areas, the Institute sets out research objectives individually according to direction, which are transformed into specific research within a separate program.

The objectives of the research at the National Institute of Justice are defined as follows:

Already existing research knowledge (because knowledge is accumulated); Information on the successes, failures, and needs for combating crime is gathered directly from qualified staff in practice and theory, as well as the success and complexity of programs implemented by other federal agencies, including the offices of the Department of Justice;

The Institute regularly reviews and updates research objectives using internal and external resources for each research portfolio;

The institute has developed a series of thematic plans for strategic research, comprised of two research divisions of the institute. These plans are based on the knowledge gained from existing research; Information received from practitioners and researchers about research needs; And the priorities of Congress and government administration.

The Institute's long-term research agenda is based on strategic challenges. The planning process of the institute is based on the need to balance the knowledge gained based on existing research, the essential needs of criminal justice practitioners and criminal policymakers.

In addition, the specific, short-term, priorities of the institute change as new challenges arise according to the needs of the field. The Institute will also explore and advocate for innovative ideas that can develop criminal policy.

The Institute uses two main mechanisms for conducting research: 1. Funding for external research and 2. Conducting internal research.

In the United States in 1968, the National Institute of Law and Criminal Justice (NILECJ) was established and was awarded the "Research Incentive Mandate for Improving, Developing, and Strengthening Law Enforcement."

The Improving Justice Act was issued in 1979, which established that the National Institute of Justice (NIJ) should strengthen and upgrade the functions of the National Institute for Law Enforcement and Criminal Justice (NILECJ).¹

In 1965, a commission was set up by President Lyndon Johnson to assess the problems of crime and make relevant recommendations for smooth changes to the criminal justice system. In the course of its work, the Commission found that there was insufficient systematic data to help them achieve their goals. Indeed, there was so little empirical information that one of the Commission's 1967 reports was a request for recommendations on the need to establish a National Center for Criminal Justice. The Commission concluded that "the main requirement is the need for knowledge" (1967 Presidential Commission p. 273)

In 1984, Joan Petersilia, a professor at Stanford University, conducted a study titled "The Impact of Criminal Justice Research," which highlighted the importance of scientific research that ensures the effective implementation of criminal justice in the United States.²

Professor Joan Petersilia's research was funded by the National Institute of Justice (NIJ). The research is funded by the Institute as part of an ongoing effort to increase the practical impact of research. The study describes some of the successes of the NIJ. Research projects are comprehensive, summarizing their findings and discussing their impact on criminal justice policy and practice.

These projects are evidence of real research impact on the status quo, and relevant knowledge may be relevant to public policy.

The results of this study have significantly changed the society, the view on crime and criminals on how to counteract the threat posed by them to the possibilities of criminal justice.

The study showed that its results helped in shaping criminal policy. Practitioners thought about how to identify the problems that require attention and what alternatives exist in this regard. In the US, criminal justice was not a universally recognized academic research discipline and was therefore not supported at the governmental level.

Support at the governmental level for scientific research in criminal policy envisages the development of systematic research on its functions and problems in the criminal justice system. The way it has gone has clearly demonstrated its urgency.

For various reasons, individual NGOs and Universities have not been able to produce the kind of scientific research on the basis of which it would be possible to present fully and comprehensively

¹ www.ojp.gov/pdffiles1/Digitization/64236NCJRS.pdf

² R-3516-NIJ, Joan Petersilia, The Influence of Criminal Justice Research, Prepared for the National Institute of Justice, U.S. Department of Justice, June 1987, RAND.

the research data and analysis on the basis of which the problems facing criminal policy could be effectively solved.

In their research, criminology is limited to sociology, which, unlike medicine and economics, is not result-oriented, has no natural policy orientation, and tends to highlight social factors that are difficult to change.

For example, a non-governmental organization that conducts research on the situation in penitentiary institutions, which often lacks legal analysis, is more general. Their interests are mainly focused on where state resources were spent and not actually on professional problems.

Thus, the data collected by them, the problems analyzed, the conclusions and recommendations are outlined, which may not have an impact on solving the problems, because they are mostly characterized by non-complex and narrow fragmentation. Such a limited approach presents a number of impediments. Fails to provide experience sharing between individual implementations of the criminal justice system. Also, a major limitation is that it does not allow researchers to address more important conceptual issues, or to criticize traditional approaches that are established as a result of practice.

Scientific research is the primary tool for improving any knowledge, including the field of crime. Scientific research helps students, scholars, legislators, criminal justice practitioners, and state policymakers that identify what works effectively in the areas of justice, law enforcement, and penitentiary.

Scientific research can undoubtedly help to formulate effective policies and procedures in the criminal justice system. In addition to its scientific value, it is likely to be just as important for professionals working in criminal justice systems. When police officers, detectives, penitentiary and probation officers understand the basic concepts, principles and methods that are recognized in theory, they are better able to identify evidence-based events and perform day-to-day tasks more successfully. Ultimately, these skills also help criminal policy professionals to support and assist in the development of new policies and procedures. In this way, scientific research and thinking help to identify more effective approaches to law enforcement.

**ომის და გენოციდის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ევოლუცია,
თანამედროვე გამოწვევები და საქართველოში ჩადენილი ქმედებების დასჯადობის
საფუძვლები**

*პროფესორი, დოქტორი ვეფხვია გვარამია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;*

საკვანძო სიტყვები: ომი, გენოციდი, საქართველო

სტატიაში გამოკვლეულია ომის და გენოციდის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ევოლუცია, კონცეფციები და თანამედროვე გამოწვევები. გაანალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის პრობლემები და დასჯადობის საფუძვლები. კვლევის პროცესში გამოყენებულია ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით სამართლებრივი და დოგმატური კვლევის მეთოდები, რაც განპირობებულია განსახილველი საკითხის კომპლექსურობით. ნაშრომში გამოთქმულია საქართველოში ჩადენილი ომის და გენოციდის დანაშაულში პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის რეკომენდაციები.

ჰააგის 1899 წელს კონფერენციების შედეგად შემუშავებულ იქნა სამი კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ; სახმელეთო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ; საზღვაო ომში ჟენევის 1864 წლის კონვენციის პრინციპების გამოყენების შესახებ. აქვე მიღებულ იქნა სამი დეკლარაცია, რომელიც ომის დროს აკრძალული იარაღის გამოყენებას ეთმობოდა.

კონცეპტუალურ დონეზე საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის აუცილებლობის იდეა 1881 წელს დასაბუთებული იყო ლ. კამაროვსკის სადოქტორო დისერტაციაში „საერთაშორისო სასამართლოზე“, ნაშრომი მოგვიანებით ფრანგულ ენაზე გამოიცა პარიზში.¹

1907 წელს სამივე კონვენციის განახლება განხორციელდა, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ კონვენციის ხელმძღვრე სახელმწიფოების მიზანი იყო ხელი შეეწყოს საერთაშორისო დავების მეგობრული გადაწყვეტისათვის. შემუშავებული იქნა დავების გადასაწყვეტად სხვადასხვა მექანიზმები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი იყო მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო.² კონვენცია სახელმწიფოთაშორის დავების პრევენციის საშუალებას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას.

სახმელეთო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ კონვენციის პირველი მუხლი ითვალისწინებდა მონაწილე სახელმწიფოს ვალდებულებას გაეცა ბრძანება თავიანთ სახმელეთო ძალებს დაეცვათ კონვენციით გათვალისწინებული წესები.³ მოცემული

¹Kamarovskii L.A. Le tribunal international / Transl. S. de Westman. Paris, 1887.

²1907 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2794462?publication=0>

³ Convention (II) with Respect to the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 29 July 1899.

გარემოებები სახელმწიფოს ვალდებულებას აკისრებდა კონვენციის რატიფიკაციის პროცესში მიეღო საკანონმდებლო ზომები. ჰააგის კონვენციებში არ იყო გამოკვეთილი ფიზიკური პირის საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მას არ გააჩნდა უკუქცევითი ძალა და ის იწვევდა სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ განხორციელებულ ქმედებებზე. აღნიშნული კონვენციების და დეკლარაციების მიღებამნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და ფიზიკური პირების საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის ჩამოყალიბებისთვის. კონვენციები სახელმწიფოებს ავალდებულებდა მიეღო საკანონმდებლო ზომები და ურთიერთობებში აღიარებული ნორმები დაეცათ. ომის დასრულების შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულებებში ფიქსირდებოდა ომის დროს ჩადენილ დანაშაულებზე ამნისტიის გამოცხადება, რაც პასუხისმგებლობას ხელს უშლიდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ჩადენილ დანაშაულებში ბრალდებულთა დასჯისთვის ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე დადგა სამხედრო ტრიბუნალების შექმნის საკითხი. არსებობდა 3 ტიპის სასამართლო. გერმანიის ყოფილი იმპერატორის ვილჰელმ II-ის მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ვერსალის ხელშეკრულების 227-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრა შექმნილიყო გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლების მიერ სპეციალური ტრიბუნალი საერთაშორისო მორალის შეურაცხყოფის და ხელშეკრულებების წმინდა ძალის პრინციპების დარღვევისათვის.¹

ვერსალის ხელშეკრულების 229-ე მუხლის თანახმად, თუ სამხედრო დანაშაული არღვევდა გაერთიანებული რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესს, ასეთი საქმეები ექვემდებარებოდა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ პარიტეტულ საფუძველზე შექმნილ სამხედრო სასამართლოს. ვერსალის ხელშეკრულებით სამხედრო დანაშაულის კონკრეტული სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ ჩადენის შემთხვევაში ექვემდებარებოდა კონკრეტული სახელმწიფოს სამხედრო სასამართლოს.² ყოფილი გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II -ის სასამართლო ტრიბუნალი არ ჩატარდა, ჰოლანდიის მთავრობამ უარი განაცხადა ვილჰელმ II -ის ექსტრადიციაზე, კანონის უკუქცევითი ძალიდან გამომდინარე თვლიდა, რომ ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული კანონით პასუხისმგებლობა გაუმართლებელი იყო. ჰოლანდიის სასამართლო მოკავშირეთა ზემოქმედების შედეგად ვილჰელმ II -ის მიმართ მსუბუქი საჯელით შემოიფარგლა და მას გადასახლება მიუსაჯა. შემდეგ ჰოლანდიის მთავრობა საკუთარ კონსტიტუციაზე დაყრდნობით უთითებდა, რომ უცხოელები სარგებლობდნენ კანონის დაცვით და უარს აცხადებდა ექსტრადიციაზე.

ანატოლი შარკოვი აღნიშნავს, რომ ვერსალის ხელშეკრულების 228-ე მუხლის თანახმად მოკავშირეები გერმანიის მთავრობას აკისრებდნენ ვალდებულებას სამხედრო სასამართლების მეშვეობით პასუხისმგებლობა დაეკისრებინა იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც

<https://ihldatabases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/Article.xsp?action=openDocument&documentId=DBB781961FA544C5C12563CD00515C8F>

¹Treaty of peace with Germany (Treaty of Versailles) Art. 227

https://www.nationalarchives.gov.uk/pathways/firstworldwar/aftermath/p_versailles.htm

²Treaty of peace with Germany (Treaty of Versailles) Art. 229

https://www.nationalarchives.gov.uk/pathways/firstworldwar/aftermath/p_versailles.htm

ჩაიდენეს ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა.¹ ვერსალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნორმა, ბრალდებულები დაქვემდებარებოდნენ დანაშაულის ჩადენის სახელმწიფოს განსჯადობას, ვერ განხორციელდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ მათი მფარველობისა და იურისდიქციის მოტივით. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა გერმანიას 870 ომის კანონისა და ჩვეულების დარღვევაში ბრალდებულების ექსტრადიცია მოსთხოვა, რომლებიც გერმანიაში მაღალი რანგის პოლიტიკოსები და სამხედრო მოღვაწეები იყვნენ.² გერმანიის ხელისუფლებამ აღნიშნული მოთხოვნის მიმართ 1920 წლის 25 იანვრის ნოტაში უარყოფითი პოზიცია დაიკავა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მსგავსი ქმედება იწვევდა ქვეყანაში ანარქიას და პირობას იძლეოდა, რომ კანონმდებლობას ნაკისრ ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში მოიყვანდა, დამნაშავეებს ლაიფციგის იმპერიის სასამართლოს გადასცემდა და დასჯიდა. რაიხსტაგმა 2019 წლის 12 დეკემბერს მიიღო კანონი, რომელიც ადგენდა გერმანიის იმპერიის სასამართლოს იურისდიქციას პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა მიერ ჩადენილი ქმედებისათვის გასამართლებას.³

ანატოლი შარკოვი ასკვნის, რომ გერმანიაში ჩატარებული პროცესების „უმრავლესობა „აღმოჩნდა ფარსი“. მოკავშირეები და გერმანელებიც მას უწოდებდნენ „თეატრალურ კომედიას“, რასაც ისინი იძულებით თამაშობდნენ გამარჯვებულთა სასარგებლოდ.“⁴

ვერსალის ხელშეკრულების თანახმად ლაიფციგში 45 პროცესი დაიწყო. არსებითად განიხილეს მხოლოდ რამდენიმე საქმე, დანარჩენი შეჩერებული იქნა. ექვსი ბრალდებული გამართლდა, ექვსი კი გასამართლებული იქნა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით. ვოტცელი თვლის, რომ აღნიშნული განპირობებული იყო საერთაშორისო სამართალში ომის დანაშაულების კრიმინალიზაციის არარსებობით.⁵ მსგავს პოზიციას აწვითარებს ი. არციბასოვი და ს.ეგოროვი⁶

ა. ვოლევოდზი და ბ. ვოლევოდზი ვერსალის ხელშეკრულების მნიშვნელობის შეფასებისას აღნიშნავენ, რომ „ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება წარმოადგენს პირველ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია საერთაშორისო სისხლის სამართლის შესაბამისად სახელმწიფო მეთაურთა პასუხისმგებლობის ნორმები, რისთვისაც

¹Шарков Анатолий Васильевич, Ответственность за военные преступления, совершённые в годы Первой мировой войны: международно-правовой аспект, Первая мировая война в исторических судьбах Европы : сб. материалов Междунар. науч. конф., г. Вилейка, 18 окт. 2014 г. / редкол. : В.А. Богуш (пред.) [и др.]. – Минск: Изд. центр БГУ, 2014. –С. 373.

<file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20t%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf>

²Шарков Анатолий Васильевич, იქვე. <file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20t%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf>

³Kriegsverbrechungsverfolgungsgesetz, RGBI. 1919. S. 2125 f.

⁴Шарков Анатолий Васильевич, С. 374. <file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20t%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf>

⁵Woetzel R.-K. The Nurenberg Trial in International Law. London; New-York, 1962. p. 32 – 34.

⁶Арцибасов И.Н., Егоров С.А. Вооруженный конфликт: право, политика, дипломатия. М., 1989. - с. 185.

გათვალისწინებული იქნა მათი გადაცემა სპეციალური საერთაშორისო სასამართლო-სათვის, ასევე იმ პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებიც ბრალდებულები იყვნენ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევაში.¹

ა. ვოლევოდზი და ბ. ვოლევოდზი ხაზს უსვამს ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების რეალიზაციისათვის, ერთი მხრივ პროცესუალური წესების, მეორე მხრივ კი საერთაშორისო დანაშაულების შემადგენლობის მარეგლამენტირებელი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით არასაკმარის სამართლებრივ რეგულირებას, რომელმაც საშუალება არ მისცა შეექმნათ საერთაშორისო სასამართლო.²

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის დასაწყისში მიღებული კონვენციების რეალიზაციის თვალსაზრისით მოკავშირე სახელმწიფოთა მცდელობა დაესაჯათ პირველი მსოფლიო დამნაშავეები წინადაგებული ნაბიჯი იყო, თუმცა, ვფიქრობ, პირველი ტრი-ბუნალის წარუმატებლობა განპირობებული იყო იმით, რომ არ იქნა გათვალისწინებული განსხვავებული სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, მაგალითად იურისდიქციის, ტერიტორიულობის პრინციპის, კანონის უკუქცევითი ძალის, ბრალის წარდგენის თავისებურებები და მოქალაქეობის საკითხები. არსებული საერთა-შორისო ხელშეკრულებები, კონვენციები აღნიშნული საკითხების გადაჭრის საშუალებას არ იძლეოდა, ამასთან ერთად არ იყო შესწავლილი საერთაშორისო სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, რომელიც მსოფლიო სამართლებრივი სისტემების კონსესუსს შექმნიდა.

პირველი მსოფლიო ომის დამნაშავეთა დასჯისათვის, საერთაშორისო სისხლის სამართალი, კანონის უკუქცევითი ძალის და სამართლის პრინციპების საფუძველზე პრეცედენტების მიღების საშუალებას არ იძლეოდა. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში კისათანადო ნორმატიული წყაროები არ არსებობდა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფოთა თანამშრომლობა საერთა-შორისო დანაშაულების ფორმირებასთან დაკავშირებით შეჩერდა, ვფიქრობ აღნიშნული განპირობებული იყო პირველი მსოფლიო ომის დამნაშავეთა დასჯის კრახით, საერთა-შორისო სისხლის სამართლის საკითხების არასათანადო დამუშავებით და საერთო ნორმების უნიფიკაციის არარსებობით.

1937 წელს მომზადდა ხელშეკრულება, რომელიც ტერორისტების გასასამართლებლად საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნას ითვალისწინებდა, სახელმწიფოებმა აღნიშნულ საკითხს მხარი არ დაუჭირეს. მეცნიერთა დიდი ნაწილი საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებას რეალურად თვლიდ მეორე მსოფლიო ომის დროს.³ განსაკუთრებით ხაზგასმული იქნა 1943 წლის 19-30 ოქტომბრის მოსკოვის დეკლარაციის მნიშვნელობა, საბჭოთა კავშირის, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა ხელი

¹А.Г. Волеводз, В.А. Волеводз, ВолеводзА.Г. Исторические и международно-правовые предпосылки формирования современной системы, международной уголовной юстиции, Международное уголовное право и международная юстиция. – 2008. – No2. – с. 7.

² А.Г. Волеводз, В.А. Волеводз с. 7.

³Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedure Cambridge University Press, New York 2007, p. 92.

მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც დანაშაულის ჩადენის მიუხედავად ითვალისწინებდა ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას.¹

საერთაშორისო სისხლის სამართლის მკვლევართა დიდი ნაწილი საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის საფუძვლად 1945 წლის 8 აგვისტოს შეთანხმებას მიიჩნევს, რადგან ის ნიუნბერგის ტრიბუნალის დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენდა, მოლაპარაკებებში მონაწილე სახელმწიფოების აზრი ორად გაიყო საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი, მათი სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე ეწინააღმდეგებოდნენ აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის სამართლებრივ სისტემას, პრეცედენტული სამართლის დამკვიდრების საკითხზე. მიღწეულმა კონსენსუსმა ხელი შეუწყო საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებას.²

ნიუნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლში 3 საერთაშორისო დანაშაული იყო გამოკვეთილი: 1. დანაშაული მშვიდობის წინაარმდეგ; 2. ომის დანაშაული; 3. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ. აღნიშნულმა კლასიფიკაციამ საფუძველი დაუდო საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების პერსპექტივას „სამხედრო ტრიბუნალის პრაქტიკის შედეგად, შეიცვალა სახელმწიფოთა დამოკიდებულება საერთაშორისო დანაშაულისადმი.“³ მეცნიერთა ნაწილი სრულიად სმართლიანად მიიჩნევს, რომ ტრიბუნალის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა არის საერთაშორისო სამართლით პირდაპირი პასუხისმგებლობა, რომელიც გახდა ფუნდამენტალური განაცხადი საერთაშორისო სისხლის სამართალში.⁴

კარსტერ შტანი აღნიშნავს, რომ გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ომის დანაშაულისა და აგრესიის ტერმინები სახელმწიფოთა ინტერესის გათვალისწინებით ისტორიულად მომდინარეობს პროცესებში სხელმწიფოს ჩართულობის იდეიდან.⁵ აღნიშნული მოსაზრების ავტორი დასძენს, რომ გასული ათწლეულების განმავლობაში თითოეული ეს დანაშაული საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალებისა და სასამართლოების პრაქტიკაში ახალ კონტექსტში იქნა განმარტებული.⁶

საერთაშორისო სისხლის სამართალი განვითარდა მძიმე გარემოებების ზეწოლის შედეგად, ის წარმოიშვა ახალი ტიპის დანაშაულის აუცილებლობიდან გამომდინარე. მოგვიანებით გამოიკვეთა, რომ ომის დანაშაულები და კაცობრიობის წინაარმდეგ მიმართული დანაშაულების კონცეფციები უპირისპირდება ერთმანეთს და ურთირთ დაკავშირებულია. მაგალითად, მოქმედება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან მოქალაქეების წინააღმდეგ შეტევა შეიძლება იყოს ომის დანაშაულები, ისევე როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი

¹ვეფხვია გვარამია, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, სიკ, თბ., 2002, გვ. 19-20.

²Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedure Cambridge University Press, New York 2007, p. 93.

³ვეფხვია გვარამია, საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, სიკ, თბ., 2002, გვ. 32.

⁴Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, International Criminal Law and Procedure Cambridge University Press, New York 2007, p 94.

⁵Carsten Stahn, A Critical Introduction to International Criminal Law , Cambridge University Press, 2019, p. 32.

⁶Carsten Stahn, იქვე.

დანაშაულები, როდესაც საომარი მდგომარეობა არარსებობს, ჩადენილი ქმედებები ნეიტრალური სახელმწიფოების მოქალაქეების წინააღმდეგ ან მტრის მოქალაქეების წინააღმდეგ, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულია, მაგრამ არ არის ომის კანონების და ჩვეულებების დარღვევა და შესაბამისად ომის დანაშაულები.¹ სპეციალური კომისიის მუშაობის, სასამართლო პრაქტიკის და სამეცნიერო დოქტრინების შეჯერების შედეგად ხარვეზები მეტნაკლებად აღმოიფხვრა.

ნიურნბერგის ტრიბუნალის მსვლელობის პროცესში ომის დანაშაულების და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში გადანაწილდა გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში შემავალი ქმედებები, რაც განპირობებული იყო გენოციდის დანაშაულის შესახებ კონცეფციის და სათანადო ნორმის არარსებობით. შემდგომმა კონცეფციებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ გენოციდი უმძიმესი დანაშაულია და მისი შემადგენლობის ცალკე გამოყოფა იყო საჭირო. 1946 წლის 1 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გენოციდის შესახებ სპეციალური რეზოლუცია, რომლის ძირითადი ნაწილის არსი განიმარტა შემდეგი სახით, გენოციდი არის ადამიანური ჯგუფების არსებობის უფლების უარყოფა, მკვლელობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სულისკვეთებას და მიზნებს. ვინაიდან, გენოციდის დანაშაულის მრავალი შემთხვევაა ჩადენილი, როდესაც რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა ჯგუფები მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებულია, გენოციდის დანაშაულისთვის დასჯა საერთაშორისო ინტერესის სფეროა. ზემოაღნიშნულ რეზოლუციაში მოცემული რეკომენდაციების შემდეგ, ახალი ტიპის საერთაშორისო დანაშაული გახდა განხილვისა და შესწავლის საგანი².

გერმანელი ბრალდებულების ადვოკატები საუბრობდნენ ნიურნბერგის პროცესის ხარვეზებზე და უთითებდნენ კონკრეტული კანონის არარსებობას ქმედების ჩადენის დროს, შერიფ ბასიუნის აღნიშნავს, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალს ორი ძირითადი ნაკლი ქონდა 1. პოზიტიური საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობა არასაკმარისი იყო, მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კანონიერების პრინციპი იქნა გამოყენებული საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში; 2. მხოლოდ დამარცხებულები იყვნენ დასჯილი.³ აღნიშნულის მიუხედავად ბასიუნი მართებულად დასძენს, რომ დიდი მსხვერპლის და განსაკუთრებული სისასტიკეების გამო, ომის შემდეგ საერთაშორისო მართლმსაჯულების შექმნა აუცილებელი იყო.⁴

დევიდ კოენი აღნიშნავს, რომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე 1991 წლიდან ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები აღიარებულია, როგორც

¹History of the United Nations War Crimes Commission and the development of the laws of war, Compiled by the United Nations War Crimes Commission, London 1948, p.188-189

(<https://heinonline.org/HOL/License>)

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/1948HistoryoftheUnitedNat.pdf>

²History of the United Nations War Crimes Commission and the development of the laws of war, Compiled by the United Nations War Crimes Commission, London 1948 , p.200 (<https://heinonline.org/HOL/License>)

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/1948HistoryoftheUnitedNat.pdf>

³M. Cherif Bassiouni, Enforcing Human Rights through International Criminal Law and through an International Criminal Tribunal., Studies in Transnational Legal Policy Volume 26, 1994 p. 358-359

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/26StudTransnatlLegalPoly3.pdf>

⁴იქვე.

მნიშვნელოვანი მოვლენა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტრიბუნალის შესაქმნელად. კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ტრიბუნალი არ უნდა შექმნილიყო, რადგან განწირული იყო წარუმატებლობისთვის, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა საერთაშორისო სამართლის მიზნებს. დევიდ კოენი სვამს კითხვას, რა შეიძლება იყოს ახალი საერთაშორისო ტრიბუნალის მიღწევა, რომელსაც საერთაშორისო სამართლის სამომავლო განვითარებისათვის ექნება მნიშვნელობა? ტრიბუნალს დაევალა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოსახლეობის მიმართ ჩადენილი სისასტიკეებისათვის პასუხისგებაში მიცემა, რა რისკებს აწყდება ის ამ როლის შესრულებისას?¹ აღსანიშნავია, რომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებისთვის მიღებული წესდება აშკარად აფართოებს იურისდიქცია სკაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, 1948 წლის გენოციდის კონვენციის დებულებების და ომის კანონებისა და ჩვეულებების მიმართ, რომელიც წარმოადგენდა წარმატებას საერთაშორისო დანაშაულების კოდიფიკაციის პროცესში.

მნიშვნელოვანი იყო იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სამხედრო აპარატში და ასრულებდნენ ბრძანებებს. დევიდ კოენი ბრძანების პასუხისმგებლობის დოქტრინაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ნიურნბერგის ქარტიის და სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად სხვადასხვა რანგის მოხელეებს არ შეეძლოთ უარი ეთქვათ დიქტატორის ბრძანებების შესრულებაზე, ²ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე აღნიშნული საფუძვლით გამართლებული იქნა აპარატის თანამშრომლები.³

საერთაშორისო სამართალში არსებული შენიშვნები და ახალი ტრიბუნალების პრაქტიკა საინტერესოა ბრძანების საფუძველზე პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებად, აღნიშნულთან ერთად საკითხის მომავალი განვითარებისთვის გამჭრიახობასთან ერთად მნიშვნელოვანია მტკიცებულების მოპოვება. დევიდ კოენი დროებითი სამხედრო ტრიბუნალების მნიშვნელობიდან გამომდინარე მართებულად ასკვნის, რომ „საერთო ჯამში, ახალი საერთაშორისო ტრიბუნალი წარმოადგენს გზაჯვარედინს საერთაშორისო სამართლის განვითარებისთვის. „შესაძლებელია იმ პრინციპების დემონსტრირება რომელიც ჩამოყალიბდა ორმოცდაათი წლის წინ ნიურნბერგში და ტოკიოში, ისინი კვლავ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირების დასასჯელად რომლის ბრძანებებმა და პოლიტიკამ გამოიწვია გენოციდი, ომის დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.“⁴

გაეროს უშიშროების საბჭომ 1993 წლის 25 მაისს 3217-ე სხდომაზე რეზოლუციით დააფუძვნა 1991 წლის 1 იანვრიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჰუმანიტარული

¹Cohen, David. "The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 75

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf> (<https://heinonline.org/HOL/License>)

²Cohen, David. "The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 79

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf> (<https://heinonline.org/HOL/License>)

³Р. А. Руденко, Нюрнбертский процесс. Том VI, Гос. изд. Юридической литературы, М., 1961 с. 434-515

⁴Cohen, David. "The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 79

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf> (<https://heinonline.org/HOL/License>)

სამართლის ნორმების დარღვევისათვის პირთა დევნის და პასუხისმგებლობისათვის საერთაშორისო ტრიბუნალი.¹ მიღებულ წესდებაში გათვალისწინებული ნორმების განმარტებისა და შევსებისთვის დამატების ან რეკომენდაციის მიღება გახდა საჭირო.² ტრიბუნალის წესდების მე-2 - 5 მუხლში საერთაშორისო სამართალში არსებული ნორმების გათვალისწინებით დაკონკრეტდა ჟენევის 1949 წლის კონვენციის დარღვევები (მ-2 მუხლი), ომის კანონებისა და ჩეულებები დარღვევა (მე-3 მუხლი), მე-4 გენოციდი და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (მე-5 მუხლი). წესდებაში გაიწერა მოსამართლეთა არჩევის, პროკურორის ფუნქციები, სასჯელის მისჯის საკითხები, რომელიც დაკავშირებული იყო ამ საქმის თავისებურებებთან³. არსებული წესდება სრულად არ არეგულირებდა ყველა საკითხს, ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კონკრეტულ საქმეებზე განავრცობს და აკონკრეტებს ამა თუ იმ დანაშაულის სპეციფიკას.⁴ გიორგი დგებუაძე დადებითად აფასებს დროებითი ტრიბუნალების მნიშვნელობას და დასძენს, რომ „ad hoc ტრიბუნალების მეშვეობით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნების მოდელმა სამართებრივი, პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით გაამართლა“.⁵

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს გაეროს მიერ მიღებული კონვენცია სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისადმი ხანდაზმულობის ვადის მიუღებლობის შესახებ.⁶ აღნიშნულმა კონვენციამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პასუხისმგებლობისგან თავის არიდება შეზღუდა.

გაეროს უშიშროების საბჭომ წესდების მე-7 თავის შესაბამისად, 1994 წლის 8 ნოემბერს მიიღო რუანდის ტრიბუნალის წესდება (სტატუტი).⁷ წესდების მე-2 მუხლი დაეთმო გენოციდის დანაშაულის შემადგენლობას, მე-3 მუხლი კაცობრიობის წინააღმდეგ

¹RESOLUTION 827 (1993) Adopted by the Security Council at its 3217th meeting, on 25 May 1993 https://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_827_1993_en.pdf

²United Nations Resolutions relevant to the Statute of the Tribunal <https://www.icty.org/en/documents/statute-tribunal>

³UPDATED STATUTE OF THE INTERNATIONAL CRIMINAL TRIBUNAL FOR THE FORMER YUGOSLAVIA https://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_sept09_en.pdf

⁴ib. Radislav Krstić, *Judgment*, 19 April 2004, ICTY Case No: IT-98-33-A

<https://www.icty.org/x/cases/krstic/acjug/en/krs-aj040419e.pdf>

Radoslav Brđanin, *Judgment*, 1 September 2004, Case No. IT-99-36-T

<https://www.icty.org/x/cases/brdanin/tjug/en/brd-tj040901e.pdf>

Milomir Stakić, *Judgment*, 31 July 2003, ICTY Case No. IT-97-24-T

<https://www.icty.org/x/cases/stakic/tjug/en/stak-tj030731e.pdf>

Ratko Mladić, *Judgment*, 22 November 2017, Case No. IT-09-92-T

https://www.icty.org/x/cases/mladic/tjug/en/171122-4of5_1.pdf

⁵გიორგი დგებუაძე, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ, თბ. 2017გვ. 54.

⁶Convention on the Non-Applicability of Statutory Limitations to War Crimes and Crimes Against Humanity, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2391 (XXIII) of 26 November 1968, Entry into force: 11 November 1970.

⁷RESOLUTION 955 (1994), Adopted by the Security Council at its 3453rd meeting, *Judgment*, on 8 November 1994 <http://unscr.com/en/resolutions/doc/955>

მწირად, 285-ე მუხლი (ძალადობა მოსახლეობის მიმართ საომარი მოქმედების რაიონში), 286-ე მუხლი (ცუდად მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი). 287-ე მუხლი (წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ნიშნების უკანონო ტარება და ამ ნიშნების ბოროტად გამოყენება).¹

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საბჭოთა პერიოდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აგრძელებდა ცვლილებებით არსებობას ახალი კოდექსის მიღებამდე. აღნიშნულ კოდექსში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავში გათვალისწინებულ იქნა 1993 წლის 8 ივლისის 65¹ -ე მუხლი - გენოციდი. 1991 წლის 2 აგვისტოდან ეთნიკური წმენდა.² ჟენევის კონვენციებიდან გამომდინარე ნაწილობრივ ცვლილებები იქნა შეტანილი საბჭოთა პერიოდის კოდექსიდან განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტით.³

საქართველოში 1993 წლის 14 სექტემბრიდან ძალაშია 1949 წლის 14 აგვისტოს ჟენევის ოთხი კონვენცია და 1977 წლის დამატებით ოქმი, ამავე წლის 11 ოქტომბერს ძალაში შევიდა გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენცია. საბჭოთა ეპოქიდან გადმონაშთის სახით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რჩებოდა ომის დანაშაულის მუხლები, 1991 წლის აგვისტოში კი დაემატა - ეთნიკური წმენდა, ხოლო 1993 წლის ივლისში გენოციდი. ამდენად, დროში მოქმედების მიხედვით გვაქვს სათანადო ბაზა, ადგილობრივი ან ჰიბრიდული სასამართლოების მიერ განხილულ იქნეს ომის დანაშაულის, ეთნიკური წმენდის და გენოციდის საკითხი. კიდევ უფრო მარტივია პროცესის ჩატარება უშიშროების საბჭოს ნების შემთხვევაში შექმნილ დროებით ტრიბუნალზე.

გენოციდისა და ომის დანაშაულებისათვის სპეციალური ნორმები და ტრიბუნალები იქმნებოდა ქმედების ჩადენის შემდეგ, რაც ეყრდნობოდა ამ სფეროში ზოგად ამკრძალავ პრინციპებს, კონკრეტული ნორმების შექმნას აადვილებდა დროებითი ტრიბუნალების სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამავე დროს ნორმას განმარტავდა და პრეცედენტს ქმნიდა, რაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სპეციფიურობითაა გამოწვეული, მასში გაერთიანებულია მსოფლიო სამართლებრივი სისტემების ნაზავი. პრეცედენტების გამოყენება აადვილებს დროში პასუხისმგებლობის საკითხს.

მიმდინარე ეტაპზე დროებითი სამხედრო ტრიბუნალების შექმნა ჩანაცვლა რომის სტატუსმა. უშიშროების საბჭოს შეუძლია სისხლის სამართლის საერთაშორისო წესდების მე-13 მუხლის b) პუნქტის თანახმად გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიმართოს პროკურორს სავარაუდო საერთაშორისო დანაშაულისათვის იურისდიქციის განხორციელების შესახებ,⁴ რადგანაც სტატუტი ვრცელდება 2002 წლიდან ჩადენილ დანაშაულებზე,⁵

¹საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებით 1963 წლის 1 ივლისამდე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბ. 1963.

²საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 1997 წლის 1 მაისამდე „სამართალი“ თბ. 1997, გვ. 72-73.

³საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ცვლილებებითა და დამატებებით 1997 წლის 1 მაისამდე „სამართალი“ თბ. 1997, გვ. 72-73.

⁴Rome Statute of the International Criminal Court, Published by the International Criminal Court. 2011, p.8.

⁵სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის N 2479 – რს დადგენილებით.

გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია, გაეროს წესდების თანახმად შექმნას დროებითი ტრიბუნალი, თუ ეს საჭიროა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად. ქეთევან ხუციშვილი აღნიშნავს, „XX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებულმა ახალმა მსოფლიო წესრიგმა და ამ დროისთვის საკმარისად განვითარებულმა ადამიანის უფლებების დაცვის დოქტრინამ ადამიანის უფლებების დაცვაზე მეტი ყურადღების მიპყრობის საჭიროება წარმოშვა.“¹ ავტორი დასძენს, რომ უშიშროების საბჭოს „პირველი ქმედება - ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა - საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთა რთულ ნარევში ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევაზე რეაქცია იყო, მეორე ნაბიჯი კი - რუანდის სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნა - შიდა კონფლიქტის შემდეგ“, რაც ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო დამნაშავეთა დასასჯელად განხორციელდა.² ქეთევან ხუციშვილი მართებულად ასკვნის, რომ „თუ არსებობს რეალური პოლიტიკური ნება და საერთაშორისო დანაშაულის შემადგენელი ადამიანის უფლებების სასტიკი დარღვევისაგან დასაცავად რეალური მზაობა, აუცილებლად მოიძებნება სუვერენული იმუნიტეტისა და სუვერენული თანასწორობის ცნებათა დაცვის ლაბირითიდან გამოსვლის გზები და საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენთა მართლმსაჯულებისათვის დამსახურებისამებრ წარდგენის შესაძლებლობა, რათა მოხდეს მართლმსაჯულების ინტერესების განხორციელება, მომავალი დანაშაულების თავიდან აცილება.“³

1992 წლიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების, გენოციდის და სხვა უმძიმესი დარღვევებისათვის დაუსჯელობამ წაახალისა დანაშაულის ჩადენა, რამაც სისტემატური ხასიათი მიიღო.

აქტუალურია საკითხი იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც საქართველოში სტატუტის ძალაში შესვლამდე ჩაიდინეს უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულები. ამ მხრივ კანონის დროში მოქმედების თვალსაზრისით მართებულია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი წინადადებები:

განხილული უნდა იქნეს ჰიბრიდული სასამართლოს შექმნის საკითხი, რომელიც იხელმძღვანელებს საქართველოს კანონმდებლობით და იქნება შერეული, რომელთა შორისაც იქნება გაეროს მიერ შერჩეული რამდენიმე მოსამართლე, რაც ნდობის აღდგენის თვალსაზრისით აქტუალურია;

უშიშროების საბჭოს მიერ სპეციალური ტრიბუნალის შექმნა მრავალ პრობლემას მოხსნიდა სპეციალური წესდების საფუძველზე. აღნიშნული საკითხი უნდა დაისვას გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე, რადგან საქართველოში 2008 წლის ომის შემდეგ გარემოებები შეიცვალა, უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წევრი შეიარაღებული კონფლიქტის მხარედ

¹ქეთევან ხუციშვილი, გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი თბ. 2010 გვ. 52.

² ქეთევან ხუციშვილი, გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი გვ. 52.

³ქეთევან ხუციშვილი, გვ. 100.

გამოცხადდა, ხოლო საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულად,¹ მსგავსი საკანონმდებლო ფონი ადრე არ არსებობდა, აღნიშნულმა ფაქტმა უნდა გამოიწვიოს უშიშროების საბჭოს წევრის მიერ ოკუპაციის ფაქტის გამო უშიშროების საბჭოზე კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემა:

გამოკვლეული და შეფასებული უნდა იქნეს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით, 1993-1994 წლებში რუსეთ-საქართველოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების მიზანშეწონილობა;

მართებულია საქართველოს პროკურატურაში აღძრული საქმე 1993 წლიდან ჩადენილ ქმედებებთან მიმართებაში გახდეს აქტიური, დაზუსტდეს კვალიფიკაციები და განხორციელდეს საერთაშორისო ძებნა იმ პირების, რომელთა მიმართაც გამოკვეთილია ბრალი;

სისხლის სამართლის სასამართლოში მიმდინარე საქმე 2008 წლის ომის დანაშაულებთან მიმართებაში, შეივსოს ეთნიკური ნიშნით (გენოციდი) ქართველების 2002 წლიდან დღემდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნაწილობრივი განადგურების ფაქტებით.

აღნიშნული წინადადებების განსახორციელებლად შრომატევადი პოლიტიკური და სამართლებრივი საქმიანობაა საჭირო.

¹საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=8>

Evolution of liability for war crimes and genocide, modern challenges and the grounds of punishment for the actions committed in Georgia

Professor, Dr. Vepkhvia Gvaramia, *Sokhumi State University; Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: War, Genocide, Georgia

The article examines the evolution of liability for war crimes and genocide, concepts and modern challenges. The problems of liability for the crimes committed in Georgia and the grounds for punishment are analyzed. Historical-legal, comparative-legal and dogmatic research methods are used in the previous article, which is caused by complexity of the issue under consideration. Recommendations are given about liability for war crimes and genocide, committed in Georgia.

As a result of the Hague Conferences in 1899, three conventions on the Convention (I) for the Pacific Settlement of International Disputes; Convention (II) with Respect to the Laws and Customs of War on Land; Convention (III) for the Adaptation to Maritime Warfare of the Principles of the Geneva Convention of 22 August 1864. The Hague, 29 July 1899., were adopted. Three declarations were also adopted, which prevented the use of prohibited weapons during the war.

At the conceptual level, the idea of creating an international criminal court was substantiated in 1881, PhD dissertation of L. A. Kamarowski about the "International Court", the work was later published in French in Paris.¹

In 1907 all three conventions were renewed, purpose of the Convention (I) for the Pacific Settlement of International Disputes was to promote by their best efforts the friendly settlement of international disputes. Various mechanisms for settling disputes were developed, along which the Permanent Court of Arbitration was important.² The Convention was moreover a means of preventing inter disputes rather than liability for crimes committed.

Article 1 of "the Convention with Respect to the Laws and Customs of War on Land" provides that, The High Contracting Parties shall issue instructions to their armed land forces, which shall be in conformity with the "Regulations respecting the laws and customs of war onland" annexed to the present Convention.³ These circumstances oblige the state to take legislative measures in the process of ratification of the Convention. The Hague Conventions did not specify the international criminal liability of individuals. It did not have retroactive effect and was applicable for conducts, committed after the adoption of the conventions. The adoption of these conventions and declarations was important for the development of international law and the formation of the concept of international criminal liability of individuals. The conventions required states to take legislative

¹Kamarovskii L.A. Le tribunal international / Transl. S. de Westman. Paris, 1887.

² 1907 The Convention for the Pacific Settlement of International Disputes

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2794462?publication=0>

³Convention (II) with Respect to the Laws and Customs of War on Land and its annex: Regulations concerning the Laws and Customs of War on Land. The Hague, 29 July 1899.

<https://ihldatabases.icrc.org/applic/ihl/ihl.nsf/Article.xsp?action=openDocument&documentId=DBB781961FA544C5C12563CD00515C8F>

acts. After the end of the war, peace treaties include amnesty for war crimes, which prevented liability.

After World War I, setting up military tribunals become necessary according to the Treaty of Versailles to punish those accused of crimes committed. There were 3 types of court. Article 227 of the Treaty of Versailles provides liability for conduct of the former Emperor of Germany, Wilhelm II. In its decision, the tribunal will be guided by the highest motives of international policy, with a view to vindicating the solemn obligations of international under-taking and the validity of international morality. It will be its duty to fix the punishment which it considers should be imposed.¹

According to article 229 of to the Treaty of Versailles, persons guilty of criminal acts against the nationals of one of the allied and associated powers will be brought before the military tribunals of that power. Persons guilty of criminal acts against the nationals of more than one of the allied and associated powers will be brought before military tribunals composed of members of the military tribunals of the powers concerned.²The tribunal of the former emperor of Germany Wilhelm II was not held, the Dutch government refused to extradite him, due to the retroactive effect of the law, liability under the law adopted after the conduct was unfair. Under the influence of the Allies, a Dutch court sentenced deportation as less harsh punishment for Wilhelm II. The Dutch government, based on its own constitution indicate that the law also protected foreigners and, on this base, they refused extradition. Anatoly Sharkov notes that, according to article 228 of the Treaty of Versailles, the German government recognizes the right of the allied and associated powers to bring before military tribunals persons accused of having committed acts in violation of the laws and customs of war.³The norm in the Treaty of Versailles, the defendants were subject to the jurisdiction of the state to commit the crime, could not be enforced against foreign nationals on the grounds of their protection and jurisdiction.⁴The German authorities had a negative position on this request in a note of 25 January 1920, where it was emphasized that such action would eventually lead to anarchy in the country and promised to make the legislation relevant with the treaties, also they would give criminals to the court of the Leipzig Empire in order to punish. On 12 December 1919, the Reichstag adopted the law, which established the jurisdiction of the German Imperial Court to prosecute acts committed by German war criminals during World War I.⁵

¹Treaty of peace with Germany (Treaty of Versailles) Art. 227

https://www.nationalarchives.gov.uk/pathways/firstworldwar/aftermath/p_versailles.htm

²Treaty of peace with Germany (Treaty of Versailles) Art. 229

https://www.nationalarchives.gov.uk/pathways/firstworldwar/aftermath/p_versailles.htm

³ Шарков Анатолий Васильевич, Ответственность за военные преступления, совершённые в годы Первой мировой войны: международно-правовой аспект, Первая мировая война в исторических судьбах Европы: сб. материалов Междунар. науч. конф. г. Вилейка, 18 окт. 2014 г. /редкол.: В.А. Богуш (пред.) [и др.]. Минск: Изд. центр БГУ, 2014. – с. 373.

<file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20t%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf>

⁴Шарков Анатолий Васильевич, *ibid.*

<file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20t%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf>

⁵Kriegsverbrecherverfolgungsgesetz, RGBI. 1919. S. 2125 f.

Anatoly Sharkov concludes that "most" of the processes in Germany turned out "farce." The Allies and the Germans also called it a "theatrical comedy" in which they were forced to play in favor of the winners.¹

Under the Treaty of Versailles, 45 proceedings were initiated in Leipzig, but only a few cases took place, while the rest were suspended. Six accused were acquitted and six were convicted under the German Criminal Code. Woetzel believes that the reason was the lack of criminalization of war crimes in international law.² I. N. Artsibasov and S. Yegorov had the same position.³

A. G. Volevodz and B. Volevodz emphasized that the Treaty of Versailles is the first international legal document, which sets out the liability norms of heads of state in accordance with international criminal law and for which their extradition to the special International Court has been considered, as well as the criminal liability of accused for breaching international treaties.⁴

A. G. Volevodz and B. Volevodz emphasized that the absence of, on one hand, processual norms and, on the other hand, regulations of other international legal documents, prevent the realization of the Treaty of Versailles.⁵

In the second half of the 19th century and the very beginning of the 20th century, the attempt of the Allied Powers to punish the criminals of World War I, was a great step forward. But I consider that the failure of the first tribunal was due to not taking into account the peculiarities of different legal systems, e.g. the jurisdiction, the principle of territoriality, the retroactive effect of law, suing procedures and issues of citizenship. Existing international treaties and conventions did not give us solution for these issues, however, international criminal theory and practice that would create a consensus of world legal systems were not studied.

international criminal law, retroactive effect and principles of law did not give an opportunity to punish criminals of World War I. There were no proper normative sources in international and domestic law.

After the end of the World War I, the cooperation of states in the formation of international crimes was suspended, I think this was due to the collapse of the punishment to the World War I criminals and the lack of unification of common norms.

A treaty was drafted in 1937 which provided the establishment of an international criminal court to prosecute terrorists, but states did not support. Most scientists consider the development of

¹Шарков Анатолий Васильевич, с. 374

<file:///C:/Users/User/Desktop/s%20%20%20%20t%20%20%20%20a%20%20%20%20t%20%20%20i%20%20a/Sharkov.pdf>

²Woetzel R.-K. The Nuremberg Trial in International Law. London; New-York, 1962. p. 32 – 34;

³ Арцибасов И.Н., Егоров С.А. Вооруженный конфликт: право, политика, дипломатия. М., 1989. - с. 185.

⁴ А.Г. Волеводз, В.А. Волеводз, Волеводз А.Г. Исторические и международно-правовые предпосылки формирования современной системы, международной уголовной юстиции, Международное уголовное право и международная юстиция. – 2008. – No2. – с. 7.

⁵ А.Г. Волеводз, В.А. Волеводз с. 7.

international criminal law to be a reality during World War II.¹The importance of the Moscow Declaration of 19-30 October 1943 was especially emphasized; Representatives of the US and the UK signed a declaration that provided for liability for the committed crime.²

Most international criminal researchers consider the August 8, 1945 agreement as the basis for international criminal liability, as it was the founding document of the Nuremberg Tribunal. The opinions of the participating states were divided about the establishing case law, the Soviet Union and France, because of their legal system, were opposite to the legal system of the United States and Great Britain. The consensus eventually led to the development of international criminal law.³

Article 6 of the Charter of the International Military Tribunal listed three international crimes: 1 Crimes against peace; 2. War crimes; 3. Crimes against humanity. This classification underlies the perspective of the development of international criminal law “as a result of the practice of the military tribunal, the attitude of states towards international crime has changed.”⁴ Part of the scientists consider that the most important achievement of the tribunal is direct liability under international law, which has become a fundamental statement in international criminal law.⁵

Carsten Stahn notes that the terms genocide, crimes against humanity, war crimes and aggression in the interests of states have historically been derived from the idea of state involvement in processes.⁶ Each of these crimes over the past decades has been defined in a new context of international criminal tribunals and court practice.⁷

International criminal law has developed under the pressure of harsh circumstances. It appears from the necessity of a new type of crime. It was later revealed that war crimes and the concepts of crimes against humanity are contradictory and interrelated. E.g. conduct on occupied territory or attacking civilians may be qualified as war crimes, as well as crimes against humanity committed in peace time, acts committed against citizens of neutral states or against citizens of the enemy are crimes against humanity, but not violations of the laws and customs of war and hence war crimes.⁸ As a result of the special commission work, the case law and the reconciliation of scientific doctrines, the shortcomings have been more or less eliminated.

During the Nuremberg tribunal, acts of the crime of genocide reset to war crimes and crimes against humanity. Which was due to the lack of a concept and proper regulation on the crime of

¹Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, *International Criminal Law and Procedure* Cambridge University Press, New York 2007, p. 92.

² Vepkhvia Gvaramia, *Extradition of an accused in charge of international crime*, Tbilisi 2002, p. 19-20.

³Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, *International Criminal Law and Procedure* Cambridge University Press, New York 2007, p. 93.

⁴Vepkhvia Gvaramia, *Extradition of an accused in charge of international crime*, Tbilisi 2002, p. 32.

⁵Robert Cryer, Hakan Friman, Darryl Robinson and Elizabeth Wilmshurst, *International Criminal Law and Procedure* Cambridge University Press, New York 2007, p. 94.

⁶Carsten Stahn, *A Critical Introduction to International Criminal Law*, Cambridge University Press, 2019, p.32

⁷Carsten Stahn, *ibid*.

⁸ History of the United Nations War Crimes Commission and the development of the laws of war, Compiled by the United Nations War Crimes Commission, London 1948, p.188-189 (<https://heinonline.org/HOL/License>)

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/1948HistoryoftheUnitedNat.pdf>

genocide. Subsequent concepts and practice have shown that genocide is the core crime and its separation was necessary. On December 1, 1946, the UN General Assembly adopted a special resolution on genocide, that provides: that genocide is denial of the right of existence of entire human groups, as homicide is the denial of the right to live of individual human beings; such denial of the right of existence shocks the conscience of mankind, results in great losses to humanity in the form of cultural and other contributions represented by these human groups, and is contrary to moral law and to the spirit and aims of the United Nation. Many instances of such crimes of genocide have occurred when racial, religious, political and other groups have been destroyed, entirely or in part.¹

The lawyers of the German accused mentioned shortcomings of the Nuremberg trial and pointed out the absence of a specific law at the time of the committing the action; Cherif Bassiouni points out that the Nuremberg Tribunal had two main shortcomings 1. Positive international criminal law was insufficient, the principle of legality was applied in the international criminal justice system to meet the requirements, 2. Only the losers were punished.² Due to the great sacrifices and big loss, the creation of international justice after the war was necessary.³

David Cohen notes that violations of international humanitarian law committed in the territory of the former Yugoslavia since 1991 are recognized as an important event for the creation of a tribunal after World War II. The critics argued that the tribunal should not have been set up because it was doomed to failure, which would cause irreparable damage to the purposes of international law. David Cohen asks the question, what could be the achievement of a new international tribunal that would be significant for the future development of international law? The tribunal has been instructed to punish those who had committed crimes against the civilian on the territory of the former Yugoslavia, what risks does it face in fulfilling this role?⁴ It is noteworthy, that the statute for Crimes Committed on the Territory of the Former Yugoslavia shares its jurisdiction over crimes against humanity, the 1948 Genocide Convention, and the laws and customs of war. Which represented success in the process of codifying international crimes.

Liability of those who were employed in the military apparatus and carried out orders was important. David Cohen concludes, based on the doctrine of the responsibility of the order, that according to the Nuremberg Charter and the court decision, various ranks of officials could not

¹ History of the United Nations War Crimes Commission and the development of the laws of war, Compiled by the United Nations War Crimes Commission, London 1948, p.200 (<https://heinonline.org/HOL/License>).
<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/1948HistoryoftheUnitedNat.pdf>

²M. Cherif Bassiouni, Enforcing Human Rights through International Criminal Law and through an International Criminal Tribunal, Studies in Transnational Legal Policy Volume 26, 1994 p. 358-359
<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/26StudTransnatlLegalPoly3.pdf>

³*Ibid.*

⁴ Cohen, David. "The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 75
<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf> (<https://heinonline.org/HOL/License>)

refuse to carry out the orders of dictators.¹ At the Nuremberg Trials, the staff of the office were acquitted on this ground.²

The notes in international law and the practice of the new tribunals are interesting to absolve from liability on the basis of an order; In addition to the above, it is important to obtain evidence along with insight for the future development of the issue. David Cohen rightly concludes from the importance of temporary military tribunals that "Overall, the new international tribunal is a crossroads for the development of international law." Demonstrating the principles that were established fifty years ago in Nuremberg and Tokyo, they can still be used to punish those whose orders and policies have led to genocide, war crimes, and crimes against humanity.³

On May 25, 1993, at its 3217th session, the Security Council Decides to establish an international tribunal for the purpose of prosecuting persons responsible for serious violations of international humanitarian law committed in the territory of the former Yugoslavia between 1 Jan 1991.⁴ It became necessary to make additions or recommendations to clarify and supplement the norms provided in the adopted statute.⁵ Articles 2-5 of the Statute of the Tribunal specify violations of the 1949 Geneva Convention in accordance with the norms of international law (Art. 2); Violations of the laws or customs of war (Art. 3); Genocide (Art. 4); Crimes against humanity (Art. 5). The statute lists the election of judges, the functions of the prosecutor and the issues of sentencing, which were related to the peculiarities of this case.⁶ The existing statute did not fully regulate all issues, the decisions made by the tribunal extend to specific cases.⁷

Giorgi Dgebuadze positively assesses the importance of temporary tribunals and says that the model of establishing individual liability through "ad hoc" tribunals has been working in legal, political and diplomatic terms.⁸ An important document is the Convention on the Non-Applicability of

¹ Cohen, David. "The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 79.

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf> (<https://heinonline.org/HOL/License>)

² Р. А. Руденко, Нюрнбертский процесс. Том VI, Гос. изд. Юридической литературы, М., 1961 с. 434-515

³ Cohen, David. "The International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia and International Law." East European Constitutional Review, vol. 5, no. 4, Fall 1996 p. 79.

<file:///C:/Users/User/AppData/Local/Temp/5EEurConstRev75.pdf> (<https://heinonline.org/HOL/License>)

⁴ RESOLUTION 827 (1993) Adopted by the Security Council at its 3217th meeting, on 25 May 1993 https://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_827_1993_en.pdf

⁵United Nations Resolutions relevant to the Statute of the Tribunal

<https://www.icty.org/en/documents/statute-tribunal>

⁶UPDATED STATUTE OF THE INTERNATIONAL CRIMINAL TRIBUNAL FOR THE FORMER YUGOSLAVIA https://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_sept09_en.pdf

⁷Radislav Krstić. Judgment, 19 April 2004, ICTY Case No: IT-98-33-A

<https://www.icty.org/x/cases/krstic/acjug/en/krs-aj040419e.pdf> Radoslav Brđanin, Judgment, 1 September 2004, Case No. IT-99-36-T <https://www.icty.org/x/cases/brdanin/tjug/en/brd-tj040901e.pdf>

Milomir Stakić, Judgment, 31 July 2003, ICTY Case No. IT-97-24-T

<https://www.icty.org/x/cases/stakic/tjug/en/stak-tj030731e.pdf>

Ratko Mladić, Judgment, 22 November 2017, Case No. IT-09-92-T

https://www.icty.org/x/cases/mladic/tjug/en/171122-4of5_1.pdf

⁸Giorgi Dgebuadze, THE DOCTRINE AND CASE LAW OF INDIVIDUAL ATTRIBUTION OF A CRIME IN INTERNATIONAL CRIMINAL LAW, Tbilisi 2017, p. 54.

Statutory Limitations to War Crimes and Crimes Against Humanity.¹ The Convention restricted the avoidance of liability for the expiry of the limitation period.

In accordance with Chapter 7 of the Charter, the UN Security Council adopted the Statute of the Rwandan Tribunal on 8 November 1994.² Article 2 of the Statute was devoted to genocide, Article 3 to the crime against humanity, Article 5 to the violations of Article 3 of the 1949 Geneva Conventions and Article 2 of the Additional Protocol of June 8, 1977.³ It should be noted, that Article 5 provides the list of crimes, but also emphasizes that the list is not exhaustive. In a particular case, in accordance with the principle of proportionality, a judge may, consider about filling the flaw, the case court successfully manages. The Rwandan court decisions are great examples, where judges made important explanations in terms of analyzing and specifying the crimes defined by the statute.⁴

Interim tribunals and decisions made a significant contribution to the adoption of the Statute (Rome Statute) of the International Criminal Court. Article 11 of the Rome Statute was devoted to the jurisdiction of the court "Jurisdiction *ratione temporis*". According to first paragraph "The Court has jurisdiction only with respect to crimes committed after the entry into force of this Statute."⁵ This circumstance does not allow the court to share jurisdiction over international crimes committed before 2002, due to the specificity of its validity under the Rome Statute, it cannot affect international crimes committed on the territory of Georgia from 1992 to 2002.

After the regain of independence in 1991, Georgia refused to inherit the ratified treaties of the USSR. Levan Aleksidze notes, "Every state that acquires independence from the metropolis or otherwise from the colonial regime is exempt from all other treaties entered into by the ruling government on behalf of that territory. There is the principle of "tabula rasa" (clean slate)."⁶ Georgia has gradually started ratifying those international conventions.

¹ Convention on the Non-Applicability of Statutory Limitations to War Crimes and Crimes Against Humanity, Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2391 (XXIII) of 26 November 1968, Entry into force: 11 November 1970.

² RESOLUTION 955 (1994), Adopted by the Security Council at its 3453rd meeting, Judgment, on 8 November 1994 <http://unscr.com/en/resolutions/doc/955>

³ Statute of the International Tribunal for Rwanda p. 3-5 <http://unscr.com/en/resolutions/doc/955>

⁴ Akayesu Judgment, 2 September 1998, Case No. ICTR-96-4-T

<https://unictr.irmct.org/sites/unictr.org/files/case-documents/ict-96-4/trial-judgements/en/980902.pdf>

Judgment, 1 June 2001, Case No. ICTR-96-4-T-A, <https://unictr.irmct.org/sites/unictr.org/files/case-documents/ict-96-4/appeals-chamber-judgements/en/010601.pdf>.

Kayishema and Ruzindana, Judgment, 21 May 1999, Case No. ICTR-95-1

<https://unictr.irmct.org/sites/unictr.org/files/case-documents/ict-95-1/trial-judgements/en/990521.pdf>

Judgment, 1 June 2001, Case No. ICTR-95-A <https://unictr.irmct.org/sites/unictr.org/files/case-documents/ict-95-1/appeals-chamber-judgements/en/010601.pdf>

⁵ Rome Statute of the International Criminal Court, Published by the International Criminal Court. 2011, p.8

⁶ Levan Aleksidze, Modern International Law, Tbilisi 2010, p. 76.

The Soviet Union adopted the four Geneva Conventions and the 1949 Genocide Convention,¹ but the crime of genocide was not provided in the Georgian Criminal Code of the Soviet period and the 1949 Geneva Conventions were less implemented. Article 285 (violence against the civilians in the hostilities), Article 286 (inhumane treatment of prisoners of war), Article 287 (Illegal wearing and misuse of Red Cross and Red Crescent signs).²

The Criminal Code of Soviet Georgia continued existence with amendments after independence restoration. In the previous code, on July 8, 1993 Article 65 1 - Genocide was added to the chapter of crimes against the state. On August 1991 - ethnic cleansing.³ Geneva Conventions were more implemented in the new Criminal Code of Georgia of 3 August 1992.⁴

On October 11, 1993, Georgia acceded to the Convention on the "Prevention and Punishment of the Crime of Genocide", on this date, Georgia also acceded to the four Geneva Conventions of 14 August 1949 and the Additional Protocol of 1977. From the Soviet union period the articles of war crime remained in the Criminal Code. On August 1991, an article of ethnic cleansing was added, on July 1993 – genocide, thus, according to the action with respect to time, we have a proper base, war crimes, ethnic cleansing and genocide should be considered by local or hybrid courts. Process will be easier with the willing of establishing temporary tribunal by Security Council.

Special norms and tribunals for genocide and war crimes were established after the conducts based on general prohibition principles in this field. The creation of specific norms was facilitated by the case law of interim tribunals, which at the same time clarified the norm and set a precedent, challenged by the specificity of international criminal law, incorporating a mix of world legal systems. The use of precedents makes easier liability issues with respect to time.

The creation of temporary military tribunals at the present stage was replaced by the Rome Statute. According to article 13 (b) of Rome statute and A situation in which one or more of such crimes appears to have been committed is referred to the Prosecutor by the Security Council acting under Chapter VII of the Charter of the United Nations.⁵ As the statute applies to crimes committed since 2002,⁶ in accordance with Charter of the United Nations, Security Council may establish a temporary tribunal on purpose of restoring international peace and security. Ketevan Khutsishvili notes, the new world order of late XX and doctrine of protecting human rights made a necessity of accenting human rights protection.⁷ First step of UN security council - is creation of the

¹The Soviet Union adopted the Geneva Convention of 12 August 1949, the Additional Protocols in 1989, the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide in 1954. The Russian Federation is the main heir to the Soviet Union.

²Criminal Code of Georgian Soviet Socialist Republic, amended before July 1, 1963, "Soviet Georgia," Tbilisi 1963.

³Criminal Code of Georgia, with amendments and additions, before May 1, 1997, "Law", Tbilisi 1997, p.72-73.

⁴*Ibid.*

⁵Rome Statute of the International Criminal Court, Published by the International Criminal Court. 2011, p.8

⁶Rome Statute of the International Criminal Court, Ratified by Resolution N 2479 – rs of the Parliament of Georgia, July 16, 2003.

⁷ Ketevan Khutsishvili, Competitive and complementary competences of the UN Security Council and the International Criminal Court, TS, 2010, p. 52.

International Criminal Tribunal for the former Yugoslavia as a reaction on violating human right in mixture of international and non-international armed conflict. second step - is creation of the International Criminal Tribunal for Rwanda - after inner conflict, in order to punish criminals.¹ Ketevan Khutsishvili concludes, that, if there is a real political willingness and a real enthusiasm to protect the human rights from international crime, ways to get out of the labyrinth of protecting the concepts of sovereign immunity and sovereign equality and the way to prosecute international criminals will surely be found, in order to prevent committing a crime.²

Impunity for human rights, genocide and other grave violations in the occupied territories of Georgia since 1992 has encouraged the committing a crime, which has become systematic.

The issue of the liability of those who committed the most serious international crimes before the entry into force of the Statute in Georgia is under discussion. In terms of the validity of the law in respect to time, we can consider following sentences:

Consideration should be given to setting up a hybrid court, which will be guided by the legislation of Georgia and will be mixed, with several judges selected by the UN and it will help in terms of trust-restoring;

The creation of a special tribunal by the Security Council would solve many problems under a special charter. This issue should be discussed by the UN security council, since circumstances have changed in Georgia after the 2008 war, one of the members of the Security Council declared itself a party to the armed conflict, and the territory of Georgia – occupied,³ There was no such legislative background before, this fact should preclude a member of the Security Council from voting during the decision of the Security Council on a particular case of occupation;

The expediency of the agreements formed by Russia and Georgia in 1993-1994 in relation to the conflict regions should be examined and evaluated;

It is right for the case initiated in the Prosecutor's Office of Georgia to become active in relation to the conducts committed since 1993, clarify qualifications and carry out the international search on charged individuals;

The ongoing case in the Criminal Court in connection with the war crimes of 2008 should be supplemented with the facts of partial removal of Georgians on the ethnic grounds (genocide) in the occupied territory since 2002.

In order to Implement these sentences time-consuming political and legal action will be required.

¹ *Ibid.*

² *Ibid.* p.100.

³ Law of Georgia on Occupied Territories. <https://matsne.gov.ge/en/document/view/19132?publication=6>

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციაში თანამედროვე

ტექნოლოგიების გამოყენება

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი დავით გონდაური, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია; დოქტორი ეკატერინე მიქაუტაძე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანთა დანაშაული; პრევენცია; თანამედროვე ტექნოლოგიები.

თემის აქტუალობა და მნიშვნელობა

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული რთული ფენომენია, რომელსაც მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. მოზარდის ქცევაზე გავლენას ახდენს, როგორც ინდივიდუალური, ისე გარე ფაქტორები, როგორიცაა: ოჯახი, სოციალური გარემო, სკოლა და ა.შ. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შემცირება უნდა გულისხმობდეს ისეთ ფაქტორებზე მუშაობას, როგორებიცაა სიღარიბე, უმუშევრობა, განათლების დაბალი დონე, სოციალური იზოლაცია და სხვა. შესაბამისად, ამ პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა, ისე არასამთავრობო სექტორის და ბიზნეს ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს (1).

არასრულწლოვნობის ან მოზარდობის პერიოდი ადამიანის ცხოვრების უაღრესად საპასუხისმგებლო და დინამიკური პერიოდია, ეს არის პიროვნების ჩამოყალიბების ასაკი, როდესაც უნდა დაიდლოს ღირებულებითი ორიენტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა. მოზარდი თავის მორალურ-ფსიქოლოგიური იერის დამახასიათებელი თვისებაა აქტიური ცხოვრებისული პოზიციის ფორმირება და მომავალი საქმიანობის გეგმების განსაზღვრა. თუმცა, ბევრი მოზარდი თავისი მომავლის განჭვრეტისას მხედველობაში იღებს მხოლოდ სასურველი შედეგის მიღწევას და არა მისი მოპოვების გზებსა და საშუალებებს, იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საბოლოო შედეგის მიღწევისთვისაა აუცილებელი. აქედან გამომდინარე, ხდება იმ მატერიალური ნორმებიდან გადახრა. ჩვენს რეალობაში კი ეს პრობლემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება (2).

დღევანდელი ბავშვები და მოზარდები ინტერნეტში არიან ხშირად და დიდი რაოდენობით. მოზარდების უმრავლესობას აქვს ყოველდღიური წვდომა და უმეტესობა სარგებლობს მობილური კავშირებით. არასრულწლოვანთა ყველაზე პოპულარული ონლაინ აქტივობებია სოციალური ქსელები, მუსიკის მოსმენა და ვიდეოების ყურება და მყისიერი შეტყობინებები. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვები ინტერნეტში უფრო მცირე ასაკში შედიან, თუნდაც სამი წლის ასაკში (5). არასრულწლოვანთა სოციალური მედიის გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული და კვლავ იზრდება. ვიქტიმიზაცია არის მსხვერპლად გახდომის პროცესი, რომელიც აქ გაგებულია როგორც ადამიანი, რომელიც განიცდის ფიზიკურ, გონებრივ ან ემოციურ ზიანს ან ეკონომიკურ ზარალს

სხვისი ქმედებების გამო. ეს ქმედებები შეიძლება იყოს სისხლის სამართლის დანაშაული ან არაკრიმინალიზებული მავნე ქცევა (5).

საზოგადოებაში გავრცელებული ძალადობის სხვადასხვა შემთხვევები მოზარდებში აგრესიით, ურთიერთობების გარკვევით, თვითდამკვიდრებით, წინასწარი გაუფრთხილებლობით და სხვა გარემოებებითაა გამოწვეული. მოზარდთა დანაშაულის შედეგად ჩნდება ორმხრივი მსხვერპლი: ბავშვები, რომლებმაც კანონი დაარღვიეს, რადგან ისინი მსხვერპლად მოიაზრებიან და არა დამნაშავეებად და მათი დანაშაულებრივი ქმედების რეალური მსხვერპლი.

ბოლო წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, ამ ცვლილებების მნიშვნელოვანი შედეგი იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. კოდექსის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობით. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, რომელსაც ემსახურება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კომპლექსური საკითხია და საჭიროა როგორც საკანონმდებლო ნორმების შექმნა, ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმა და გატარება. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისკენ მიმართული პოლიტიკა უნდა წარიმართოს სამი ძირითადი, ეკონომიკური, სოციალური და გარემო კეთილდღეობის მაჩვენებელი, ფაქტორების თანმიმდევრული განვითარებით.

ინიციატივა

აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი განათლების საკითხებში ნიუ-ორკის უნივერსიტეტის პროფესორის დიანა რავიჩის სიტყვები “Freedom means responsibility, not freedom from responsibility” კარგად წარმოაჩენს ჩვენი ინიციატივის არსს. აუცილებელია მოზარდებს ადამიანის უფლებებთან ერთად ვასწავლოთ პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებებზე. განათლების სისტემა, როგორც ჩანს, სუსტად უმკლავდება აღნიშნულ პრობლემას არსებული რესურსების გამოყენებით.

ამის შესახებ 2020 წლის “არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის“ კვლევის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, თუმცა, პრაქტიკაში ჰოლისტურ მიდგომებზე დაფუძნებული პრევენციის პროგრამების ფართო სპექტრი ხელმისაწვდომი არ არის. სკოლების პრევენციული როლი სუსტია და ისეთი სპეციალისტები, როგორიცაა - სკოლის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სპეციალური მასწავლებელი, სკოლებში არ ჰყავთ. კვლევამ ცხადყო, რომ ქვეყანაში ადრეული და შუალედური პრევენციული პროგრამების დეფიციტია. საჯარო სკოლების დიდ ნაწილს არ ჰყავს ფსიქოლოგი. კვლევის დროს ხელმისაწვდომი არ იყო არც სასკოლო მედიაციის კომპონენტი. მანდატურის სამსახურში დაგეგმილია სასკოლო მედიაციის დანერგვა, რაც მისასალმებელია.

მიზანი

ამრიგად, ინიციატივა მიზნად ისახავს, რომ საზოგადოებას დავანახოთ პრევენციისთვის ახალი ინსტრუმენტის შექმნის საჭიროება, რომელიც გულისხმობს მოზარდებისთვის ზემოთაღნიშნული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჩვენებას და შემეცნებას. ასეთი მიდგომა მოზარდებში ქმედების შედეგის წინასწარი განსაზღვრის უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, თამაშზე დაფუძნებული სწავლების გამოყენებას არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისთვის.

ამასთან, თამაშზე დაფუძნებული სწავლება (GBL) ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც სათამაშო თამაშის გამოყენება სასწავლო გარემოში. უმეტეს განმარტებებში ნათქვამია, რომ მოცემულ თამაშებს აქვთ წინასწარ განსაზღვრული და მიზანმიმართული სწავლის შედეგები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეკრეაციული თამაშის დროს რაღაცის სწავლა არ არის GBL. ზოგჯერ, როდესაც განსახილველი თამაშები არის ციფრული (კომპიუტერული ან კონსოლის) თამაშები, ჩვენ ვსაუბრობთ ციფრულ თამაშზე დაფუძნებულ სწავლებაზე, მაგრამ ეს ჩვეულებრივ მხოლოდ იგულისხმება. GBL-ის კონტექსტში, შეიძლება დაუყოვნებლივ ვიფიქროთ იმერსიულ სიმულაციაზე ან როლური თამაშების შესახებ, რომლებშიც პოტენციური რეალური სიტუაციები „თამაშდება“ ვირტუალურ სამყაროში, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი იმერსიული თამაშები არ არის აუცილებელი პირობა. პრინციპში, GBL ეხება როგორც გასართობ თამაშებს, ასევე თამაშებს, რომლებიც განკუთვნილია გართობის ძირითადი მიზნებისთვის და სერიოზულ თამაშებზე.

ამოცანები

ინიციატივა პირველ ეტაპზე შეისწავლის მოზარდებში ანტისოციალურ ქცევასა და დანაშაულებრივ შედეგებს შორის კავშირებს, ზღვარს დამნაშავესა და მსხვერპლს შორის. მთავარი მიზანი კი დანაშაულის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შეცნობისთვის თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების შექმნაა. კერძოდ, ვგულისხმობთ სიმულაციური ციფრული თამაშების შექმნას, რომელიც დაფუძნებულია როლური თამაშის პრინციპზე და შესაძლებელია სასწავლო რესურსად გამოყენება ზოგადი განათლების საფეხურზე.

სიმულაციური თამაშების დროს, სადაც მოზარდები მოირგებენ პერსონაჟის როლებს, ეტაპობრივად შეთავაზებული იქნება რამდენიმე ქმედების არჩევის საშუალება, საბოლოო შედეგი იქნება ქმედების მიხედვით. ასევე მათი ქმედებები შეფასდება, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის, ისე სამართლებრივ კონტექსტში. თამაშის სცენარი უნდა იყოს აგებული რეალურ ისტორიებზე, მათ შორის, პერსონაჟების რაოდენობაც უნდა იყოს რეალისტური. ასევე მნიშვნელოვანია მოზარდების ასაკობრივი ჯგუფის ზუსტად განსაზღვრა ფსიქოლოგებთან ერთად. ასევე, მნიშვნელოვანი იქნება სტუდენტების ჩართულობა თამაშის შექმნაში.

თამაშზე დაფუძნებული სწავლების კვლევამ აჩვენა, რომ სერიოზული თამაშები ეფექტურია, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში, თუ ისინი აკმაყოფილებენ რიგ კრიტერიუმებს. ამასთან, თამაშის დიზაინი და თამაშის ნარატივი უნდა იყოს ზუსტი და სასწავლო მიზნების შესაბამისი; სასწავლო შინაარსი უნდა იყოს ინტეგრირებული გეიმპლეში; და თამაშები უნდა იყოს უფრო ფართო ინტერვენციების ნაწილი, მაგალითად, სკოლის კონტექსტში გამოყენების გზით და ჯგუფური დისკუსიების საფუძველი.

საჭიროებები

პროგრამა საჭიროებს მოზარდთა ფსიქოლოგის, იურისტის, თამაშების დეველოპერის და ა.შ. სხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობას. პროგრამის/პროექტის ფარგლებში შესაძლებელია თანამშრომლობა განათლების სამინისტროსთან, ასევე სხვა ორგანიზაციებთან საჭიროების მიხედვით.

მოსალოდნელი შედეგები

გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული სასწავლო რესურსები განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შესაძლებელია დაინერგოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამოქალაქო განათლების საგნის სწავლების ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ქელბაქიანი და ნ. ცაგარელი, კვლევის ანგარიში: “არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია”, თბილისი, 2020
2. მ. შალიკაშვილი და გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016
3. გ. კაკაბაძე, ინდივიდუალური მოპყრობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი, თბილისი, 2019
4. მ. ბაძაღუა და დ. გონდაური, დანაშაულობის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ურთიერთდამოკიდებულების დეტერმინანტები, Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 15, no. 3, 2021
5. EUCPN (2019). EUCPN Toolbox Series No. 15. Preventing the victimisation of minors in the digital age: awarenessraising and behavioural change. Brussels. https://eucpn.org/sites/default/files/document/files/Toolbox%2015_ENG.pdf

Use of modern technologies in the prevention of juvenile delinquency

Associate Professor, Dr. Davit Gondauri, *Business and Technology University; Georgian Academy of Criminology Sciences*; **Dr. Ekaterine Mikautadze**, *Shota Rustaveli Georgian National Science Foundation*;

Keywords: juvenile delinquency; modern technologies; prevention.

Introduction

Juvenile delinquency is a complex phenomenon that usually has multiple underlying causes. Behavior is influenced both by the individual and external factors such as family, social environment, school, etc. Reducing the causes of crime should include working on the underlying factors such as poverty, unemployment, low levels of education, social isolation and many more. Therefore, in the process of the improvement of the above-mentioned factors, coordinated cooperation between government agencies and close cooperation between the non-governmental sector and business organizations is extremely important. The prevention of juvenile delinquency should be an important part of the state's criminal policy (1).

The period of adolescence is a highly responsible and dynamic period of human life. This is the age of personality formation, when the fluctuations of value orientations, interests, spiritual needs must be overcome. A characteristic feature of the moral-psychological look of the adolescent generation is the formation of the position of active life and the determines the plans for the future accomplishments. However, many in adolescent, in the process of anticipation of their future, consider only the desired results and not the ways and means of obtaining them, the opportunities that are necessary to achieve the final result. Therefore, there is a deviation from those material norms. In our reality, this problem is becoming more and more crucial (2).

Kids and teenagers nowadays spend most of their time online, very often and in large numbers. Most teens have daily access and most enjoy mobile connections. The most popular online activities for minors include social networking, listening to music, watching videos and instant messaging. Recent studies have shown that children access the Internet at a very younger age, even at the age of three (5). The use of juvenile social media is a widespread phenomenon and is actively growing. Victimization is the process of becoming a victim, understood here as a person who suffers physical, mental or emotional damage or economic loss due to the actions of another. These actions may be criminal offenses or non-criminalized misconduct (5).

Numerous cases of widespread violence in society are caused due to aggression in adolescents, tense relationships, self-harm, negligence and other circumstances. Juvenile delinquency results in reciprocal victimization: children who have broken the law are perceived as victims and not as lawbreakers and the real victims of their criminal acts.

Significant changes have taken place in the field of juvenile justice in recent years. An important result of these changes was the adoption of the Juvenile Justice Code by the Parliament of Georgia on June 12, 2015, the central part of which came into force on January 1, 2016. The purpose of the Code is to ensure the welfare of the child by facilitating the effective implementation of the

Constitution of Georgia, the Convention on the Rights of the Child, its Additional Protocols and other international legal acts recognized by the State. The prevention of juvenile delinquency served by the Juvenile Justice Code is a complex issue and requires the creation of legislative norms as well as the planning and implementation of preventive measures taking into account the socio-economic situation of the country.

However, it should be noted, that policies aimed at improving the living standards of the population should be based on the consistent development of three key factors: economic, social and environmental well-being.

Initiative

The words of Diane Ravitch, a former US Secretary of State for Education at New York University, "Freedom means responsibility, not freedom from responsibility" illustrate the essence of our initiative. It is essential to teach adults, along with human rights, responsibility for their actions taken. The education system as it seems is weakly coping with this problem taking into account the available resources.

We read about this in the 2020 report of the "Juvenile Crime Prevention" study, that the legal framework governing the activities of the Ministry of Education, Science, Culture and Sports is in line with international standards. However, in practice, a wide range of prevention programs based on holistic approaches are not available. The preventive role of schools is weak and specialists such as school psychologists, social workers, special education teachers are not present in schools. The study revealed that there is a shortage of early and intermediate prevention programs in the country. Most public schools do not have a psychologist. Neither school mediation component was available during the study. It is planned to introduce school mediation in the school officer services, which is welcomed.

Purpose

Consequently, the initiative aims to show public the need to create a new tool for prevention, which implies showing and explaining the above-mentioned cause-and-effect relationships to a teenager. Such an approach will help develop the ability to predict the outcome of actions taken. In particular, the most effective method would be to use game-based learning to prevent juvenile delinquency.

Nevertheless, game-based learning (GBL) is usually defined as the use of fun games during or in the learning environment. Most explanations state that the above-stated games have predetermined and purposeful learning outcomes. In other words, learning something during a recreational game cannot be considered GBL.

Sometimes, when the games under the discussion are digital (computer or console) games, we are talking about digital game-based learning, but this is usually just implicit. In the context of GBL, one might immediately think of immersive simulation or role-playing games in which potential real-world situations are "played out" in the virtual world, but it should be emphasized that such immersive games are not necessarily needed. In principle, GBL refers to both entertaining games as well as games designed for basic entertainment purposes.

Tasks

The initiative will first explore the links between antisocial behavior and delinquency in adolescents, the boundary between perpetrator and victim. The main goal is to create modern technological tools for understanding the cause-and-effect relationships of crime. In particular, we mean the creation of simulation digital games based on the principle of role-playing which can be used as a learning resource at general education levels.

During the simulation games, where the adults will adapt to the roles of the character, it will be offered to choose several actions in stages, the final result will be according to their actions. Their actions taken will also be evaluated in terms of both human rights and legal contexts. The game script should be built on real stories, including the number of characters and should be realistic. It is also important to accurately determine the age group of adolescents in consultation with psychologists. In addition to all the above-mentioned, the involvement of the students in creating the process of the game will be important.

A study of game-based learning has shown that serious games are effective, especially in children and adolescents, if they meet a number of criteria. However, game design and game narrative must be accurate and relevant to the learning objectives; Learning content should be integrated into the gameplay; And games should be part of broader interventions, for example, through use in a school context and as the basis for group discussions.

Needs

The program requires the involvement of various specialists, such as: an adult psychologist, a lawyer, a game developer and many more. Within the framework of the program or project, it is possible to cooperate with the Ministry of Education, as well as with other relevant organizations as needed.

Expected Results

In the long run, these educational resources can be introduced in cooperation with the Ministry of Education and Science in the framework of teaching the subject of civic education in secondary schools.

References:

1. A. Kelbakiani and N. Tsagareli, Research Report: "Prevention of Juvenile Delinquency", Tbilisi, 2020
2. M. Shalikashvili and G. Mikanadze, Juvenile Justice, Tbilisi, Freiburg, Strasbourg, 2016
3. G. Kakabadze, Individual Treatment of Minors in Conflict with the Law, Tbilisi, 2019
4. M. Badzaghua and D. Gondauri, Determinants of Interdependence between Crime and Socio-Economic Situation, Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 15, no. 3, 2021;
5. EUCPN (2019). EUCPN Toolbox Series No. 15. Preventing the victimisation of minors in the digital age: awarenessraising and behavioural change. Brussels. https://eucpn.org/sites/default/files/document/files/Toolbox%2015_ENG.pdf

საჯარო დაწესებულებაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

*დოქტორი თამარ ჩიკვილაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია;*

საკვანძო სიტყვები: სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, კანონმდებლობა, სისხლის სამართლის პოლიტიკა

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები, რომელთა შორის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, სისხლის სამართლის, სასჯელაღსრულების შესახებ და სხვ. სასჯელაღსრულების პოლიტიკა მკვეთრადაა გადაჯაჭვული ადამიანის უფლებების დაცვაზე, კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო, აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე, აგრეთვე, ქვეყანაში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პოლიტიკის ეფექტურად განხორციელება, აგრეთვე, სამართალდამცავი, მართლმსაჯულებისა და სასჯელაღსრულების სისტემების მაღალ დონეზე ფუნქციონირება. აღნიშნული სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ასრულებს, რომელიც ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ ისეთ უფლებამოსილებებს, როგორიცაა: სამართალშემოქმედებითი საქმიანობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა; საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია; უფლებამოსილების ფარგლებში, სისხლის-სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისათვის წინადადებების მომზადება; სასჯელის აღსრულების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა და სხვ.²

სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანიზება, პენიტენციური დაწესებულებების ერთიანი მართვა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ზემოთჩამოთვლილი ფუნქციებიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია, ამ სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებობდეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაც, რადგან „მეცნიერების ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე - საქართველოს სამთავრობო დაწესებულებები პასუხისმგებელი

¹საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

² საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულება, 30 დეკემბერი, 2013, <https://www.justice.gov.ge/Ministry/Index/391>

არიან შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის სფეროში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის.¹ სამართალდამრღვევთა რეაბილიტაციისადმი ქვეყნის მიერ შერჩეულ მიდგომაზე, სოციალურ რეინტეგრაციასა და სხვა საკითხებზე ზრუნვა კი, მხოლოდ კანონმდებლობისა და არსებული ინსტიტუტების საფუძველზე ვერ განხორციელდება სრულფასოვნად. საერთაშორისო და ჩვენი ქვეყნის წარსული გამოცდილებაც გვაჩვენებს, რომ ამ კუთხით ერთ-ერთი გადამწყვეტი ფუნქცია სწორედ სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ შეიძლება განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში², რუსეთში³, უკრაინაში⁴ და ევროპის ქვეყნებში⁵ არსებობს ასეთი ტიპის სამეცნიერო კვლევითი-დაწესებულებები, რომელთაც შესაბამის ქვეყნებში წამყვანი ადგილი აქვთ სისხლის სამართლისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაში.

სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მკვლევარების მიერ მომზადებული ანგარიშები, პოლიტიკური დოკუმენტები და სამეცნიერო-კვლევითი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები/რეკომენდაციები დიდ გავლენას იქონიებს მართლმსაჯულების სისტემასა და ქვეყნის შესაბამისი პოლიტიკის სრულყოფილად განხორციელებაზე. რაც შეეხება ორგანიზაციულ ფორმას - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის სამინისტროს ფუნქციებში უშუალოდ არ შედის თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე სამეცნიერო კვლევების ორგანიზება და უზრუნველყოფა, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კი განსაზღვრულია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო ან სახელმწიფოებრივი მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში⁶, აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი და შესაძლებელია, რომ სწორედ იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბდეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რათა აღნიშნულმა დაწესებულებამ საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებულად, სახელმწიფოს კონტროლით, დამოუკიდებლად განახორციელოს თავის საქმიანობა.

¹ საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“, 22 ნოემბერი, 1994, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28426?publication=22>

² <https://nij.ojp.gov/about-nij?fbclid=IwAR0wPvaYU9M7z8zg1RpNWlhEdCU-K1reEoCOBm7ZJsw7enwCWWaKiVxysZI>

³ http://www.scli.ru/?fbclid=IwAR05t4_ZSskoFAdsA4iGy_DDyNW49hlE9eOAYlm4X1W-TEJPN3P0bH2dndY

⁴ https://studbooks.net/74878/pravo/nauchno_issledovatelskie_uchrezhdeniya_sudebnyh_ekspertiz_ministerstva_yustitsii_ukrainy?fbclid=IwAR2YDv_DKoDPwiSUzcn2mgrehPsRhnT9hI1TeqGyYAOPIITqgLk-rigDDQ

⁵ https://www.cepol.europa.eu/who-we-are/european-union-agency-law-enforcement-training/about-us?fbclid=IwAR3GHIyOkUkY6BWW-oC00ZeNCw8PF18VVQzVwqTeAHnjfEKivplOB_ZNZg

⁶ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“, 28 მაისი, 1999. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/19204?publication=31>

The legal foundations for the conduct of research activities in public institution.

Dr. Tamar Chikviladze, *Georgian National Academy of Sciences; Georgian Academy of Criminology Sciences;*

Keywords: Legislative Activity, Legislation, Criminal Policy

As you know, according to the Constitution of Georgia, the special management of the supreme governing bodies of Georgia includes legislation on criminal law, human rights, penitentiary legislation, etc.

Based on the above, one of the primary objectives of the state is the effective implementation of criminal and criminology policies and the functioning of law enforcement, justice, and penitentiary systems at a high level, the perfect implementation of which is impossible only on the basis of law and existing institutions, as there should be a scientific & research component in the field of management of the relevant public institutions.

According to the Constitution and the Law of Georgia on Science, Technology and their Development, Georgian governmental institutions are responsible for pursuing the state policy for the development of science and technology in the relevant public management field.¹ The international and our country's past experience shows that one of the crucial functions in this regard can be fulfilled by scientific & research activity - in the United Nations, the United States², Ukraine³ and the European countries⁴, under the management of the Ministry of Justice there are scientific & research institutions playing a leading role in defining criminal and security policies in the respective countries.

In view of all the above, we can say that the reports, policy documents prepared by individual researchers, as well as conclusions and recommendations resulting from scientific & research analysis will have a great impact on the justice system and the perfect implementation of relevant policies in our country.

As for the organizational form - based on the goals and objectives of the Ministry of Justice of Georgia and given that the functions of the Ministry of Justice do not directly include the organization and provision of scientific researches on issues within its competence, therefore, it is expedient and possible to establish a scientific & research institution as a legal entity of public law in the field of management of the Ministry of Justice, so that this institution can carry out its activities under state control independently from the legislative and state governing bodies.

¹ Law of Georgia on Science, Technology and their Development (22/11/1994)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28426?publication=22>

² <https://nij.ojp.gov/about-nij?fbclid=IwAR0wPvaYU9M7z8zg1RpNWIhEdCU-K1reEoCOBm7ZJsw7enwCWaKiVxysZI>

³ https://studbooks.net/74878/pravo/nauchno_issledovatelskie_uchrezhdeniya_sudebnyh_ekspertiz_ministerstva_yustitsii_ukrainy?fbclid=IwAR2YDv_DKoDPwiSUzn2mgrehPsRhnT9hI1TeqGyYAOPFI1TqgLk-rigDDQ

⁴ https://www.cepol.europa.eu/who-we-are/european-union-agency-law-enforcement-training/about-us?fbclid=IwAR3GHIlyOkUkY6BWW-oC00ZeNCw8PF18VVQzVwqTeAHnjfEKivplOB_ZNZg

კიბერდანაშაულობის დეტერმინანტები პანდემიის პირობებში

დოქტორანტი თამარ ლანჩავა, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;

საკვანძო სიტყვები: პანდემია, კიბერდანაშაული, დეტერმინანტები

კოვიდ პანდემიამ ბოლო ორი წლის განმავლობაში საზოგადოების ცხოვრების ჩვეული წესი მთლიანად შეცვალა და მისი ყოველდღიურობა ვირტუალურ სამყაროში გადაიტანა. ვირუსმა მხოლოდ კიბერსივრცეში გახადა შესაძლებელი „ურთიერთობა“ ე. წ. შეზღუდვების გარეშე, რამაც გამოიწვია „კომპიუტერულ სისტემებზე, მობილურ აპარატებსა და ინტერნეტზე“¹ მოთხოვნილების ზრდა. „Internet World Stats“-ის მიერ 2021 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული კვლევის თანახმად, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა თითქმის „5,2 მილიარდ ადამიანს შეადგენს, რაც მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის 65,6 %-ია“.² კიბერსივრცით სარგებლობის ზრდასთან ერთად გაიზარდა კიბერდანაშაულის რაოდენობაც, რაც თანამედროვე მსოფლიოსათვის ისედაც ურთულესი გამოწვევაა.

ევროპოლის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით პანდემიის პირობებში ყველაზე ხშირ კიბერდანაშაულს წარმოადგენს: 1) ransomware-გამოსასყიდი პროგრამა; 2) DDoS (Distributed Denial of Service) -სერვერის მიერ უარის თქმას მომსახურებაზე ; 3) child sexual exploitation-ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია; 4) the dark web-ბნელი ქსელი და 5) hybrid threats: disinformation and interference campaigns -ჰიბრიდული საფრთხეები: დეზინფორმაციისა და ჩარევის კამპანიები.³ Microsoft-ის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წელს ხშირი კიბერდანაშაულების სია თითქმის იგივია, თუმცა ანგარიშში აღნიშნულია, რომ ის უფრო დახვეწილი, მასშტაბური და საშიში იყო.⁴

კიბერდანაშაულობის კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დეტერმინანტები, დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი პირობების შესწავლა. დეტერმინანტებზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ამ დანაშაულის მახასიათებლები და სუბიექტის მრავალფეროვნება. კიბერდანაშაულის მახასიათებლები, ფარულობა, უსაზღვრობა, ინტელექტუალური, დისტანციური და მრავალეპიზოდური ხასიათი, მსხვერპლთა დაბალი ცნობიერება, არასტანდარტულობა, მრავალფეროვნება, სირთულე, მისი თავიდან აცილების შეუძლებლობა ტრადიციული მეთოდებით, თავის მხრივ ქმნიან ერთგვარ ხელშემწყობ პირობებს მის ჩასადენად. კოვიდპანდემიის პირობებში, ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, კიბერდანაშაულობის ხელშემწყობი პირობები შექმნა: 1) ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის მოხმარების ზრდამ; 2)

¹ Cybercrime and coronavirus: warning from CyberEast project 31.03.2020
<https://eufordigital.eu/geo/cybercrime-and-coronavirus-warning-from-cybereast-project/>
(გადამოწმებულია 05.12.2021)

² Internet World Stats. URL <http://www.internetworldstats.com/stats.htm> (გადამოწმებულია 04.12.2021წ)

³ Europol report on cybercrime and disinformation amid the COVID-19 pandemic 01.05.2020
<https://www.europol.europa.eu/media-press/newsroom/news/catching-virus> (გადამოწმებულია 07.12.2021წ)

⁴ How cyberattacks are changing according to new Microsoft Digital Defense Report (2021)
<https://www.microsoft.com/security/blog/2021/10/11/how-cyberattacks-are-changing-according-to-new-microsoft-digital-defense-report/> (გადამოწმებულია 8.12.2021)

მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდამ, მათ შორის „მოწყვლადი ჯგუფების (ხანდაზმულებისა და არასრულწლოვნების) არსებობამ. 3) სამსახურების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამ კიბერდამნაშავეებს მისცა შესაძლებლობა, თანამშრომელთა დაუცველი სისტემებიდან განეხორციელებინათ წვდომა და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციებიდან; 4) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა არასათანადო რეაგირებამ, ვინაიდან კოვიდ პანდემიის პირობებში ამის შესაძლებლობა ნაკლებად არის.

კიბერდანაშაულობის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ამ სახის დანაშაულის სუბიექტზე, რადგან, როგორც ვიცით, დანაშაულის ჩადენის მიზეზები მოიცავს „სუბიექტის ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობას¹. მოცემულ შემთხვევაში კი, კიბერდანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს, სახელმწიფო; ორგანიზაცია; პედოფილები, ჯაშუშური და მავნე პროგრამების შემქმნელები: ჰაკერი; ტერორისტი, ბოტნეტი, ფიშერი, სპამერი; და ა.შ. შესაბამისად მიზეზებიც მრავალგვარია, დაწყებული ადვილად გამდიდრების და სხვისი პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვების სურვილისა, ასევე სახელმწიფოებისათვის ან ბიზნეს ორგანიზაციებისათვის ზიანის მიყენება, სეპარატისტული შუღლის გამწვავება რეგიონებს შორის; კიბერტერორისტული აქტის განხორციელება, კიბერ ომი და ა.შ. კოვიდპანდემიის დროს, ხშირ შემთხვევაში კიბერდამნაშავეებისათვის სამიზნეს წარმოადგენს: საზოგადოებაში ვირუს „კოვიდ 19-ის“ მიმართ დეზინფორმაციის გზით შიშის დაწერვა, კოვიდპანდემიასთან ბრძოლაში სხვადასხვა სახელმწიფოების თუ ორგანიზაციების მიღწევებთან დაკავშირებით ინფორმაციების მოპოვება და ა. შ. მაგ: 2020 წელს გამომძალველი პროგრამის (ransomware) შეტევის შედეგად კალიფორნიის უნივერსიტეტის სერვერები დაიშიფრა. აღნიშნულ სერვერებზე ინახებოდა კორონავირუსის შესახებ ჩატარებული უახლესი კვლევების მონაცემებიც. მონაცემების დაბრუნებისა და სერვერების დეშიფრაციის სანაცვლოდ უნივერსიტეტმა ჰაკერებს 41.14 მილიონი დოლარი გადაუხადა². 2020 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე ერთ-ერთი უცხო ქვეყნიდან განხორციელდა კიბერშეტევა. კიბერშეტევის მიზანი იყო სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის, დაავადებათა კონტროლისა და რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება.³

¹Causes Of Crime <https://www.encyclopedia.com/law/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/causes-crime> (გადამოწმებულია 10.12.2021წ)

²2020 წლის მამტაბური კიბერ შეტევები <https://www.cyberhouse.ge/blog/2020/12/07/2020> (გადამოწმებულია 10.12.2021)

³ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი -IDFI კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი. 03.09.2020წ. <https://idfi.ge/ge/strategy of russian cyber operations> (გადამოწმებულია 11.12.2021წ)

ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, კიბერდანაშაულობის დეტერმინანტების გათვალისწინებით (ხელშემწყობ პირობებთან მიმართებაში) სახელმწიფოს დონეზე კიბერუსაფრთხოების გაძლიერების და კიბერდანაშაულობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა, გაიზარდოს ამ სფეროს დაფინანსება, მოხდეს კიბერდანაშაულთან მებრძოლი სამართალდამცავი უწყებების ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემური განახლება და ამ უწყებათა თანამშრომლების მუდმივი გადამზადება, რათა შეძლონ მოსალოდნელი კიბერდანაშაულის თავიდან აცილება და ეფექტური ბრძოლა კიბერსივრცეში „მოღვაწე“ კიბერდამნაშავეებთან, რომლებიც მუდმივად ანახლებენ და ხვეწენ თავიანთი საქმიანობის მეთოდებს, კარგად ფლობენ სოციალური ინჟინერიის ხერხებს და სისტემატიურად უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას სიახლეების და მიღებული გამოცდილების თაობაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, გატარდეს ინტენსიური ღონისძიებები ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენებისა და კიბერსაფრთხეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
2. ზაურ წულაია, კრიმინოლოგია, გამომ. „მერიდიანი“, თბ., 2005.
3. Cybercrime and coronavirus: warning from CyberEast project 31.03.2020
<https://eufordigital.eu/geo/cybercrime-and-coronavirus-warning-from-cybereast-project/>
4. Internet World Stats. URL <http://www.internetworldstats.com/stats.htm>
5. Europol report on cybercrime and disinformation amid the COVID-19 pandemic 01.05.2020
<https://www.europol.europa.eu/media-press/newsroom/news/catching-virus>
6. How cyberattacks are changing according to new Microsoft Digital Defense Report (2021)
<https://www.microsoft.com/security/blog/2021/10/11/how-cyberattacks-are-changing-according-to-new-microsoft-digital-defense-report>
7. Causes Of Crime <https://www.encyclopedia.com/law/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/causes-crime>
8. 2020 წლის მასშტაბური კიბერ შეტევები <https://www.cyberhouse.ge/blog/2020/12/07/2020>
9. Institute for Development of Freedom of Information -IDFI . Cyberattack on the Ministry of Health and Russian Trace 03.09.2020 https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations

Cybercrime Determinants During a Pandemic

Doctoral Student Tamar Lanchava, *David Agmashenebeli University of Georgia;*

Keywords: Pandemic, Cybercrime, Determinants

In the last two years, the Covid 19 pandemic significantly impacted the social lifestyle and influenced the migration of everyday affairs to the virtual dimension. The virus made “non-restricted” communication possible only in cyberspace. This, in turn, raised the demand for computer systems, cellular devices, and the internet.¹ According to research by Internet World Stats, in the first quarter of the year 2021, around 5.2 billion people use the internet. This constitutes about 65.6 per cent of the world population.² With the growth of the usage of cyberspace, the amount of cybercrime also grew. Even before this spike in internet usage, cybercrime was already a significant problem. Now the problem got more grave.

According to the annual report by Europol of 2020, the most common types of cybercrime are Ransomware - a type of malicious software that encrypts data and asks for “ransom” for a decrypt key, DDoS (Distributed Denial of Service) - a cyberattack that overwhelms targets with requests causing them to malfunction, Child Sexual Exploitations, DarkWeb related offenses, Hybrid threats such as disinformation and interference campaigns.³ Research by Microsoft in 2021 indicates that the most frequent cybercrime cases are almost the same as in the case of Europol, however, the outcomes of cybercrime are more severe and dangerous.⁴

An important aspect of research on cybercrime is identifying the determinants - the reasons why cybercrime occurs in the first place and what factors are conducive to cybercrime. When assessing the determinants, it is important to acknowledge the characteristics of mentioned type of crime and a great variety of the subjective sides. The common traits of cybercrime are secrecy, lack of physical borders, intellectual challenges, remote and multi-episode character, low awareness levels of the victims, lack of strict pattern, diversity, complexity, the inability to avoid through traditional methods. These characteristics in turn create welcoming conditions for cybercriminals. In the context of the Covid 19 pandemic, in addition to the above-mentioned factors, the following conditions conducive to cybercrime have been created:

- 1) An increase in consumption of the information technologies and the internet;
- 2) An increase in the number of consumers including the vulnerable groups (elderly and minors);

¹ Cybercrime and coronavirus: warning from CyberEast project 31.03.2020 <https://eufordigital.eu/geo/cybercrime-and-coronavirus-warning-from-cybereast-project/> [05.12.2021]

²Internet World Stats. URL <http://www.internetworldstats.com/stats.htm> [04.12.2021]

³ Europol report on cybercrime and disinformation amid the COVID-19 pandemic 01.05.2020 <https://www.europol.europa.eu/media-press/newsroom/news/catching-virus> [07.12.2021]

⁴How cyberattacks are changing according to new Microsoft Digital Defense Report (2021) <https://www.microsoft.com/security/blog/2021/10/11/how-cyberattacks-are-changing-according-to-new-microsoft-digital-defense-report> [08.12.2021]

3) The transition to remote work allowed cybercriminals to exploit systems of the private and public sectors that lack security.

4) Inadequate response of law enforcement officials, as the investigation became more difficult during the pandemic.

When assessing the causes of cybercrime, it is necessary to focus on the subjective side of this type of crime, because the reasons for committing a crime include "a combination of biological, psychological, social, and economic factors."¹ In this case, the subject of cybercrime may be the state; an organization; paedophiles, creators of spyware, and malware, hackers, terrorists, spammers, etc. Consequently, there are many reasons, ranging from the desire of getting rich without an extra effort, illicitly obtaining victims' personal data, as well as harming states or business organizations, exacerbating strife between regions conducting a cyber-terrorist act, cyberwar and etc.

During the Covid 19 pandemic, the frequent aim of cybercriminals is instilling fear in the public through disinformation regarding the Covid 19 virus, theft of research findings on Covid 19, and others. For instance, in 2020, the servers of the University of California were encrypted as a result of a ransomware attack. The data of the latest research on coronavirus were also stored on these servers. In exchange for data recovery and server decryption, the university paid hackers \$41.14 million.² On September 1, 2020, a cyber attack was carried out against the computer system of the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health, and Social Affairs of Georgia from a foreign county. The purpose of the cyber-attack was to illegally seize and use important information related to medical records and pandemic management stored in the databases of the Ministry's central office and its substructural units, including the Disease Control and Richard Lugar Public Health Research Center.³

Therefore, in view of the determinants of cybercrime (in terms of facilitating conditions), in order to strengthen cyber security and prevent cybercrime at the state level it is necessary to increase funding for this field, to prevent cybercrime, and effectively combat cybercriminals who are constantly updating and refining their methods, mastering social engineering skills, and systematically sharing information about innovations in the fields of cybercrime and experiences gained. It is also important to take intensive measures to raise public awareness and knowledge about information technology, safe use of the Internet, and cyber threats.

References:

1. Constitution of Georgia <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
2. Zaur, Tsulaia (2005), Criminology, Tbilisi, Meridian Publishing House.
3. Cybercrime and coronavirus: warning from CyberEast project 31.03.2020 <https://eufordigital.eu/geo/cybercrime-and-coronavirus-warning-from-cybereast-project/>

¹Causes Of Crime <https://www.encyclopedia.com/law/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/causes-crime> [10.12.2021]

² Large-scale cyber attacks in 2020 <https://www.cyberhouse.ge/blog/2020/12/07/2020> [10.12.2021]

³Institute for Development of Freedom of Information -IDFI. Cyberattack on the Ministry of Health and Russian Trace 03.09.2020 https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations [11.12.2021]

4. Internet World Stats. URL<http://www.internetworldstats.com/stats.htm>
5. Europol report on cybercrime and disinformation amid the COVID-19 pandemic 01.05.2020 <https://www.europol.europa.eu/media-press/newsroom/news/catching-virus>
6. How cyberattacks are changing according to new Microsoft Digital Defense Report (2021) <https://www.microsoft.com/security/blog/2021/10/11/how-cyberattacks-are-changing-according-to-new-microsoft-digital-defense-report>
7. Causes Of Crime <https://www.encyclopedia.com/law/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/causes-crime>
8. Large-scale cyber attacks in 2020 <https://www.cyberhouse.ge/blog/2020/12/07/2020>
9. Institute for Development of Freedom of Information -IDFI. Cyberattack on the Ministry of Health and Russian Trace 03.09.2020 https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations